სოფიო ჯოხაძე

# საწარმოს გადარჩენა - ახალი გამოწვევა გადახდისუუნარობის სამართლისთვის

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი
2022

სოფიო ჯოხაძე

# საწარმოს გადარჩენა — ახალი გამოწვევა გადახდისუუნარობის სამართლისთვის

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი, 2022

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით კერესელიძე, პროფესორი

შინაარსი

აბრევიატურები: ........................................................................ VII

1. შესავალი ........................................................................ 1

2. გადახდისუუნარობის კანონმდებლობის მოდერნიზაცია ............. 5

2.1 ნებაყოფლობითი რეორგანიზაცია ................................................. 6

2.2 თანაზომიერების პრინციპის დაცვა მორატორიუმის ღონისძიებების გამოყენებისას ........................................................ 13

2.3 დირექტივა საპრევენციო რესტრუქტურიზაციის შესახებ...... 18

2.3.1 დირექტივის სტანდარტები ................................................. 21

2.3.2 დებატები დირექტივის გარშემო ........................................ 26

2.3.3 დირექტივის გავლენა ევროპული ქვეყნების კანონმდებლობებზე ........................................................ 33

3. Pari Passu — თანაბარი მოპყრობის პრინციპი ................................ 38

3.1 კრედიტორთა დიფერენციაცია .................................................. 41

3.1.1 უზრუნველყოფილი კრედიტორები ................................... 42

3.1.2 პრივილეგირებული კრედიტორები ................................... 49

3.1.3 დაქვემდებარებული კრედიტორები .................................. 52

3.1.4 თანამშრომლები, როგორც კრედიტორები......................... 54

3.1.5 საგადასახადო როგორც კრედიტორი ................................. 62

3.2 სხვადასხვა რიგის კრედიტორთა დაკმაყოფილების წესი ...... 64

3.2.1 უზრუნველყოფილ მოთხოვნათა დაკმაყოფილება ........... 65

3.2.2 არაუზრუნველყოფილ კრედიტორთა დაკმაყოფილება... 67

3.2.3 დაგვიანებული კრედიტორები ............................................ 69

3.3 შუალედური დასკვნა ................................................................ 71

4. გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყება - ........................ 74

უფლება თუ მოვალეობა ...................................................................... 74

4.1 საწარმოს მიერ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყება ........ 76
4.1.1 საწარმოს მიერ გაკოტრების მოთხოვნა ........ 76
4.1.2 საწარმოს მიერ რეაბილიტაციის მოთხოვნა ........ 80
4.2 კრედიტორის მიერ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყება ........ 82
4.2.1 კრედიტორის მიერ გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყების ზოგადი სტანდარტები ........ 83
4.2.2 კრედიტორის მიერ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების კრიტერიუმები ........ 87
4.3 გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყება, როგორც საწარმოს მოვალეობა ........ 88
4.3.1 პასუხისმგებლობის სუბიექტი ........ 90
4.3.2 გადახდისუუნარობის მოთხოვნის განცხადების შეუტანლობა გადახდისუუნარობასთან დაკავშირებულ დანაშაულებს შორის ........ 92
4.4 შუალედური დასკვნა ........ 93
5. გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტთა მიერ მოვალისა და კრედიტორთა ინტერესების თანაზომიერად დაცვა . 95
5.1 გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტთა მიმართ დადგენილი პრინციპები ........ 97
5.1.1 კვალიფიციურობის პრინციპი ........ 98
5.1.2 კეთილსინდისიერების პრინციპი ........ 102
5.1.3 ინტერესთა კონფლიქტის გამჟღავნება ........ 103
5.1.4 დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა ........ 105
5.1.5 კონფიდენციალურობის პრინციპი ........ 113
5.2 კონტროლი გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტებზე ........ 116

5.2.1 კრედიტორთა კონტროლი ........ 116

5.2.2 სასამართლო კონტროლი ........ 119

5.3 შუალედური დასკვნა ........ 121

6. კრედიტორთა მონაწილეობა გადახდისუუნარობის პროცესის მართვაში ........ 123

6.1 კრედიტორები მართვის ორგანოებში ........ 125

6.1.1 კრედიტორთა საერთო კრება ........ 126

6.1.2 კრედიტორთა კომიტეტი ........ 129

6.2 კრედიტორთა კონტროლის ფუნქცია ........ 138

6.3 რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცება ........ 142

6.4 შუალედური დასკვნა ........ 150

7. სასამართლოს როლი მოვალისა და კრედიტორთა უფლებების თანაზომიერად დაცვაში ........ 152

7.1 სპეციალური საპროცესო კანონმდებლობა ........ 154

7.1.1 სპეციალური განსჯადობა ........ 154

7.1.2 შემჭიდროვებული ვადები ........ 156

7.1.3 გასაჩივრება - მონაწილეთა ფუნდამენტური უფლება ........ 158

7.1.4 საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა ........ 161

7.2 სასამართლოს განსაკუთრებული უფლებამოსილება ........ 162

7.2.1 პროცესის დაწყება ........ 163

7.2.2 გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტების დანიშვნა ........ 166

7.2.3 კრედიტორთა მოთხოვნების შემოწმება ........ 169

7.2.4 სასამართლოს როლი რეაბილიტაცის პროცესში ........ 171

7.2.5 სასამართლოს ჩართულობა ქონების განკარგვაში ........ 176

7.3 სასამართლო კონტროლი ........ 177

7.3.1 ზედამხედველობა გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტებზე ........................................ 178

7.3.2 თანხმობა ........................................ 180

7.3.3 საცილო ქმედებები ........................................ 182

7.3.4 საორგანიზაციო ფუნქცია ........................................ 187

7.3.5 სანქციის გამოყენება ........................................ 188

7.4 შუალედური დასკვნა ........................................ 191

8. ხარჯების ოპტიმიზაციის ეფექტურობა მოვალისა და კრედიტორისთვის ........................................ 193

8.1 სასამართლო ხარჯები ........................................ 196

8.2 გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის ანაზღაურება ........................................ 199

8.2.1 ქართული კანონმდებლობის მიდგომა ........................................ 199

8.2.2 სხვადასხვა ქვეყნის მიდგომების ანალიზი ........................................ 203

8.3 რეკომენდაციები ხარჯების ოპტიმიზაციისათვის ........................................ 209

8.3.1 გადახდისუუნარობის ხარჯების ოდენობის განმსაზღვრელი სუბიექტი ........................................ 211

8.3.2 ტარიფის განსაზღვრის მეთოდი ........................................ 212

8.3.3 ზედამხედველობა ანაზღაურების ოდენობაზე ........................................ 215

8.3.4 ხარჯების სახელმწიფოს მიერ ანაზღაურება ........................................ 217

8.4 შუალედური დასკვნა ........................................ 218

9. დასკვნა ........................................ 222

გამოყენებული ლიტერატურა: ........................................ 229

საკანონმდებლო აქტები: ........................................ 229

დოქტრინა: ........................................ 231

სასამართლო გადაწყვეტილებები: ........................................ 241

## აბრევიატურები:

### ქართულ ენაზე:

| | |
|---|---|
| გვ. | გვერდი |
| იხ. | იხილეთ |
| მუხ. | მუხლი |
| ე.წ. | ეგრეთ წოდებული |
| მაგ. | მაგალითად |
| თბ. | თბილისი |
| აშშ. | ამერიკის შეერთებული შტატები |
| შპს | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| სს | სააქციო საზოგადოება |

### უცხოურ ენებზე:

| | |
|---|---|
| Art. | article |
| p. | page |
| par. | paragraph |
| Prof. | Professor |
| UNCITRAL | United Nations Commission On International Trade Law |
| EBRD | European Bank for Reconstruction and Development |
| EU | European Union |
| G4G | Government for Growth |
| ELI | European Law Institute |
| RPR | Relative Priority Rule |
| APR | Absolute Priority Rule |
| CVA | Company Voluntary Arrangment |
| GIZ | The Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit |
| TUPE | Regulations The transfer of Undertaking (protection Employment) Regulations |
| IP | Insolvency Practitioner |
| DIP | Debtor in Possession |

## 1. შესავალი

„შესაძლებლობები მრავლდება მათ გამოყენებასთან ერთად“[1]
სუნ ძი

ქვეყანაში ეკონომიკის განვითარებისათვის და ინვესტიციების მოსაზიდად მნიშვნელოვანია როგორც ბიზნესის დაწყების ხელმისაწვდომობა, ასევე ბიზნესიდან გასვლის დახვეწილი სამართლებრივი მექანიზმების არსებობა.

იმისათვის, რათა ინვესტორებმა უსაფრთხოდ იგრძნონ თავი, ისინი დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ ინვესტირებული კაპიტალი სამართლიანი რეგულაციების ქვეშ მოექცევა ბიზნესის წარუმატებლობის შემთხვევაშიც.

გადახდისუუნარობის სამართალი, ფორმალური გაგებით, კრედიტორთა შორის ქონების განაწილებას გულისხმობდა. ამ გაგებით, გადახდისუუნარობის სამართალი გამოიყენებოდა როგორც მექანიზმი კრედიტორთა მაქსიმალურად დასაკმაყოფილებლად. ამგვარი მიდგომა გავრცელებული იყო XIX-XX საუკუნის ევროპული ქვეყნების სამართალში[2]. მოგვიანებით შეიცვალა მიდგომა და დღეს დებიტორის რეაბილიტაციის ინტერესმა წინა პლანზე გადმოინაცვლა.

ევროპარლამენტის მიერ საპრევენციო რესტრუქტურიზაციის შესახებ ახალი დირექტივის[3] მიღების შემდეგ შეიცვალა სტიგმა, რომელიც გადახდისუუნარობასთან დაკავშირებით არსებობდა[4]. მთავარი სიახლე, რასაც დირექტივა

---

[1] Opportunities multiply as they are seized, Sun Tzu, The Art of War, http://classics.mit.edu/Tzu/artwar.html.

[2] F. Javier, Aries Varona, Johanna Niemi, Tuomas Huoli, Didcharge and Enterpreneurship in the Preventive Restructuring Directive, 19, https://doi.org/10.1002/iir.1369 მითითებულია: Philip Wood Principles of International Insolvency (Sweet &Maxwell, Philloppe Froute Theoritical Foundation for a Debtor Friendly Bankroptcy Las in Favour of Creditors, Linda CoCo Beyond Failure and Forgivness: The Debtor's place in American Fiscal Identity, Bankruptcy and Capitalism.

[3] https://eur-lex.europa.eu/legalcontent/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32019L1023&from=EN.

[4] Sharon Simmon, Johan Wiklund, Jonathan Levie, Stigma and Business Failure: Implications for Enterpreneurs Career Choices 3,

გვთავაზობს, არის გადახდისუუნარობის სამართლის მიზნებისადმი ახალი ევროპული მიდგომა — ევროკავშირის ინსტიტუტები ჩამოყალიბდნენ, რომ გადახდისუუნარობის სამართლის მიზანი უნდა იყოს ფინანსური პრობლემების მქონე საწარმოს ხელშეწყობა. ევროპული გადახდისუუნარობის სამართლის რეფორმის კვალდაკვალ, 2020 წლის 18 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, რომელიც ძალაში შევიდა 2021 წლის 01 აპრილიდან და ანაცვლებს კანონს „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ქართული საკანონმდებლო რეფორმა ასახავდეს გადახდისუუნარობის სამართლის საუკეთესო და თანამედროვე მიდგომებს გადახდისუუნარობის მიზანთან დაკავშირებით.

საკანონმდებლო რეფორმამდე საქართველოში გადახდისუუნარობის პროცესი ხშირად მხოლოდ ფორმალურად გამოიყენებოდა მოვალის გაკოტრების გზით რეესტრიდან ამოსაშლელად ან/და მოვალესა და კრედიტორს შორის მოფიქრებული სქემის სამართლებრივ ჩარჩოებში მოსაქცევად. იშვიათად ხდებოდა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყება საწარმოს გადახდისუუნარობის დადგომის ადრეულ ეტაპზე, გადახდისუუნარობის მიზეზების აღმოსაფხვრელად[5]. აღნიშნულის მიზეზი, საკანონმდებლო რეგულაციებშია.

ნაშრომის მიზანია იმის დადგენა, თუ რა მექანიზმებით უმკლავდება თანამედროვე გადახდისუუნარობის კანონმდებლობა

file:///C:/Users/x/Downloads/PublishedinSBE.pdf, იხ. ასევე: Joachim Wagner, Taking a Second Chance: Entrepreneurial Restarters in Germany, file:///C:/Users/x/Downloads/SSRN-id297094.pdf.

[5] სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2016 წელს გახსნილი 41 გადახდისუუნარობის საქმის წარმოებიდან რეაბილიტაციით დასრულდა მხოლოდ ორი საქმე, ხოლო 2017-2018 წლებში რეაბილიტაციის მაჩვენებელი ნულია. 2019 წლის 1-ელი ივნისის მდგომარეობით, გადახდისუუნარობის საქმე გაიხსნა 19 სუბიექტის მიმართ და გადახდისუუნარობის რეჟიმად არცერთ შემთხვევაში არ არის განსაზღვრული რეაბილიტაცია, http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=8068.

მთავარ გამოწვევას — საწარმოს ადრეულ ეტაპზე რეორგანიზაციას და რამდენად არის ეს გამოწვევა, ისევე როგორც მიზნის მისაღწევად საჭირო მექანიზმები, ასახული ქართულ კანონმდებლობაში.

კვლევას საჭიროებს, თუ რამდენად თანხვედრაშია ახალი კანონით გაცხადებული მიზანი — „კრედიტორთა მოთხოვნების კოლექტიური დაკმაყოფილება რეაბილიტაციის მიღწევით" თანამედროვე ტენდენციებთან და რამდენად პასუხობს კანონის შინაარსი გაცხადებულ მიზანს.

კვლევა აგრეთვე შეეხება საწარმოს რეაბილიტაციისას მოვალეთა ინტერესების თანაზომიერად დაცვას და თანაზომიერების პრინციპის როლს გადახდისუუნარობის სამართალში. კერძოდ აღნიშნული პრინციპის დანერგვას კანონმდებლობით შემოთავაზებულ ცალკეულ რეგულაციებში, როგორც კრედიტორისა და მოვალის უფლებების თანაზომიერად დაცვის მხრივ, ასევე თავად კრედიტორთა უფლებებში თანაზომიერების დასაცავად.

განვითარებული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკისა და თანამედროვე ტენდენციების გასაზიარებლად, ნაშრომში თანამედროვე დოქტრინასთან ერთად განიხილება ევროკავშირისა და ევროპული ქვეყნების საკანონმდებლო აქტები, მოხდება მათი შედარება ქართულ კანონმდებლობასთან. ასევე განხორციელდება რეფორმამდე მოქმედი კანონისა და ახალი კანონის შედარებითი ანალიზი.

ნაშრომში დასახული მიზნის მისაღწევად, შედარებით მეთოდთან ერთად, გამოყენებულია ნორმატიული კვლევის მეთოდი, რათა ცალკეული ნორმების ანალიზის საფუძველზე დადგინდეს გადახდისუუნარობის სამართლის მიზნისა და ამ მიზნისაკენ მიმავალი გზის თანაფარდობა. ნორმების ანალიზი განსაკუთრებით აქტუალურია იმ პირობებში, როდესაც მიმდინარეობს გადახდისუუნარობის სამართლის რეფორმა, რათა გააზრებულ იქნეს არსებული საკანონმდებლო ხარვეზები და მოიძებნოს ამ ხარვეზების აღმოფხვრის გზები.

გადახდისუუნარობის სამართლის მიზნის მისაღწევად საჭირო საკანონმდებლო მექანიზმების კვლევისას მნიშვნელოვანია არსებული ნოვაციების, პროცესის დაწყების, კრედიტორთა თანაზომიერი დაცვის, პროცესის მართვის, პროცესში სასამართლოს ჩართულობისა და ხარჯების ოპტიმიზაციის ელემენტები. სწორედ აღნიშნული ინსტიტუტების კვლევას აქვს დათმობილი ნაშრომის მომდევნო თავები.

ნაშრომი შედგება ცხრა თავისაგან. მეორე თავი დათმობილი აქვს გადახდისუუნარობის სამართალის მოდერნიზაციას და ამ მხრივ არსებულ ტენდენციებს. ახალ ევროპულ დირექტივაში აისახა ძირითადი პრინციპები და გამოწვევები, რომლებმაც ეროვნულ კანონმდებლობაში უნდა პოვოს ასახვა. შესაბამისად, ეს თავი დაეთმობა როგორც დირექტივის ანალიზს, ასევე ნებაყოფლობით რეაბილიტაციას, როგორც გადახდისუუნარობის სამართლის ახალ, თანამედროვე ინსტიტუტს.

თანაბარი მოპყრობის პრინციპი გადახდისუუნარობის სამართლის ძირითადი პრინციპია, რაც გულისხმობს თანაბარ პირობებში მყოფი კრედიტორების თანაბრად დაკმაყოფილებას. ამ პრინციპს, მასთან ქართული კანონმდებლობის შესაბამისობას და არსებულ გამონაკლისებს შეეხება ნაშრომის მესამე თავი.

მეოთხე თავში განხილულია გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყება — როგორც უფლება და მოვალეობა. თუკი გადახდისუუნარობის სამართლის მიზანი ფინანსური პრობლემების მქონე საწარმოს ხელშეწყობა და რეაბილიტაციაა, მაშინ გადახდისუუნარობის დაწყება საწარმოს არა მხოლოდ ვალდებულება, არამედ შესაძლებლობაა.

გადახდისუუნარობის პროცესს გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტები წარმართავენ. დიდია მათი როლი მონაწილეთა უფლებების თანაზომიერად დაცვაში, ამიტომ ნაშრომის მეხუთე თავი ეთმობა გადახდისუუნარობის სპეციალისტთა მიერ მოვალისა და კრედიტორის ინტერესების თანაზომიერად დაცვას.

თანაზომიერების პრინციპი მნიშვნელოვანია არამხოლოდ კრედიტორთა დაკმაყოფილების, არამედ საწარმოს მართვაში სხვადასხვა რიგის კრედიტორთა მონაწილეობის კუთხითაც, სწორედ მოცემულ საკითხს აქვს დათმობილი ნაშრომის მეექვსე თავი.

მეშვიდე თავში ასახულია არსებული არაერთგვაროვანი შეხედულებები გადახდისუუნარობის პროცესში სასამართლოს ჩართულობის დონესთან დაკავშირებით, ასევე სასამართლოს მიერ ბიზნესგადაწყვეტილებების მიღების მიზანშეწონილობისა და პროცესის კანონთან შესაბამისობის კონტროლის ფუნქციები.

მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც საქართველოში გადახდისუუნარობის საქმის წარმართვას უშლის ხელს, გადახდისუუნარობის პროცესის ხარჯებია, შესაბამისად, ნაშრომის მერვე თავი დაეთმობა ხარჯების ოპტიმიზაციის საკითხს.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში შემოთავაზებული იქნება მოსაზრებები და რეკომენდაციები, რომლებიც მანამდე განხილულ საკითხებთან დაკავშირებით გამოიკვეთა. დასკვნითი ნაწილი შეეცდება, პასუხი გასცეს კითხვას, რამდენად შეესაბამება საკანონმდებლო რეფორმის შედეგად ჩამოყალიბებული გადახდისუუნარობის კანონმდებლობის მიზანი ევროპული სამართლის თანამედროვე ტენდენციებს, როგორია კანონის მიზნის სასურველი ფორმულირება, რა მექანიზმები დაინერგა რეაბილიტაციის ხელშესაწყობად და რა არის საჭირო კანონმდებლობის მიზნისა და თანაზომიერების პრინციპის კონკრეტულ რეგულაციებში განსახორციელებლად.

## 2. გადახდისუუნარობის კანონმდებლობის მოდერნიზაცია

კორონა პანდემიით გამოწვეული კრიზისის ფონზე, ეკონომიკის გაჯანსაღება თანამედროვე სამართლის მთავარი გამოწვევაა. აღნიშნულის გათვალისწინებით, კერძო სამართალში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი დაიკავა გადახდისუუნარობის სამართალმა, რომლის მიზნის ტრანსფორმაცია ეკონომიკის განვითარების

კვალდაკვალ განხორციელდა. ევროპული დირექტივის მიღებით კი სახელმწიფოები შეთანხმდნენ გადახდისუუნარო საწარმოს რეაბილიტაციის ხელშეწყობის აუცილებლობაზე, სამუშაო ადგილების, ეკონომიკისა და სტაბილურობის შენარჩუნებაზე.

## 2.1 ნებაყოფლობითი რეორგანიზაცია

ნებაყოფლობითი რეორგანიზაცია უკანასკნელი პერიოდის პროდუქტია, რომლის მიზანია მოვალის, როგორც მოქმედი საწარმოს შენარჩუნება[6]. იგი ჩამოყალიბდა გაერთიანებულ სამეფოში, გასული საუკუნის 80-იან წლებში[7]. ინსტიტუტის ჩამოყალიბებას საფუძვლად დაედო იდეა, რომ თუ კრედიტორები ერთობლივად იმოქმედებენ, ისინი უკეთეს ინდივიდუალურ შედეგს მიაღწევენ[8].

ევროპული დირექტივა სწორედ ნებაყოფლობით, გადახდისუუნარობის დადგომამდე გამოსაყენებელ პროცედურებს არეგულირებს, რათა პრობლემების მქონე საწარმოს გადარჩენის შანსი ჰქონდეს. დირექტივის თანახმად, საწარმოს ადრეულ სტადიაზევე, მოსალოდნელი გადახდისუუნარობისას უნდა შეეძლოს, გამოიყენოს ნებაყოფლობითი რეორგანიზაციის შესაძლებლობა[9].

---

[6] საქართველოს კანონი რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ, მუხ. 21.2, https://matsne.gov.ge/ka/document/view/4792392?publication=0.

[7] ნებაყოფლობითი რეაბილიტაციის ინსტიტუტის ჩამოყალიბების ისტორია ვრცლად იხილეთ: ქეთევან მესხიშვილი, გიორგი ბათლიძე, ნანა ამისულაშვილი, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, 138.

[8] იქვე, 147.

[9] DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring, insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency), Recital 24 https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32019L1023&from=EN.

ეს ინსტიტუტი პრაქტიკაში საბანკო სექტორის მეშვეობით დაინერგა და, ძირითადად, ისეთ შემთხვევებში გამოიყენება, როდესაც არსებობს დიდი სასესხო არაუზრუნველყოფილი ვალდებულება და კრედიტორს ბანკი ან საფინანსო დაწესებულება წარმოადგენს.[10] ნებაყოფლობითი რეაბილიტაციისათვის საწარმო უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: სირთულეები გამოწვეული უნდა იყოს ობიექტური მიზეზებით, რომლებიც, სავარაუდოდ, აღარ გამეორდება, ნებაყოფლობითი რეაბილიტაციის დროს კრედიტორები თავის მოთხოვნებს უკეთ დაიკმაყოფილებენ, ვიდრე გაკოტრების შემთხვევაში, და ნებაყოფლობითი რეაბილიტაცია მისაღებია კრედიტორებისთვის.[11] კრედიტორების ნება გადამწყვეტია, რასაც ამტკიცებს რეგულირებადი შეთანხმების დასამტკიცებლად საჭირო საკმაოდ მაღალი კვორუმი, ხმის უფლების მქონე კრედიტორთა 75%[12].

ნებაყოფლობითი რეორგანიზაციის უპირატესობა გადახდისუუნარობის პროცესთან შედარებით, მის მოქნილობაშია[13]. კერძოდ ნებაყოფლობითი პროცესი არ არის შებოჭილი გადახდისუუნარობის კანონმდებლობისათვის დამახასიათებელი მკაცრი პროცედურული ნორმებით. სასამართლო მხოლოდ გასაჩივრების შემთხვევაში ამოწმებს რეგულირებად შეთანხმებას შინაარსობრივად. გარდა ამისა, ნებაყოფლობითი რეაბილიტაციისათვის არ არის დაწესებული სახელმწიფო ბაჟი, მოვალის მართვაში დატოვება გარანტირებულია, პროცესში ჩართულია მასის შერჩეული ნაწილი[14]. ამასთან, ნებაყოფლობითი რეორგანიზაციისას შესაძლებელია სამოდელოდ

---

[10] UNCITRAL, Legislative Guide on Insolvency Law, 21, https://www.uncitral.org/pdf/english/texts/insolven/05-80722_Ebook.pdf.

[11] Oscar couwenberg, Stephen J. Lubben, Not a Bank, Not a Sifi, Still Too big to Fail, 13, https://heinonline.org.

[12] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ", მუხ. 35.6.

[13] ქეთევან მესხიშვილი, გიორგი ბათლიძე, ნანა ამისულაშვილი, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით, 150.

[14] იქვე, 181.

გადახდისუუნარობის კანონმდებლობით შემოთავაზებული რეგულაციების გამოყენება[15].

ნებაყოფლობითი რეორგანიზაციის დროს მხარეთა უფლება-მოვალეობები წესრიგდება, ძირითადად, სახელშეკრულებო ფარგლებში. გამოიყენებენ ასევე საკორპორაციო ან საბანკო სამართლის ნორმებსაც.[16] ნებაყოფლობითი რეორგანიზაციის პროცესი მიზანშეწონილია, როდესაც: არსებობს მნიშვნელოვანი დავალიანება ბანკის ან საფინანსო დაწესებულების წინაშე; მოვალეს არ აქვს აღნიშნული ვალდებულების შესრულების საშუალება; მხარეები მზად არიან, ითანამშრომლონ ვალდებულების შესრულების ხელშესაწყობად; შესაძლებელია ვალდებულების რესტრუქტურიზაცია; ნებაყოფლობითი გადახდისუუნარობის რეგულაციების დარღვევის შემთხვევაში, არსებობს გადახდისუუნარობის კანონმდებლობის სწრაფი და ეფექტური ჩართვის შესაძლებლობა.[17]

ნებაყოფლობითი რეორგანიზაციის დროს იურისტების, ფინანსისტებისა და სხვა პროფესიონალების მეშვეობით კრედიტორი და დებიტორი ადგენენ ნებაყოფლობით რეაბილიტაციის შეთანხმებას (CVA), რომელსაც საქართველოს კანონმდებლობა რეგულირებულ შეთანხმებას უწოდებს. ხდება არსებული ვალდებულების რეფინანსირება, მოვალისათვის ახალი კრედიტების გაცემა და ამ გზით მოვალის გადახდისუუნარიანობის გაუმჯობესება და რეაბილიტაცია. რეაბილიტაციის შეთანხმების შემუშავებისას ითვალისწინებენ ფინანსური სირთულეების გამომწვევ მიზეზებს, კომპანიის არსებულ გამოცდილებას, ახალი ფინანსების მოზიდვის შესაძლებლობას[18]. CVA შეიძლება შეიცავდეს გარკვეული ვალდებულებების უპირობო პატიებას, ვალდებულების

[15] DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring, insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency).

[16] UNCITRAL Legislative Guide on Insolvency Law, 22.

[17] იქვე, 22.

[18] Oscar couwenberg, Stephen J. Lubben Not a Bank, Not a Sifi, Still Too big to Fail, 13.

ნაწილობრივ შემცირებას, ვალდებულების შინაარსის ცვლილებას, მაგალითად, წილებად გარდაქმნას. იგი შეიძლება ემყარებოდეს პერიოდული გადახდის გრაფიკს, ან ქონების რეალიზაციით ვალდებულებების შესრულებას[19].

ნებაყოფლობითი რეაბილიტაციისათვის არ არის სავალდებულო, კომპანია იყოს გადახდისუუნარო. საწარმოს მართვას აგრძელებს მისი მენეჯმენტი, გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის დანიშვნის შემთხვევაში, იგი უნდა იყოს დამოუკიდებელი და დაევალოს ხელმძღვანელთა და რეაბილიტაციის შეთანხმების კონტროლის ფუნქცია. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ წარუმატებელი ნებაყოფლობითი რეაბილიტაციის შემთხვევაში, გადახდისუუნარობის პროცესის დაწყებისას მოვალის მართვაში დატოვება აღარ განიხილება[20]. იგულისხმება, რომ საწარმოს ხელმძღვანელობამ უკვე გამოიყენა მისთვის მიცემული მეორე შანსი.

ერთი მხრივ, ევროპული დირექტივის მიღებამ, ხოლო მეორე მხრივ, მსოფლიოში არსებულმა კოვიდპანდემიამ დააჩქარა ევროპული სახელმწიფოების მხრიდან სასამართლოს გარეშე რეაბილიტაციის პროცედურების შემოღება. რეგულირებული შეთანხმების ინსტიტუტი დამკვიდრებულია დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში[21]. 2020 წელს ჰოლანდიის კანონმდებლობაში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, სასამართლო რეაბილიტაციის პროცესში ჩართულია მხოლოდ რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცების ეტაპზე, მანამდე პროცესი სასამართლოს მიღმა მიმდინარეობს. შემოღებულია ასევე კონკრეტული საფუძვლები, რა

---

[19] ქეთევან მესხიშვილი, გიორგი ბათლიძე, ნანა ამისულაშვილი, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, 166.

[20] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 40.4.

[21] განმარტებითი ბარათი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონზე, 6, https://matsne.gov.ge/ka/document/view/4792392?publication=0.

შემთხვევაშიც, სასამართლო უარს იტყვის გეგმის დამტკიცებაზე.

კანონი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მცირე და საშუალო საწარმოებს და ადგენს, რომ ამგვარმა კრედიტორებმა უნდა დაიკმაყოფილონ მოთხოვნათა მინიმუმ 20%. ზედამხედველთან ერთად გათვალისწინებულია რეაბილიტაციის ექსპერტის თანამდებობა, რომლის მოვალეობას რეაბილიტაციის გეგმის შედგენა წარმოადგენს. ახალი კანონის უპირატესობა, მის მოქნილობასთან ერთად, სისწრაფეშია, ვინაიდან პროცესის ხანგრძლივობა ოთხი-ხუთი კვირით შემოიფარგლება[22].

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა არ მიიჩნევს შესაძლებლად რეაბილიტაციის პროცესის მიმდინარეობას სასამართლოს ზედამხედველობის გარეშე[23]. გერმანიაში 2020 წლის სექტემბერში მიიღეს კანონპროექტი, რომელმაც საკანონმდებლო დონეზე შემოიღო სასამართლოს გარეთ რეაბილიტაციის შესაძლებლობა[24]. ამასთან სასამართლოს ჩართულობა აუცილებელია გეგმის მიღებისა და დამტკიცების ეტაპზე. იგეგმება იუსტიციის სამინისტროს მიერ რეაბილიტაციის გეგმის ნიმუშების შემუშავება პატარა და საშუალო ბიზნესებისათვის[25].

ქართული კანონმდებლობა გადახდისუუნარობის კანონმდებლობის რეფორმამდე, მართალია, არ კრძალავდა კრედიტორსა და მოვალეს შორის ურთიერთობების მოწესრიგებას კერძო სამართლებრივი, სახელშეკრულებო ურთიერთობების ფარგლებში, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ მოვალე გადახდისუუნარობისას ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობისას

---

[22] Act on Court Confirmation, of Extrajudicial Restructuring Plans, https://www.debrauw.com/wp-content/uploads/2017/09/20170923-WHOA-unofficial-translation-2.pdf.

[23] UNCITRAL Legislative Guide on Insolvency Law, 2.

[24] Gesetz zur Fortentwicklung des Sanierungs – und Insolvenzechts, https://www.bmjv.de/SharedDocs/Gesetzgebungsverfahren/DE/Fortentwicklung_Insolvenzrecht.html.

[25] Sylwia Bea, Regina Rath, Preventive Restructuring Framework – a new era for restructuring in Germany, 13, https://www.nortonrosefulbright.com/-/media/files/nrf/nrfweb/knowledge-pdfs/us_27694_international-restructuring-newswire-r3_web.pdf?la=en&revision=01c43fb7-7515-4fa0-abb8-eae4d52d22a3.

ვალდებულია, დაიწყოს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, ნებაყოფლობითი რეორგანიზაციის შესაძლებლობა ნაკლებად პერსპექტიული იყო.

ახალი კანონი ნებაყოფლობით რეაბილიტაციას „რეგულირებული შეთანხმების" მეშვეობით მიიჩნევს შესაძლებლად. ამასთან, რეგულირებული შეთანხმების კანონმდებლობით შემოთავაზებული წესები, მათ შორის, მორატორიუმი[26], მისი ვადა[27], მოვალის მართვაში დატოვება, სრულად შეესაბამება ევროპული დირექტივის მიდგომებს. რეგულირებული შეთანხმების ინიციატორი არის მოვალე[28], რომელიც შეთანხმებისათვის საჭირო სრულ ინფორმაციას და შეთანხმებას უგზავნის რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველს, რომელსაც საკმაოდ დიდი უფლებამოსილება გააჩნია. სწორედ ზედამხედველი იღებს გადაწყვეტილებას, საკუთარი ანგარიშით დადებითი რეკომენდაცია გაუწიოს მოვალეს თუ უარყოფითი, ასევე ზედამხედველი იღებს გადაწყვეტილებას ვადის არაუმეტეს 6 თვით გაგრძელებაზე, ისევე როგორც ვალდებულებათა არაუმეტეს 10%-ით შემცირებასა და განწილვადების შესახებ[29]. ზედამხედველის ანგარიშს მხოლოდ ფორმალურად ამოწმებს სასამართლო, ხოლო სასამართლო განჩინების გამოქვეყნებიდან 2 თვის (2-თვიანი გაგრძელების პერსპექტივით) მანძილზე ძალაში შედის მორატორიუმი.

ქართული კანონმდებლობა სრულად შეესაბამება ევროპული დირექტივით განსაზღვრულ რეგულირებადი შეთანხმების შინაარსს, რომელიც უნდა მოიცავდეს: ა) ინფორმაციას მოვალის ქონების (ღირებულების მითითებით), ვალდებულებების შესახებ, მოვალის ფინანსური მდგომარეობის აღწერას, თანამშრომელთა მდგომარეობის ანალიზს, ასევე იმ გარემოებების მითითებას, რამაც გამოიწვია მოვალის მდგომარეობის დამძიმება; ბ) კრედიტორებს,

---

[26] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ", მუხ. 31.

[27] იქვე, მუხ. 21.4.

[28] იქვე, მუხ. 21.1.

[29] იქვე, მუხ. 38.3.

რომელთა უფლებრივ მდგომარეობასაც ეხება რეაბილიტაციის გეგმა, მათი კლასების მითითებით, მათი მოთხოვნების ოდენობას პროცენტების მითითებით; კრედიტორებს, რომლებსაც არ ეხება რეაბილიტაციის გეგმა და მიზეზს, რატომ არ ეხება გეგმა ამ კრედიტორებს; გ) რეაბილიტაციის გეგმის პირობებს: შეთავაზებული რეაბილიტაციის ღონისძიებებსა და მათ ხანგრძლივობას, ახალი დაფინანსების წყაროებს და ახალი დაფინანსების საჭიროების დასაბუთებას; დ) ობიექტურ გარემოებებს, რომლებიც რეაბილიტაციის გეგმის წარმატებას უზრუნველყოფს[30].

ნებაყოფლობითი რეაბილიტაცია ხელსაყრელია კომპანიისთვის, ვინაიდან ასეთ დროს არ არის საჭირო გადახდისუუნარობის მდგომარეობის შემოწმება. რეაბილიტაციის შეთანხმება არის მოვალისა და კრედიტორთა მოლაპარაკების შედეგი, ამდენად იგი მოქნილია და შეიძლება შეიცვალოს არსებული გარემოებების მიხედვით. ამასთან, ნებაყოფლობითი რეაბილიტაცია იძლევა გადახდისუუნარობის პროცესის ხარჯების თავიდან აცილების შესაძლებლობას[31]. შედეგად კი, მორატორიუმის გამოყენებით შესაძლებელია საწარმოს ქონების შენარჩუნება, ხოლო დამტკიცებული შეთანხმება სავალდებულოა შესასრულებლად ყველა კრედიტორისათვის, რომლებსაც აღარ აქვთ მორატორიუმით დარეგულირებულ საკითხებზე ცალკე დავის უფლება, თუკი მორატორიუმი სრულდება[32].

კრედიტორთა უფლებების თანაზომიერად დაცვისათვის აუცილებელია, რომ შესაძლებელი იყოს გასაჩივრება, თუ სახეზეა პროცესუალური დარღვევები ან შეთანხმება გაუმართლებელ ზიანს

[30] DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring, insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency) art. 8.

[31] Lorraine Conway, Company Voluntary Arrangement (CVAs) House, Commons Library Briefing.

[32] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 36.

აყენებს მოვალის კრედიტორს ან/და პარტნიორს, რა დროსაც სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება დამტკიცებული შეთანხმების გაუქმების შესახებ[33].

## 2.2 თანაზომიერების პრინციპის დაცვა მორატორიუმის ღონისძიებების გამოყენებისას

თანაზომიერების პრინციპი გადახდისუუნარობის კანონმდებლობის ქვაკუთხედია, ამიტომ იგი აუცილებლად უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული საკანონმდებლო რეფორმის შემდეგ ცალკე მუხლად გამოყოფილ პრინციპებს შორის[34].

თანაზომიერების პრინციპთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს: — „თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნაა, რომ უფლების მზღუდავი საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე“[35].

გადახდისუუნარობის სამართალი უნდა ითვალისწინებდეს პროცესის მონაწილეთა ფუნდამენტურ უფლებებს. ამასთან, კონფლიქტი მოვალისა და კრედიტორთა უფლებებს შორის გარდაუვალია. შესაბამისად, გადახდისუუნარობის სამართალმა უნდა მოძებნოს შესაბამისი ბალანსი მონაწილეთა უფლებებს შორის. კრედიტორთა ანაზღაურების მოთხოვნა ფუნდამენტურია, რომელიც აღსრულების უფლებასაც გულისხმობს, თუმცა ეს

[33] იქვე, მუხ. 39.

[34] იქვე, მუხ. 2.

[35] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის N3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, http://constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/daniis-moqalaqe-heike-qronqvisti-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg-692.page.

ანაზღაურება არ უნდა განხორციელდეს ნებისმიერ ფასად, არამედ უნდა დაბალანსდეს დებიტორის უფლებებით[36].
ევროპული ქარტია „ადამიანის ძირითადი უფლებების შესახებ“[37] აღიარებს საკუთრების უფლებას, მუშაობის უფლებას, ისევე როგორც ბიზნესის დაწყების უფლებასა და ღირსების პატივისცემას. ამ თავისუფლებათა შორის თანაზომიერების დაცვა გადახდისუუნარობის სამართლის მთავარი გამოწვევაა.

მნიშვნელოვანია, რომ გადახდისუუნარობის კანონმდებლობის მიზანი საწარმოს გადარჩენის გზით კრედიტორთა დაკმაყოფილება იყოს და არა მხოლოდ კომპანიის გადარჩენა კრედიტორთა ინტერესების იგნორირებით[38].

მორატორიუმის ღონისძიებების დადგენისას კანონმდებელი გადის ბეწვის ხიდზე, რათა მიღწეულ იქნეს გადახდისუუნარობის კანონმდებლობის მიზანი — საწარმოს ქონების შენარჩუნება და საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობა და, ამავე დროს, არათანაზარზომიერად არ შეილახოს კრედიტორთა კანონიერი უფლებები და ინტერესები. დირექტივის თანახმად, „დაცული უნდა იქნეს ბალანსი მოვალისა და კრედიტორის უფლებებში“[39], მორატორიუმის ღონისძიება შესაძლებელია გაუქმდეს, თუ ის უსამართლოდ ზღუდავს კრედიტორთა უფლებებს, აგრეთვე, როცა კრედიტორებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, გამოეხატათ თავისი მოსაზრება მორატორიუმის ძალაში შესვლამდე[40].

---

[36] F. Javier Aries Varona, Johanna Niemi, Tuomas Huoli, Didcharge and Enterpreneurship in the Preventive Restructuring Directive, 9 https://doi.org/10.1002/iir.1369.
[37] Charter of Fundamental Rights of the Ueropean Union, https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:12012P/TXT.
[38] ქეთევან მესხიშვილი, გიორგი ბათლიძე, ნანა ამისულაშვილი, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები, რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, 112.
[39] DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring, insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency), Recital 35.
[40] იქვე, Recital 36.

თანაზომიერების პრინციპი დაცული უნდა იქნეს აგრეთვე კრედიტორთა დაკმაყოფილების კუთხითაც. სასამართლომ შესაძლოა გააუქმოს მორატორიუმი, თუკი იგი უსამართლოდ ზღუდავს რომელიმე კლასის კრედიტორთა უფლებებს, აგრეთვე თანაბარ პირობებში მყოფ მოვალეთაგან რომელიმეს უსამართლოდ ანიჭებს უპირატესობას[41].

გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყებისას ავტომატურად იწყება მორატორიუმის ღონისძიებების გამოყენება, თუმცა სასამართლო უფლებამოსილია, შეაფასოს ღონისძიების თანაზომიერება და გააუქმოს იგი კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ასეთ დროს სასამართლო აფასებს „ადგება თუ არა განმცხადებელს ზიანი მორატორიუმის იმ ღონისძიების გამოყენებით, რომლის გაუქმებასაც ის ითხოვს. ხოლო ზიანის მიყენების დადასტურების შემთხვევაში — აღემატება თუ არა ზიანის თავიდან აცილების ინტერესი კრედიტორების თანაბარზომიერი დაკმაყოფილების კანონისმიერ მიზანს“[42].

მორატორიუმის ღონისძიებებიც, ისევე, როგორც კანონით შემოთავაზებული სხვა შეღავათები, კრედიტორების თანაზომიერ დაკმაყოფილებასთან ერთად, საწარმოს გაჯანსაღების ინტერესს ემსახურება, შესაბამისად, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ბალანსი დაცული უნდა იქნეს მოვალის გაჯანსაღების ინტერესსა და კრედიტორთა უფლებებს შორის.

სწორედ საწარმოს გაჯანსაღების ინტერესიდან გამომდინარე ითვალისწინებს კანონმდებლობა პროცენტის გადახდის შეჩერებას[43], თუმცა არის დათქმა, რომ ჩერდება მხოლოდ ის პროცენტები, რომლებიც კრედიტორთა მოთხოვნებში არ უნდა იქნეს გათვალისწინებული.

ასევე, მორატორიუმის სახით აღსრულების შეჩერებით, პირგასამტეხლოს შემცირებით, კანონი ცდილობს მოვალის ქონების

---

[41] იქვე, Recital 37.

[42] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 58.5.

[43] იქვე, მუხ. 55.3.

დაცვასა და კრედიტორთა შორის სამართლიან განაწილებას[44]. ამავდროულად, შესაძლებლად მიიჩნევს აღსრულებას მალფუჭებადი ნივთის მიმართ[45], ისევე, როგორ აღებული ვალდებულების შესრულებას, თუ ეს აუცილებელია რეაბილიტაციის ხელშეწყობისათვის[46], ხოლო პირგასამტეხლოს დარიცხვა გრძელდება, თუკი დადგინდება, რომ გადახდისუუნარობის დაწყების საფუძველი არ არსებობს[47].

ასევე თანაზომიერების პრინციპის დაცვით ითვალისწინებს კანონი მორატორიუმის დამატებითი ღონისძიებების გამოყენებას. მაგალითად, სასამართლოს შეუძლია, მოვალის კონტრაქტორებს აუკრძალოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მიწოდების შეწყვეტა, შეჩერება ან/და შეფერხება, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოვალე მათ მიმართ ასრულებს გადახდისუუნარობის დაწყების შემდეგ წარმოშობილ ვალდებულებებს[48]. დიდ ბრიტანეთში 2020 წელს, პანდემიასთან დაკავშირებით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ კიდევ უფრო შეიზღუდა გადახდისუუნარო საწარმოსათვის პროდუქციის მიწოდების შეწყვეტის შესაძლებლობა — ამგვარი კონტრაქტების შეწყვეტა აკრძალულია, მიუხედავად მოვალის მხრიდან საპასუხო შესრულებისა[49]. ამასთან, თანაზომიერების დასაცავად, მიმწოდებელს აქვს შესაძლებლობა, მოითხოვოს მიწოდების შეწყვეტის უფლება, თუ მოვალე არ ასრულებს გადახდას და ამგვარი მიწოდება „მძიმე მდგომარეობაში" აყენებს მიმწოდებელს[50].

ამასთან, სასამართლო არ არის შეზღუდული, დამატებითი ღონისძიების სახით დააწესოს კანონით შემოთავაზებული რომელიმე მორატორიუმის ღონისძიება. იგი, მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, თავად წყვეტს, რა ღონისძიების გატარება იქნება

---

[44] იქვე, მუხ. 55.ა.
[45] იქვე, მუხ. 58.2.
[46] იქვე, მუხ. 58.4.
[47] იქვე, მუხ. 55.ზ.
[48] იქვე, მუხ. 57.1 „გ".
[49] Corporate Insolvency and Governance Act 2020 art.14, https://www.legislation.gov.uk/ukpga/2020/12/section/14.
[50] იქვე.

კონკრეტულ შემთხვევაში თანაზომიერი, რა დროსაც ხელმძღვანელობს კანონის მიზნიდან გამომდინარე[51].

ნებაყოფლობითი რეაბილიტაციის ეტაპზე მორატორიუმის ღონისძიებების გამოყენება ემსახურება მოვალესა და კრედიტორებს შორის წარმატებულ მოლაპარაკებას. ამასთან, დირექტივა ადგენს, რომ წევრი სახელმწიფოების სასამართლოს ან/და ადმინისტრაციულ ორგანოებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, შეწყვიტონ მორატორიუმის გამოყენება, თუკი ეს არ არის აუცილებელი შეთანხმების დასამტკიცებლად[52].

დირექტივა მორატორიუმის გამოყენების შესაძლებლობას უკავშირებს საწარმოს კეთილსინდისიერებას. სასამართლომ მორატორიუმის გამოყენებისას მხედველობაში უნდა მიიღოს მოვალის ზიანის მომტანი ქმედებები და კრედიტორთა მიმართ ზიანის მიყენების მცდელობა[53]. ამასთან, თანაზომიერების დასაცავად, მორატორიუმის ღონისძიებების მოქმედება შეზღუდულია დროში და განისაზღვრება 2 თვით, გაგრძელების შესაძლებლობით. საქართველოში გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო[54], თუმცა მაქსიმალური ვადა დაწესებული არაა, ხოლო ევროპული დირექტივის თანახმად, მორატორიუმის გაგრძელების შემთხვევაში მისი ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს[55]. რეაბილიტაციის შემთხვევაში,

---

[51] ქეთევან მესხიშვილი, გიორგი ბათლიძე, ნანა ამისულაშვილი, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, 39.

[52] DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring, insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency) Art.6.1.

[53] იქვე, Recital 36.

[54] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 57.1 „გ“.

[55] DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring,

მორატორიუმის ღონისძიება გრძელდება რეაბილიტაციის ვადით[56] ლოგიკური ვარაუდით, მორატორიუმის ღონისძიება გრძელდება ასევე გაკოტრების პროცესის დასრულებამდე, თუმცა ეს საკითხი საკანონმდებლო ნორმით დარეგულირებული არ არის.

დიდი ბრიტანეთის გადახდისუუნარობის კანონმდებლობაში 2020 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, მორატორიუმი ხელმისაწვდომია ფინანსური პრობლემების მქონე საწარმოსთვის, თუკი არსებობს გაჯანსაღების შანსი. მორატორიუმის ვადად განისაზღვრა 20 სამუშაო დღე, გაგრძელების პერსპექტივით. ამასთან, კრედიტორთა უფლებების თანაზომიერად დასაცავად სავალდებულო წესით ინიშნება ზედამხედველი[57].

## 2.3 დირექტივა საპრევენციო რესტრუქტურიზაციის შესახებ

საპრევენციო რესტრუქტურიზაციის შესახებ დირექტივის პროექტი (დირექტივა პრევენციული რესტრუქტურიზაციის ჩარჩოებზე, ვალის პატიებასა და დისკვალიფიკაციაზე (გაუქმება), რესტრუქტურიზაციის პროცესების ეფექტიანობის გაზრდის ღონისძიებების შესახებ)[58] ინიცირებულ იქნა ევროპის კომისიის მიერ 2016 წელს. დირექტივა მოიწონა ევროპის პარლამენტმა, 2018 წლის 11 ოქტომბერს მიიღო ევროკავშირის საბჭომ, ხოლო 2019 წლის 20 ივნისს ევროპის პარლამენტმა მხარი დაუჭირა დირექტივის მიღებას[59].

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მოახდინონ დირექტივის იმპლემენტაცია 2021 წლის 17 ივლისამდე. სახელმწიფოებს აქვთ

---

insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency) Art.12.8.

[56] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ", მუხ. 81.5.

[57] Corporate Insolvency and Governance Act, chapter 2.

[58] The draft Directive on Restructuring Frameworks.

[59] DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring, insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency).

უფლება კომისიისაგან მოითხოვონ დამატებითი დრო აღნიშნულისათვის. იმპლემენტაციის ვადა შესაძლოა გაგრძელდეს ერთი წლით[60].

2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდგომ, გადახდისუუნარობის სამართალმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა საბაზრო რეგულაციებში. ახალი დირექტივა გადახდისუუნარობის სამართალს საერთაშორისო საბაზრო რეგულაციების ცენტრში აქცევს[61].

დირექტივა საშუალებას აძლევს ფინანსური პრობლემების მქონე საწარმოებს, ადრეულ ეტაპზე მოახდინონ რეაბილიტაცია და თავიდან აიცილონ გადახდისუუნარობა. მიუხედავად იმისა, რომ დირექტივა შეეხება გადახდისუუნარობამდე რესტრუქტურიზაციას, მას ახასიათებს გადახდისუუნარობის სამართლის მთავარი თვისება — კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილება[62].

დირექტივა გადახდისუუნარო კომპანიებს აძლევს მეორე შანსს, ამარტივებს ფინანსური პრობლემების მქონე კომპანიების რეაბილიტაციას ადრეულ ეტაპზე გაკოტრების თავიდან ასაცილებლად. კომპანიებისათვის ახალი შანსის მიცემა ევროპული პოლიტიკის ნაწილია, რომელიც 2008 წლის კრიზისის შედეგად ჩამოყალიბდა[63].

დირექტივის მიზანი არის „საერთაშორისო საბაზრო ეკონომიკის სათანადო ფუნქციონირების ხელშეწყობა, ისეთი ძირითადი თავისუფლებებისთვის ხელისშემშლელი გარემოებების აღმოფხვრა, როგორიცაა კაპიტალის თავისუფალი ბრუნვა და

---

[60] Milosz Golab, EU Directive on restructuring Framework: The Same, but Different?, https://www.cliffordchance.com/briefings/2019/06/eu_directive_on_restructuringframeworksth.html.

[61] F. Javier, Aries Varona, Johanna Niemi, Tuomas Huoli, Didcharge and Enterpreneurship in the Preventive Restructuring Directive, 8, https://doi.org/10.1002/iir.1369.

[62] Horst Eidenmuller, What is Insolvency Proceeding, 56, https://heinonline.org.

[63] F. Javier Aries Varona, Johanna Niemi, Tuomas Huoli Didcharge and Enterpreneurship in the Preventive Restructuring Directive, 9.

დაფუძნების თავისუფლება“[64]. დირექტივა მიზნად ისახავს ინვესტიციებისა და სამუშაო ადგილების შენარჩუნებას, საწარმოთა ლიკვიდაციის თავიდან აცილებას, თუ ეს აუცილებელი არ არის[65].

ახალი დირექტივა უმნიშვნელოვანესია ევროპული გადახდისუუნარობის სამართლისთვის, რამდენადაც ძირეულად ცვლის კანონმდებლის მიდგომას და გადახდისუუნარობის კანონმდებლობის მიზნებს. ევროპა თანხმდება გადახდისუუნარობის ახალ რეგულაციებზე. დირექტივის მიზანია მოვალის ხელშეწყობა, თავიდან აიცილოს გადახდისუუნარობა. ამ მიზნის მისაღწევად დირექტივა საშუალებას აძლევს მოვალეს, მოითხოვოს აღსრულების შეჩერება და წარუდგინოს რეაბილიტაციის გეგმა ყველას, ვის უფლებებსაც ის შეეხება[66].

ახალი დირექტივის თანახმად წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მისცენ შესაძლებლობა ფინანსური პრობლემების მქონე საწარმოს, მოახდინონ რესტრუქტურიზაცია დირექტივით შემოთავაზებული რეგულაციების მეშვეობით გადახდისუუნაროდ გამოცხადების გარეშე.

რესტრუქტურიზაციის პროცესში ჩერდება დირექტორთა ვალდებულება, დაიწყონ გადახდისუუნარობის პროცესი, ასევე კრედიტორებს ერთმევათ შესაძლებლობა, მოითხოვონ გადახდისუუნარობის პროცესის დაწყება[67].

დირექტივის მიზანი არის ფინანსური პრობლემების მქონე საწარმოს გაჯანსაღება ადრეულ სტადიაზევე. დირექტივა საშუალებას აძლევს გადახდისუუნარო საწარმოს ხელმძღვანელებს, კვლავ წარმართონ საწარმოს ყოველდღიური საქმიანობა. არ ხდება

[64] DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring, insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency).

[65] იქვე.

[66] Dominik Skauradszun, Walter Nijnens, Brussels IA, the Allocation of Preventive Restructuring Frameworks, 1.

[67] Katharina Crinson, EU Directive on Insolvency, Restructuring and second chance, http://knowledge.freshfields.com/en/Global/r/3933/the_eu_restructuring_directive__so_nearly_there._

მენეჯმენტის ჩამოშორება საწარმოს მართვიდან. რაც შეეხება რეაბილიტაციის მმართველების დანიშვნას, ეს სავალდებულოა შემდეგ შემთხვევებში: როდესაც ხდება აღსრულების შეჩერება, როდესაც ადგილი აქვს ე.წ. cross-class cram down-ს, როცა მოვალე ან კრედიტორთა უმრავლესობა მოითხოვს მის დანიშვნას[68].

პროცესის ადრეული დაწყება დაკავშირებულია დირექტორთა მოვალეობასთან, იმოქმედონ საზოგადოების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე და არ დაარღვიონ ზრუნვის მოვალეობა[69]. ასევე თანამშრომელთა უფლებები სათანადოდ უნდა იყოს დაცული. მათ უნდა ჰქონდეთ მოლაპარაკებებში ჩართულობის, ინფორმაციისა და კონსულტაციების მიღების შესაძლებლობა[70].

### 2.3.1 დირექტივის სტანდარტები

დირექტივა ითვალისწინებს გარკვეულ მოთხოვნებს, რომლებიც უნდა დააკმაყოფილოს წევრი ქვეყნების გადახდისუუნარობის კანონმდებლობამ.

საწარმოებს უნდა ჰქონდეთ ადრეული რეკონსტრუქციის შესაძლებლობა. საწყის ეტაპზევე რეაბილიტაციის შანსი გადახდისუუნარობის პროცესის დაწყების გარეშე გაკოტრების თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებაა.

ამასთან, რეაბილიტაციის პროცესის ადრეულ ეტაპზევე დაწყება ხელსაყრელია საწარმოსათვის იმ პირობებში, როცა საწარმოს ხელმძღვანელობას შესაძლებლობა ეძლევა, თავად წარმართოს საკუთარი ბიზნესსაქმიანობა[71]. რეაბილიტაციის

---

[68] იქვე.

[69] Kelvin poon, Kwan kiat Sim, Wilson Zhu, Insolvency Law, 16, https://heinonline.org.

[70] Romain Sadet, EU agrees new rules on business insolvency, https://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2018/12/19/eu-agrees-new-rules-on-business-insolvency/.

[71] DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring,

დაწყებასთან ერთად არ ხდება მენეჯმენტის ჩამოცილება ყოველდღიური საქმიანობიდან, რაც უდავოდ დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენდა გადახდისუუნარო საწარმოს ხელმძღვანელობისთვის პროცესის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების დროს.

ახალი დირექტივა ითვალისწინებს საწარმოს მიმართ აღსრულების შეჩერებას, თუმცა კრედიტორთა ინტერესების დასაბალანსებლად შეზღუდულია აღსრულების შეჩერების პერიოდი, რომელიც შეიძლება გრძელდებოდეს 4 თვემდე, კონკრეტულ შემთხვევებში 12 თვემდე გაგრძელების შესაძლებლობით[72]. წევრი სახელმწიფოები ირჩევენ, სასამართლო გადაწყვეტილება იქნება საჭირო აღნიშნული ვადის გასაგრძელებლად თუ ავტომატურად გაგრძელდება გარკვეული გარემოებების შემთხვევაში. იძულებითი აღსრულების შეჩერება საშუალებას აძლევს საწარმოს, შეიმუშაოს რეაბილიტაციის გეგმა და ამ პერიოდში არ მოხდეს არსებული რესურსის დაკარგვა[73].

გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტების დანიშვნა სავალდებულო იქნება მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში (როცა ამას ითხოვს მოვალე ან კრედიტორთა უმრავლესობა, ან როცა აღნიშნულს გადაწყვეტს სასამართლო აღსრულების შეჩერების დროს), სხვა შემთხვევებში, გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტთა დანიშვნაზე გადაწყვეტილება მიიღება საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე. წევრ სახელმწიფოებს თავად შეუძლიათ დადგენა, რა შემთხვევაში არის სავალდებულო გადახდისუუნარობის სპეციალისტების დანიშვნა[74].

დირექტივის თანახმად, კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს თანამშრომლობას საპრევენციო რეაბილიტაციის გეგმის შესადგენად; რეაბილიტაციის გეგმის შემუშავება შეუძლია

insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency) art. 36.

[72] იქვე.

[73] Katharina Crinson, EU Directive on Insolvency, Restructuring and second chance.

[74] https://www.whitecase.com/publications/alert/restructuring-across-europe-new-era.

მოვალეს[75]. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ დადგენა, როდის და რა შემთხვევებში შეუძლიათ კრედიტორებს, შეიმუშაონ რეაბილიტაციის გეგმა, გეგმის შემუშავება შეუძლია აგრეთვე რეაბილიტაციის მმართველს. რეაბილიტაციის გეგმა უნდა იყოს დასაბუთებული. რეაბილიტაციის გეგმას ამტკიცებენ მხოლოდ ის პირები, ვის უფლებებსაც შეეხება რეაბილიტაციის გეგმა. რეაბილიტაციის გეგმა უნდა დამტკიცდეს სასამართლოს ან სახელმწიფო ორგანოს მიერ, თუკი რეაბილიტაციის გეგმა: შეეხება კრედიტორების უფლებებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან რეაბილიტაციის გეგმას, თუ ეხება ახალ დაფინანსებას, რომელიც ეხება შრომითი რესურსის შემცირებას 25%-ზე მეტით. დამტკიცების შემდეგ რეაბილიტაციის გეგმა ყველასათვის სავალდებულოა შესასრულებლად, მიუხედავად იმისა, დაუჭირა თუ არა მონაწილემ მას მხარი[76].

დირექტივის მოთხოვნით რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებისას ყველა ხმის მიცემა უნდა ხდებოდეს შესაბამის „კლასებად“ მონაწილეების ინტერესების შესაბამისად. სულ ცოტა, უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი კრედიტორები უნდა იყვნენ გაერთიანებული სხვადასხვა კლასში[77]. წევრმა სახელმწიფოებმა შესაძლოა დაადგინონ თანამშრომელთა ცალკე კლასად ორგანიზაცია; წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ, თავად დაადგინონ რეაბილიტაციის გეგმის დასამტკიცებლად საჭირო

---

[75] DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring, insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency) art. 20.

[76] Katharina Crinson, EU Directive on Insolvency, Restructuring and second chance.

[77] DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring, insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency) art. 9.

ხმათა რაოდენობა, თუმცა ეს არ უნდა იყოს ხმათა 75%-ზე მეტი თითოეული კლასისათვის[78].

გარდა ამისა, დირექტივა ითვალისწინებს ახალი ინვესტიციების, როგორც რეაბილიტაციის შესაძლებლობების დაცვას და საწარმოს ფუნქციონირებისათვის აუცილებელი კონტრაქტების შეწყვეტის აკრძალვას. კერძოდ, კონტრაქტორებს ერთმევათ უფლება, შეუწყვიტონ გადახდისუუნარო საწარმოს ისეთი კონტრაქტები, რომლებიც მისი ოპერირებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ეს მნიშვნელოვანია, რათა საწარმოს ფინანსური სიძნელეების გამო მისმა კონტრაქტორებმა არ შეწყვიტონ თანამშრომლობა, რაც, რეალურად, საწარმოს საქმიანობის გაგრძელების საშუალებას არ მისცემდა[79].

დირექტივის ახლებური მიდგომა მდგომარეობს უმცირესობაში მყოფი განსხვავებული აზრის მქონე კრედიტორებისა და აქციონერებისათვის რეაბილიტაციისათვის ხელის შეშლის აკრძალვაში, იმ დათქმით, რომ მათი ლეგიტიმური ინტერესები იყოს დაცული.

დირექტივა ითვალისწინებს cross-class cram down — კრედიტორთა კლასის ნების შებოჭვის პრინციპს[80], რომლის თანახმადაც, რეაბილიტაციის გეგმა შეიძლება დამტკიცდეს იმ შემთხვევაშიც, თუ ყველა კლასი არ დაუჭერს მას მხარს. იმ დათქმით, რომ ხმის მიმცემი კრედიტორთა კლასების უმრავლესობა მხარს დაუჭერს რეაბილიტაციის გეგმას[81]. ამასთან, რეაბილიტაციის გეგმა უნდა ითვალისწინებდეს იმავე ან უპირატეს მიდგომას იმ

---

[78] Ann Wallace, Christian Pilkington, Jennifer McMahon, Restructuring across Europe – a new era, https://www.whitecase.com/publications/alert/restructuring-across-europe-new-era.

[79] Katharina Crinson, EU Directive on Insolvency, Restructuring and second chance.

[80] Cram Down თავდაპირველად აშშ-ის კანონმდებლობაში გაჩნდა უზრუნველყოფილი კრედიტორების ნების შესაბოჭად. გერმანიის გადახდისუუნარობის კოდექსის მიხედვით, ამ მოვლენას ობსტრუქციის აკრძალვა ჰქვია. იხ. ვრცლად ქეთევან მესხიშვილი, გიორგი ბათლიძე, ნანა ამისულაშვილი, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით, 159.

[81] SooGeu Oh, Heejong Song, Priority in Insolvency Proceedings, 34, https://heinonline.org.

კლასის მიმართ, რომელმაც მხარი არ დაუჭირა რეაბილიტაციის გეგმას (RPR). უპირატესი მიდგომის შემოწმება ხდება „კრედიტორთა საუკეთესო ინტერესის ტესტით"[82], რაც ნიშნავს, რომ არცერთი მოწინააღმდეგე კრედიტორის მიმართ მოპყრობა არ უნდა იყოს იმაზე უარესი, რაც იქნებოდა ლიკვიდაციის შემთხვევაში ან/და სხვა საუკეთესო რეაბილიტაციის პროექტის დამტკიცების შემთხვევაში[83]. „კრედიტორთა საუკეთესო ინტერესის ტესტის" გამოყენების დროს, რეაბილიტაციის გეგმის დასამტკიცებლად, საჭიროა დამოუკიდებელი შეფასება[84]. ამასთან, არცერთი კლასის კრედიტორებმა არ უნდა მიიღონ მათი მოთხოვნების მთლიან ოდენობაზე მეტი. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, ამ პრინციპის ნაცვლად, დანერგონ აბსოლუტური უპირატესობის პრინციპი (APR), რომლის თანახმადაც, რეაბილიტაციის გეგმა შეიძლება დამტკიცდეს მოწინააღმდეგე კრედიტორების უარყოფის მიუხედავად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ კრედიტორების დაკმაყოფილება მოხდება სრულად[85].

დირექტივა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თანაზომიერების პრინციპს და ადგენს, რომ რეაბილიტაციის პროცესში მონაწილეთა, მათ შორის, თანამშრომლების უფლებების დაცვა უნდა მოხდეს დაბალანსებულად[86]. ასევე თანაზომიერების პრინციპს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მორატორიუმის ღონისძიებასთან დაკავშირებით, რათა აღსრულების შეჩერებამ, ერთი მხრივ, კრიზისიდან გამოსვლის საშუალება მისცეს საწარმოს,

[82] The best interest of creditors.

[83] SooGeu Oh, Heejong Song, Priority in Insolvency Proceedings, 35.

[84] Katharina Crinson, EU Directive on Insolvency, Restructuring and second chance.

[85] EU Directive on restructuring Framework: The Same, but Different? https://www.cliffordchance.com/briefings/2019/06/eu_directive_on_restructuringframeworksth.html.

[86] DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring, insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency) recital 2.

ხოლო მეორე მხრივ, ადგილი არ ჰქონდეს კრედიტორთა უფლებების არათანაზომიერ შეზღუდვას[87].

### 2.3.2 დებატები დირექტივის გარშემო

დირექტივამ პოლემიკა გამოიწვია სამეცნიერო წრეებში, მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის. საბჭოს მიერ დირექტივის მოწონების შემდეგ, გამოქვეყნდა არაერთი კრიტიკული სტატია, სადაც დირექტივას აკრიტიკებდნენ სხვადასხვა მიზეზით. თუმცა კრიტიკა ძირითადად კრედიტორისა და მოვალის ინტერესების ბალანსს ანუ „აბსოლუტური პრიორიტეტის პრინციპის" (APR)[88] „შედარებითი პრიორიტეტულობის პრინციპით" (RPR)[89] ჩანაცვლებას შეეხება.

ამ ჩანაცვლებას კრიტიკოსები შეცდომას უწოდებენ და მიაჩნიათ, რომ ეს ეწინააღმდეგება კერძო სამართლისა და კორპორაციული სამართლის პრინციპებს, რადგან აქციონერებს უპირატესობას ანიჭებს კრედიტორებთან შედარებით.

მეცნიერთა ნაწილის მოსაზრებით, ახალი დირექტივა საწარმოს მფლობელებს ანიჭებს იმ უფლებებს, რომლებიც კრედიტორებს უნდა ეკუთვნოდეთ, რაც პრაქტიკაში სიძნელეებს წარმოქმნის და გადახდისუუნარო საწარმოს, დახმარების ნაცვლად, უფრო მეტ პრობლემას შეუქმნის[90].

კრიტიკოსთა მოსაზრებით, დირექტივა შეიქმნა მცირე და საშუალო საწარმოების მხარდასაჭერად, თუმცა, რეალურად, იგი გადახდისუუნარობის კანონმდებლობით, კრედიტორთა ნაცვლად, საწარმოს მფლობელების მხარდაჭერას გულისხმობს. აბსოლუტური უპირატესობის პრინციპი გულისხმობდა, რომ გადახდისუუნარობის დროს კრედიტორები უნდა დაკმაყოფილდნენ, სანამ საწარმოს აქციონერები მიიღებენ რამეს. ეს

---

[87] იქვე, Recital 35.

[88] Absolute Priority Rule.

[89] Relative Priority Rule.

[90] R.J. de Weijs, A.L. Jonkers, M. Malakotipour, The Imminent Distortion of European Insolvency Law: How the European Union Erodes the Basic Fabric of Private Law by Allowing "Relative Priority" (RPR), 23.

კორპორაციული სამართლის პრინციპებიდან გამომდინარეობს, ვინაიდან საწარმოს აქციონერები ბიზნესსაქმიანობით ეწევიან რისკს სარგებლის მისაღებად. შესაბამისად, საწარმოს გადახდისუუნარობის დროს, პირველ რიგში, დაცული უნდა ყოფილიყო კრედიტორების მოთხოვნები და მხოლოდ მათი სრულად დაკმაყოფილების შემდეგ შეიძლებოდა, ქონება გადაცემოდა საწარმოს მფლობელებს[91].

აღნიშნული წესიდან ერთადერთი გამონაკლისი არის cross-class cram-down პრინციპი, რომელიც იძლევა საშუალებას, უმცირესობაში მყოფი კრედიტორების წინააღმდეგობის მიუხედავად მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება, მაგრამ მხოლოდ იმ დათქმით, რომ მოწინააღმდეგე კრედიტორები სრულად იქნებიან დაკმაყოფილებულნი. იმ მოცემულობით, რომ ამ პრინციპს ჯერ-ჯერობით არ აღიარებს ბევრი ქვეყანა, პირდაპირ RPR პრინციპზე გადასვლა კრიტიკოსებს შეუძლებლად მიაჩნიათ[92].

თუკი cross-class cram-down-ის დროს APR პრინციპი კრედიტორთა წინააღმდეგობის გადალახვას მხოლოდ მათი დაკმაყოფილების შემდეგ თვლიდა შესაძლებლად, RPR პრინციპი მხოლოდ მოწინააღმდეგე კრედიტორთა მიმართ „უპირატესი მოპყრობის“ მოთხოვნით შემოიფარგლება და მოითხოვს, რომ ისინი უნდა დაკმაყოფილდნენ ისევე ან უპირატესად, როგორც მათზე უმცირესი კლასი (მოვალის პარტნიორები)[93].

2019 წლის მარტში ამსტერდამის უნივერსიტეტის სახელით პროფესორმა ვეიჯსმა ღია წერილით მიმართა ევროპის პარლამენტს, სადაც დირექტივაში გაჩენილი RPR პრინციპი გააკრიტიკა. ღია წერილში საუბარია, რომ დირექტივით შემოღებული პრინციპი არის „გამოუცდელი, შეუსწავლელი და მისი შემოღება გამოიწვევს ფუნდამენტურ და არასასურველ ცვლილებებს კერძო, სამეწარმეო და გადახდისუუნარობის კანონმდებლობაში“[94]. აღნიშნულ წერილს

[91] იქვე, 10.

[92] იქვე, 7.

[93] იქვე, 10.

[94] R.J de Weijs, Preventive Restructuring Framework and the Last moment Introduction of Relative Priority,

დართული აქვს აგრეთვე ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორ ბაირდის წერილი, რომელიც აღნიშნავს, რომ ევროპული დირექტივით შემოღებულ RPR პრინციპს არაფერი აქვს საერთო თავის ამერიკულ ანალოგთან და ამერიკული გადახდისუუნარობის კანონმდებლობის არასწორი გაგების შედეგია[95].

სასამართლო ზედამხედველობისა და გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის დანიშვნის გარეშე კრედიტორები არა მხოლოდ დაკარგავენ აბსოლუტურ უპირატესობას საკუთარ მოთხოვნებზე, ასევე აქციონერებს აქვთ შესაძლებლობა, გააგრძელონ კომპანიის მართვა და მიიღონ ქონების დიდი ნაწილი[96].

დირექტივის კრიტიკას გამოეხმაურა მისი მხარდამჭერი და თანაავტორი პროფესორი მადუსი. პროფესორი მადუსი აღნიშნავს, რომ ახალი დირექტივა არ ცვლის გადახდისუუნარობის კანონმდებლობას, არამედ იგი არის წინასარეაბილიტაციო კანონი, რომელიც გადახდისუუნარო საწარმოს აძლევს გადარჩენის შანსს[97]. დირექტივის ადვოკატირებისას მომხრეები აღნიშნავენ, რომ მათ თავიდან აიცილეს APR-ის ევროპულ კანონმდებლობაში შემოღება, ვინაიდან ეს პრინციპი დიდი ხნის განმავლობაში კრიტიკის საგანია აშშ-შიც. დირექტივის მიღებამდეც მეცნიერები ასაბუთებენ, რომ APR პრინციპი არ არის აბსოლუტური, პირიქით, სასამართლოს მოვალეობაა, ყოველ ჯერზე შეამოწმოს, რამდენად არის რეაბილიტაციის გეგმა სამართლიანი და თანაზომიერი და ამ მიზნისათვის შესაძლებელია APR პრინციპიდან გადახვევა[98]. თავად APR პრინციპის ავტორები მიიჩნევდნენ, რომ „აბსოლუტური პრიორიტეტის პრინციპი ალბათ აღარ შეესაბამება კორპორაციულ

---

https://corporatefinancelab.files.wordpress.com/2019/03/letter-to-the-ep.pdf.

[95]G. Baird to Prof. R.J de Weijs,
https://corporatefinancelab.files.wordpress.com/2019/03/letter-to-the-ep.pdf.

[96] R.J. de Weijs, A.L. Jonkers, M. Malakotipour, The Imminent Distortion of European Insolvency Law: How the European Union Erodes the Basic Fabric of Private Law by Allowing "Relative Priority" (RPR), 11.

[97] Stephan Madaus, The new European Relative Priority Rule of the Restructuring Directive – The End of European Bankruptcy Law, https://stephanmadaus.de/.

[98] Stephen J.Lubben, The Overstated Absolute Priority Rule, 588, https://heinonline.org.

ფორმას და იგი უნდა ჩანაცვლდეს შედარებითი დოქტრინით“[99]. APR პრინციპი გამოსადეგია ლიკვიდაციის დროს, ხოლო საწარმოს რეაბილიტაციისას, როცა ხდება ახალი ინვესტიციების მოზიდვა, ბევრად უფრო ოპტიმალურია RPR პრინციპის გამოყენება. თანამედროვე საკანონმდებლო რეფორმები მოითხოვს კომპრომისს აბსოლუტური პრიორიტეტის პრინციპისგან, რასაც ადასტურებს როგორც პრაქტიკა, ასევე დოქტრინაში გამოთქმული შეხედულებები[100]. დირექტივით განსაზღვრული ახალი RPR პრინციპი არის დამოუკიდებელი მიდგომა, რომელიც შეიმუშავეს იტალიელმა, ესპანელმა, გერმანელმა და ინგლისელმა მეცნიერებმა დირექტივაზე მუშაობის დროს. ეს დირექტივა უმცირესობაში მყოფი კრედიტორებისათვის ვეტოს უფლების მინიჭების გარეშე იცავს მათ უფლებებს, უზრუნველყოფს რა მათი მოთხოვნების ანაზღაურებას წინარე გადახდისუუნარობის პროცედურების შემოღებით[101].

პროფესორ მოდუსის სტატიას, რომელიც განმარტავს დირექტივის შემოღების მიზანშეწონილობას, თავის მხრივ, პასუხი გამოუქვეყნეს კრიტიკულად განწყობილმა მეცნიერებმა — ვეიჯისმა, ლონკერსმა და მალაკოტიპურმა[102]. აღნიშნულ პოლემიკაში კრიტიკულად განწყობილი მეცნიერები აღნიშნავენ, რომ „ევროპა ცდილობს ამერიკული გადახდისუუნარობის კანონმდებლობის შემოღებას, მისი მთავარი პრინციპის „აბსოლუტური პრიორიტეტულობის“ პრინციპის გარეშე, რაც ევროპას დიდ თავგადასავალს ჰპირდება“. სტატიის ავტორები არ იზიარებენ მოსაზრებას, თითქოს დირექტივა წარმოადგენს რეაბილიტაციის წესს და არა გადახდისუუნარობის კანონმდებლობას, ვინაიდან

---

99 James C. Bonbright & Milton M. Bergerman, Two Rival Theories of Priority Rights of Securities in a Corporate Reorganization, 165, https://heinonline.org.

100 Douglas G. Baird, Priority Matters: Absolute Priority, Relative Priority and the Cost of Bankruptcy, 788, https://heinonline.org.

101 Stephan Madaus, The new European Relative Priority Rule of the Restructuring Directive – The End of European Bankruptcy Law, https://stephanmadaus.de/.

102 R.J. de Weijs, A.L. Jonkers, M. Malakotipour, A Reply to Professor Madaus, The new European Realative Priority from the Preventive Restructuring Directive - The end of European Insolvency Law, https://corporatefinancelab.org/2019/03/15/a-reply-to-professor-madaus-the-new-european-relative-priority-from-the-preventive-restructuring-directive-the-end-of-european-insolvency-law/.

„სიტყვათა წყობის მიუხედავად, დირექტივა შეეხება კრედიტორისა და მოვალის სამართლებრივ მდგომარეობას და გადახდისუუნარო საწარმოში შესაბამისად არეგულირებს გადახდისუუნარობის სამართალს“[103].

კრიტიკულად განწყობილი მეცნიერებისთვის მიუღებელია ის ფაქტი, რომ RPR პრინციპის შემოღება მოხდა ბოლო ეტაპზე დაუსაბუთებლად და შეუსწავლელად და იგი არ ფიგურირებდა დირექტივის თავდაპირველ ვერსიაში, თუმცა იგივე ავტორები დირექტივის პროექტს მის მიღებამდეც აკრიტიკებდნენ[104]; 2018 წლის მაისში გამოქვეყნებულ სტატიაში დირექტივის პროექტი გაკრიტიკებულია, ვინაიდან ავტორთა აზრით, იგი იძლევა როგორც მოვალის, ასევე კრედიტორთა მხრიდან მინიჭებული უფლებების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას. ავტორთა განმარტებით, დირექტივა არ იძლევა მოვალისა და კრედიტორის ინტერესების დაბალანსების მექანიზმებს. იგი უნდა ითვალისწინებდეს კრედიტორთა და კრედიტორების ცალკეული ჯგუფების ინტერესებს. პროცესში მონაწილეთა უფლებების დაბალანსებას ვერ უზრუნველყოფს ასევე სასამართლო, რადგან მისი მონაწილეობა პროცესში დირექტივის პროექტით შემცირებულია. კრედიტორებს მიაჩნიათ, რომ „თუმცა სასამართლოს მონაწილეობით პროცესი იძენს ფორმალურ ხასიათს და დროის გაწელვას იწვევს, იგი უზრუნველყოფს მხარეთა უფლებების დაბალანსებულად დაცვას, ვინაიდან სასამართლოს მიერ დამტკიცებული გადაწყვეტილებები ვერ იქნებოდა უკანონო“[105].

დისკუსია შეეხო ახალი დირექტივის მიზანსაც. კრიტიკოსთა აზრით მიუხედავად იმისა, რომ დირექტივის დასაბუთებაში მითითებულია, თითქოს იგი ემსახურება კომერციული

---

[103] „if it's not called a duck, but looks loke a duck, swims like a duck and quacks like a duck, it probably is a guck" R.J. de Weijs, A.L. Jonkers, M. Malakotipour, A Reply to Professor Madaus, The new European Realative Priority from the Preventive Restructuring Directive - The end of European Insolvency Law?, 2.

[104] Rolef de Weij and Meren Baltyes, Opening the Door for Opportunistic Use of Interim Financing: A Critical Assessment of the EU Draft Directive on Preventive Restructuring Frameworks, https://onlinelibrary.wiley.com/doi/epdf/10.1002/iir.1305.

[105] იქვე.

კრედიტორების[106] ინტერესებს, ფაქტია, რომ დირექტივა ანაცვლებს APR პრინციპს RPR პრინციპით. შედეგად გადახდისუუნარობის კანონმდებლობა კრედიტორთა ინტერესების ნაცვლად, მოვალის ინტერესების დაცვას ემსახურება. დირექტივის კრიტიკოსები შიშობენ, რომ ახალი დირექტივა ხელს შეუწყობს რეაბილიტაციის პროცედურების ზრდას და საბოლოოდ გადახდისუუნარობის კანონმდებლობა შთანთქავს სხვა სამართლის სისტემებს[107].

ოპონენტების გამოწვევა დისკუსიაში ჩართვის შესახებ მიიღეს დირექტივის მომხრე მეცნიერებმა და კრიტიკულ სტატიას სტატიებითვე უპასუხეს. ისინი აღნიშნავენ, რომ მოწინააღმდეგე მეცნიერთა ჯგუფს არ ესმის შემოღებული ინსტიტუციის არსი და მან არასწორად გაიგო 2017 წელს დამოუკიდებელი არამოგებიანი ორგანიზაციის ELI-ს[108] მიერ გამოქვეყნებული კვლევა, რომელზეც 14-მა დამოუკიდებელმა ექსპერტმა იმუშავა. ჯგუფი ასევე უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ ევროპული ქვეყნების უმრავლესობას ზევრად მეტი პრივილეგირებული კრედიტორი (თანამშრომლები, საგადასახადო) ჰყავს და თუკი მათი დაკმაყოფილება სავალდებულო იქნებოდა რეაბილიტაციის გეგმის მიღებამდე (რასაც ითვალისწინებს APR), ეს გადახდისუუნარო საწარმოს რესტრუქტურიზაციის შესაძლებლობას დააზარალებდა.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ APR პრინციპმა თავიდანვე დიდი კრიტიკა გამოიწვია, APR ინვესტორების უფლებების დაცვის ნაცვლად იწვევდა დესტრუქციას; ამის გათვალისწინებით, უფრო მოქნილი RPR-ის შემოღება გამართლებულად უნდა ჩაითვალოს, ამასთან, უზრუნველყოფილი კრედიტორების ლეგიტიმური ინტერესები დაცულია მათი საუკეთესო ინტერესების დაცვის გარანტიით[109].

---

106 Trade Creditors.

107 R.J. de Weijs, A.L. Jonkers, M. Malakotipour, A Reply to Professor Madaus The new European Realative Priority from the Preventive Restructuring Directive - The end of European Insolvency Law?.

108 ELI - European Law Institute.

109 Bob Wessels, The full version of my reply to professor de Weijs, http://bobwessels.nl/blog/2019-03-doc10-the-full-version-of-my-reply-to-professor-de-weijs-et-al/.

დირექტივის თანაავტორთა განმარტებით, მოვალე, რომელზეც ახალი დირექტივა ვრცელდება, არ არის გადახდისუუნარო, არამედ ფინანსური პრობლემების მქონე საწარმოა. დირექტივის მიზანია, საწარმოს გაჯანსაღება განხორციელდეს ადრეულ სტადიაზე, სანამ იგი გადახდისუუნარო გახდება; APR პრინციპი ითვალისწინებს საწარმოს მენეჯმენტის მართვისგან ფაქტობრივ ჩამოცილებას რეაბილიტაციის პროცესის დაწყებისთანავე, რაც ფინანსური პრობლემების საწყის ეტაპზევე პროცესის დაწყების შესაძლებლობას აყოვნებს[110]. შესაბამისად, აღნიშნული პრინციპი ვერ იქნებოდა გამოსადეგი რეაბილიტაციისა და საწარმოს ადრეულ ეტაპზე გაჯანსაღების მიზნებისთვის.

გამოთქმულ კრიტიკას დირექტივაზე მომუშავე ავტორთა ჯგუფი არ ეთანხმება იმიტომაც, რომ დირექტივის შემოღებამდე არაერთ ნაშრომში იყო განხილული RPR პრინციპი სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერების მიერ[111].

მცდარია კრიტიკოსების მოსაზრება, რომ ახალი დირექტივა გამოიწვევს გადახდისუუნარობის კანონმდებლობის მიერ კერძო და საკორპორაციო სამართლის შთანთქმას, არამედ ახალი დირექტივა ცდილობს ახალი ბალანსის დამკვიდრებას ამ სამართლის სფეროებს შორის, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ბიზნესის ინტერესები და დაცული იქნეს ბალანსი სხვადასხვა ჩართული მხარის მოვალისა და კრედიტორის ინტერესებს შორის[112].

ამასთან RPR პრინციპის შემოღება არ არის სავალდებულო, არამედ ნებაყოფლობითია წევრი სახელმწიფოებისათვის. შესაბამისად, კრიტიკოსების მოწოდება ევროპარლამენტარების მიმართ, უარი თქვან RPR-ზე, ორი მიზეზის გამო არ არის სასურველი: პირველი, ევროპარლამენტარების სამართლებრივ დებატებში მიწვევა არ არის გამართლებული, და მეორე — წევრ ქვეყნებს ისედაც აქვთ პოლიტიკური შესაძლებლობა, აირჩიონ კონკრეტული ქვეყნისთვის მისაღები მიდგომა[113].

---

110 იქვე.

111 Bob Wessels, reply to Professor De Weijs et.al.

112 Bob Wessels, The full version of my reply to professor de Weijs et al.

113 იქვე.

### 2.3.3 დირექტივის გავლენა ევროპული ქვეყნების კანონმდებლობებზე

დირექტივა გამოიწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს გადახდისუუნარობის კანონმდებლობებში. წევრი სახელმწიფოების ნაწილი უკვე ითვალისწინებს იმ მიდგომებს, რომელიც დირექტივით არის შემოთავაზებული. რიგ ქვეყნებში, რომლის კანონმდებლობაც მოვალეზე ორიენტირებულად მიიჩნევა, შედარებით მცირე ცვლილებები იქნება განსახორციელებელი, ვიდრე ქვეყნებში, რომელთა კანონმდებლობა კრედიტორთა ინტერესებზე იყო ორიენტირებული.

ზოგიერთ ქვეყანაში გადახდისუუნარობის რეფორმა ბოლო პერიოდში განხორციელდა, შესაბამისად, მათ კანონმდებლობებში ასახულია თანამედროვე მიდგომების დიდი ნაწილი. მაგალითად, პოლონეთში გადახდისუუნარობის რეფორმა 2016 წელს გატარდა[114], თუმცა აშკარაა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ კვლავ რჩება საკითხები, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებს[115].

მსოფლიოში არსებულმა კოვიდპანდემიამ დააჩქარა დირექტივის შესრულება ევროპულ ქვეყნებში[116]. 2020 წელს ჰოლანდიის პარლამენტმა მიიღო კანონი გადახდისუუნარობის წინაშე მყოფი მოვალის მხრიდან რეაბილიტაციის ღონისძიებების შესახებ[117], რომელიც სასამართლოს გარეთ რეაბილიტაციის შესაძლებლობას ითვალისწინებს. ამასთან, დირექტივით გათვალისწინებული შედარებითი უპირატესობის პრინციპი შემოიღეს მხოლოდ ნაწილობრივ: არაუზრუნველყოფილი კრედიტორები უფლებამოსილნი არიან, მოითხოვონ

[114] Staszkiewicz Piotr, Morawska Sylwia, The Efficiency of Bankruptcy Law: evidence of creditor protection in Poland, 363, https://link.springer.com/content/pdf/10.1007/s10657-019-09629-2.pdf.
[115] Katharina Crinson, EU Directive on Insolvency, Restructuring and second chance.
[116] Howard Seife, International Restructuring Newswire, https://www.nortonrosefulbright.com/-/media/files/nrf/nrfweb/knowledge-pdfs/us_27694_international-restructuring-newswire-r3_web.pdf?la=en-me&revision=.
[117] West Homologate Onderhands Akkoord „WHOA“.

დაკმაყოფილება, თუკი რეაბილიტაციის გეგმა მიღებული იქნება cross-class cram down-ის წესით[118].

საფრანგეთში დღესდღეობით ფაქტობრივად არ არსებობს წინა სარეაბილიტაციო პროცედურები[119]. ასევე, დირექტივის შესაბამისად, საჭირო გახდება კრედიტორთა უფრო ვიწრო კლასებად დაყოფა; მნიშვნელოვანი ცვლილებაა აგრეთვე, რომ დირექტივა აუქმებს გადახდისუუნარო საქმისწარმოების სპეციალისტების სავალდებულო დანიშვნას.

მოქნილი საპრევენციო რეაბილიტაცია ახალი ინსტიტუტია გერმანული კანონმდებლობისთვის. 2020 წლის სექტემბერში გერმანიის იუსტიციის სამინისტროს მიერ ინიცირებულ იქნა კანონპროექტი „რეაბილიტაციისა და გადახდისუუნარობის კანონმდებლობის შესახებ“[120], რომელიც ახალი გადახდისუუნარობის სისტემის დასაწყისია გერმანულ კანონმდებლობაში[121]. კოვიდპანდემიამ დაადასტურა გერმანულ სამართალში სწრაფი და მოქნილი გადახდისუუნარობის შესაძლებლობა. მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს კომპანიის მენეჯმენტის შენარჩუნების შესაძლებლობას, რითაც პანდემიის პერიოდში ისარგებლა კომპანიების მნიშვნელოვანმა ნაწილმა, მათ შორის, ისეთმა სოლიდურმა კომპანიამ, როგორიცაა „გალერია კარშტად კაუჰოფი“[122]. შემოთავაზებული საკანონმდებლო ცვლილებები ემსახურება დირექტივის იმპლემენტაციასა და ადრეულ ეტაპზე რეაბილიტაციის შესაძლებლობას. ვინაიდან დირექტივა წევრ სახელმწიფოებს ანიჭებს არჩევანის უფლებას „აბსოლუტური პრიორიტეტულობის პრინციპსა“ და „შედარებითი

---

[118] Howard Seife, International Restructuring Newswire.

[119] Ian Wallance, Christian Pilkington, Jennifer McMahon, Restructuring across Europe a new Era, https://www.whitecase.com/sites/whitecase/files/files/download/publications/restructuring-across-europe-a-new-era.pdf.

[120] Gesetz zur Fortentwicklung des Sanierungs – und Insolvenzechts https://www.bmjv.de/SharedDocs/Gesetzgebungsverfahren/DE/Fortentwicklung_Insolvenzrecht.html.

[121] Sylwia Bea, Regina Rath Preventive Restructuring Framework – a new era for restructuring in Germany, 13.

[122] https://galeria-karstadt-kaufhof.insolvenz-solution.de/overview.

პრიორიტეტულობის პრინციპს“ შორის, გერმანიამ აირჩია მიდგომა, რომელიც არ თვალისწინებს კრედიტორთა მოთხოვნების შემცირებას, არამედ შესაძლებელია მათი გადავადება არაუმეტეს თორმეტი თვით[123].

დირექტივის იმპლემენტაციას იტალიაში და ესპანეთში შედეგად მოყვება პროცედურის ხანგრძლივობისა და ხარჯების შემცირება, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების შემოღება, კრედიტორთა კლასებად დაყოფა, რაც მანამდე არ იყო იტალიაში სავალდებულო; ასევე საჭირო იქნება გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტთა გადამზადება[124].

დირექტივის განსახორციელებლად აუცილებელია მისი მოთხოვნების ასახვა ნაციონალურ კანონმდებლობაში. ამ დირექტივის მიზანია არა კანონმდებლობის ჰარმონიზაცია, არამედ ცვლილებების შეტანა, რომელიც მისაღებია პროცესის მონაწილეებისთვის მოვალისა და კრედიტორებისთვის[125].

მიუხედავად იმისა, რომ დიდი ბრიტანეთი აღარ წარმოადგენს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოს, დირექტივის სულისკვეთება ფაქტობრივად სრულად გაიზიარა 2020 წელს, საყოველთაო პანდემიის პირობებში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებში[126]. ეს ცვლილებები ემსახურება საწარმოს გაჯანსაღების შესაძლებლობას და მორატორიუმის ღონისძიებებთან ერთად ითვალისწინებს ნებაყოფლობითი რეაბილიტაციის შესაძლებლობას, ისევე როგორც „შედარებითი პრიორიტეტულობის პრინციპის“ გამოყენების შესაძლებლობას. საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ სასამართლოს შეუძლია რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცება, თუკი: ა) ერთი კლასის კრედიტორები მაინც, ვის უფლებებსაც ეხება გეგმა, მხარს დაუჭერენ

[123] Sylwia Bea, Regina Rath, Preventive Restructuring Framework – a new era for restructuring in Germany, 16.

[124] Ian Wallance, Christian Pilkington, Jennifer McMahon Restructuring across Europe a new Era.

[125] იქვე.

[126] UK Corporate Insolvency and Governance Act.
https://www.legislation.gov.uk/ukpga/2020/12/enacted.

განსახორციელებელ ცვლილებებს; ბ) კრედიტორები, ვინც მხარი არ დაუჭირა გეგმას, მიიღებენ იმავეს ან უფრო მეტს, რასაც მიიღებდნენ გეგმის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში; და გ) სასამართლო გეგმას მიიჩნევს სამართლიანად[127]. პირველი ამგვარი რეაბილიტაციის გეგმა უკვე დამტკიცდა ბრიტანეთში ავიაკომპანია „ვირჯინ ატლანტიკის" რეაბილიტაციის ფარგლებში[128].

დირექტივამ და მისმა ახლებურმა მიდგომებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ქართული გადახდისუუნარობის რეფორმის პროცესში.

ასოცირების შეთანხმების[129] დანართებში იმპლემენტაციის წყაროებად სხვა წყაროებთან ერთად მითითებულია ევროკავშირის დირექტივები. სამართლებრივი დაახლოების[130] გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ ახალ კანონმდებლობაში ასახულიყო დირექტივის მიზანი და დირექტივით შემოთავაზებული მინიმალური სტანდარტები.

მნიშვნელოვანია, რომ ახალი საკანონმდებლო აქტი შესაბამისობაში იყოს ევროპულ დირექტივასთან და ითვალისწინებდეს მის მიზნებს, არსებულ თანამედროვე მიდგომებს, ისევე, როგორც აღმოფხვრილ იქნას არსებული საკანონმდებლო ხარვეზები.

ქართული გადახდისუუნარობის კანონმდებლობა საჭიროებდა რეფორმას, რაც ვერ მიიღწეოდა არსებულ კანონში ცვლილებების შეტანის გზით. ეს მოსაზრება დასტურდება გერმანელი ექსპერტების დასკვნითაც ქართული გადახდისუუნარობის კანონმდებლობის შესახებ[131]. ექსპერტებმა

---

[127] იქვე art. 901 F.

[128] Jonathan Dunkley and Jamie Turley, Womble Bond Dickinson, Virgin Atlantic Restructuring Plan: the first of many, https://uk.practicallaw.thomsonreuters.com/w-027-5147?transitionType=Default&contextData=(sc.Default)&firstPage=true.

[129] ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორეს მხრივ, საქართველოს შორის http://www.mfa.gov.ge.

[130] legal approximation.

[131] German Economic Team Georgia, Jnus Hans, Avoidence the Insolvency of Georgia's Insolvency Law,
https://www.get-georgia.de/wp-content/uploads/2016/04/PP_01_2016_en.pdf.

დაასკვნეს რეფორმის საჭიროება იმ ფაქტების გათვალისწინებითაც, რომ 2016 წლის მსოფლიო ბანკის მონაცემებით[132], საქართველო გადახდისუუნარობის საკითხში 101 ადგილზეა 189 ქვეყანას შორის, ხოლო გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტთა ნაწილში 25 ადგილზეა 27 მეზობელ ქვეყანას შორის. გარდა ამისა, კანონი ორიენტირებული იყო არა რეაბილიტაციაზე, არამედ გაკოტრებაზე, ასევე კანონი რეგულაციის მიღმა ტოვებდა მთელ რიგ საკითხებს.

გადახდისუუნარობის კანონმდებლობის რეფორმაზე მუშაობა ჯერ კიდევ 2016 წელს დაიწყო. USID-ის „მმართველობა განვითარებისთვის" (G4G) პროექტის ფარგლებში მომზადდა „გადახდისუუნარობის სისტემის შეფასება". რის შემდეგაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ერთობლივი ძალისხმევით, წარიმართა გადახდისუუნარობის ახალ კანონზე მუშაობა [133].

ახალი კანონმდებლობის მიზანი კანონპროექტის ავტორ და ინიციატორ ოფიციალურ სახელმწიფო სტრუქტურებში განიხილეს. საქართველოს პრემიერმინისტრის განცხადებით, ახალი კანონი კომპანიებს შესაძლებლობას მისცემს, „აირიდონ გაკოტრების ეტაპი და რეაბილიტაციის ეტაპზევე შეძლონ კომპანიების გაჯანსაღება"[134]; ხოლო იუსტიციის მინისტრის განცხადებით, „რეფორმის მთავარი მიზანი არის ის, რომ შეიქმნას ეკონომიკურად ჯანსაღი საკანონმდებლო ნორმები იმისათვის, რათა პრობლემების წინაშე აღმოჩენილი კომპანიისთვის შესაძლებელი იყოს რეაბილიტაციის პროცესი. ანუ მიზანი უნდა იყოს არა კომპანიის დაღუპვა, არამედ მისი გადარჩენა და სირთულეების პროცესში როგორც მოვალის

---

[132] World Bank's Doing Business.

[133] ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრი, საქართველოს გადახდისუუნარობის სისტემის ხარვეზები და რეფორმის საჭიროება, დეპუტატის საინფორმაციო ბარათი http://parliament.ge/ge/ajax/downloadFile.

[134]https://commersant.ge/ge/post/giorgi-gaxaria-ganvixilavt-kanonproeqts-romelic-kompaniebs-shesadzleblobas-miscems-gakotrebis-etapi-aicilon-da-reabilitaciis-etapze-kompaniis-gadjansageba-shedzlon.

ინტერესების დაცვა, ასევე დასაქმებული პირებისა და კრედიტორთა უფლებების დაცულობა“[135].

## 3. Pari Passu — თანაბარი მოპყრობის პრინციპი

Pari passu მსოფლიოში დანერგილი კრედიტორთა დაკმაყოფილების პრინციპია. იგი ლათინური ტერმინია და ნიშნავს „თანაბარ ნაბიჯს“, რაც თანაბარ პირობებში მყოფთა მიმართ თანაბარ მოპყრობას გულისხმობს, ვინმესთვის პრიორიტეტის მინიჭების გარეშე[136]. გადახდისუუნარობის სამართლის მიდგომა კრედიტორთა Pari passu დაკმაყოფილებისა, არ ნიშნავს, რომ არ არსებობს გამონაკლისები თანაბრობიდან. პირიქით, თანაბარი დაკმაყოფილების პრინციპი რამდენადაც მისაღები და პოპულარულია, იმდენად ხშირად თეორიულ რეგულაციად რჩება, პრაქტიკაში კი მთელი რიგი კრედიტორები სარგებლობენ უპირატესი დაკმაყოფილების საშუალებით[137].

ამასთან, მაშინ, როდესაც მოვალე გადახდისუუნაროა, მოთხოვნების და უფლებების სრულად დაკმაყოფილება შეუძლებელია და მთავარი საკითხი არის, როგორ უნდა მოხდეს უფლებების განხორციელება სამართლიანად[138].

კრედიტორების დიფერენციაციის სამართლიანობის განსაზღვრა არც თუ ისე იოლია იმ მოცემულობის გათვალისწინებით, რომ ყველა კრედიტორს გააჩნია კანონიერი მოთხოვნის უფლება ვალაუვალი მოვალის მიმართ. სხვადასხვა კრედიტორისათვის უპირატესობის მინიჭება უნდა ხდებოდეს ბიზნესის განვითარების საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, რა დროსაც მნიშვნელოვანია კრედიტორთა კერძო ინტერესების

[135]https://bm.ge/ka/article/ra-cvlilebebi-shedis-vis-sheexeba-da-ra-mizani-aqvs-gakotrebis-shesaxeb-axal-kanonmdeblobas/48426.

[136] Rodrigo Olivarer Caminal, The Pari Passu clause in Sovereign debt instrument: developments in recent Litigation, 121, https://www.bis.org/publ/bppdf/bispap72u.pdf.

[137] Gerard McCormack, Set-off under the European Insovency regulation (and English law), 107, https://onlinelibrary.wiley.com/doi/epdf/10.1002/iir.1373.

[138] F. Javier Aries Varona, Johanna Niemi, Tuomas Huoli, Didcharge and Enterpreneurship in the Preventive Restructuring Directive, 9, https://doi.org/10.1002/iir.1369.

თანაზომიერი დაცვა და დაბალანსება. ამასთან, მაშინ, როდესაც მოვალე გადახდისუუნაროა, მოთხოვნების და უფლებების სრულად დაკმაყოფილება შეუძლებელია და მთავარი საკითხი არის, როგორ უნდა მოხდეს უფლებების განხორციელება სამართლიანად[139].

კრედიტორთა თანაბარ დაკმაყოფილებაში ვიწრო გაგებით მოიაზრება თანაბარ პირობებში მყოფ, ერთი და იმავე რიგის კრედიტორთა თანაბარი დაკმაყოფილება. თუმცა თანაბრობის ამგვარი „ვიწრო გაგებიდანაც" არსებობს გამონაკლისები. მაგალითად, გადახდისუუნარობის კანონმდებლობათა ნაწილი უშვებს მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვის შესაძლებლობას[140]. ამგვარი რეგულაცია გათვალისწინებულია საქართველოშიც საკანონმდებლო რეფორმის შემდგომ, თუმცა გარკვეული გამონაკლისებით[141].

კრედიტორთა თანაბარი დაკმაყოფილების პრინციპთან ერთად ინგლისურ სამართალში გამოიყენება ანტიგამოცალკევების პრინციპი[142], რომლის მიხედვითაც, „არ შეიძლება კონტრაქტით დადგინდეს გადახდისუუნარობის სამართლისაგან განსხვავებული განაწილება"[143]. ასევე „არ შეიძლება კონტრაქტით განისაზღვროს სხვა კრედიტორებთან შედარებით უპირატესი დაკმაყოფილება"[144].

მოგვიანებით, დიდი ბრიტანეთის უზენაესმა სასამართლომ Pari passu პრინციპისა და ანტიგამოცალკევების პრინციპის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით დაადგინა, რომ ანტიგამოცალკევების და Pari passu პრინციპი არის ორი ქვეპრინციპი ერთი გენერალური პრინციპისა, რომ მხარეებმა ხელშეკრულებით

---

139 იქვე

140 Gerard McCormack, Set-off under the European Insovency regulation (and English law), 107.

141 საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ", მუხ. 118.2.

142 Anti-deprivation principle.

143 Whitmore V Mason, იხ. Gerard McCormack, Set-off under the European Insovency regulation (and English law), 107.

144 იქვე.

არ შეიძლება დაადგინონ გადახდისუუნარობის კანონმდებლობისაგან განსხვავებული რეგულაცია“[145].

Pari passu არ არის პრინციპი, რომელსაც გადახდისუუნარობის კანონმდებლობა უნდა შეესაბამებოდეს, არამედ აღწერს იმას, რასაც გადახდისუუნარობის სამართალი ემსახურება[146].

კრედიტორებისადმი თანაბარ მოპყრობას ემხრობა ევროპული დირექტივა და ადგენს, რომ კრედიტორთა ერთი ჯგუფი უსამართლოდ უპირატეს მდგომარეობაში არ უნდა აღმოჩნდეს სხვა კრედიტორებთან შედარებით (მაგალითად, აღსრულების შეჩერებისას)[147].

პრინციპი, რომლითაც კრედიტორთა დიფერენციაცია და მათი დაკმაყოფილების რიგითობის განსაზღვრა ხდება, ძირითადად, ერთნაირია მსოფლიოში[148]. ამდენად, ქართული კანონმდებლობის განხილვასთან ერთად, საინტერესოა მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების მიდგომის ანალიზი. ევროპული ქვეყნების სამართალთან შედარება საშუალებას მოგვცემს, დადგინდეს ეროვნული გადახდისუუნარობის კანონმდებლობის ხარვეზები და პრობლემური საკითხები, სადაც მიზანშეწონილია თანამედროვე საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება.

კრედიტორთა დიფერენციაციის შესწავლის შემდეგ, განიხილება მათი მოთხოვნათა დაკმაყოფილების რიგითობა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საკითხებს, რომლებიც განვითარებული ქვეყნების მიდგომისაგან განსხვავდება და

---

[145] Belmont Park Investments PTY Limited (Respondent) v BNY Corporate Trustee Services Limited and Lehman Brothers Special Financing Inc (Appellant), https://www.supremecourt.uk/cases/uksc-2009-0222.html.

[146] Rizwaan Jameel Mokal, Priority as Pathology: The Pari Passu Myth,1-5, http://law.bepress.com/cgi/viewcontent.cgi?article=6417&context=expresso.

[147] DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring, insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency) Recital 17.

[148] SooGeu Oh, Heejong Song, Priority in Insolvency Proceedings, 17, https://heinonline.org.

კრედიტორთა უსამართლო დაკმაყოფილების შესაძლებლობას იწვევს.

## 3.1 კრედიტორთა დიფერენციაცია

თანაბარ პირობებში მყოფი კრედიტორების თანაბრად დაცვის მიზნით, ევროპული დირექტივა კრედიტორების კლასებად დაყოფას ითვალისწინებს. სულ ცოტა, რეაბილიტაციის პროცესში ჩართული კრედიტორები უნდა იყოფოდნენ უზრუნველყოფილ და არაუზრუნველყოფილ კრედიტორებად[149]. უზრუნველყოფილი კრედიტორების სტატუსი დაკავშირებულია არა მხოლოდ მოთხოვნის უპირატესად დაკმაყოფილებასთან, არამედ გადახდისუუნარობის პროცესის მართვის როლთან. თუმცა არაუზრუნველყოფილ კრედიტორთა შორისაც ხდება დიფერენციაცია[150]. პირობითად, არაუზრუნველყოფილი კრედიტორები შეიძლება დაიყონ პრივილეგირებულ და დაქვემდებარებულ კრედიტორებად. პრივილეგირებულთა დაკმაყოფილება რიგ შემთხვევაში ხდება უზრუნველყოფილ კრედიტორებზე უპირატესად. ხოლო დაქვემდებარებულთა სტატუსი გამომდინარეობს მათი მოთხოვნების თავისებურებიდან[151]. პრივილეგირებულ კრედიტორთა შორის საინტერესოა შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე კრედიტორები, ისევე, როგორც საგადასახადო, როგორც კრედიტორი, შესაბამისად, ამ თემებს ცალკე ქვეთავი აქვს დათმობილი.

---

[149] DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring, insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency) Recital 44.

[150] Vern Countryman, Executory Contracts in Bankruplcy, part 1, 30, https://heinonline.org.

[151] იქვე, 26.

### 3.1.1 უზრუნველყოფილი კრედიტორები

„Security is an agreement between A and B that C take nothing“[152]

გადახდისუუნარობის პროცესში უზრუნველყოფილი კრედიტორები პრივილეგიით სარგებლობენ მოთხოვნის დაკმაყოფილების დროს. თუმცა ამ პრივილეგიის ხარისხი სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში განსხვავებულია. გერმანიის კანონმდებლობა, დიდი ბრიტანეთის მსგავსად, უფრო მეტ პრივილეგიას ანიჭებს უზრუნველყოფილ კრედიტორებს, ვიდრე, მაგალითად, ლათინური ქვეყნები[153]. პირველ მიდგომას იზიარებს აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების უმრავლესობაც. აღნიშნულ პრივილეგიებში უპირატესად დაკმაყოფილების უფლების გარდა გადახდისუუნარობის საქმისწარმოების პროცესის დაწყება, გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტთა არჩევაში უპირატესობა იგულისხმება[154].

იმის გათვალისწინებით, რომ საბანკო (ფინანსური) ვალდებულებები ძირითადად უზრუნველყოფილია, გამოდის, რომ ფინანსური ვალდებულებები, კომერციულთან შედარებით, უპირატესობით სარგებლობს გადახდისუუნარობის პროცესში. აღნიშნულ მიდგომას თავისი გამართლება გააჩნია:

პირველი, ეს არის სახელშეკრულებო თავისუფლებისა და საკუთრების უფლების პატივისცემა. ვინაიდან მხარეებმა სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში განსაზღვრეს საკუთარი მოთხოვნების უზრუნველყოფა უძრავი ქონებით, კანონმდებელმა პატივი უნდა სცეს სახელშეკრულებო

[152] Lynn M. LoPucki, The unsecured Creditor’s Bargain, http://webbrd.com/Articles%20and%20Manuscripts/The%20Unsecured%20Creditor's%20Bargain.pdf.

[153] Gerard McCormack, Andrew Keasy, Sarah Brown and Judith Dahlgreen, Study on a new approach to business failure and insolvency, Comparative legal analysis of the Member States’ relevant provisions and practices, January 2016, 68. http://ec.europa.eu/justice/civil/files/insolvency/insolvency_study_2016_final_en.pdf.

[154] იქვე, 115.

თავისუფლებას, მათ შორის, გადახდისუუნარობის პროცესში[155].

აღნიშნულის გათვალისწინებით, სამართლიანია უზრუნველყოფილი კრედიტორებისათვის არაუზრუნველყოფილებთან შედარებით პრიორიტეტის მინიჭება, თუმცა არაუზრუნველყოფილი მოთხოვნა შეიძლება, სულაც არ იყოს სახელშეკრულებო და დელიქტური ურთიერთობიდან გამომდინარეობდეს. ასეთ შემთხვევაში, სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი უკვე აღარ გამოდგება უზრუნველყოფილთა უპირატესობის დასასაბუთებლად[156].

რაც შეეხება მეორე არგუმენტაციას, მიიჩნევა, რომ უზრუნველყოფილი ვალდებულებები დადებით გავლენას ახდენს სესხების ხელმისაწვდომობაზე, ხელს უწყობს ბანკების მიერ ნაკლებ რისკიანი (უზრუნველყოფილი) და იაფი სესხების გაცემას, რითაც დადებით გავლენას ახდენს ეკონომიკის განვითარებაზე[157].

უზრუნველყოფილ კრედიტორთა შორის უპირატესობით სარგებლობენ ფინანსური გირაოთი უზრუნველყოფილი კრედიტორები. მათზე არ ვრცელდება გადახდისუუნარობის კანონმდებლობით შემოთავაზებული კრედიტორთა დაკმაყოფილების რიგითობა. ფინანსური გირაოს შემთხვევაში, მოგირავნეს აქვს ფინანსური გირაოთი უზრუნველყოფილი მოთხოვნის უპირატესი და უპირობო დაკმაყოფილების უფლება[158]. ეს ნიშნავს, რომ იმ შემთხვევაშიც, თუ მოვალის, კრედიტორის, დამგირავებლის ან მოგირავნის მიმართ საქმიანობის შეზღუდვის რეჟიმი ამოქმედდა, ფინანსური გირაოს ხელშეკრულება ნამდვილია და ფინანსური გირაოს ამოქმედებით მიღებული თანხით უნდა დაკმაყოფილდეს უზრუნველყოფილი ვალდებულება.

---

155 იქვე, 79.

156 იქვე, 121.

157 იქვე, 122.

158 საქართველოს კანონი „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ მუხ. 40.

აღმოსავლეთი ევროპის ზოგიერთი სახელმწიფო[159] უზრუნველყოფილი კრედიტორის დაკმაყოფილებას უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციიდან მიღებული თანხის მხოლოდ ნაწილით, გარკვეული პროცენტით ითვალისწინებს. ხოლო რეალიზაციიდან მიღებული თანხის ნაწილი პროცესის ხარჯებს ხმარდება[160].

გადახდისუუნარობის კანონმდებლობის რეფორმის შედეგად მიღებულმა კანონმა გაიზიარა ზოგიერთი ქვეყნის მიდგომა, უზრუნველყოფილი კრედიტორების და უზრუნველყოფილი ქონების აღსრულების შეჩერებისგან გათავისუფლების შესახებ[161]. სასამართლომ შესაძლებელია დაადგინოს უზრუნველყოფის საგანზე მორატორიუმის გაუქმება და ქონების რეალიზაცია, თუკი დაადგენს, რომ ეს ნივთები არ არის საჭირო გადახდისუუნარო საწარმოს ძირითადი საქმიანობისათვის[162]. რაც უდავოდ ხელს უშლის საწარმოს ქონების შენარჩუნების ინტერესს და უსამართლო პრივილეგირებულ მდგომარეობაში ამყოფებს უზრუნველყოფილ კრედიტორებს სხვა კრედიტორებთან შედარებით. ამიტომ უფრო გამართლებულია, კრედიტორთა მოთხოვნის დროული აღსრულების ლეგიტიმური ინტერესის დასაცავად დროში შეიზღუდოს გადახდისუუნარობის კანონმდებლობით დადგენილი აღსრულების შეჩერება[163].

უზრუნველყოფის ნივთზე აღსრულების შეჩერება პირდაპირ კავშირშია საკითხთან — არის თუ არა უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ქონება გადახდისუუნარობის მასის ნაწილი. ამასთან დაკავშირებით თანხმდება თანამედროვე დოქტრინათა

---

[159] მაგ.: ჩეხეთი, უნგრეთი, იხ. Jan-Hendrik Rover, Secured Lending in Eastern Europe, 292.

[160] იქვე, 294.

[161] Moritz Brinkmann, The Position of Secured creditors in Insolvency, 266, https://heinonline.org.

[162] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ.87.1.

[163] Moritz Brinkmann, The Position of Secured creditors in Insolvency, 266.

მნიშვნელოვანი ნაწილი[164], ისევე, როგორც Uncitral-ის წესები[165], და მიიჩნევს, რომ უზრუნველყოფის საგნები გადახდისუუნარობის მასის ნაწილს შეადგენს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაირღვეოდა ბალანსი უზრუნველყოფილ კრედიტორთა უფლებებსა და საწარმოს გადარჩენისა და ქონების შენარჩუნების ინტერესს შორის[166].

შესაბამისად, უზრუნველყოფილ კრედიტორთა ინტერესების დაცვისთვის, აღსრულების შეჩერების დროში შეზღუდვა, რომელიც გადახდისუუნარობის კანონმდებლობათა დიდი ნაწილითაა დადგენილი, ერთი მხრივ, იცავს უზრუნველყოფილი კრედიტორის უფლებებს, ხოლო მეორე მხრივ, იძლევა საწარმოს ქონების შენარჩუნების შესაძლებლობას. მაგალითად, ბელგია, ავსტრია, ბრაზილია მორატორიუმისათვის ექვსთვიან ვადას ითვალისწინებს. ინგლისსა და ესპანეთში აღსრულების შეჩერება შესაძლოა გაგრძელდეს თორმეტ თვემდე[167].

უზრუნველყოფის საგნის გადახდისუუნარობის მასაში შესვლის საკითხი კიდევ უფრო აქტუალურია მაშინ, როდესაც უზრუნველყოფის საგანს წარმოადგენს საწარმოს მთელი ძირითადი საშუალებები, სესხის ოდენობის ფარგლებში[168]. ამგვარი უზრუნველყოფები ნაკლებად გვხვდება გერმანული კანონმდებლობის ქვეყნებში, თუმცა ძალზე გავრცელებულია ინგლისში, ესტონეთში, ფინეთსა და ლატვიაში[169]. ე. წ Floating Charge-ის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველყოფის საგანს წარმოადგენს ფაქტობრივად მთლიანი მოძრავი ქონება — ძირითადი საშუალებები. შესაბამისად, თუკი უზრუნველყოფის საგანი გადახდისუუნარობის მასად არ

---

[164] Spiridon V Bazinas, N Orkun Akseli, International and Comparative Secures Transaction Law, 213, იხ. აგრეთვე: Moritz Brinkmann, The Position of Secured creditors in Insolvency, 266, იხ. აგრეთვე Jan-Hendrik Rover, Secured Lending in Eastern Europe, 294.
[165] Uncitral, Legislative Guide on Insolvency Law (n3) 77.
[166] Spiridon V Bazinas, N Orkun Akseli, International and Comparative Secures Transaction Law, 212.
[167] იქვე, 231.
[168] Floating Charge.
[169] Kasak Anto, Special Treatment of the Floating Charge in Insolvency Proceedings, 3 https://www.juridicainternational.eu/public/pdf/ji_2015_23_70.pdf.

ჩაითვლება, გამოდის, რომ ამგვარი სესხის არსებობის შემთხვევაში, არაუზრუნველყოფილი კრედიტორების დასაკმაყოფილებლად არავითარი საშუალება არ იარსებებს, რაც უსამართლო შედეგს უკავშირდება. ამიტომ მეცნიერები თანხმდებიან, რომ Floatin Charge-ს შემთხვევაში უზრუნველყოფის საგანი უნდა შევიდეს გადახდისუუნარობის მასაში[170]. უფრო მეტიც, კორკის კომიტეტის[171] რეკომენდაციების მიხედვით, ამგვარი სესხების დროს უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის თანხიდან უნდა გამოიყოს 10%, რომელიც არაუზრუნველყოფილი კრედიტორების დაკმაყოფილებას მოხმარდება[172]. თანამედროვე მიდგომების თანახმად, 10% არ არის საკმარისი და არაუზრუნველყოფილ კრედიტორებზე გასანაწილებელი თანხის პროცენტი უნდა გაიზარდოს[173]. ამგვარი მიდგომა სრულად შეესაბამება საწარმოს რეაბილიტაციის მიზანს და ამავდროულად იძლევა კრედიტორთა სამართლიანი დაკმაყოფილების შესაძლებლობას გადახდისუუნარობის პირობებში. სამწუხაროდ, ზემოხსენებული მიდგომისაგან განსხვავებით, ქართული კანონმდებლობა უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციიდან მიღებული თანხით საპროცესო ხარჯების დაფარვასაც არ ითვალისწინებს, როგორც ეს თავდაპირველად იქნა ინიცირებული „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით[174].

კანონით შემოთავაზებული რეგულაცია ითვალისწინებს სასამართლო ფილტრს უზრუნველყოფის ქონების

---

[170] იქვე.

[171] Cork Committee Report — კორკის კომიტეტის ანგარიში მომზადდა ინგლისის გადახდისუუნარობის კანონმდებლობის რეფორმის ფარგლებში, 1982 წელს, კომიტეტის საქმიანობას ხელმძღვანელობდა კენეტ კორკი იხ. ვრცლად: Ian Fletcher, Bankruptcy Law Reform: The Interim Report of the Cork Committee and the Department of Trade Green Paper, https://www.jstor.org/stable/1095611.

[172] Report of the Insolvency Law review Committee, https://leeshih.files.wordpress.com/2013/11/report-of-the-insolvency-law-review-committee-oct-2013.pdf.

[173] Kasak Anto, Special Treatment of the Floating Charge in Insolvency Proceedings, 3.

[174] „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, კანონის პროექტი. მუხ. 107.

გასხვისებისთვის, თუმცა სასამართლოს აკისრებს ბიზნესგადაწყვეტილების მიღებას, რამდენად არის უზრუნველყოფის საგნის შენარჩუნება აუცილებელი რეაბილიტაციის მიზნისათვის[175]. ასევე გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის კეთილსინდისიერებაზე ხდება დამოკიდებული გადახდისუუნარო საწარმოს უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ქონების შენარჩუნების საკითხი[176]. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ რეაბილიტაციის მმართველი წინააღმდეგია ქონების რეალიზაციისა, ხდება მტკიცების ტვირთის შებრუნება და გადახდისუუნარობის პრაქტიკოსია ვალდებული, ამტკიცოს ქონების საჭიროება[177].

მოვალის ქონების დაცვის ინტერესიდან გამომდინარე, გადახდისუუნარობის საქმისწარმოებას აქვს ე.წ. „გამყინავი ეფექტი", ჩერდება საპროცესო და აღსრულებითი ყადაღებიც კი[178], შესაბამისად, ცალკეულ კრედიტორებს, თუნდაც უზრუნველყოფის საგნების გამოყოფისა და რეალიზაციის უფლება უნდა შეეზღუდოთ. „გადახდისუუნარობის კანონები, რომლებიც საწარმოს გადარჩენას ისახავს მიზნად, სულ მცირე, იმის შესაძლებლობას უშვებს, რომ დატვირთული ნივთებიც გადახდისუუნარობის მასაში დარჩეს. აქედან გამონაკლისის დაშვება იმ კრედიტორთა სასარგებლოდ შეიძლება მოხდეს, რომლებიც დაასაბუთებენ, რომ უზრუნველყოფის საგანი (ნივთი) საწარმოს ფუნქციონირებისთვის საჭირო არ არის"[179].

ზოგიერთი სამართლებრივი სისტემის თანახმად, კრედიტორთა გადაწყვეტილებით შესაძლოა მოხდეს უზრუნველყოფის საგნების ჩანაცვლება, ქონებაზე

---

175 საქართველოს კანონი, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ", მუხ. 87.1.

176 იქვე, მუხ. 87.2.

177 იქვე, მუხ. 87.2.

178 ქეთევან მესხიშვილი, გიორგი ბათლიძე, ნანა ამისულაშვილი, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიუდი დაკმაყოფილების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით, 41.

179 იქვე, 48.

უზრუნველყოფის მოხსნა ნაღდი ფულის გადახდის სანაცვლოდ, ან/და ქონების კრედიტორის საკუთრებაში გადაცემა, თუმცა ამ გადაწყვეტილებებს სჭირდება დამტკიცება სასამართლოს მხრიდან[180].

კანონმდებლობა შესაძლოა, ითვალისწინებდეს პროცენტის[181] დარიცხვას აღსრულების შეჩერების პერიოდისათვის[182]. ეს მიდგომა გაიზიარეს ქართული საკანონმდებლო რეფორმის დროსაც, რომლის მიხედვითაც, ჩერდება პროცენტის გადახდა, თუმცა დარიცხვა გრძელდება და აისახება მოთხოვნებში[183].

ახალი კანონი, ფაქტობრივად, გამორიცხავს რეაბილიტაციის პროცესით უზრუნველყოფილ კრედიტორთა უფლებრივი მდგომარეობის გაუარესებას. რეაბილიტაციის პროცესში გრძელვადიანი[184] უზრუნველყოფილი ვალდებულებები სრულდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და ეს პირობები შესაძლოა, შეიცვალოს მხოლოდ უზრუნველყოფილი კრედიტორის სასარგებლოდ[185]. ხოლო გაკოტრების დროს უზრუნველყოფის საგნის რეალიზაცია ხდება არა აუქციონზე, ან/და გაკოტრების მმართველის შეხედულების შესაბამისად, არამედ უზრუნველყოფის ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით[186].

შესაბამისად, რეფორმამ შეზღუდა მანამდე არსებული უზრუნველყოფილ კრედიტორთა განუსაზღვრელი უფლებამოსილება გადახდისუუნარობის პროცესის მართვაში. თუმცა, უფლებრივად უზრუნველყოფილ კრედიტორთა

---

[180] Moritz Brinkmann, The Position of Secured creditors in Insolvency, 269.

[181] პროცენტის გადახდასთან დაკავშირებით იხ. Moore v Bay, US Spreme Court, https://supreme.justia.com/cases/federal/us/284/4/, ასევე Orix Credit Alliance ivc. V. delta Desources Inc.

[182] Horst Eidenmuller, Secured Creditors in Insolvency Proceedings, 278 https://heinonline.org.

[183] საქართველოს კანონის, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 55.1 „ვ“.

[184] იგულისხმება 5 წელზე მეტი ვადით დადებული ვალდებულებითი ურთიერთობა.

[185] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 87.3.

[186] იქვე, მუხ.105.

მდგომარეობის გაუარესება[187] რეაბილიტაციის მიზნებისთვის, თუნდაც საჯარო ინტერესი აღემატებოდეს კერძოს, ფაქტობრივად, შეუძლებელია. სასურველია, ახალი კანონით გათვალისწინებული ყოფილიყო უზრუნველყოფილი კრედიტორების ვალდებულება, მიეღოთ შესაბამისი ზომები უზრუნველყოფის საგნის საუკეთესო ფასად რეალიზაციისათვის[188]. თანამედროვე მიდგომის თანახმად, მტკიცების ტვირთი უზრუნველყოფილ კრედიტორებზეა განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა გასხვისება ხორციელდება დაკავშირებულ პირებზე[189].

### 3.1.2 პრივილეგირებული კრედიტორები

პრივილეგირებული კრედიტორები შეიძლება ეწოდოს კრედიტორთა ჯგუფს, რომელთა დაკმაყოფილება ხდება სხვა კრედიტორებთან შედარებით უპირატესად, მათი მოთხოვნის ბუნებიდან გამომდინარე[190], ასეთები არიან, მაგალითად, გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტები, გადახდისუუნარობის საქმისწარმოებასთან დაკავშირებული ხარჯები. ტერმინს „პრივილეგირებული მოთხოვნები" „გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ" საქართველოს კანონი არ იყენებდა, თუმცა ზემოხსენებული კრედიტორები უპირატესად კმაყოფილდებიან. ახალმა კანონმა გაითვალისწინა „პრეფერენციული მოთხოვნების" და „პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნების" ცნება. ამ კრედიტორთა ჯგუფს ნაშრომის ცალკე ქვეთავი აქვს დათმობილი.

---

187 მაგალითად, ვალდებულებების გადავადება ან რეალიზაციის განსხვავებული მეთოდის შერჩევა.

188 Eugenio Vaccari, Promoting fairness in English Insolvency valuation cases, 291 https://onlinelibrary.wiley.com/doi/epdf/10.1002/iir.1382.

189 Philbin v Davies, Hight Court of Justice Business and Property Court in Manchester, 2018, case N0128 of 2018, https://www.casemine.com/judgement/uk/5cb02e812c94e02c1b892d9a.

190 Lynn M. LoPucki, The unsecured Creditor's Bargain, http://webbrd.com/Articles%20and%20Manuscripts/The%20Unsecured%20Creditor's%20Bargain.pdf.

ლოგიკურია უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი მოთხოვნების გაერთიანება პრივილეგირებულ ჯგუფში[191], თუმცა პრაქტიკულად რთულია გამიჯვნა. თუკი არსებობს სასამართლო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომ მოთხოვნა მართლაც უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარეობს, მაშინ შესაძლებელია, ამგვარი კრედიტორების უპირატესად დაკმაყოფილება. თუმცა, თუ გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყების დროისათვის ჯერ არ არის დადგენილი, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია უსაფუძვლო გამდიდრება, მაშინ უმჯობესია ასეთი კრედიტორები საერთო წესით განიხილებოდნენ.

გადახდისუუნარობის საქმისწარმოების ხარჯების შემდეგ უპირატესად კმაყოფილდება გადახდისუუნარობის დაწყების შემდეგ მოვალის მიმართ წარმოშობილი ვალდებულებები[192]. ამ მხრივ, ქართული კანონმდებლობა შეესაბამება თანამედროვე გადახდისუუნარობის საუკეთესო პრაქტიკას, რადგან ითვლება, რომ ახალი ვალდებულებების უპირატესი დაკმაყოფილება ხელს უწყობს გადახდისუუნარო საწარმოში ინვესტიციების მოზიდვას და ზრდის საწარმოს გადარჩენის შანსს[193]. განვითარებული ქვეყნების დიდი ნაწილი — საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, ლიეტუვა ახალი ვალდებულებების გასტუმრებას სხვა არაუზრუნველყოფილ მოთხოვნებზე ადრე ითვალისწინებს, ხოლო პორტუგალია ახალ მოთხოვნებს უპირატესობას ანიჭებს უზრუნველყოფილ კრედიტორებთან შედარებითაც. რაც შეეხება აშშ-ის მიდგომას, თუ ახალი ვალდებულება წარმოშობილია საწარმოს ჩვეული საქმიანობით, მაშინ მას ავტომატურად ენიჭება უპირატესობა, ხოლო თუ განსხვავებული საქმიანობის შედეგია, მაშინ სასამართლომ უნდა მიიღოს ამგვარი ახალი ვალდებულების პრიორიტეტულად

[191] SooGeu Oh, Heejong Song, Priority in Insolvency Proceedings, 11.

[192] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ, მუხ.104.1 „ბ“, მუხ. 40 „ბ“.

[193] Gerard McCormack, Andrew Keasy, Sarah Brown and Judith Dahlgreen, Study on a new approach to business failure and insolvency, Comparative legal analysis of the Member States' relevant provisions and practices, 134.

დაკმაყოფილების გადაწყვეტილება[194]. ევროპული დირექტივის თანახმად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ახალი დაფინანსების განსაკუთრებული დაცულობა[195].

ცალკე ჯგუფია ე.წ „გამოყოფის უფლების მქონე კრედიტორები", როდესაც ქონება, რომელზეც ისინი გამოთქვამენ პრეტენზიას, არ უნდა იქნეს შეტანილი სამეურვეო ქონებაში[196]. ეს ის შემთხვევებია, როცა გადახდისუუნარო საწარმოში არსებული მოძრავი ნივთი სხვისი საკუთრებაა. მაგალითად, აღნიშნული ქონება მოვალესთან იმყოფება იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, ანდა ნივთი შეიძინა გადახდისუუნარო საწარმომ, თუმცა მისი საფასური არაა გადახდილი, კონტრაქტის მიხედვით კი საკუთრება შემძენზე გადადის საფასურის გადახდის შემდეგ. ე.წ. „გამოყოფის უფლების მქონე კრედიტორებს" უფლება აქვთ, მიმართონ გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტს და მოსთხოვონ იმ ნივთების სამეურვეო ქონებიდან გამოცალკევება, რაზეც თვითონ აცხადებენ პრეტენზიას.

საკანონმდებლო რეფორმამდე „გამოყოფის უფლების მქონე კრედიტორთა" საკითხს ქართული კანონმდებლობა განიხილავდა განსჯადობის ჭრილში[197]. კრედიტორთა გამოყოფისა და შესაბამისი ნივთების სამეურვეო ქონებიდან გამოცალკევების საკითხზე გადაწყვეტილება მიიღებოდა კრედიტორთა კრებაზე, მას შემდეგ, რაც მეურვე მოამზადებს და წარადგენს შესაბამის დასკვნას[198]. ამასთან, საკითხის განხილვისას ხმის მიცემის უფლება არ ჰქონდა „გამოყოფის უფლების მქონე კრედიტორს" ან/და მასთან დაკავშირებულ პირს[199].

---

[194] იქვე, 135.

[195] DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring, insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency) art 19 .

[196] SooGeu Oh, Heejong Song, Priority in Insolvency Proceedings, 11.

[197] საქართველოს კანონი, „გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ" მუხ.4.

[198] იქვე, მუხ. 26.2 „მ".

[199] იქვე, მუხ.27.5, 27.6.

მიზანშეწონილია, რომ ამ საკითხზე გადაწყვეტილებას იღებდეს არა კრედიტორთა კრება, არამედ გადახდისუუნარობის მმართველი, როგორც ეს ახალი კანონით არის განსაზღვრული[200], რადგან თითოეული კრედიტორის მიერ ინფორმირებული და არგუმენტირებული გადაწყვეტილების მიღების ალბათობა მცირეა, ხოლო ქონებაზე არაარგუმენტირებულად დავის გაგრძელება კი აჭიანურებს გადახდისუუნარობის პროცესს.

რეფორმის შემდეგ ევროპული ქვეყნების მიდგომა იქნა გათვალისწინებული „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ" კანონით, რომელიც სანივთო ან ვალდებულებითი უფლების საფუძველზე „გამოყოფის უფლების მქონე კრედიტორების" ქონებას აცალკევებს გადახდისუუნარობის მასიდან[201]. ამასთან, გადახდისუუნარობის მასაში არ შედის „პირობადებული საკუთრების ობიექტი ან ლიზინგის საგანი, რომლის შესყიდვის უფლებაც აქვს მოვალეს"[202]. ეს ქონება მხოლოდ მმართველის/ზედამხედველის გადაწყვეტილებით შეიძლება დარჩეს მოვალის სარგებლობაში, თუკი ეს აუცილებელია რეაბილიტაციის მიზნებისთვის, ამასთან კონტრაქტორის მოთხოვნები უნდა შესრულდეს კონტრაქტითა და კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### 3.1.3 დაქვემდებარებული კრედიტორები

დაქვემდებარებული კრედიტორები, არიან საწარმოს პარტნიორები, რომლებთანაც არსებობს ვალდებულებითი ურთიერთობები. დაქვემდებარებული კრედიტორები უნდა დაკმაყოფილდნენ ყველა სხვა კრედიტორის გასტუმრების შემდეგ. გამონაკლისია შემთხვევა, თუ პარტნიორი ფლობს საწარმოს წილის 10%-ზე ნაკლებს. ამ ჯგუფში არ განიხილებიან კრედიტორები, რომლებმაც

[200] იქვე, მუხ. 60.3, 60.4.
[201] იქვე, მუხ.60.1.
[202] იქვე, მუხ. 59.2.

განახორციელეს საწარმოში ინვესტიცია გადახდისუუნარობის საქმისწარმოების გახსნის შემდეგ[203].

პარტნიორ-კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება დამოკიდებულია იმაზე, უზრუნველყოფილია თუ არა მათი მოთხოვნა. უზრუნველყოფის შემთხვევაში, მათი გასტუმრება ხდება სხვა უზრუნველყოფილი კრედიტორების მსგავსად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ გარიგება საეჭვოდ იქნება მიჩნეული[204].

ახალმა კანონმა გაითვალისწინა „დაქვემდებარებული კრედიტორების" სხვა კრედიტორთა შემდეგ დაკმაყოფილების თანამედროვე მიდგომა, თუმცა დაქვემდებარებულად აღიარა დივიდენდის გადახდის, აქციათა გამოსყიდვის ან შენატანის დაბრუნების ვალდებულებები[205] და აღნიშნულ ჩამონათვალში არ გაითვალისწინა პარტნიორთა სესხები[206].

ზოგიერთი ქვეყანა, მაგალითად გერმანია, ავსტრია, ესპანეთი, შვედეთი, იტალია ითვალისწინებს ე.წ. „სამართლიანი დაქვემდებარების" დოქტრინას, რომლის მიხედვითაც პარტნიორის სესხი იგივდება პარტნიორთა შენატანთან, ამიტომ ამგვარი ვალდებულების დაფარვა ხდება სხვა კრედიტორების შემდეგ[207]. ამასთან, რეაბილიტაციის პროცესში რესტრუქტურიზაციას პირველ რიგში სწორედ პარტნიორების წინაშე არსებული ვალდებულებები ექვემდებარება.

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ" საქართველოს კანონი მოვალესთან

[203] Gerard McCormack, Andrew Keasy, Sarah Brown and Judith Dahlgreen, Study on a new approach to business failure and insolvency, Comparative legal analysis of the Member States' relevant provisions and practices, 109.

[204] Moritz Brinkmann, The Position of Secured creditors in Insolvency, 255.

[205] საქართველოს კანონი, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ", მუხ. 104.1.

[206] ამასთან, პარტნიორებზე გაცემული სესხები მხედველობაში არ მიიღება გადახდისუუნარობის დადგენის მიზნებისთვის. იხ. საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ", მუხ. 7.3 „ა".

[207] Gerard McCormack, Andrew Keasy, Sarah Brown and Judith Dahlgreen, Study on a new approach to business failure and insolvency, Comparative legal analysis of the Member States' relevant provisions and practices, 133.

დაკავშირებულ პირებს არ ანიჭებს ხმის უფლებას რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცების დროს[208]. საკითხს, არის თუ არა პირი კრედიტორთან დაკავშირებული, წყვეტს რეაბილიტაციის მმართველი/ ზედამხედველი, ამასთან კანონი გვთავაზობს განმარტებას ვინ შეიძლება ჩაითვალოს დაკავშირებულ პირად[209].

ახალმა კანონმა გაითვალისწინა „არაპრივილეგირებული მოთხოვნის" ცნება, ეს არის მოთხოვნები, რომლის არაპრივილეგირებულად დაკმაყოფილებაზეც მოვალე და კრედიტორი წინასწარ შეთანხმდებიან[210]. სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში შესაძლებელია ამგვარი შეთანხმების არსებობა, თუმცა არსებობს ამ ნოვაციის დომინანტი მხარის მიერ ბოროტად გამოყენების რისკი, მაგალითად ხელშეკრულების სტანდარტული პირობის[211] სახით. ასევე რეგულირების გარეშე არის დარჩენილი საკითხი, შესაძლებელია თუ არა, მხარეები შეთანხმდნენ პრეფერენციული მოთხოვნების არაპრივილეგირებულად დაკმაყოფილებაზე. ამგვარი შესაძლებლობა უარყოფით გავლენას იქონიებს შრომითი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, ვინაიდან დამქირავებელი შრომითი კონტრაქტის გაფორმებისას შეეცდება პრეფერენციული მოთხოვნა აქციოს არაპრივილეგირებულად.

### 3.1.4 თანამშრომლები, როგორც კრედიტორები

მთავარი ხარვეზი, რომელიც აღმოიფხვრა საკანონმდებლო რეფორმის შედეგად პრივილეგირებულ კრედიტორებთან დაკავშირებით, შეეხება შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნებს.

---

208 საქართველოს კანონი, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ", მუხ. 82.10.
209 იქვე, მუხ. 3. „ს".
210 იქვე მუხ. 3 „ც".
211 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 342, https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=111.

ევროპული ქვეყნების მიდგომის თანახმად, შრომითი ურთიერთობიდან წარმოშობილი კრედიტორები სარგებლობენ უპირატესობით. განსხვავებულია ამ უპირატესობების ხარისხი. როგორც წესი, მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება ხდება გადახდისუუნარობის ხარჯებისა და უზრუნველყოფილი კრედიტორების დაკმაყოფილების შემდეგ. თუმცა რიგ ქვეყნებში, მაგალითად, საფრანგეთი, პორტუგალია, იტალია, საბერძნეთი, გადახდისუუნარო საწარმოს მხრიდან სახელფასო დავალიანებების გასტუმრება ხდება უპირატესად უზრუნველყოფილ კრედიტორებთან შედარებით[212]. ეს მიდგომა გამართლებულია იმით, რომ გადახდისუუნარო საწარმოს თანამშრომლები, სამსახურის დაკარგვის გამო, ისედაც მძიმე ვითარებაში აღმოჩნდებიან. რაც ახალი სამსახურის ძებნასთან, საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული[213].

თანამშრომელი კრედიტორებისათვის სხვა კრედიტორებთან შედარებით უპირატეს დაკმაყოფილებაზე უფრო ხელსაყრელია მათი დაკმაყოფილება სოციალური, საგარანტიო ფონდებიდან, რომლებიც განვითარებულ ქვეყნებში სპეციალურად იქმნება გადახდისუუნარო საწარმოს თანამშრომელთა ინტერესების დასაცავად[214]. ასეთ შემთხვევაში, თანამშრომლებს აღარ უწევთ გადახდისუუნარობის პროცედურების ლოდინი და გადახდისუუნარობის საქმისწარმოების აღძვრასთან ერთად აქვთ საკუთარი მოთხოვნების საგარანტიო ფონდიდან დაკმაყოფილების საშუალება. საგარანტიო ფონდების შექმნის ვალდებულებას ითვალისწინებს ევროკავშირის 2008/94/EC დირექტივა[215].

---

[212] Federico M. Macciarelli, Employee Insolvency Priorities and Employment Protection in France, Germany and United Kingdam, 257, https://onlinelibrary.wiley.com/doi/pdf/10.1111/jols.12025.

[213] Gerard McCormack, Andrew Keasy, Sarah Brown and Judith Dahlgreen, Study on a new approach to business failure and insolvency, Comparative legal analysis of the Member States' relevant provisions and practices, 126.

[214] SooGeu Oh, Heejong Song, Priority in Insolvency Proceedings, 11.

[215] Directive 2008/94/EC of the European Parliament and the Council of 22 October 2008 On the Protection of Employees in the Event of the Insolvency of their Employer, https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32008L0094&from=EN.

დირექტივის მოთხოვნით წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ საგარანტიო ინსტიტუტების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ გადახდისუუნარო საწარმოს თანამშრომელთა მოთხოვნების გონივრულ ვადაში დაკმაყოფილებას, კონტრაქტის შეწყვეტის გამო გადასახდელი კომპენსაციის ჩათვლით[216]. წევრმა სახელმწიფოებმა შესაძლებელია, შეზღუდონ საგარანტიო ფონდიდან ასანაზღაურებელი სახელფასო მოთხოვნის დაკმაყოფილების პერიოდი, მაგრამ ეს უნდა იყოს არანაკლებ 3 (სამი) თვისა[217]. ამასთან, საგარანტიო ინსტიტუტების კაპიტალი უნდა იყოს დამოუკიდებელი დამსაქმებლის საოპერაციო კაპიტალიდან და მისი შევსება უნდა ხდებოდეს დამსაქმებლის მიერ (თუ კაპიტალის შევსებას არ უზრუნველყოფს წევრი სახელმწიფო თავად)[218].

ლატვიაში გადახდისუუნარო საწარმოს თანამშრომელთა ანაზღაურების საკითხები რეგულირდება სპეციალური კანონით „გადახდისუუნარო საწარმოში თანამშრომელთა უფლებების დაცვის შესახებ“[219]. აღნიშნული კანონი არეგულირებს თანამშრომლების, როგორც კრედიტორების დაკმაყოფილების წესს, ასანაზღაურებელი თანხების ოდენობას, სპეციალური ფონდის შექმნისა და ფუნქციონირების საკითხებს. კანონის თანახმად, გადახდისუუნარო საწარმოს თანამშრომელთა დაკმაყოფილება ხდება „თანამშრომელთა მოთხოვნების დაკმაყოფილების ფონდიდან“[220]. ეს ფონდი იქმნება საწარმოების მიერ ჩარიცხული თანხების, ადმინისტრატორთა მიერ მოზიდული თანხებისა და დოტაციების შედეგად. ფონდში მოზიდული სახსრები ინახება სახელმწიფო ხაზინაში და ემსახურება გადახდისუუნარო საწარმოს თანამშრომლების სახელფასო დავალიანების, ყოველწლიური შვებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. ფონდს ხელმძღვანელობს გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტი, რომელიც იღებს, ამოწმებს და აკმაყოფილებს

---

216 იქვე.
217 იქვე, art. 4.2.
218 იქვე, art. 5.
219 Insolvency Law of Latvia, file:///C:/Users/User/Downloads/insolvencty_law_2010.pdf.
220 იქვე, art 73.

გადახდისუუნარო საწარმოთა თანამშრომლების მოთხოვნებს. მოთხოვნების შემოწმება ხდება გადახდისუუნარო საწარმოს ადმინისტრატორთან, რომელიც ვალდებულია 15 დღის ვადაში სრულად ან ნაწილობრივ დაეთანხმოს თანამშრომლის მოთხოვნას, ან უარყოს იგი[221]. ამასთან, გადახდისუუნარო საწარმო ვალდებულია, ფონდს აუნაზღაუროს თავისი თანამშრომლისათვის გადახდილი თანხები[222].

2008 წელს გადახდისუუნარობის კანონმდებლობის რეფორმის ფარგლებში, კანადაში ძალაში შევიდა კანონი „ხელფასის მაძიებელთა დაცვის ღონისძიებების შესახებ“[223]. აღნიშნული დოკუმენტის მიზანი არის გადახდისუუნარო საწარმოს თანამშრომლების უფლებების დაცვა. დოკუმენტის თანახმად, გადახდისუუნარო საწარმოს თანამშრომლები გადახდისუუნარობის საქმისწარმოების გამოცხადების შემდეგ მიმართავენ შრომის სამინისტროს მისაღები ხელფასის, მგზავრობის ხარჯების ან/და შვებულების ასანაზღაურებლად. გადახდისუუნარო საწარმოს თანამშრომლების ასანაზღაურებელი ფონდი საპენსიო ფონდისაგან დამოუკიდებლად არსებობს და გადახდისუუნარო საწარმოების უმუშევრად დარჩენილი თანამშრომლების ინტერესების დაცვას უზრუნველყოფს[224].

ინგლისში გადახდისუუნარო საწარმოს თანამშრომელთა ანაზღაურების საკითხს არეგულირებს „თანამშრომელთა უფლებების აქტი“[225]. არსებული შერეული სისტემის თანახმად, სარეზერვო ფონდებიდან ფინანსდებიან ფონდის შექმნაში მონაწილე კომპანიის თანამშრომლები, რომლებიც 2 წელზე მეტია დასაქმებულნი არიან აღნიშნულ საწარმოში. მაქსიმალური ასანაზღაურებელი თანხა დადგენილია კვირაში 489 ფუნტის

[221] იქვე, art 75.6.

[222] Law on Protection of Employees in Case of Insolvecny of Employer, https://vvc.gov.lv › image › catalog › dokumenti.

[223] Wage Earner Protection Program Regulations, http://laws-lois.justice.gc.ca/eng/regulations/SOR-2008-222/page-1.html#docCont.

[224] იქვე.

[225] Employment Right Act, 1996, http://www.legislation.gov.uk/ukpga/1996/18/contents.

ოდენობით[226]. თანამშრომელს შეუძლია, მიმართოს ფონდს ანაზღაურების მისაღებად, თუკი საწარმო გადახდისუუნაროა ან/და უარს აცხადებს თანამშრომლისთვის ანაზღაურების გადახდაზე და თანამშრომელმა ყველა საჭირო ზომას მიმართა ანაზღაურების მისაღებად. „ყველა საჭირო ზომა“ განისაზღვრება კონკრეტული შემთხვევებიდან გამომდინარე. გადახდისუუნარო საწარმოს ქონებიდან თანამშრომელთა ანაზღაურების დროს მათი დაკმაყოფილება ხდება პრიორიტეტულად, უზრუნველყოფილი კრედიტორებისა და საპროცესო ხარჯების გასტუმრების შემდეგ[227].

2006 წელს ინგლისში მიიღეს დოკუმენტი „მიმდინარე რეგულაციების გადაცემის შესახებ“[228], რომელიც გადახდისუუნარობის დროს საწარმოს მთლიანად გასხვისებისას თანამშრომელთა უფლებების დაცვას ემსახურება. რიგ შემთხვევებში, საწარმოს გადარჩენის ინტერესი თანამშრომელთა ინტერესებს უპირისპირდება, ვინაიდან რაც მეტია თანამშრომელთა რაოდენობა და მათი ანაზღაურება, მით უფრო ნაკლებად არის შესაძლებელი საწარმოს დანახარჯების შემცირება. ამიტომ, თანამშრომელთა უფლებების დასაცავად შემოღებულია რეგულაცია, რომლის თანახმადაც, საწარმოს ერთიანად გასხვისების შემთხვევაში, მყიდველზე გადადის მოქმედი შრომითი კონტრაქტები არსებული სახით და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ენიჭება გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტს ამ კონტრაქტების შეწყვეტის უფლება[229].

კანონმდებლობაში არსებობს განსხვავებული სქემები გადახდისუუნარო საწარმოს თანამშრომლების დაკმაყოფილების საკითხის დასარეგულირებლად. ნაწილი ქვეყნებისა (მაგ., გერმანია) თანამშრომლებს არ მიიჩნევს უპირატეს კრედიტორებად, სამაგიეროდ, არსებობს სოციალური ფონდები, რომლებიც უზრუნველყოფენ თანამშრომელთა მოთხოვნების

[226] იქვე.
[227] Employment Rights and Insolvency, https://www.parliament.uk/commons-library.
[228] The Transfer of Undertakings (protection of Employment) Regulations 2006, N246, http://www.legislation.gov.uk/uksi/2006/246/contents/made.
[229] Rebecca Parry, Treatment of Employee Claims in Insolvenc, https://heinonline.org.

დაკმაყოფილებას[230]. არსებობს შერეული სისტემები (მაგ., ინგლისი), სადაც თანამშრომლების დაკმაყოფილება ხდება სხვა კრედიტორებზე უპირატესად, თუმცა უზრუნველყოფილი კრედიტორების შემდეგ და ამავე დროს სოციალური ფონდები უნაზღაურებენ თანამშრომლებს მოთხოვნებს. მესამე სისტემის თანახმად (მაგ., საფრანგეთი), თანამშრომლები სარგებლობენ აბსოლუტური უპირატესობით და მათი დაკმაყოფილება ხდება უზრუნველყოფილ კრედიტორებზე ადრე. თანამედროვე შეხედულების თანახმად, სოციალური დაცვისა და უპირატესი დაკმაყოფილების ერთობლივად არსებობა არაა მიზანშეწონილი[231].

თანამშრომელთა უპირატესი დაკმაყოფილების შედეგად, როგორც წესი, აღარ რჩება სახსრები არაუზრუნველყოფილი კრედიტორების დასაკმაყოფილებლად, ამავე დროს სპეციალური სოციალური ფონდების შევსება ძირითადად ხდება სწორედ კრედიტორების ხარჯზე, შესაბამისად, გამოდის, რომ არაუზრუნველყოფილი კრედიტორები ასეთი სისტემის არსებობის პირობებში ორმაგად ზარალდებიან[232]. საკანონმდებლო ცვლილებებამდე გერმანიაში გადახდისუუნარო საწარმოს თანამშრომლების დაცვა ხდებოდა სხვა კრედიტორებთან შედარებით მათი უპირატესი დაკმაყოფილების ხარჯზე, თუმცა ეს მიდგომა შეიცვალა და დღეს თანამშრომელთა უფლებების დაცვა სოციალური ფონდების მეშვეობით ხდება[233].

თანამშრომელთა უფლებების დაცვის ორივე სისტემა ეფექტურია თანამშრომელთა, როგორც კრედიტორთა უფლებების დაცვისათვის. თუმცა ვინაიდან ევროპული დირექტივების რეკომენდაცია ითვალისწინებს სოციალური ფონდების მეშვეობით თანამშრომელთა უფლებების დაცვას, კანონმდებლობის რეფორმის

[230] Federico M. Macciarelli, Employee Insolvency Priorities and Employment Protection in France, Germany and United Kingdam, 257, https://onlinelibrary.wiley.com/doi/pdf/10.1111/jols.12025.
[231] იქვე, 247.
[232] იქვე, 257.
[233] იქვე, 257.

პირობებში, ამ უკანასკნელი მიდგომის დანერგვა იქნებოდა უმჯობესი.

„გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ საქართველოს კანონი“ არ განიხილავდა შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნებს პრივილეგირებულ კრედიტორთა შორის. ისევე როგორც არ არსებობს სპეციალური ფონდები გადახდისუუნარობის საწარმოს კრედიტორთა სახელფასო თუ სხვა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. შრომით მოთხოვნებთან დაკავშირებით, კანონმდებელი მხოლოდ მწირი რეგულაციით შემოიფარგლებოდა და ადგენდა, რომ რეაბილიტაციის გეგმით შესაძლოა, გათვალისწინებულიყო სოციალურ მოთხოვნათა უპირატესი დაკმაყოფილება[234].

სოციალურ მოთხოვნათა მიმართ გადახდისუუნარობის კანონის ამგვარი ნიჰილისტური დამოკიდებულება განსხვავდება სხვა კანონებით შემოთავაზებული რეგულაციებისგანაც. მაგალითად, იძულებითი აღსრულების დროს, როდესაც რეალიზებული ქონებით ხდება რამდენიმე კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება, პრივილეგირებულ კრედიტორთა სიაშია შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნები[235].

ევროპული ქვეყნების მიდგომის ანალიზი ცხადყოფს, რომ საკანონმდებლო რეფორმამდე მოქმედი კანონმდებლობა სრულიად უგულებელყოფდა შრომითი ურთიერთობიდან წარმოშობილი მოთხოვნების თავისებურებას და არ შეესაბამება ევროპულ რეგულაციებს.

შესაბამისად, ეს მიდგომა შეიცვალა ახალი კანონით, რომელიც სამი თვის სახელფასო და შვებულების ხარჯებს, ასევე საწარმოო ტრავმის გამო გადასახდელებს „პრეფერენციულ მოთხოვნებად“ ითვალისწინებს და მათი დაკმაყოფილება ხდება სხვა არაუზრუნველყოფილ კრედიტორებზე უპირატესად[236].

---

[234] საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ“, მუხ. 46.5.1.

[235] საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, მუხ. 82$^{3}$.2 „ბ“.

[236] საქართველოს „კანონი რეაბილიტაციისა და მოვალეთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ.3 „შ“, 104.

ამასთან, დაუშვებელია რეგულირებადი შეთანხმებით, ისევე, როგორც რეაბილიტაციის გეგმით ზემოხსენებული პრიორიტეტის დარღვევა და თავად პრეფერენციულ მოთხოვნათა არაპროპორციული დაკმაყოფილება, თუკი აღნიშნულს არ დაეთანხმებიან თავად შესაბამისი კრედიტორები[237]. თუმცა, მაქსიმალური პრეფერაციული მოთხოვნა შემოთავაზებული კანონით შეადგენს 1000 ლარს, რაც ძალიან მცირეა, არამხოლოდ ევროპული ქვეყნების მაგალითზე, არამედ საქართველოში რეალურად არსებული სახელფასო განაკვეთის გათვალისწინებითაც[238].

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ" კანონი შრომითი პოლიტიკის წარმართვის უფლებამოსილებას გადახდისუუნარობის საქმისწარმოების პრაქტიკოსებს ანიჭებს[239]. თუმცა არ ითვალისწინებს სპეციალური რეგულაცია გადახდისუუნარობის პირობებში შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას. შესაბამისად, ამ შემთხვევაში, ხელსაყრელია შრომის სამართლის კოდექსის 47.1. „ა" მუხლის გამოყენება, რომელიც შეეხება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ისეთ საფუძველს, როგორიცაა „ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას"[240].

ევროპული დირექტივა არამხოლოდ იზიარებს თანამშრომელთა უპირატეს დაკმაყოფილებას, არამედ ემხრობა მათ მეტად ჩართულობას პროცესის წარმართვაში, რისთვისაც წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს რეგულაციებისაკენ, რომელიც ხელს შეუწყობს თანამშრომლების წვდომას ინფორმაციაზე, მათ შორის,

---

[237] იქვე, მუხ. 35.7, 83.2.

[238] სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2018 წლის მონაცემებით საქართველოში საშუალო ხელფასი შეადგენს 1068,3 ლარს, https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi.

[239] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და მოვალეთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ", მუხ.75.4 „კ", 100.2 ‚ვ".

[240] საქართველოს შრომის კოდექსი, მუხ. 47.1 „ა", https://matsne.gov.ge/document/view/1155567?publication=20.

ფინანსურ ინფორმაციაზე, რეაბილიტაციის პროცესის დროულად დასაწყებად[241].

### 3.1.5 საგადასახადო — როგორც კრედიტორი

საკანონმდებლო რეფორმამდე კანონმდებლობა საგადასახადო ორგანოებს უპირატესობას ანიჭებდა სხვა არაუზრუნველყოფილ კრედიტორებთან შედარებით[242]. მსგავს მიდგომას არაერთი განვითარებული სახელმწიფო იზიარებს. აშშ-ში, ისევე, როგორც ნორვეგიაში, საგადასახადო მოთხოვნები სხვა არაუზრუნველყოფილ მოთხოვნებზე წინ კმაყოფილდება[243]. ამ მიდგომას, ერთი მხრივ, ბიუჯეტში თანხების მოზიდვის მიზანშეწონილობით ხსნიან, ხოლო მეორე მხრივ, იმ გარემოებით, რომ საგადასახადო ვალდებულებები არასახელშეკრულებო ვალდებულებებია — არ არის მხარეთა ნებაზე და სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპზე დამოკიდებული და ამიტომ პრიორიტეტულად უნდა დაკმაყოფილდეს[244].

საგადასახადოსთვის პრიორიტეტის მინიჭების ზემოხსენებული მიდგომა მოძველებულია. კრედიტორთა მიმართ არათანაზომიერი და უსამართლო მოპყრობის გარდა, კვლევებმა დაადასტურა, რომ საგადასახადოს პრიორიტეტულად დაკმაყოფილება ეკონომიკის განვითარებისთვისაც არაეფექტურია. საგადასახადოსთვის პრიორიტეტის მინიჭებისა და ბიუჯეტში თანხების მოზიდვაზე მეტად მიზანშეწონილია, გადახდისუუნარო საწარმოს კრედიტორები მაქსიმალურად დაკმაყოფილდნენ, რათა

---

[241] DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring, insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency) Recital 24.

[242] საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ“, მუხ. 40.1 „ე“.

[243] Gerard McCormack, Andrew Keasy, Sarah Brown and Judith Dahlgreen, Study on a new approach to business failure and insolvency, Comparative legal analysis of the Member States' relevant provisions and practices, 129.

[244] იქვე, 129.

შეძლონ თავისი ბიზნესის გაგრძელება და განვითარება, რასაც შედეგად ეკონომიკის განვითარება და ბიუჯეტის ზრდა მოჰყვება[245]. შესაბამისად, ბევრმა ქვეყანამ — მათ შორის, გერმანიამ, ავსტრიამ, გაერთიანებულმა სამეფომ, ხორვატიამ, ჩეხეთმა, ესტონეთმა, ფინეთმა, შვედეთმა — უარი თქვა საგადასახადო მოთხოვნებისათვის პრიორიტეტის მინიჭებაზე[246].

აღნიშნულის გათვალისწინებით, რეფორმის ფარგლებში გადაიხედა გადახდისუუნარობის შესახებ საქართველოს კანონის მიდგომა საგადასახადოს სხვა არაუზრუნველყოფილ კრედიტორებზე უპირატესად დაკმაყოფილების შესახებ. ამ უპირატესობის მინიჭება უსამართლოა იმიტომაც, რომ საგადასახადოს ბევრად მეტი ბერკეტი გააჩნია, აკონტროლოს საწარმოს საქმიანობა და ფინანსები, ვიდრე სხვა ჩვეულებრივ კრედიტორს. გარდა მიმდინარე საგადასახადო ანგარიშგებისა, მოვალეს ეკისრება ვალდებულება, გაკოტრების დაწყებისთანავე წარუდგინოს საგადასახადოს განვლილი და მიმდინარე საგადასახადო პერიოდების დეკლარაციები, ამ ვალდებულების შეუსრულებლობა კი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას იწვევს[247].

პრაქტიკაში საგადასახადო ორგანოები დავალიანების წარმოშობისთანავე მიმართავენ საგადასახადო იპოთეკა-გირავნობის უფლების გამოყენებას[248]. შესაბამისად, მათი მოთხოვნები პრაქტიკულად წარმოშობისთანავე უზრუნველყოფილ მოთხოვნებად იქცევა[249] და კმაყოფილდება არაუზრუნველყოფილ მოთხოვნებზე წინ, აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, ახალი კანონის მიხედვით, უზრუნველყოფილ კრედიტორებად ითვლებიან მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით

---

[245] იქვე, 130.
[246] იქვე, 129.
[247] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხ. $165^{10}$.
[248] საქართველოს საგადასახადო კოდექსი მუხ. 239.2, https://matsne.gov.ge/document/view/1043717.
[249] საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ“, მუხ. 3.1 „ლ“.

უზრუნველყოფილი მოთხოვნები[250] და არა უზრუნველყოფილი საგადასახადო მოთხოვნები, შესაბამისად, უზრუნველყოფილ საგადასახადო მოთხოვნათა პრიორიტეტულად დაკმაყოფილებას ახალი კანონი არ ითვალისწინებს[251].

ახალი კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ არ ანიჭებს საგადასახადოს პრიორიტეტს სხვა კრედიტორებთან შედარებით (გარდა არაპირდაპირი[252] გადასახადების თანხისა), რაც ფინანსთა მინისტრის განცხადებით, სახელმწიფო უწყებათა კოლაბორაციის შედეგია[253]. როგორც აღინიშნა, ეს ცვლილება პროგრესულია და გადახდისუუნარობის პროცესებზე დადებითად აისახება.

## 3.2 სხვადასხვა რიგის კრედიტორთა დაკმაყოფილების წესი

გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნასთან ერთად, არაუზრუნველყოფილი კრედიტორების დაკმაყოფილება ხდება თანაბრობის საფუძველზე და ყველა გამონაკლისი ამ მიდგომიდან ითვლება პათოლოგიად, თუკი იგი არ არის სათანადოდ არგუმენტირებული[254]. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის[255] მიუხედავად, გადახდისუუნარობის საქმისწარმოების პროცესში, მხარეთა ნებისმიერი დათქმა, რომელიც არაუზრუნველყოფილ კრედიტორთა არათანაბარ პირობებში დაკმაყოფილებას შეეხება, ბათილია, როგორც კანონშეუსაბამო[256].

კრედიტორთა Pari passu დაკმაყოფილება, თავისთავად, მათ სამართლიან დაკმაყოფილებას სრულად ვერ უზრუნველყოფს,

---

[250] იქვე, მუხ.3 „თ“.
[251] იქვე, მუხ.105, 3.
[252] საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, არაპირდაპირი გადასახადებია: დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი, იმპორტის (საბაჟო) გადასახადი, იხ. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხ. 8.3, https://matsne.gov.ge/document/view/1043717?publication=160.
[253] https://1tv.ge/news/ivane-machavariani-gakotrebis-kanontan-dakavshirebuli-cvlilebebi-duing-biznesshi-saqartvelos-shefasebazec-imoqmedebs/.
[254] Rizwaan Jameel Mokal, Priority as Pathology: The Pari Passu Myth, 1-5.
[255] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 319 .
[256] Rizwaan Jameel Mokal Priority as Pathology: The Pari Passu Myth, 1-5.

თუმცა გადახდისუუნარობის სამართალში მას ალტერნატივა არ აქვს[257]. ერთი რიგის კრედიტორთა მოთხოვნების თანაბრად დაკმაყოფილების გარეშე გამოვა, რომ დაკმაყოფილდება ის, ვინც პირველად მიმართავს სასამართლოს. ასეთ შემთხვევაში, გადახდისუუნარობის კანონმდებლობის არსებობას აზრი ეკარგება. ეს კი რთულ ვითარებაში ჩააგდებს, ერთი მხრივ, ფინანსური სიძნელეების მქონე საწარმოებს, რომლებიც კრედიტორთა მრავალრიცხოვანი სარჩელებით უფრო რთულ ფინანსურ ვითარებაში აღმოჩნდებიან, მეორე მხრივ, თავად კრედიტორებსაც, რადგან სარჩელის გვიან შეტანის შემთხვევაში, აღარაფერი იქნება მათთვის გადასაცემი[258].

### 3.2.1 უზრუნველყოფილ მოთხოვნათა დაკმაყოფილება

თანამედროვე მიდგომის თანახმად, Pari passu არ ვრცელდება უზრუნველყოფილ კრედიტორებზე. მათი მოთხოვნა კმაყოფილდება უზრუნველყოფის საშუალების რეალიზაციის გზით. „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონი უზრუნველყოფილი კრედიტორების დაკმაყოფილებას ითვალისწინებს მე-4 რიგის კრედიტორებად[259]. ყოველი მომდევნო რიგის კრედიტორის დაკმაყოფილება კი ხდება წინა რიგის კრედიტორთა სრულად დაკმაყოფილების შემდეგ[260]. კანონი არ განსაზღვრავდა, რომ უზრუნველყოფილი ნივთების რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა არ უნდა მოხმარდეს სხვა რიგის მოთხოვნათა დაკმაყოფილებას, შესაბამისად, გამოდის, რომ გადახდისუუნარობის პროცესში უზრუნველყოფილი კრედიტორიც შესაძლოა დარჩენილიყო ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ქონების რეალიზაცია მოხდა

[257] იქვე.
[258] იქვე.
[259] საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ", მუხ. 40.1 „დ".
[260] იქვე, მუხ. 40.2.

ერთიანად, ხოლო ამოღებული თანხა არ არის საკმარისი პირველი, მეორე და მესამე რიგის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად.

უზრუნველყოფილი კრედიტორის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით განსხვავებულ განმარტებას აკეთებს თბილისის სააპელაციო სასამართლო და ადგენს, რომ „...უზრუნველყოფილ კრედიტორთა დაკმაყოფილება ხდება იპოთეკით (გირაო) დატვირთული ნივთის აუქციონზე რეალიზაციით". ამ მიდგომას სასამართლო ავრცელებს უზრუნველყოფილი ნივთების ყველა რეალიზაციაზე[261].

საკანონმდებლო რეფორმამდე, გაკოტრების პროცესში თუ უზრუნველყოფილი ნივთი გაიყიდებოდა უფრო ძვირად ვიდრე მოთხოვნა, უზრუნველყოფილი კრედიტორი კმაყოფილდებოდა მხოლოდ მისი მოთხოვნის მოცულობით, ხოლო დარჩენილი თანხა ჩაითვლებოდა საერთო მოთხოვნაში[262]. ეს რეგულაცია ლოგიკური და სამართლიანია გაკოტრების პროცესში, თუმცა აქვე არსებობდა დათქმა ამ ზოგადი წესიდან გამონაკლისის შესახებ, თუკი ეს გათვალისწინებული იქნებოდა მხარეთა ხელშეკრულებით[263]. სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის მიუხედავად, ამგვარი დათქმა გამონაკლისის შესახებ არ შეესაბამებოდა გადახდისუუნარობის კანონმდებლობის არსსა და იდეას. დაუშვებელია ერთი კრედიტორის მოთხოვნაზე მეტად დაკმაყოფილება, მაშინ როც მოვალე გაკოტრებულია და არსებობს რისკი კრედიტორთა დიდი ნაწილის მოთხოვნების დაკმაყოფილების შეუძლებლობისა[264].

აღნიშნული ხარვეზები აღმოფხვრილია ახალი კანონმდებლობით, რომელმაც განსაზღვრა უზრუნველყოფილი კრედიტორების დაკმაყოფილება უზრუნველყოფილი ნივთის

[261] თბილისის სააპელაციო სასამართლოს გაჩინება საქმეზე N2ბ/4653-12, http://library.court.ge/judgements/31862016-09-23.pdf.

[262] საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ", მუხ. 41, „ა".

[263] იქვე.

[264] Gerard McCormack, Set-off under the European Insovency regulation (and English law), 107, https://onlinelibrary.wiley.com/doi/epdf/10.1002/iir.1373.

რეალიზაციის გზით[265]. თუმცა რეალიზაციის შესაძლებლობა იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გზით, გაკოტრების რეჟიმის პირობებში არ უნდა იყოს შესაძლებელი. აღნიშნული ზღუდავს სხვა კრედიტორთა ლეგიტიმურ ინტერესებს და ეწინააღმდეგება გადახდისუუნარობის კანონმდებლობის პრინციპს — „მოვალე მფლობელობაში"[266]. უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის შემთხვევაშიც მიზანშეწონილია, გაკოტრების მმართველი იღებდეს გადაწყვეტილებას, რა გზით არის უფრო მეტი თანხის ამოღება შესაძლებელი.

### 3.2.2 არაუზრუნველყოფილ კრედიტორთა დაკმაყოფილება

არაუზრუნველყოფილი კრედიტორების დაკმაყოფილების დროსაც უპირატესად კმაყოფილდება გადახდისუუნარობის პროცესის ხარჯები, პროცესის დაწყების შემდეგ წარმოშობილი ვალდებულებები[267]. აღნიშნულის გათვალისწინებით, პრაქტიკა მოწმობს, რომ არაპრიორიტეტულ არაუზრუნველყოფილ კრედიტორებს ძირითადად აღარაფერი რჩებად გასანაწილებელი. ამგვარი კრედიტორები, საშუალოდ, საკუთარი მოთხოვნების მხოლოდ 7%-ს იკმაყოფილებენ[268].

კრედიტორს შეუძლია, საკუთარი მოთხოვნის ნაწილზე უარის თქმის სანაცვლოდ მოითხოვოს საკუთარი რიგის კრედიტორებთან შედარებით უპირატესი დაკმაყოფილება, თუკი აღნიშნულს დათანხმდება ყველა კრედიტორი, რომლებთან თანასწორადაც აღნიშნულ კრედიტორს დაკმაყოფილება უნდა მიეღო და აგრეთვე ყველა კრედიტორი, რომლებთან თანასწორადაც იგი დაკმაყოფილებას ითხოვს[269]. ლოგიკურად, წინა რიგის

---

[265] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ", მუხ. 87.
[266] DIP –Debtor in Possession, იხ. James J. Whire, Secured Transactions, 315.
[267] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ", მუხ. 104.1.
[268] Rizwaan Jameel Mokal, Priority as Pathology: The Pari Passu Myth, 8.
[269] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ", მუხ. 104.4.

კრედიტორები მხოლოდ იმ შემთხვევაში განაცხადებენ თანხმობას, თუ სამეურვეო ქონება საკმარისია მათი რიგის მოთხოვნების სრულად დასაკმაყოფილებლად. თუმცა გაურკვეველია, რა ლეგიტიმური ინტერესი უნდა გააჩნდეთ მათ ამგვარი თანხმობის გასაცემად.

რეფორმამდე მოქმედი კანონმდებლობით უპირატესად კმაყოფილდებოდა უზრუნველყოფილი კრედიტორი, რომელმაც მხარი არ დაუჭირა რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებას. ხდებოდა უზრუნველყოფის საგნის ცალკე გამოყოფა და რეალიზაციის ან ვალის გამოსყიდვა. იგივე რეგულაცია მოქმედებდა, როცა არც ერთი უზრუნველყოფილი კრედიტორი არ უჭერდა მხარს რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებას[270].

შესაბამისად, არსებობდა რისკი, რომ კანონმდებლის ასეთი მიდგომა ბოროტად ყოფილიყო გამოყენებული კრედიტორების მიერ და მათ დაუსაბუთებლად განეცხადებინათ უარი რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებაზე, უპირატესი დაკმაყოფილების მიზნით. ისევე, როგორც კანონმდებლობით შემოთავაზებული რეაბილიტაციის გეგმით მოვალის ვალებისაგან გათავისუფლების შემთხვევაში, როდესაც მოწინააღმდეგე კრედიტორი დანარჩენი კრედიტორების გადაწყვეტილებით, კმაყოფილდებოდა სრულად და უპირატესად[271].

თანამედროვე ტენდენციების თანახმად, მიზანშეწონილია ასეთ შემთხვევებში კანონმდებლის მიდგომა იყოს „დაემორჩილე ან ახსენის“[272] მსგავსი, რათა კრედიტორებმა მხოლოდ დასაბუთებული უარის შემთხვევაში ისარგებლონ შემოთავაზებული უპირატესობით.

---

[270] საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ“, მუხ. 47.
[271] იქვე, მუხ. 49.
[272] Comply or explain იხ. ვრცლად: https://www.cbr.cam.ac.uk/fileadmin/user_upload/centre-for-business-research/downloads/working-papers/wp407.pdf.

### 3.2.3 დაგვიანებული კრედიტორები

სასამართლოს მსჯელობის საგანი არაერთხელ გამხდარა დაგვიანებულ კრედიტორთა დაკმაყოფილების საკითხი. „გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი დაგვიანებულ მოთხოვნებს განიხილავდა მე-7 რიგის კრედიტორებად[273]. ამასთან, კრედიტორებს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოქვეყნებიდან 20 დღის ვადაში უნდა მიემართათ მეურვისა და სასამართლოსთვის საკუთარი მოთხოვნების შესახებ[274].

თუმცა ყველა მეწარმე ყოველდღიურ რეჟიმში არ ამოწმებს, გამოცხადდა თუ არა მისი კონტრაგენტი გადახდისუუნაროდ. ამის ვალდებულება არ შეიძლება, ბაზარზე მოქმედ ყველა საწარმოს დაეკისროს. სწორედ ამიტომ, კანონი აკისრებდა ვალდებულებას დირექტორს, კრედიტორების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მეურვეს[275]. მეურვე კი ვალდებულია, დაადგინოს ყველა კრედიტორი და დაუყოვნებლივ აცნობოს მათ გადახდისუუნარობის საქმისწარმოების გახსნისა და ელექტრონული სისტემის გამოყენების ვალდებულების შესახებ[276].

ორი ინსტანციის სასამართლომ იმსჯელა, არის თუ არა კრედიტორის მოთხოვნა დაგვიანებული იმ შემთხვევაში, თუკი მას არ ეცნობა გადახდისუუნარობის საქმისწარმოების გახსნის შესახებ და დაადგინა, რომ ასეთ შემთხვევაშიც, კრედიტორის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს მე-7 რიგში, როგორც დაგვიანებით წარმოდგენილი[277]. ზემოხსენებული სასამართლოს გადაწყვეტილებით უსამართლოდ შეიზღუდა კრედიტორის უფლება, რადგან დადგენილია, რომ კრედიტორმა არ იცოდა გადახდისუუნარობის საქმისწარმოების გახსნის შესახებ, ხოლო

---

[273] საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ“, მუხ. 40.
[274] იქვე, მუხ. 29.1.
[275] იქვე, მუხ. 24.
[276] იქვე, მუხ. 26.2 „თ“.
[277] თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმეზე N2ბ/6248-14, http://library.court.ge/judgements/502014-12-23.pdf.

სასამართლოს საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე, ჰქონდა შესაძლებლობა, ემსჯელა ვადის გაშვების საპატიო მიზეზზე[278]. სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია, რომ კრედიტორის მიერ ვადის გაშვება მეურვის მიერ შეუტყობინებლობის მიუხედავად არასაპატიოა, რადგან გამოქვეყნდა განჩინება საწარმოს გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ. ამ ლოგიკით გამოდის, რომ ყოველდღიურ რეჟიმში, ყველა მოქმედმა საწარმომ უნდა ამოწმოს, ხომ არ დაიწყო რომელიმე პარტნიორი კომპანიის მიმართ გადახდისუუნარობის საქმისწარმოება. ასევე სასამართლო დაუსაბუთებლად უგულებელყოფს კანონის მოთხოვნას მეურვისა და კრედიტორის მიმართ, მოიძიონ კრედიტორები და შეატყობინონ მათ გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყებისა და მათი უფლება-მოვალეობების შესახებ[279].

ეს პრობლემა სრულად აღმოფხვრილია ახალი კანონით შემოღებული კრედიტორებისთვის რეაბილიტაციის/გაკოტრების თაობაზე შეტყობინების სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი გაგზავნის წესით[280]. გარდა ამისა, კანონი ითვალისწინებს გაშვებული ვადის აღდგენის შესაძლებლობასაც, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით[281]. ასევე აღარ არსებობს კრედიტორის მიერ მოთხოვნის დაყენების ვალდებულება. გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი თავად ადგენს რეესტრს თავისთვის ცნობილი კრედიტორების გათვალისწინებით[282].

კანონმდებლობამ აღმოფხვრა კრედიტორისათვის გადახდისუუნარობის პროცესის დაწყების შეტყობინებასთან და კრედიტორის მხრიდან მოთხოვნის დაყენებასთან დაკავშირებული ხარვეზები, თუმცა ამავდროულად გაურკვევლად დატოვა

[278] სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხ. 215.3.

[279] საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ“, მუხ. 14.

[280] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ.14.

[281] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მუხ. 65, მუხ.215.3.

[282] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ მუხ. 5.5.

დაგვიანებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობა[283]. კანონმდებელმა ჩათვალა, რომ თუკი პირი, რომელსაც ეცნობა გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყების შესახებ, 30 დღის ვადაში არასაპატიო მიზეზით არ წარმოადგინა თავისი პრეტენზია მოთხოვნასთან დაკავშირებით, ითვლება, რომ მას არ გააჩნია ინტერესი და ამ ვადის გასვლის შემდეგ დაგვიანებული პრეტენზიის დაკმაყოფილება კანონით არ არის შესაძლებელი. ამასთან, მოვალე არ თავისუფლდება ვალდებულებისაგან იმ კრედიტორის მიმართ, რომელსაც საქმისწარმოების დაწყების შესახებ არ ეცნობა[284].

კრედიტორთა კანონიერი უფლებების არათანაზომიერ შეზღუდვას იწვევს კანონით შემოღებული მოთხოვნის წარმოდგენის ერთწლიანი ხანდაზმულობის ვადა გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყებიდან. ამ ვადის გაშვების შემთხვევაში, კრედიტორს არ აქვს შესაძლებლობა, დააყენოს საკუთარი კანონიერი მოთხოვნა იმ შემთხვევაშიც, თუ მისთვის უცნობი იყო პროცესის დაწყების შესახებ ან ვადის გაშვება მოხდა საპატიო მიზეზით.

### 3.3 შუალედური დასკვნა

მრავალრიცხოვან კრედიტორთა კანონიერი მოთხოვნების პირობებში, როდესაც გასანაწილებელი ქონება არ არის საკმარისი მოთხოვნათა სრულად დასაკმაყოფილებლად, ყველაზე მარტივი გამოსავალია ყველა კრედიტორის მოთხოვნის პროპორციული დაკმაყოფილება. თუმცა კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების ანალიზმა ცხადყო, რომ თანაბარზომიერი დაკმაყოფილება ხშირად არ იძლევა სამართლიან შედეგს[285].

Pari passu პრინციპი თანაბარ პირობებში მყოფი კრედიტორების თანაბარ დაკმაყოფილებას გულისხმობს. სწორედ

---

[283] იქვე.

[284] იქვე, მუხ. 85.3.

[285] ჰ. შნიტგერი, რ. მიგრიაული „გადახდისუუნარობის შესახებ“ კანონი, დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან, 22, http://migri-law.ge/download/gadaxdisuunarobis_kanoni.pdf.

ამიტომ, გადახდისუუნარობის კანონმდებლობა, პირველ რიგში, უნდა უზრუნველყოფდეს თანაბარ პირობებში მყოფ კრედიტორთა ერთ რიგში კლასიფიკაციას, ხოლო შემდეგ სხვადასხვა რიგის კრედიტორთა მაქსიმალურად სამართლიანი დაკმაყოფილების პრინციპების შემუშავებას.

გადახდისუუნარობის კანონმდებლობა საწარმოს გაჯანსაღებასთან ერთად, კრედიტორთა სამართლიან დაკმაყოფილებას ემსახურება. იმისათვის, რომ კრედიტორთა დაკმაყოფილება დასწრებაზე არ იყოს, გადახდისუუნარობის საქმისწარმოების გახსნასთან ერთად, ჩერდება იძულებითი აღსრულებები და კრედიტორები ექცევიან საკუთარი მოთხოვნების დაკმაყოფილების განსხვავებულ რეჟიმში. უფრო სამართლიანი იქნებოდა ყველა კრედიტორის სრულად დაკმაყოფილება, მაგრამ რადგანაც ეს შეუძლებელია, გადახდისუუნარობის კანონმდებლობა ცდილობს, იპოვოს ოქროს შუალედი და კრედიტორთა სტატუსის, მათი მოთხოვნის თავისებურების გათვალისწინებით, მოძებნოს გადახდისუუნარო საწარმოს კრედიტორების დაკმაყოფილების ყველაზე სამართლიანი გზა.

ახალი კანონის მიღებით აღმოიფხვრება არაერთი საკანონმდებლო ხარვეზი კრედიტორთა სამართლიანი დაკმაყოფილების მხრივ. პირველ რიგში, „მსგავსი უფლებების მქონე კრედიტორების მიმართ თანაბარი მოპყრობა“ გათვალისწინებულ იქნა პრინციპის სახით[286]. კანონმდებელმა შრომითი დავებიდან წარმოშობილი მოთხოვნები აღიარა პრეფერენციულ მოთხოვნებად, მოწესრიგდა საგადასახადო მოთხოვნებთან დაკავშირებით არსებული მოძველებული რეგულაციები. დარეგულირდა „გამოყოფის უფლების მქონე კრედიტორთა“ საკითხი.

განხილული მუხლებისა და ზოგადად კანონმდებლობის ანალიზიდან ცხადია, რომ საკანონმდებლო რეფორმის შემდეგაც კანონმდებელი სასათბურე პირობებს უქმნის უზრუნველყოფილ

[286] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 2. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4792392?publication=0.

კრედიტორებს. მათი დაკმაყოფილებისას სრულიად არაა გათვალისწინებული ის მოცემულობა, რომ მოვალე იმყოფება ვალაუვალობის რეჟიმში. ეს ყველაფერი, სავარაუდოდ, კანონშემოქმედებით პროცესში მსხვილი უზრუნველყოფილი კრედიტორების (ბანკების) გავლენით აიხსნება.

რეფორმის შედეგად მოწესრიგდა უზრუნველყოფილ კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების წესი, თუმცა ხანდაზმულობის ვადის შემოღებით არათანაზომიერად შეიზღუდა კრედიტორთა უფლებები. გათვალისწინებულ იქნა დაკავშირებულ პირებთან არსებული ვალდებულებების თავისებურებები, თუმცა ამ რეგულაციებს მიღმა დარჩა პარტნიორზე გაცემული სესხი. ასევე ძალიან მცირეა შრომითი მოთხოვნები, რომლის დაკმაყოფილებაც პრივილეგირებულად ხდება.

როგორც მოვალის, ასევე კრედიტორთა ინტერესების არათანაზომიერ შეზღუდვას იწვევდა გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ კანონის 42.5 მუხლი, რომლის მიხედვითაც, საწარმოს გაკოტრებულად გამოცხადების შემდეგ ქონების აღმოჩენის შემთხვევაში, ითვალისწინებს მის გადაცემას სახელმწიფო საკუთრებაში, თუკი კრედიტორები არ მიმართავენ აღსრულების ეროვნულ ბიუროს დადგენილ ვადაში. საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე იმსჯელა გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დროს ქონების სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემის მართლზომიერებაზე და დაადგინა, რომ „აღნიშნული რეგულაცია არამართლზომიერად ზღუდავს საკუთრების უფლებას“[287]. ხარვეზი აღმოიფხვრა საკანონმდებლო რეფორმის შემდეგ. ახალმა კანონმა დაადგინა, რომ ამგვარი ქონება, თუკი მის მიმართ კრედიტორებს ინტერესი არ

[287] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე N1/2/1250 „შპს „ტიფლისი 777“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ https://www.constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/1-2-1250-shps-tiflisi-777-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg.page.

გააჩნიათ, მოვალის პარტნიორებზე ნაწილდება, მათი წილის პროპორციულად[288].

## 4. გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყება — უფლება თუ მოვალეობა

გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყება მნიშვნელოვანია, რათა როგორც საწარმოს, ასევე კრედიტორებს მიეცეთ კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების განხორციელების შესაძლებლობა.

ევროპული დირექტივა მხარს უჭერს პროცესის ადრეულ ეტაპზე დაწყების შესაძლებლობას, ვინაიდან რაც უფრო ადრეულ ეტაპზე დაიწყება პროცესი, მით მეტია რეაბილიტაციის შანსი[289]. საწარმოსა და კრედიტორის უფლებების თანაზომიერად დაცვის კუთხით, საინტერესოა, ვის ანიჭებს კანონმდებელი საქმისწარმოების დაწყების უფლებას და რა პირობებით, როგორია ამ მხრივ სხვადასხვა ქვეყნის მიდგომა და სტანდარტები.

რეაბილიტაციისა და გაკოტრების დაწყების კრიტერიუმებით განსხვავდება ერთმანეთისაგან სხვადასხვა ქვეყნის გაკოტრების სამართალი. ზოგიერთ ქვეყანაში რეაბილიტაციის მოთხოვნა არ შეუძლია მოვალეს, თუ კრედიტორის მხრივ უკვე აღძრულია გადახდისუუნარობის პროცესი[290]. ხოლო სხვა სამართლებრივ სისტემებში გადახდისუუნარობის პროცესი რეაბილიტაციით იწყება, თუმცა შეიძლება ლიკვიდაციით დასრულდეს, თუ გამოიკვეთება, რომ რეაბილიტაცია

---

288 საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ", მუხ.105.5.

289 DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring, insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency) Recital 22.

290 Mihaela Cristina Paul, Opening Insolvency Proceedings at Creditors Request, Conditions for application Submission, 171, https://heinonline.org.

შეუძლებელია[291]. ზოგიერთი გადახდისუუნარობის სისტემა მხოლოდ მოვალის ქონებრივი მდგომარეობის შესწავლის შემდეგ განსაზღვრავს, გაკოტრების პროცესი უნდა დაიწყოს თუ რეაბილიტაციის[292]. ქართული კანონმდებლობა რეფორმის შემდეგ რეაბილიტაციის პროცესს ანიჭებს უპირატესობას, იმ შემთხვევაშიც თუ გაკოტრების მოთხოვნა სასამართლოში უფრო ადრე არის შეტანილი[293].

გადახდისუუნარობის პროცესის დაწყების ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანია საწარმოს დროული გაჯანსაღების და კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების კუთხით. მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია, რომ ბოროტად არ იქნეს გამოყენებული გადახდისუუნარობის კანონმდებლობით დადგენილი წესები. მაგალითად მოვალის მიერ, რომელიც რეალურად არ არის გადახდისუუნარო, თუმცა გადახდისუუნარობის კანონით დადგენილი მოვალის დაცვის მექანიზმების გამოყენება სურს. ან კრედიტორის მიერ, რომელიც მოვალის კონკურენტია და გადახდისუუნარობის დაწყებით ბაზარზე კონკურენტის ადგილის დაკავებას ცდილობს [294].

ამავე თავში განხილული იქნება გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყება — როგორც საწარმოს ვალდებულება. რამდენად არის მიზანშეწონილი, რომ საწარმოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეუტანლობა იწვევდეს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, ვინ შეიძლება იყოს ამ პასუხისმგებლობის სუბიექტი. რამდენად შეესაბამება გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დასაწყებად სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება საწარმოს დროული გაჯანსაღების ან/და კრედიტორთა დაკმაყოფილების მიზანს. აღნიშნულ საკითხების გამოსაკვლევად, საინტერესოა ასევე სხვა ქვეყნების კანონმდებლობა გადახდისუუნარობასთან

[291] UNCITRAL, Legislative Guide on Insolvency Law, 45.

[292] Kelvin poon, Kwan kiat Sim, Wilson Zhu, Insolvency Law, https://heinonline.org.

[293] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 49.3.

[294] UNCITRAL, Legislative Guide on Insolvency Law, 45.

დაკავშირებული დანაშაულებზე — რამდენად მიღებული პრაქტიკაა პასუხისმგების დაწესება საწარმოს მიერ გადახდისუუნარობის პროცესის აღძვრის შესახებ განცხადების შეუტანლობის გამო და რა მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს ასეთი რეგულაცია.

## 4.1 საწარმოს მიერ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყება

გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანის უფლება აქვს გადახდისუუნარო ან გადახდისუუნარობის წინაშე მყოფ მოვალეს[295]. გადახდისუუნარობაც და მოსალოდნელი გადახდისუუნარობაც შეფასებითი ცნებებია. თავად მოვალე აფასებს კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, არის თუ არა იგი გადახდისუუნარო ან მოსალოდნელი გადახდისუუნარო. თუმცა ეს შეფასება უნდა ემყარებოდეს ობიექტურ გარემოებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლომ შესაძლოა უარი უთხრას მოვალეს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების აღძვრაზე.

### 4.1.1 საწარმოს მიერ გაკოტრების მოთხოვნა

მოვალის მიერ გაკოტრების მოთხოვნის შემთხვევაში, იწყება გაკოტრების საქმისწარმოება, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. ასეთ დროს ინიშნებოდა გაკოტრების მმართველი და საწარმოს რეაბილიტაციის შესაძლებლობა აღარ განიხილებოდა[296]. ამის საწინააღმდეგოდ, ახალი კანონი შესაძლებლად მიიჩნევს პროცესის კონვერსიას ნებისმიერ ეტაპზე[297]. ზემოხსენებული განსხვავებული მიდგომა კიდევ ერთი დასტურია, რომ საკანონმდებლო რეფორმის შემდეგ

[295] Mihaela Cristina Paul Opening Insolvency Proceedings at Creditors Request, Conditions for application Submission, 169.
[296] საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ", მუხ. 17.1.
[297] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ", მუხ. 95, 107.

უკეთ არის გამოკვეთილი საწარმოს რეაბილიტაციის ხელშეწყობის მიზანი.

გადახდისუუნარობის საქმისწარმოების პროცესი საკმაოდ დიდ ხარჯებს და სასამართლოს დიდ რესურსს მოითხოვს, ამიტომ კანონმდებელმა დაადგინა საწარმოს გაკოტრებულად გამოცხადების შესაძლებლობა რეგისტრაციის გაუქმების გზით[298]. თუ სასამართლო განჩინების გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში კრედიტორმა იმავე მოვალის მიმართ არ შეიტანა სასამართლოში განცხადება გადახდისუუნარობის შესახებ, ასეთ შემთხვევაში, მოვალის ქონება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეგისტრაციის გაუქმებამდე ნაწილდება მის პარტნიორებზე მათი წილის პროპორციულად, თუ მათ შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული[299].

საქართველოში რეგისტრაციის გაუქმების გზით გაკოტრება ხშირი შემთხვევაა[300], მეტიც, გადახდისუუნარობის საქმეების ძირითადი ნაწილი (75%) სწორედ ამ სქემით მიმდინარეობს[301]. თუმცა აღნიშნულმა რეგულაციამ შესაძლოა გამოიწვიოს კრედიტორთა უფლებების არათანაზომიერი შეზღუდვა. პირველ რიგში, საეჭვოა, რამდენად აქვს სასამართლოს კომპეტენცია, შეაფასოს წარმოდგენილი მტკიცებულებები და დაადგინოს საწარმოს რეალური ფინანსური მდგომარეობა.
მეორე მხრივ — ნაკლებ სავარაუდოა, მოქმედი საწარმოები მუდმივად ამოწმებდნენ ინფორმაციას, რომელიმე მოვალემ ხომ არ მოითხოვა გაკოტრება რეგისტრაციის გზით.

---

298 საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, მუხ. 16.2, 20.4, 20.10.

299 ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 25 იანვრის განჩინება საქმეზე N2/2237-15, მოვალის გაკოტრებულად გამოცხადებისა და რეგისტრაციის გაუქმების შესახებ, https://matsne.gov.ge/ka/document/view/3174301.

300 თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, საქმე N2/104-19, თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, საქმე N2/34918-18, თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, საქმე N2/14428-18.

301 German Economic Team Georgia, Jnus Hans, Avoidence the Insolvency of Georgia’s Insolvency Law, 6.
https://www.get-georgia.de/wp-content/uploads/2016/04/PP_01_2016_en.pdf.

ამ მხრივ, პრობლემას ნაწილობრივ მოაგვარებს გადახდისუუნარობის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის ამუშავება, ვინაიდან საწარმოები მარტივად შეძლებენ ინფორმაციის გაკონტროლებას.

თუ საწარმოს რეალურად არ გააჩნია ქონება, აზრი ეკარგება გაკოტრების პროცესის წარმართვას[302], თუმცა იმისათვის, რომ მოვალემ ბოროტად არ ისარგებლოს არსებული შესაძლებლობით, უმჯობესია, კანონი ქონების პარტნიორთა შორის განაწილების ნაცვლად, ითვალისწინებდეს მათ დეპონირებას გარკვეული დროის განმავლობაში.

რეგისტრაციის გზით გაკოტრებასთან დაკავშირებით საინტერესო გადაწყვეტილება მიიღო თბილისის საქალაქო სასამართლომ, რომელმაც საწარმო გაკოტრებულად გამოაცხადა რეგისტრაციის გზით, მიუხედავად იმისა, რომ განჩინების გამოქვეყნების შემდეგ კრედიტორმა მიმართა სასამართლოს და მოითხოვა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესის დაწყება. სასამართლო გადაწყვეტილება ეყრდნობოდა მოვალისა და მეურვის ახსნა-განმარტებას, რომლის მიხედვითაც, მოვალეს არ გააჩნდა არავითარი ქონება და შეუძლებელი იქნებოდა საპროცესო ხარჯების დაფარვა[303].

სასამართლო გადაწყვეტილებას ასაბუთებს კანონის მიზნიდან გამომდინარე — თანაბარზომიერად იქნეს დაცული მოვალისა და კრედიტორთა ინტერესები. ამ დასაბუთებით, სასამართლომ უგულებელყო გადახდისუუნარობის სპეციალური საპროცესო კანონის 20.4 მუხლის შინაარსი[304] და კრედიტორს უარი უთხრა გადახდისუუნარობის პროცესის წარმართვაზე. სასამართლომ კრედიტორს დააკისრა მტკიცების ტვირთი, რომ

---

[302] Bob Wessels, Business Rescue in Insolvency Law-Setting the Scene, https://www.europeanlawinstitute.eu/fileadmin/user_upload/p_eli/General_Assembly/2014/Business_Rescue_in_Insolvency_Law___Setting_the_Scene.pdf.

[303] თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, საქმე N330216818002296731, N3895-18 https://matsne.gov.ge/ka/document/view/4228043?publication=0.

[304] საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“.

საწარმოს გააჩნდა პროცესის წარსამართად საჭირო სახსრები, მაშინ, როდესაც აღნიშნულ გარემოებას არ ჰქონდა პროცესის დაწყებისთვის მნიშვნელობა. კანონი ცალსახად ადგენს პროცესის დაწყების ვალდებულებას მოვალის მიერ გაკოტრების მოთხოვნისას კრედიტორის მხრიდან გადახდისუუნარობის განცხადების შეტანის შემთხვევაში[305].

გადაწყვეტილების შინაარსიდან ირკვევა, რომ სასამართლომ პროცესის აღძვრაზე უარი თქვა, რადგან არსებობდა საპროცესო ხარჯების დაფარვის შეუძლებლობის საფრთხე. ბუნდოვანია, ამ გარემოებას რა კავშირი აქვს მოვალისა და კრედიტორთა ინტერესების თანაზომიერად დაცვის კანონისმიერ მიზანთან, რომლითაც მოხდა გადაწყვეტილების დასაბუთება.

განხილული გადაწყვეტილება ცხადყოფს, რომ საქმე გვაქვს საკანონმდებლო ხარვეზთან — „გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ“ კანონი მოვალის მხრიდან რეგისტრაციის გზით გაკოტრების მოთხოვნისას კრედიტორის პრეტენზიის შემთხვევაში, კრედიტორს ავალებდა პროცესის დაწყებისთვის საჭირო დოკუმენტაციის წარდგენას, მათ შორის, მტკიცებას, რომ საწარმო გადახდისუუნაროა[306], მოვალის წინასწარი გაფრთხილების დასტურს, ასევე, სახელმწიფო ბაჟისა და დეპოზიტის გადახდას[307]. მოვალის ინიციატივით პროცესის დაწყებისას კრედიტორისათვის აღნიშნული ტვირთის დაკისრება არ შეესაბამება მოვალისა და კრედიტორის ინტერესების თანაზომიერად დაცვის პრინციპს.

ახალი კანონით ნაწილობრივ აღმოიფხვრა ეს პრობლემა, რამდენადაც ის სასამართლოს აკისრებს ვალდებულებას, ყველა ზომა მიიღოს საქმის გარემოების სრულად და ყოველმხრივ გამოსაკვლევად, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოვალის ან

---

[305] იქვე.

[306] შეადარეთ: ჰ. შნიტგერი, რ. მიგრიაული „გადახდისუუნარობის შესახებ“ კანონი, დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან, 42.

[307] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 11 იანვრის განჩინება, საქმე N2/7720-18, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 21 ნოემბრის განჩინება, საქმე N2/26628-17, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 10 აგვისტოს განჩინება, საქმე N2/24150-17.

კრედიტორის მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენება. ამასთან, ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას გადახდისუუნარობის განცხადების დასაშვებად ცნობაზე უარის თქმის თაობაზე[308].

თუმცა, მეორე მხრივ, ეს ახალი რეგულაცია სასამართლოს, ზედამხედველობის ფუნქციის ნაცვლად, ანიჭებს კიდევ ერთი ბიზნესგადაწყვეტილების მიღების ვალდებულებას. გარდა ამისა, მოცემული რეგულაციით კვლავ გაურკვეველია რეგისტრაციის გაუქმებით გაკოტრების მოთხოვნის შემთხვევაში მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხი.

### 4.1.2 საწარმოს მიერ რეაბილიტაციის მოთხოვნა

კრედიტორის უფლებას, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით მოითხოვოს რეაბილიტაცია, კანონმდებლობა ითვალისწინებს ჯერ კიდევ 2015 წლის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად[309]. ზემოხსენებული საკანონმდებლო ცვლილებები მანიშნებელი იყო გადახდისუუნარობის სამართლის მიზნის მოდიფიცირებისა გაკოტრებიდან — რეაბილიტაციისაკენ.

თუმცა 2015 წელს კანონმდებელი ჯერ კიდევ მიიჩნევდა, რომ, რეაბილიტაციის მოთხოვნის შემთხვევაში, განცხადებას უნდა ერთოდეს რეაბილიტაციის გეგმის პროექტი[310], რომელიც განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ საერთო წესების დაცვით განიხილება სასამართლოს მიერ მეურვის დასკვნასა და

---

[308] საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ". საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, მუხ. 48.8. http://parliament.ge/ge/law/11170/28174.

[309] იქვე, მუხ. 2.

[310] მთავრობის მიერ აღნიშნული კანონპროექტის ინიცირებამდე, 2015 წლის 21 მაისს ინიცირებულ იქნა დაახლოებით იმავე შინაარსის კანონპროექტი, რომელიც თავად ინიციატორმა (პარლამენტის წევრი-ზურაბ ტყემალაძე) გაიწვია უკან. ძველი კანონპროექტის თანახმად, მოვალეს ენიჭებოდა უფლება, მოეთხოვა რეაბილიტაცია რეაბილიტაციის გეგმის წარმოდგენის გარეშეც. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რეაბილიტაციის საჭიროებას ძირითადად კრიზისში მყოფი საწარმოები საჭიროებენ, კანონპროექტის ძველი ვერსიით შემოთავაზებული რეგულაცია უფრო გონივრულად უნდა ჩაითვალოს. http://parliament.ge/ge/law/9361/21159.

მომრიგებელთა საბჭოს გადაწყვეტილებასთან ერთად. 2020 წლის საკანონმდებლო რეფორმის შედეგად კი, რეაბილიტაციის გეგმის წარდგენა სავალდებულოდ აღარ განიხილება[311]. ამავე მიდგომას ითვალისწინებს შვედეთის კანონმდებლობა, რომელიც გადახდისუუნარობის დაწყების შესაძლებლობას დებიტორს ანიჭებს. კრედიტორსაც შეუძლია, მიმართოს სასამართლოს რეაბილიტაციის დაწყების განცხადებით, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულს დაეთანხმება მოვალე[312]. ამასთან, შვედეთის კანონმდებლობა არ ითხოვს რეაბილიტაციის გეგმის წარდგენას განცხადების შეტანისთანავე, არამედ რეაბილიტაციის გეგმა დგება გადახდისუუნარობის პროცესში ერთობლივად დანიშნული ადმინისტრატორისა და მოვალის თანამშრომლობის შედეგად[313].

2015 წლის საკანონმდებლო ცვლილებები რეაბილიტაციის წახალისებას ემსახურებოდა აგრეთვე მომრიგებელთა საბჭოს მიერ გაკოტრების შესახებ ან გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შედეგების მხრივაც, ვინაიდან ასეთ დროს, „სასამართლო უფლებამოსილია, გამოიტანოს მოტივირებული განჩინება რეაბილიტაციის დაწყების შესახებ მოვალის მიერ წარმოდგენილი გეგმის მიხედვით, თუ ამგვარად უფრო მეტად იქნება უზრუნველყოფილი ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული მიზნების (საწარმოსა და კრედიტორების უფლებების თანაზომიერად დაცვა) მიღწევა გონივრულ ვადაში“[314].

მიუხედავად იმისა, რომ კვლევების თანახმად, რეაბილიტირებული კომპანიის 40% კვლავ განიცდის ფინანსურ დანაკარგებს და 32% კვლავ გახდა გადახდისუუნარო, ასევე

---

[311] საქართველოს კანონპროექტი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, მუხ, 44.3, http://parliament.ge/ge/law/11170/28174.

[312] Swedish Bankruptcy Act, chapter 2.

[313] The Swedish Business Reconstruction Act and SAAB, Scantinavian Studies in Law, 336.

[314] საქართველოს კანონპროექტი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, მუხ. 2.

დადგენილია, რომ რეაბილიტირებული კომპანიების 70%-ის მოგება საშუალო მაჩვენებელზე დაბალია[315], საწარმოს მიერ რეაბილიტაციის ადრეულ ეტაპზე დაწყების შესაძლებლობა პრიორიტეტულია. თანამედროვე გადახდისუუნარობის სამართალი მოვალის მხრიდან რეაბილიტაციის დაწყების ხელშეწყობისკენ არის მიმართული. ამას ცხადყოფს როგორც საქართველოში, ასევე ევროპულ ქვეყნებში[316] განხორციელებული საკანონმდებლო რეფორმები.

## 4.2 კრედიტორის მიერ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყება

კრედიტორის მიერ გადახდისუუნარობის მოთხოვნით განცხადების შეტანის შესაძლებლობა მნიშვნელოვანია პროცესის დროული დაწყებისა და რეაბილიტაციის სასურველი შედეგის დადგომის მიზნისათვის.

„ამერიკის გადახდისუუნარობის კოდექსის" თავისებურება, რომლის თანახმადაც რესტრუქტურიზაცია შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ თავად მოვალის ინიციატივით (მოვალის სურვილით) საკმაოდ დრომოჭმულია[317]. მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებული კოდექსის მე-11 თავი[318] მოდელად იქნა გამოყენებული ბევრი ქვეყნის გადახდისუუნარობის კანონმდებლობის შექმნისას[319], თანამედროვე სქემის მიხედვით, ძირითადი კრედიტორები (როგორიცაა მაგალითად, ბანკები), ხშირად უფრო ოპერატიულები არიან გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყების მხრივ[320]. თუმცა ზოგიერთი ქვეყნის

---

[315] Maria Tuula-karlson, The Swedish Business Reconstruction Act and SSB,330, http://www.scandinavianlaw.se/pdf/57-18.pdf.

[316] იტალია, საფრანგეთი, საბერძნეთი, იაპონია, გერმანია.

[317] Marie Tuula-Karlsson, The Swedish Business Reconstruction Act and SSB, Maria Tuula-karlson, 270.

[318] Carol L. Chomsky, Christina L. Kunz, Linda J. Rusch, Elizabeth R. Schitz, Bankruptcy Code, Selected Commercial Statutes for Secured Transaction Courses, 1304.

[319] Marie Tuula-Karlsson, the Swedish Business Reconstruction Act and SSB, 330.

[320] Bob Wessels, Business Rescue in Insolvency Law-Setting the Scene.

კანონმდებლობა[321] უზრუნველყოფილ კრედიტორებს უზღუდავს პროცესის ინიცირების შესაძლებლობას. ასეთი დათქმა შესაძლებელია განპირობებული იყოს უზრუნველყოფილი კრედიტორის მეტად დაცულობით, დაიკმაყოფილოს საკუთარი მოთხოვნა.

### 4.2.1 კრედიტორის მიერ გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყების ზოგადი სტანდარტები

ევროპული დირექტივის თანახმად, რეაბილიტაციის ადრეულ ეტაპზე დასაწყებად სასურველია არსებობდეს შესაბამისი ტესტი, მაგალითად, თუკი საწარმო არ იხდის გადასახადებს ან შენატანებს. ამგვარი ტესტი შეიძლება განსაზღვროს წევრმა სახელმწიფომ ან თავად საწარმომ, შიდა რეგულაციებით[322].
სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა განსხვავდება იმ მოთხოვნების მიხედვით, რომელსაც უწესებს კრედიტორს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შესატანად. არსებობს საწარმოს გადახდისუუნარობის სხვადასხვა ტესტი[323], ხოლო ზოგიერთი ქვეყანა, მაგალითად, ინგლისი, კონკრეტულ კრიტერიუმებს კრედიტორისათვის გადახდისუნარიანობის შესახებ განცხადების შესატანად არ ითვალისწინებს[324]. ინგლისის გადახდისუუნარობის კანონმდებლობის თანახმად, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებაში უნდა იყოს მითითებული იმ გარემოებებზე, რის გამოც კომპანია არის გადახდისუუნარო, ვალდებულებების მაიდენტიფიცირებელი მონაცემების მითითებით[325].

[321] მაგალითად, ლატვია, იხ. Insolvency Law of Latvia, art.60.
[322] DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring, insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency) Recital 22.
[323] Kelvin poon, Kwan kiat Sim, Wilson Zhu, Insolvency Law, 8.
[324] იქვე 12.
[325] Practice Direction – Insolvency Proceedings, para -1, https://www.justice.gov.uk/courts/procedure-rules/civil/rules/insolvency_pd.

ყველაზე ფართოდ გავრცელებულია ე.წ. „ლიკვიდურობის, cash flow და გადახდების შეჩერების ტესტი“[326]. ამ ტესტის მიხედვით, დებიტორი გადახდისუუნაროა თუ მან შეწყვიტა გადახდები (იჯარა ხელფასები), და არ აქვს საკმარისი cash flow, რათა დაფაროს აღებული ვალდებულებები[327].

არსებობს ასევე ე.წ. Balance sheet Test-ი, რომლის მიხედვითაც, როდესაც ვალდებულებები აღემატება აქტივებს, კომპანია ითვლება გადახდისუუნაროდ[328]. ამ ტესტის პრაქტიკული გამოყენების პრობლემა ისაა, რომ ბალანსის მონაცემები ცნობილია მხოლოდ მოვალისთვის და კრედიტორს იშვიათ შემთხვევაში მიუწვდება მასზე ხელი[329]. ამასთან, დებიტორის კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული, რამდენად სწორი იქნება ბალანსში მითითებული ინფორმაცია[330]. ასევე, ვალდებულებების მეტობა აქტივებზე, რაც ბალანსიდან გამომდინარეობს, შესაძლებელია რეალურად არც ნიშნავდეს საწარმოს გადახდისუუნარობას და მხოლოდ ფორმალურად შეესაბამებოდეს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანის პირობებს[331]. ამასთან, სასამართლო ქონების შეფასებისას უმრავლეს შემთხვევაში (საქმეთა 73%) იყენებს ექსპერტთა შეფასებას[332].

საქმისწარმოების დაწყების გასაადვილებლად შესაძლებელია კანონმდებლობამ გაითვალისწინოს გადახდისუუნარობის დაწყების შესაძლებლობა ერთ-ერთი ტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში[333]. გადახდისუუნარობის სამართალი

---

[326] UNCITRAL, Legislative Guide on Insolvency Law, 45.

[327] Mihaela Cristina Paul Opening Insolvency Proceedings at Creditors Request, Conditions for application Submission, 180.

[328] იქვე, 182.

[329] UNCITRAL, Legislative Guide on Insolvency Law, 53.

[330] თუმცა, არასწორი ინფორმაციის მიწოდება სასამართლოსათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იწვევს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 206, https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=222.

[331]UNCITRAL Legislative Guide on Insolvency Law, 46.

[332] Eugenio Vaccari, Promoting fairness in English Insolvency valuation cases288 https://onlinelibrary.wiley.com/doi/epdf/10.1002/iir.1382.

[333] Mihaela Cristina Paul, Opening Insolvency Proceedings at Creditors Request, Conditions for application Submission, 152.

ხშირად „ლიკვიდურობას, cash flow-ს, „გადახდების შეჩერების ტესტსა“ და Balance sheet Test-ს სხვადასხვა კომბინაციაში იყენებს და ისე აყალიბებს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შესატანად საჭირო სტანდარტებს[334]. ამგვარ გზას ირჩევდა საქართველოს კანონიც გადახდისუუნარობის შესახებ, რომლის მიხედვითაც, კრედიტორის მიერ განცხადების შეტანას ითვალისწინებს მოვალის მიერ გადახდების შეწყვეტის შემთხვევაში, ხოლო მოვალის ინიციატივით გადახდისუუნარობის დაწყებისას, განმცხადებელმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს მოვალისთვის ცნობილი ქონებისა და კრედიტორების ნუსხა[335].

შერეულ მეთოდს ითვალისწინებს ასევე ლატვიის კანონი გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ. ამ კანონის თანახმად, გადახდისუუნარობის საქმისწარმოების გახსნა შესაძლებელია მაშინ, როდესაც: შეუძლებელია იძულებითი აღსრულება, კომპანიას აქვს ერთი ან რამდენიმე შეუსრულებელი ვადაგასული ვალდებულება, რომელიც თითოეული ან ჯამურად აღემატება 3000 ლატვიურ ლატს (დაახლოებით 5000 ევრო) სს და შპს შემთხვევაში, ხოლო 1500 ლატვიურ ლატს (დაახლოებით 2500 ევრო) სხვა სამართლებრივი ფორმის შემთხვევაში. კომპანიას არ აქვს გადახდილი ხელფასები და სხვა სოციალური ანაზღაურება თანამშრომლებისთვის 2 (ორი) თვის განმავლობაში, კომპანიის ქონება არ არის საკმარისი ვალდებულებების დასაფარად[336].

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონმა გადახდისუუნარობის განსაზღვრისთვის ალტერნატიულად გაითვალისწინა „ბალანსის ტესტი“ და „ლიკვიდობის ტესტი“. გარდა ამისა, საპირისპიროს დამტკიცებამდე კომპანია გადახდისუუნაროდ ითვლება, თუკი „კომპანია იმყოფება ან განცხადების შეტანამდე ბოლო 12 თვის განმავლობაში იმყოფებოდა მოვალეთა რეესტრში“, აგრეთვე თუ „მოვალის მიმართ განცხადების შეტანამდე არანაკლებ

334 UNCITRAL, Legislative Guide on Insolvency Law, 41.

335 საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, მუხ. 14.1.

336 Insolvency Law of Latvia, art., 57.

30 დღის განმავლობაში მოქმედებს საგადასახადო დავალიანების უზრუნველყოფის ღონისძიება“[337], რაც საკმაოდ მკაცრი შეფასებაა, მით უმეტეს, არ არის განსაზღვრული, რა პერიოდის განმავლობაში იმყოფებოდა პირი მოვალეთა რეესტრში. საგადასახადო უზრუნველყოფის ღონისძიება კი შესაძლოა იმ საგადასახდო ვალდებულებისგან გამომდინარეობდეს, რომელსაც არ ეთანხმება მოვალე.

შესაბამისად, გადახდისუუნარობა და მოსალოდნელი გადახდისუუნარობა მხოლოდ შეფასებითი ცნებები აღარ არის, არამედ შემოღებულ იქნა კონკრეტული სტანდარტები, გადახდისუუნარობის დასადგენად. ვინაიდან საკანონმდებლო რეფორმა გადახდისუუნარობის აღძვრის შემთხვევაში მორატორიუმის ღონისძიებებივით კომპანიას ბევრ შეღავათს ანიჭებს და ამავდროულად შესაძლებლად მიიჩნევს მენეჯმენტის მართვაში დატოვებას, გადახდისუუნარობის ტესტის შემოღებით, ხდება თანაზომიერი ბალანსის დაცვა კრედიტორების ინტერესებთან, რათა გადახდისუუნარო საწარმომ ბოროტად არ ისარგებლოს გადახდისუუნარობის აღძვრის უფლებით.

ევროპული დირექტივა წევრ სახელმწიფოებს აძლევს შესაძლებლობას, დაადგინონ რეაბილიტაციის პროცედურაზე ხელმისაწვდომობის ტესტი, და ადგენს, რომ ამგვარი ტესტი არ უნდა იყოს მოვალის ქონებისთვის საზიანო და არ უნდა უშლიდეს ხელს პროცესის ადრეულ ეტაპზე დაწყებას[338].

---

[337] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 7.3.

[338] DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring, insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency) Recital 26.

## 4.2.2 კრედიტორის მიერ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების კრიტერიუმები

კრედიტორთა ინტერესების დაცვას ემსახურება მათი უფლება, განცხადება შეიტანონ გადახდისუუნარობის დაწყების მოთხოვნით[339]. თუმცა ეს უფლება იქვე კომპენსირდება უსაფუძვლოდ ან არასაკმარისი საფუძვლით განცხადების შეტანის შემთხვევაში მოვალისათვის ზიანის ანაზღაურების უფლებით[340]. იგივე მიდგომას ითვალისწინებს ამერიკული კანონმდებლობა — გაკოტრების კანონის 110-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია, დააკისროს კრედიტორს საწარმოს სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურება (პროცესის ხარჯების ჩათვლით), თუკი დადგინდება პროცესის დაწყება არაკეთილსინდისიერად, თაღლითურად, მოტყუებით[341]. ზიანი, როგორც წესი, მორატორიუმის ღონისძიების გამოყენებას უკავშირდება[342]. გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ საქართველოს კანონი კრედიტორებს გარკვეული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში ანიჭებდა გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანის უფლებას[343].

საწარმოს გადახდისუნარიანობა შეფასებითი კატეგორიაა, შესაბამისად, კრედიტორებისათვის განცხადების შეტანის მკაცრი კრიტერიუმების დაწესება მოძველებულ მიდგომად ითვლება, შესაძლებელია დაირღვეს მათი უფლებები. კონკრეტული საწარმოს გადახდისუუნარობა ინდივიდუალური ნიშნებით უნდა იქნეს განსაზღვრული. ერთ შემთხვევაში, გარკვეული გარემოებები შესაძლებელია ნიშნავდეს საწარმოს გადახდისუუნარობას, მეორე

339 საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, მუხ. 14.

340 საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 18.

341 Douglas G. Braid, Rheodore Eisenberg, Thomas H. Jackson, Commercial and Debtor-creditor Law, Selected Statutes, 1791.

342 ქეთევან მესხიშვილი, გიორგი ბათლიძე, ნანა ამისულაშვილი, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიუდი დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, 26.

343 საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, მუხ. 14.1.

შემთხვევაში კი — არა[344]. ზემოხსენებული ტენდენცია 2020 წლის საკანონმდებლო რეფორმის დროს გაითვალისწინეს და ახალი კანონი, ძველისაგან განსხვავებით, კრედიტორებს პროცესის დასაწყებად კონკრეტულ კრიტერიუმებს არ უწესებს[345].

### 4.3 გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყება, როგორც საწარმოს მოვალეობა

გადახდისუუნარობა კერძო სამართლებრივი პროცესია, მის ერთ-ერთ მიზანს კეთილსინდისიერი, თუმცა წარუმატებელი მოვალის ინტერესების დაცვა წარმოადგენს. თუმცა გადახდისუუნარო მოვალის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, იგი ვალდებულია, პასუხი აგოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი წესით.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საწარმოს გადახდისუუნარობის დროს, გადახდისუუნარობის საქმისწარმოების გახსნა საუკეთესო გამოსავალია როგორც მოვალისთვის, ისე კრედიტორებისთვის, ასევე საწარმოს თანამშრომლებისთვის ვინაიდან არსებობს საწარმოს რეაბილიტაციის შანსი, ცხადი ხდება, რომ მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შიშით, გადახდისუუნარობის საქმისწარმოების აღძვრისაგან შესაძლო თავის შეკავება, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს[346].

ამ მხრივ, ნიშანდობლივია ადვოკატის როლი საწარმოს მიმართ, რომელსაც გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყება სურს. შესაძლოა იკვეთებოდეს გადახდისუუნარობასთან დაკავშირებული დანაშაულის ნიშნები, რომლებიც

---

[344] Mihaela Cristina Paul, Opening Insolvency Proceedings at Creditors Request, Conditions for application Submission, 152.

[345] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ", მუხ. 45, 46.

[346] Materni Mike.C., Criminal PuniSment and the Pursuit of Justice, https://hls.harvard.edu/content/uploads/2011/09/michele-materni-criminal-punishment.pdf.

გადახდისუუნარობის საქმის გახსნის შემთხვევაში, დიდი ალბათობით, გამოძიების საგნად იქცევა. შესაძლო რისკების მინიმალიზაცია ან/და წინასწარ განჭვრეტა, დიდწილად სწორედ ადვოკატის პროფესიონალიზმზე არის დამოკიდებული[347].

ამ პრობლემას კიდევ უფრო ამძიმებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიდგომა, რომელიც დანაშაულად აცხადებს გადახდისუუნარიანობის პროცესის დასაწყებად განცხადების შეუტანლობას[348]. არსებობს შანსი იმისა, რომ საწარმოს ხელმძღვანელმა არ დაიწყოს გადახდისუუნარობის საქმისწარმოება იმის შიშით, რომ ეს პროცესი დაგვიანებული არ აღმოჩნდეს, რაც შესაძლოა, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი გახდეს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით კრიმინალიზებულია ისეთი ქმედებები, როგორიცაა უკანონო ქმედება გადახდისუუნარობისას[349], საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევა გადახდისუუნარობისას[350], ასევე მოვალის მართვასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ მეურვისათვის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულების დარღვევა[351], ამიტომ აღარ არსებობს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეუტანლობისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწესების აუცილებლობა.

გადახდისუუნარობის პროცესის დასაწყებად განცხადების შეუტანლობისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება არ ემსახურება სამართლებრივი წესრიგის საჯარო ინტერესს. ამიტომ, როდესაც მოვალის ქმედებაში არ იკვეთება თაღლითობის ან სხვა დანაშაულის ნიშნები, გადახდისუუნარობის დადგომისთვის ან თუნდაც პროცესის დაწყებისთვის განცხადების

---

[347] Mary Jo Heston, Sandra Rasnak, Joan Safford, Hon. Robert Martin, Douglas Hyde and Ross Silverman, Bankropltcy Fraud, A Roundtable Discussion, 289.

[348] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 207.

[349] იქვე, მუხ. 205.

[350] იქვე, მუხ. 206.

[351] იქვე, მუხ. 207[1].

შეუტანლობის გამო, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება არ არის მიზანშეწონილი[352].

### 4.3.1 პასუხისმგებლობის სუბიექტი

მოვალისათვის გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანა არამხოლოდ უფლება, არამედ მოვალეობაცაა. ამ მოვალეობის დარღვევა იწვევს ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას — ჯარიმას, გამასწორებელ სამუშაოს ერთ წლამდე ვადით ანდა იმავე ვადით თავისუფლების აღკვეთას[353].

განცხადების შეტანის შესახებ ხელმძღვანელის ვალდებულებასთან დაკავშირებით უნდა განიხილონ გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ კანონის მე-16.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით, მოვალის მიერ განცხადების შეტანისას შეიძლება საჭირო ყოფილიყო შესაბამისი ორგანოს თანხმობა[354]. გაურკვეველია, როგორ უნდა მოიქცეს დირექტორი მაშინ, როდესაც არ არსებობს ამგვარი თანხმობა. განცხადებას, თანხმობის გარეშე სასამართლო არ მიიღებდა წარმოებაში, ხოლო განცხადების შეუტანლობა, იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას[355]. იმ შემთხვევაში, თუ დირექტორმა დააყენა საკითხი შესაბამისი ორგანოს წინაშე გადახდისუუნარობის საქმის აღძვრის თაობაზე, თუმცა ამ ორგანომ მხარი არ დაუჭირა დირექტორის ინიციატივას, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტები უნდა იყვნენ არა საწარმოს დირექტორი, არამედ შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილი პირები, რომელთაც მხარი არ დაუჭირეს

---

352 Materni Mike.C., Criminal PuniSment and the Pursuit of Justice, https://hls.harvard.edu/content/uploads/2011/09/michele-materni-criminal-punishment.pdf.

353 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექს, მუხ. 207.

354 საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, მუხ. 16.1.

355 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 207.

გადაწყვეტილებას[356]. აღნიშნული ხარვეზი აღმოფხვრილია ახალი კანონით, რომელმაც გაითვალისწინა თანხმობის აუცილებლობა მხოლოდ მოსალოდნელი გადახდისუუნარობის შემთხვევაში, გაკოტრების რეჟიმის გახსნის მოთხოვნისას[357]. ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელდა მხოლოდ ტერმინების დაზუსტების კუთხით[358], თუმცა სამართლებრივი საკითხები კვლავ დაუზუსტებელია განცხადების შეუტანლობის გამო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრების მიზანშეწონილობის მხრივ.

სასურველია, ახალ კანონს გაეთვალისწინებინა დირექტივით მიდგომა დირექტორთა პასუხისმგებლობის შესახებ, საწარმოს გადახდისუუნარობის ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობის დროს, როცა ისინი პასუხისმგებელნი არიან კრედიტორების, პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული პირების ინტერესების გათვალისწინებით, გადახდისუუნარობის თავიდან ასაცილებლად საჭირო ღონისძიებების გამოყენებითა და ისეთი ქმედებების თავიდან არიდებით, რამაც საწარმოს შეიძლება შეუქმნას საფრთხე[359].

---

356 იხ. ვრცლად ქეთევან მესხიშვილი, გიორგი ბათლიძე, ნანა ამისულაშვილი, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიუდი დაკმაყოფილების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით, 31.

357 საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ", მუხ. 45.3 „ი".

358 იქვე, მუხ. 7.3.

359 ქეთევან მესხიშვილი, გიორგი ბათლიძე, ნანა ამისულაშვილი, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით, 165, მითითებულია: DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring, insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency) art. 19.

### 4.3.2 გადახდისუუნარობის მოთხოვნის განცხადების შეუტანლობა გადახდისუუნარობასთან დაკავშირებულ დანაშაულებს შორის

ხშირად, გადახდისუუნარიანობის საქმისწარმოების გახსნის შემდეგ, თავს იჩენს ხოლმე სხვადასხვა დანაშაული. მათ შორის, გადახდისუუნარობის საქმის წარმოებასთან დაკავშირებული დანაშაულები[360]. კერძო სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის მიზანია კრედიტორის უფლებებისა და ეკონომიკური მოთხოვნების დაკმაყოფილება. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა საზოგადოებრივ ინტერესს ემსახურება, რათა გადახდისუუნარობის პროცესი წარიმართოს სამართლებრივად, ხოლო სამართალდამრღვევებმა პასუხი აგონ კანონის წინაშე[361].

გადახდისუუნარობასთან დაკავშირებული დანაშაულები განზრახი ქმედებებია[362], ეს შეიძლება იყოს არასწორი ინფორმაციის მიწოდება, დოკუმენტების გაყალბება, მოვალის ქონების გადამალვა ან სხვა. განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა, საქართველოსაგან განსხვავებით, არ ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გასახსნელად განცხადების შეუტანლობისათვის[363].

ამ მხრივ საქართველოს მსგავსი მიდგომა აქვს შვედეთის სისხლის სამართლის კოდექსს. შვედეთის სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 თავი, რომელიც კრედიტორის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს ეხება, დანაშაულად მიიჩნევს გადახდისუუნარო პირის მიერ საქმიანობის გაგრძელებას[364].

---

[360] Mary Jo Henston, The United States Trustee: The Missing Link of Bunkrupcy Crime Prosecutions, 359, https://heinonline.org.

[361] იქვე, 285.

[362] იქვე, 391.

[363] Mihaela Cristina Paul, Opening Insolvency Proceedings at Creditors Request, Conditions for application Submission 158.

[364] The Swedish Penal Code, Chapter 11, On Crimes agans Creditors, 44, https://www.government.se/contentassets/5315d27076c942019828d6c36521696e/swedish-penal-code.pdf.

შვედეთის სისხლის სამართის კოდექსის მე-11 თავის მე-3 მუხლი ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას პირისათვის, რომლიც აგრძელებს საქმიანობას გადახდისუუნარობის, ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობის მიუხედავად.

ლატვიის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დროს ინფორმაციის მიუწოდებლობისთვის, არასწორი ინფორმაციის მიწოდებისთვის ან ერთ-ერთი კრედიტორის სასარგებლოდ გარიგების დადებისათვის, თუმცა გადახდისუუნარობის დაწყების ვალდებულების დარღვევისათვის დებიტორის პასუხისმგებლობას ლატვიის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს[365].

## 4.4 შუალედური დასკვნა

გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებასთან დაკავშირებული რეგულაციების კვლევის შედეგად, გამოიკვეთა მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც მნიშვნელოვანია კანონმდებლობის დახვეწისა და სრულყოფისათვის, რაც, თავის მხრივ, აუცილებელია საწარმოსა და კრედიტორების უფლებების სათანადოდ დასაცავად.

რეაბილიტაცია საწარმოს ფინანსური, ადმინისტრაციული და სხვა პრობლემებით არის გამოწვეული. შესაბამისად, დიდი ალბათობით, საწარმოს აღარ აქვს იმის რესურსი, რომ თავად შეადგინოს რეაბილიტაციის გეგმა. ამიტომ, რეაბილიტაციის მოთხოვნისას რეაბილიტაციის გეგმის წარდგენა უნდა იყოს ფაკულტატორული და არა იმპერატიული მოთხოვნა, როგორც ეს არის გათვალისწინებული კანონში „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“[366]. პროგრესულია, კრედიტორის მიერ გადახდისუუნარობის საქმის

[365] The Criminal Law of Latvia, art. 215.

[366] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 44.3 „თ“.

წარმოების დაწყებისას არგუმენტირებული განცხადების საფუძველზე სასამართლომ შეაფასოს გადახდისუუნარობის ნიშნების არსებობა.

საკანონმდებლო რეფორმის შემდეგ გაუქმდა შემოსავლების სამსახურის — როგორც კრედიტორისათვის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების განსხვავებული წესის დაწესება, რითაც კანონი არათანაბარ მდგომარეობაში აყენებდა საწარმოს კრედიტორებს.

კიდევ ერთი საკანონმდებლო ნოვაცია, რომელიც გადახდისუუნარობის დაწყებისას სხვა კრედიტორთა მოსაზრების გაზიარების საშუალებას იძლევა[367], ზუსტად შეესაბამება კრედიტორისა და მოვალის უფლებების თანაზომიერი დაცვის თანამედროვე პრინციპს.

ნაშრომში განხილულმა სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკამ ცხადყო, რომ განცხადების შეუტანლობისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება არ არის მიზანშეწონილი და არ ემსახურება არც საჯარო ინტერესის დაცვას და არც გადახდისუუნარობის კანონმდებლობის მიზნებს. გადახდისუუნარობასთან დაკავშირებული დანაშაულები შემაფერხებელი გარემოებაა რეაბილიტაციის პროცესის დროული დაწყებისათვის. თუმცა ზოგიერთი მათგანის არსებობა აუცილებელია, ვინაიდან ემსახურება საჯარო ინტერესს. მოცემულ შემთხვევაში, გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყების შესახებ განცხადების შეუტანლობა არ არღვევს საჯარო წესრიგს. შესაბამისად, ამ ქმედებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება მოკლებულია გონივრულ საფუძველს. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის მოთხოვნით განცხადების შეუტანლობისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება არ არის გამართლებული და თავადვე ეწინააღმდეგება თავისივე მიზანს — გადახდისუუნარო მოვალემ დაიწყოს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება. სწორედ ამიტომ, ევროპული დირექტივა, ისევე როგორ დირექტივის მიღების

[367] იქვე, მუხ. 51.2.

შედეგად განხორციელებული საკანონმდებლო რეფორმები[368], ემხრობა მოსაზრებას, რომ გადახდისუუნარობის საქმისწარმოების აღძვრა უნდა იყოს საწარმოს უფლება, ისევე როგორც მოვალესა და კრედიტორს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, დაყოვნების გარეშე მოითხოვონ პრობლემების მქონე საწარმოსათვის რეაბილიტაციის პროცედურების დაწყება[369].

## 5. გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტთა მიერ მოვალისა და კრედიტორთა ინტერესების თანაზომიერად დაცვა

გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის მთავარი ფუნქცია, პროცესში მათი კონკრეტული როლის მიუხედავად, არის გადახდისუუნარობის პროცესის ეფექტურად წარმართვა ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად[370].

გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტი უნდა მოქმედებდეს სწრაფად, ეფექტურად და გამჭვირვალედ, იზრუნოს ქონების დაცვაზე, ემსახურებოდეს საუკეთესო ინტერესებს[371]. სწორედ ამ ფარგლებში უნდა იქნეს გაზომილი

[368] Bruno Cove, Julian Pane, Giulia Florally, Italy: New Bankruptcy Code, 5 https://www.paulhastings.com/publications-items/details/?id=2726866c-2334-6428-811c-ff00004cbded.

[369] DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring, insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency) Recital.67, 26, 29.

[370] Sandra Frisby, EBRD Insolvency Office Holder Performance Assessment Report, 8 file:///C:/Users/oper/Downloads/EBRD%20Insolvency%20Office%20Holder%20Performance%20Assessment%20Report.pdf.

[371] Ian Adriaanse, Iris Wuisman, Bernard Santen, European Principles and Best Practice for Insolvency Office Holders, report III: The Statement of Principles and Best Practices for insolvency Office Holders in Europe, 35, http://www.trileiden.eu/uploads/files/FINAL_DRAFT_REPORT_III_IOH_PROJECT_STATEMENT_AND_COMMENTS_29102014.pdf.
იხ. ასევე: Europe Statement of Principles and Guidelines for Insolvency Office Holders in Europe (draft), 10, file:///C:/Users/oper/Downloads/INSOL_EUROPE_IOH_STATEMENT_2014_08042015%20(3).pdf.

გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტთა მხრიდან მოვალისა და კრედიტორის ინტერესების თანაზომიერად დაცვა.

გადახდისუუნარობის პრაქტიკოსს მოვალის ქონების მიმართ ისეთივე უფლებები აქვს, როგორიც მოვალეს ჰქონდა — „მმართველი მოვალის ქურქშია გახვეული“[372]. უფრო მეტიც, მას აქვს განსაკუთრებული უფლებამოსილებები, ფლობდეს საწარმოს ფუნქციონირებისათვის აუცილებელ წარმოების საშუალებებს, როცა ისინი მესამე პირს ეკუთვნის, ასევე გადაწყვიტოს ხელშეკრულებების ბედი, რომელიც ორივე მხარის მიერ ჯერ კიდევ არ შესრულებულა[373].

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, რომელიც ახალმა კანონმა გაითვალისწინა, არის „გადახდისუუნარობის პრაქტიკასთან“ დაკავშირებული რეგულაციების შემოღება. კანონით შემოთავაზებულ ინსტიტუტს, მის შესაბამისობას საერთაშორისო ნორმებთან და შესაბამის რეკომენდაციებს წარმოგიდგენთ განსახილველ თავში.

გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის განმარტებას „გადახდისუუნარობის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებდა. რეფორმის შემდეგ შემოღებული ტერმინი — „გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი“ სიტყვასიტყვით არის ნათარგმნი ინგლისური ენიდან[374], თუმცა „გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტი“ შესაძლებელია, უკეთესად ასახავდეს მათთვის კანონმდებლობით მინიჭებულ ფუნქციას. გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტი საერთაშორისო ტერმინია, რომელიც გულისხმობს პირს, რომელსაც გააჩნია სათანადო ცოდნა და გამოცდილება, რათა მონაწილეობა მიიღოს გადახდისუუნარობის პროცესში. უმეტეს ქვეყანაში დაწესებულია სპეციალური ლიცენზირება გადახდისუუნარობის

---

[372] ქეთევან მესხიშვილი, გიორგი ბათლიძე, ნანა ამისულაშვილი, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, 46.

[373] იქვე.

[374] Insolvency Practitioner.

საქმისწარმოების სპეციალისტებისათვის[375]. ასევე გადახდისუუნარობის სპეციალისტი განმარტებულია როგორც „პირი ან კორპორაცია, რომლის მოვალეობა არის ადმინისტრირება, ქონების განკარგვა ან ამ ქონების მართვაზე ზედამხედველობა"[376]. გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის არამხოლოდ უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა, არამედ კვალიფიკაციაც გამომდინარეობს მისი კონკრეტული როლიდან გადახდისუუნარობის პროცესში[377]. შესაბამისად, იქიდან გამომდინარე, გადახდისუუნარობის პროცესი მიმდინარეობს თუ გაკოტრების, ასევე, რა კონკრეტულ პოზიციაზე არის დანიშნული გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტი, უნდა მოხდეს მსჯელობა მის დამოკიდებულებაზე პროცესის სხვა მონაწილეების — მოვალის ან კრედიტორების მიმართ[378].

## 5.1 გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტთა მიმართ დადგენილი პრინციპები

სამართალი გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტებისათვის ითვალისწინებს გარკვეულ პრინციპებს, რომლებსაც ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ საიმისოდ, რომ საკუთარი ფუნქციების წარმატებით განხორციელება შეძლონ, ხოლო პროცესი წარიმართოს კანონიერად და მართლზომიერად. ეს პრინციპები დადგენილია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ[379]

---

[375] Uncitral, Legislative Guide to Insolvency Law, 175, იხ. ასევე: http://www.icaew.com/en/technical/insolvency/becoming-an-icaew-insolvency-licensed-practitioner.

[376] Ian Adriaanse, Iris Wuisman, Bernard Santen, European Principles and Best Practice for Insolvency Office Holders, report III: The Statement of Principles and Best Practices for insolvency Office Holders in Europe, 19.

[377] Uncitral, Legislative Guide to Insolvency Law, 174.

[378] EBRD, Assesment of Insolvency Office Holders, Review of the Profession in the EBRD Region, 2021, file:///C:/Users/Sophio/Downloads/13472%20EBRD%20(Insolvency%20Core%20Principles%20Publication%20ARTWORK)2%20(1).pdf.

[379] Uncitral, Legislative Guide to Insolvency Law, EBRD Insolvency Office Holder Principles.

ხანგრძლივი და კვალიფიციური კვლევების შედეგად. მათ გააჩნიათ სარეკომენდაციო ხასიათი ადგილობრივი კანონმდებლებისათვის, რათა ასახვა ჰპოვონ სხვადასხვა ქვეყნის გადახდისუუნარობის სამართალში.

საერთაშორისო რეკომენდაციებით დადგენილი პრინციპების ნაწილი გვხვდება ქართულ კანონმდებლობაში, ნაწილი ნაკლებად, ხოლო ნაწილი გარკვეული მოდიფიცირებული სახით. მოცემულ თავში განხილული იქნება გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტთათვის დადგენილი პრინციპები ცალ-ცალკე და მათი შესაბამისობა ქართულ სამართალთან.

### 5.1.1 კვალიფიციურობის პრინციპი

ფაქტობრივად, ყველა საერთაშორისო კვლევა თანხმდება, რომ გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტი უნდა იყოს კვალიფიციური და გააჩნდეს სათანადო ცოდნა და გამოცდილება[380]. სპეციალისტის არაკვალიფიციურობის გამო შესაძლოა, დაზარალდეს როგორც მოვალე, ისე კრედიტორი. ამიტომ უმჯობესია, კანონმდებლობამ სათანადო მოთხოვნების დაწესებით უზრუნველყოს გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტად არაკვალიფიციური კადრის დანიშვნის პრევენცია, ვიდრე დღის წესრიგში დადგეს მოვალის ან კრედიტორის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის არაკვალიფიციურობის გამო[381].

კვალიფიკაციის უზრუნველსაყოფად კანონმდებლობა სხვადასხვა ხერხს იყენებს: — უწესებს შესაბამისი უმაღლესი განათლების მოთხოვნას, ლიცენზირებას, სასერტიფიკაციო გამოცდებს, სპეციალურ ტრენინგებს ფინანსებში, ბუღალტერიასა და სამართალში. ამავე მიზანს ემსახურება განგრძობადი

---

[380] Gerard McCormack, Andrew Keasy, Sarah Brown and Judith Dahlgreen, Study on a new approach to business failure and insolvency, Comparative legal analysis of the Member States' relevant provisions and practices, 78.

[381] Beng Lee, Insolvency Law, 287, https://heinonline.org.

პროფესიული განათლების მოთხოვნა[382]. გარდა ამისა, ქვეყნებში, სადაც არსებობს გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტთა ასოციაციები, ისინი უზრუნველყოფენ ზედამხედველობას და კონტროლს გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტთა კვალიფიკაციაზე[383].

საქართველოში გადახდისუუნარობის კანონმდებლობის რეფორმამდე რაიმე კვალიფიკაციას, მათ შორის, უმაღლეს განათლებას, კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა. რაც არ შეესაბამება არსებულ საუკეთესო საერთაშორისო რეკომენდაციებს[384] და შეიცავდა არაკვალიფიციური კადრის გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტად დანიშვნის საფრთხეს.

ახალი კანონმდებლობა გადახდისუუნარობის პრაქტიკოსისთვის აუცილებლად მიიჩნევს სათანადო კვალიფიკაციას, თუმცა კვალიფიკაციის სტანდარტი კანონით არ არის გათვალისწინებული. საკვალიფიკაციო მოთხოვნები დადგენილია იუსტიციის მინისტრის ბრძანებით[385].

კარგი იქნებოდა, საკანონმდებლო რეფორმის ფარგლებში გათვალისწინებულიყო აპრობირებული მიდგომა, რომელიც თავდაპირველ ეტაპზე ნებაყოფლობითი აკრედიტაციის შესაძლებლობის შემოღებას გულისხმობს, იმისათვის, რომ არ გაჩნდეს გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტთა დეფიციტი[386]. ასეთ დროს არააკრედიტებულ სპეციალისტებსაც ექნებათ უფლებამოსილების განხორციელების საშუალება, თუმცა,

---

[382] იქვე, 285.
[383] Uncitral, Legislative Guide to Insolvency Law, 189.
[384] იქვე.
[385] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 30 მარტის N696 ბრძანება გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა ავტორიზაციის განხორციელების, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა ერთიანი რეესტრის წარმოებისა და გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა ელექტრონული სისტემის მეშვეობით შერჩევის წესისა და პირობების დამტიცების შესახებ, https://matsne.gov.ge/ka/document/view/5137782?publication=0.
[386] Uncitral, Legislative Guide to Insolvency Law, 189.

ბუნებრივია, მათ კონკურენციას გაუწევენ ლიცენზირებული გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტები[387].

რეფორმის მნიშვნელოვანი ხარვეზია, რომ კანონმა გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა ავტორიზაციის უფლებამოსილება სრულიად ხელოვნურად მიანიჭა აღსრულების ეროვნულ ბიუროს[388], რაც ძველი, მანკიერი მიდგომის გადმონაშთია და ხელს შეუშლის გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის როგორც ძლიერი და საპასუხისმგებლო პროფესიის წარმომადგენლების ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

აღსრულების ეროვნული ბიურო ახორციელებს იძულებით აღსრულებას, რასაც არავითარი კავშირი არ აქვს გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტთა მიმართ საზედამხედველო და ადმინისტრაციული მოვალეობების შესრულებასთან. საერთაშორისო კვლევის თანახმად, თუკი გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტთა პროფესია რეგულირებადია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების (სამინისტროები) მიერ, ასეთ ქვეყნებში გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტები ბევრად დაბალი კომპეტენციით გამოირჩევიან[389].

გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტთა საქმიანობის აღსრულების ეროვნული ბიუროს მხრიდან მონოპოლიზაცია გაკრიტიკებულია გერმანელი სპეციალისტების დასკვნაში ქართული გადახდისუუნარობის შესახებ, სადაც საუბარია, რომ „საჭიროა გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტთა როლისა და მოვალეობების ახლებურად

---

387 Beng Lee, Insolvency Law, 287.

388 საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 118.2.

389 EBRD, Assesment of Insolvency Office Holders, Review of the Profession in the EBRD Region, 7, file:///C:/Users/oper/Downloads/EBRD_2014_insolvency_office_29.10.2014%20(1).pdf.

განსაზღვრა“[390] ისევე, როგორც „მინიმალური საგანმანათლებლო და პროფესიული სტანდარტების დაწესება“[391].

კარგი იქნებოდა, საკანონმდებლო რეფორმის შემდეგ საქართველოში შექმნილიყო გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა თვითრეგულირებადი ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფდა პროფესიაში შემსვლელ პირთა ავტორიზაცია/სერტიფიცირებას, კვალიფიკაციის უზრუნველსაყოფად იზრუნებდა გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტთა განგრძობად განათლებაზე, მასვე დაევალებოდა გადახდისუუნარობის პრაქტიკოსებზე ზედამხედველობა და დისციპლინური ადმინისტრირების ფუნქციაც.

ეს იქნებოდა თვითრეგულირებადი ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფდა პრაქტიკოსთა როგორც ლიცენზირებას, ასევე მათზე ზედამხედველობასა და ერთიანი სიის წარმოებას. სწორედ ამგვარია თანამედროვე მიდგომა პროფესიის ორგანიზაციის მიმართ[392]. ევროპული დირექტივა რეკომენდაციას უწევს პროფესიული ორგანიზაციის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს პრაქტიკოსების განგრძობად სწავლებას და მათზე ზედამხედველობას[393]. თუმცა, სამწუხაროდ, ეს პროგრესული მიდგომა ქართული საკანონმდებლო რეფორმის ფარგლებში არ გაიზიარეს.

---

390 German Economic Team Georgia, Jnus Hans, Avoidence the Insolvency of Georgia's Insolvency Law, 18, https://www.get-georgia.de/wp-content/uploads/2016/04/PP_01_2016_en.pdf.

391 იქვე.

392 EBRD Insolvency Office Holder Principles, 4.

393 DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring, insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency).

### 5.1.2 კეთილსინდისიერების პრინციპი

კეთილსინდისიერება გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის კარგ რეპუტაციას, მის კეთილსინდისიერ მოღვაწეობას გულისხმობს, რაც ფინანსურ მანიპულაციებსა და დანაშაულში მონაწილეობას გამორიცხავს.

გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტებმა კეთილსინდისიერება უნდა გამოავლინონ როგორც კრედიტორთა, ასევე მოვალის მიმართ. სწორედ კეთილსინდისიერების უზრუნველსაყოფად, გადახდისუუნარობის მმართველად არ შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც „ახორციელებს იმავე ან მსგავს საქმიანობას, როგორსაც მოვალე“[394]. მსგავსი რეგულაციებით კანონი ცდილობდა, დაეცვა მოვალე, რათა გაკოტრების მმართველი არ იყოს დაინტერესებული საწარმოს რეალიზაციის კონკრეტული არაკეთილსინდისიერი მიზნებით. რეფორმის შემდეგ ამგვარი მოთხოვნა კანონმდებლობით აღარ გვხვდება. ამასთან, ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა პირიქით, რიგ შემთხვევებში, საჭიროდ თვლის, გადახდისუუნარობის ექსპერტს გააჩნდეს კონკრეტულ ბიზნესთან დაკავშირებული სპეციალური ცოდნა და გამოცდილება[395]. ასეთი რეგულაციის მიზანია, უკეთ მოხდეს ბიზნესის მართვა შესაბამის სფეროში გამოცდილი კადრის მიერ. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტს შეუძლია, დაიქირაოს შესაბამისი ექსპერტები, რომლებიც კონსულტაციას გაუწევენ, კონკრეტული სპეციფიკური დარგის მართვისას[396].

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი რეაბილიტაციის მმართველს აკისრებს ფიდუციურ მოვალეობებს მოვალის

---

[394] საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, მუხ. 37.3.

[395] Uncitral, Legislative Guide to Insolvency Law, 17.

[396] Douglas G. Braid, Rheodore Eisenberg, Thomas H. Jackson, Commercial and Debtor-creditor Law, Selected Statutes, 1805.

კრედიტორების მიმართ[397]. ამასთან, ფიდუციური მოვალეობების მხოლოდ კრედიტორთათვის დაკისრება არ არის განპირობებული ტექნიკური ხარვეზით, პირიქით, კანონის განმარტებით, ზარათის მიხედვით რეაბილიტაციის რეჟიმში მართვის მახასიათებელი ნიშანი სწორედ კრედიტორთა და არა მოვალის მიმართ ფიდუციური მოვალეობებია[398].

ფიდუციური ურთიერთობა თავისთავად კეთილსინდისიერ, ნდობაზე დამყარებულ ურთიერთობას გულისხმობს. ფიდუციური ურთიერთობით არიან დაკავშირებული საწარმოს დირექტორები საწარმოსთან[399]. შესაბამისად, უმჯობესია, კანონმდებელი ფიდუციურ მოვალეობებს ითვალისწინებდეს არა მხოლოდ კრედიტორების, არამედ მოვალის მიმართაც[400]. მით უმეტეს, როცა რეაბილიტაციის მმართველი პასუხისმგებელია გადახდისუუნარო საწარმოს რეაბილიტაციაზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა კანონი ითვალისწინებს მოვალის სასარგებლოდ რეაბილიტაციის მმართველის მიერ საკომპენსაციო თანხის გადახდას ფიდუციური მოვალეობის დარღვევის გამო[401].

### 5.1.3 ინტერესთა კონფლიქტის გამჟღავნება

კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ მანამდე არსებული კანონმდებლობისაგან განსხვავებით, ითვალისწინებს

---

[397] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 75.1.

[398] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონზე „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, თავი 9, https://matsne.gov.ge/ka/document/view/4792392?publication=0.

[399] Bernard s. Black, The Principal Fiduciary Duties of Boards off Direcrors.

[400] შეადარეთ: ქეთევან მესხიშვილი, გიორგი ბათლიძე, ნანა ამისულაშვილი, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, 116.

[401] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 90.2 „გ“.

კონფიდენციალურობასა და ინტერესთა კონფლიქტს[402]. საკანონმდებლო რეფორმამდე ინტერესთა კონფლიქტის გამჟღავნების ვალდებულებას მოიაზრებდა გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის დამოუკიდებლობის მოთხოვნის ქვეშ, რაც არც ისეთი ზუსტია და შესაძლებელია, არასწორად იქნეს გაგებული.

ზოგიერთი ქვეყანის კანონმდებლობა გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტისათვის ინტერესთა კონფლიქტის გამჟღავნების მოვალეობას აიგივებს დამოუკიდებლობის მოვალეობასთან (მაგ., ავსტრია), რაც არაა მიზანშეწონილი[403].

ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტს უნდა ჰქონდეს მისი გამჟღავნების ვალდებულება, ხოლო დამოუკიდებლობისა და ნეიტრალიტეტის ხარისხი დამოკიდებულია გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის კონკრეტულ როლზე პროცესში.

ინტერესთა კონფლიქტის აკრძალვას ზოგჯერ გადახდისუუნარობისა და გაკოტრების კანონმდებლობა არეგულირებს ან ზოგადი სამართლებრივი რეგულაციებით არის მოწესრიგებული. ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ., საბერძნეთი) გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტების ინტერესთა კონფლიქტს კრძალავს ადვოკატთა ქცევის კოდექსი[404]. პორტუგალიაში გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტების პროფესიული კანონი შეეხება აღნიშნულ საკითხს. ჰოლანდიაში კი სასამართლოს ევალება, რომ გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის დანიშვნისას აიცილოს თავიდან ინტერესთა კონფლიქტი[405].

---

402 იქვე, მუხ. 17.

403 Gerard McCormack, Andrew Keasy, Sarah Brown and Judith Dahlgreen Study on a new approach to business failure and insolvency, Comparative legal analysis of the Member States' relevant provisions and practices, 81.

404 იქვე.

405 იქვე.

ცალკე საკითხია, პრაქტიკაში რამდენად ხდება ინტერესთა კონფლიქტის გამოვლენა. ეს ხშირად დამოკიდებულია ამ პროცესში პროფესიული ასოციაციების ჩართულობაზე. მაგალითად, ჩეხეთში, სადაც კანონმდებლობით აკრძალულია ინტერესთა კონფლიქტი, არსებობს მოსაზრება, რომ, ასეთი შემთხვევების ფართოდ გავრცელების მიუხედავად, მათი გამოვლენა და აღკვეთა არ ხდება[406].

კანონი უნდა განსაზღვრავდეს, თუ ვის წინაშე ეკისრება გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტს გამჟღავნების ვალდებულება[407]. ინტერესთა კონფლიქტი შეიძლება გამომდინარეობდეს ძველი ან არსებული ურთიერთობებიდან მოვალესთან ან კრედიტორთან. ამასთან, ინტერესთა კონფლიქტის არსებობა თავისთავად არ უნდა იყოს გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის პროცესში მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოება. ის, თუ რამდენად ხელის შემშლელია არსებული ურთიერთობა პროცესის კანონიერად წარსამართად, უნდა განსაზღვროს სასამართლომ[408].

### 5.1.4 დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა

#### 5.1.4.1 რეაბილიტაციის მმართველი/ზედამხედველი

რეაბილიტაციის მმართველი არის პირი, ვისაც მინდობილი აქვს რეაბილიტაციის პროცესის მიმდინარეობა. მან, ერთი მხრივ, უნდა ითანამშრომლოს მოვალის მენეჯმენტთან, მეორე მხრივ კი, ანგარიშვალდებულია კრედიტორთა ერთიანობის წინაშე. აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ რეაბილიტაციის მმართველი იყოს მხარეთაგან დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი[409].

---

406 იქვე.
407 Uncitral, Legislative Guide to Insolvency Law, 175.
408 იქვე.
409 Beng Lee, Insolvency Law, 287.

რეაბილიტაციის მმართველი ვალდებულია, მიიღოს ზომები მოვალის წარმოების შესანარჩუნებლად და გასაგრძელებლად[410], შესაბამისად, მისი ქმედებები სწორედ ამ მიზნისაკენ უნდა იყოს მიმართული. ამ პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანაზომიერების პრინციპის დაცვა, სწორედ ამას უნდა გულისხმობდეს კანონმდებელი, როდესაც რეაბილიტაციის მმართველს უკრძალავს კრედიტორთა ერთობლიობის ინტერესებისთვის ზიანის მიყენებას გაუმართლებლად და აუცილებლობის გარეშე[411].

რეაბილიტაციის მმართველის დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას უნდა უზრუნველყოფდეს მისი დანიშვნის წესი. დანიშვნის სისტემა უნდა გულისხმობდეს მოვალისა და კრედიტორის ჩართულობას სპეციალისტის შერჩევაში და ხელს უნდა უწყობდეს შესაფერისი კანდიდატის დანიშვნას[412].

ევროპული დირექტივა არ ზღუდავს წევრ სახელმწიფოებს გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის დანიშვნის სუბიექტის განსაზღვრაში, ეს შეიძლება იყოს როგორც კრედიტორი, მოვალე, კრედიტორთა კომიტეტი ან სასამართლო, თუმცა დანიშვნის პროცესი უნდა იყოს სამართლიანი და გამჭვირვალე და უნდა არსებობდეს პრაქტიკოსის შეცვლის მოთხოვნის შესაძლებლობა[413].

„გადახდისუუნარობის შესახებ" კანონის მიხედვით, რეაბილიტაციის მმართველს ნიშნავდნენ კრედიტორები[414]. ამასთან, არ არსებობდა მოვალის ბერკეტი, მოეთხოვა რეაბილიტაციის

---

[410] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ", მუხ. 75.4 „ა".

[411] იქვე, მუხ. 75.7.

[412] Gerard McCormack, Andrew Keasy, Sarah Brown and Judith Dahlgreen, Study on a new approach to business failure and insolvency, Comparative legal analysis of the Member States' relevant provisions and practices, 79.

[413] DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring, insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency) Recital 88.

[414] საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ, მუხ. 44.2.

მმართველის შეცვლა. ეს წესი ვერ უზრუნველყოფდა რეაბილიტაციის მმართველის დამოუკიდებლობას.

საკანონმდებლო რეფორმის შემდეგ რეაბილიტაციის მმართველის დანიშვნის უფლებამოსილება აქვს სასამართლოს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, პრაქტიკოსთა ერთიანი სიიდან[415]. კრედიტორთა ჩართულობა მხოლოდ დანიშნული რეაბილიტაციის მმართველის შეცვლის უფლებამოსილებით შემოიფარგლება — კანონმდებელმა გაითვალისწინა რეკომენდაცია, რომლის თანახმადაც, უნდა არსებობდეს კრედიტორის ან მოვალის მხრიდან რეაბილიტაციის მმართველის შეცვლის მოთხოვნის მექანიზმი[416] და დაადგინა, რომ კრებაზე დამსწრე ხმის უფლების მქონე კრედიტორების 2/3-ს შეუძლია, აირჩიოს ახალი რეაბილიტაციის მმართველი/ზედამხედველი[417].

მოვალის მართვაში დატოვება ხელს უწყობს პროცესის ადრეულ ეტაპზე დაწყებას, ზედმეტი ხარჯების თავიდან აცილებას, ამიტომაც დირექტივა შესაძლებლად მიიჩნევს მოვალის მიერ მიმდინარე ოპერაციების დამოუკიდებლად წარმართვას[418]. ხოლო რეაბილიტაციის ზედამხედველის დანიშვნის აუცილებლობა გამომდინარეობს კონკრეტული პროცესის თავისებურებიდან. დირექტივა წევრ სახელმწიფოებს აძლევს საშუალებას, განსაზღვრონ, რა შემთხვევაშია გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის დანიშვნა აუცილებელი. მაგალითად: თუ საწარმო იყენებს მორატორიუმს, რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცება არ ხდება ყველა შესაბამისი კლასის კრედიტორის მიერ[419], რეაბილიტაციის გეგმა ამცირებს

---

[415] იქვე, მუხ. 11.

[416]Uncitral, Legislative Guide to Insolvency Law, 178.

[417] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 92.2.

[418] DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring, insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency) art.5.

[419] Cross-class cram-down.

თანამშრომელთა უფლებებს, მოვალის ქმედებაში იკვეთება არაკეთილსინდისიერების ნიშნები, ეს აუცილებელია მხარეთა უფლებების თანაზომიერად დასაცავად ან ამას ითხოვს თავად მოვალე[420]. გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის სავალდებულო დანიშვნის მოთხოვნა შეუძლია კრედიტორთა უმრავლესობასაც, თუმცა, დირექტივის მიხედვით, ასეთ შემთხვევაში მისი დანიშვნის ხარჯებს კრედიტორები გაიღებენ[421].

ახალი კანონმდებლობით გათვალისწინებული პროგრესული ნოვაცია რეაბილიტაციის პროცესში მოვალის მართვაში დატოვების შესაძლებლობის შესახებ[422] სრულად შეესაბამება ევროპის პარლამენტის რეკომენდაციას, რომ რეაბილიტაციის პროცესში მოვალის მიმდინარე მართვას უნდა აგრძელებდეს მისი მენეჯმენტი[423]. თუმცა თუ დირექტივა რეკომენდაციას აძლევს მოვალის მართვაში დატოვებას, გარდა კონკრეტული სპეციფიკური შემთხვევებისა, საქართველოს კანონმდებლობა მოვალის მართვაში დატოვების მიზანშეწონილობის შესახებ ბიზნესგადაწყვეტილების მიღებას სასამართლოს აკისრებს[424].

რეაბილიტაციის მმართველი საქმიანობას უნდა წარმართავდეს სპეციალური სამუშაო სტანდარტებისა და პროფესიული ეთიკის მიხედვით. მას უნდა გააჩნდეს სათანადო იურიდიული მანდატი, გამომდინარე არა მხოლოდ ხელშეკრულებიდან, არამედ კანონმდებლობიდან, რასაც

---

[420] DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring, insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency), Recital 30.

[421] იქვე, Recital 31.

[422] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 64.1.

[423] Kristin van Zwieten, Restructuring law: recommendations from the European Commission, http://www.ebrd.com/downloads/research/law/lit114e.pdf.

[424] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 64.

სავალდებულო ხასიათი ექნება, მათ შორის, მესამე პირთათვის[425]. სწორედ ამიტომ, მისასალმებელია ახალი კანონის მიდგომა. რომელიც რეაბილიტაციის მმართველსა და მოვალის ხელმძღვანელობას შორის უფლებამოსილებას ანაწილებს არა მხოლოდ სახელშეკრულებო, არამედ საკანონმდებლო დონეზე[426]. საკანონმდებლო რეფორმის შემდეგ რეაბილიტაციის მმართველს რეაბილიტაციის გეგმის შესრულებაზე ზედამხედველობას აკისრებს მხოლოდ მაშინ, თუ ეს რეაბილიტაციის გეგმით არის გათვალისწინებული ან კრედიტორი დააყენებს სასამართლოს წინაშე ამგვარ შუამდგომლობას[427]. ეს საკანონმდებლო ვაკუუმი დამტკიცებულ რეაბილიტაციის გეგმის შესრულებას ზედამხედველობის გარეშე ტოვებს.

გეგმის შედგენის დროს აუცილებელია კონსულტაციები როგორც მოვალესთან, ასევე კრედიტორთან, თუმცა რეაბილიტაციის გეგმის შედგენაზე, ისევე როგორც მის შესრულებაზე, პასუხისმგებელი უნდა იყოს რეაბილიტაციის მმართველი. სწორედ ამ მოსაზრებას იზიარებს გადახდისუუნარობის კანონმდებლობასთან დაკავშირებით არსებული საუკეთესო პრაქტიკა[428]. რაც შეეხება მართვაში მყოფი მოვალის მიერ რეაბილიტაციის გეგმის შედგენის შესაძლებლობას, რაც გათვალისწინებულია ევროპული დირექტივით[429], საქართველოს კანონი შესაძლებლად მიიჩნევს, თუმცა რა

[425] Gerard McCormack, Andrew Keasy, Sarah Brown and Judith Dahlgreen, Study on a new approach to business failure and insolvency, Comparative legal analysis of the Member States' relevant provisions and practices, 155.

[426] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ", მუხ. 73, 74, 75.

[427] იქვე, მუხ. 81.6.

[428] Uncitral, Legislative Guide to Insolvency Law, 175.

[429] DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring, insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency) art. 9.1.

შემთხვევაში ამზადებს რეაბილიტაციის ზედამხედველი და როდის მოვალე, ეს დაზუსტებული არაა[430].

### 5.1.4.2 გაკოტრების მმართველი

გაკოტრების მმართველის მთავარი ფუნქცია არის სამეურვეო ქონების რეალიზაცია, რაც უნდა განხორციელდეს „შეძლებისდაგვარად სწრაფად და ეფექტიანად, მოვალის კრედიტორთა ერთობლიობის ინტერესების გათვალისწინებით“[431]. კრედიტორთა ერთობლიობის ინტერესების სასარგებლოდ მოქმედებისას დაცული უნდა იქნეს თანაზომიერების პრინციპი, გაკოტრების მმართველმა „გაუმართლებლად და აუცილებლობის გარეშე“ ზიანი არ უნდა მიაყენოს კრედიტორთა ერთობლიობის ინტერესს[432].

გადახდისუუნარობის კანონმდებლობის რეფორმამდე არსებული ნორმებით კრედიტორთა ინტერესების დაუსაბუთებელ შეზღუდვასთან გვქონდა საქმე, როდესაც გაკოტრების მმართველის შეცვლის შემთხვევაში, სასამართლო ახალ გაკოტრების მმართველად სავალდებულო წესით ნიშნავდა აღსრულების ეროვნულ ბიუროს[433]. კრედიტორებს უნდა შეეძლოთ გაკოტრების მმართველის გამოცვლის საჭიროებისას თავად აირჩიონ ახალი სუბიექტი, რომელსაც მიანდობენ ქონების კრედიტორთა ინტერესების შესაბამისად რეალიზაციის საკითხს. მხოლოდ კრედიტორთა მიერ გადაწყვეტილების მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში უნდა შეეძლოს სასამართლოს, დანიშნოს გაკოტრების მმართველი. ასეთ დროსაც, უმჯობესია, გაკოტრების მმართველად ინიშნებოდეს არა აღსრულების ეროვნული ბიურო, არამედ მისი

---

[430] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 81.2 შეადარეთ: 81.2 და 74.2 „დ“.

[431] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 100.1.

[432] იქვე.

[433] საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, მუხ. 38.1.

დანიშვნა ხდებოდეს გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტთა სიიდან.

გაკოტრების მმართველის დანიშვნასთან დაკავშირებით არსებული ხარვეზი აღმოფხვრილია ახალი კანონით[434]. კანონი საკმაოდ ფართო უფლებამოსილებას ანიჭებს გაკოტრების მმართველს, იგი აფასებს გადახდისუუნარობის მასაში შემავალ ქონებას[435], თავად იღებს გადაწყვეტილებას რეალიზაციის ფორმაზე[436], ასევე ქონების ერთიანი საწარმოს სახით ან ცალ-ცალკე გაყიდვის შესახებ[437].

შეიცვალა მიდგომა, თითქოს ქონების რეალიზაცია აუქციონის გზით მისი საუკეთესო ფასად რეალიზაციის შესაძლებლობაა. თანამედროვე სამართალში გაკოტრების დროს ქონების რეალიზაციას აუქციონის გზით მიიჩნევენ ზოგადად ყველაზე სამართლიან მიდგომად, თუმცა ამავდროულად საუკეთესო ფასი დიდწილად დამოკიდებულია კონკრეტული საქმის სხვადასხვა გარემოებაზე[438].

გაკოტრების მმართველმა შესაძლოა მიიღოს გადაწყვეტილება ქონების პირდაპირი მიყიდვით, კერძო აუქციონით, ცალკეული აქტივების რეალიზაციით, მთლიანი საწარმოს მიწოდებით (going concern) ან კანონისმიერი აუქციონის გზით რეალიზაციის შესახებ[439].

ერთ-ერთ საქმეში, „ბრიუერი იქბალის წინააღმდეგ“, სასამართლომ ადმინისტრატორი, ბატონი იქბალი დამნაშავედ ცნო ზრუნვის მოვალეობის უხეშ დარღვევაში, რადგანაც მან არ მიიღო მხედველობაში დამოუკიდებელი ექსპერტის შეფასება გასაყიდი

---

434 საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“.

435 იქვე, 100.5.

436 იქვე, მუხ. 101.

437 იქვე.

438 Eugenio Vaccari, Promoting fairness in English Insolvency valuation cases,290 https://onlinelibrary.wiley.com/doi/epdf/10.1002/iir.1382.

439 ქეთევან მესხიშვილი, გიორგი ბათლიძე, ნანა ამისულაშვილი, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, 69.

ქონების ფასთან დაკავშირებით[440], ხოლო „ეი ემ თი კოფის" საქმეში, სადაც ასევე არ იქნა გაზიარებული ექსპერტის შეფასება, სასამართლომ არ დაადგინა დარღვევა, რადგან ადმინისტრატორი ასაბუთებდა გარემოებებს, რის გამოც ექსპერტის შეხედულება არ გაიზიარეს[441].

გაკოტრების მმართველის გადაცდომა უმეტესად ქონების შეფასებასთან არის დაკავშირებული, რასაც, როგორც წესი, მნიშვნელოვანი ზიანი მოჰყვება. დაინტერესებულ პირებს უნდა ჰქონდეთ ამ ზიანის თავიდან აცილების შესაძლებლობა, თუკი ისინი დაამტკიცებენ, რომ ამ გადაწყვეტილებით ადგებათ გაუმართლებელი ზიანი[442].

სასამართლომ იმსჯელა ასევე მტკიცების ტვირთის განაწილებაზე და დაადგინა, რომ გაკოტრების მმართველმა უნდა ამტკიცოს, რომ გადაწყვეტილება მიღებულია პირადი დაინტერესების გარეშე[443]. სასამართლოს განმარტებით, გაკოტრების მმართველი უსამართლო ზიანს[444] აყენებს კრედიტორებს, თუ უარს ამბობს ისეთი მოქმედების განხორციელებაზე, რომელიც, წარმატების შემთხვევაში, სარგებელს მოუტანდა კრედიტორებს, ხოლო წარუმატებლობის შემთხვევაში, არ დააზიანებდა მათ[445]. ამასთან, გადასინჯვას ექვემდებარება გაკოტრების მმართველის მხოლოდ დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები და მხოლოდ ისეთ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც იგი ობიექტურად შეიძლება ჩაითვალოს არამიზანშეწონილად.

სასამართლო იყენებს ე.წ. „ვედნესბარის ტესტს"[446], რომლის მიხედვითაც, გადაწყვეტილება გადაისინჯება, თუ იგი

---

[440] Brewer et al. v Iqbal, https://www.casemine.com/judgement/uk/5c6252c82c94e079f4688737.
[441] Eugenio Vaccari Promoting fairness in English Insolvency valuation cases, 299.
[442] იქვე.
[443] LF2 Ltd v Supperstone & Anor, 2018, https://www.casemine.com/judgement/uk/5b4dbf3e2c94e07bbfddc6d4#.
[444] Unfair Harm.
[445] Eugenio Vaccari, Promoting fairness in English Insolvency valuation cases, 300 მითითებულია: Robert Hantusch Harm without Preversity – An Extra Burden for the Admnitrator?.
[446] Wednesbury Test.

დაუსაბუთებელია ან/და როდესაც გადაწყვეტილების მიმღებმა პირმა არაკეთილსინდისიერად მხედველობაში მიიღო ის გარემოებები, რომლებიც არ უნდა გაეთვალისწინებინა, და პირიქით, როდესაც არ მიიღო მხედველობაში ის გარემოებები, რომელთა გათვალისწინებაც მართებდა[447].

ამასთან, ამან არათანაზომიერად არ უნდა შეზღუდოს გაკოტრების მმართველის უფლებამოსილება. კრედიტორებს არ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მოითხოვონ სამეურვეო ქონების გასხვისების გაუქმება, თუ ისინი ვერ დაამტკიცებენ, რომ ბიზნესი შეიძლებოდა გადარჩენილიყო მოქმედ საწარმოდ გაყიდვის შემთხვევაში[448]. საჭიროა თანაზომიერების დაცვა კრედიტორთა საუკეთესო ინტერესსა და გაკოტრების მმართველის მიერ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას შორის.

## 5.1.5 კონფიდენციალურობის პრინციპი

გადახდისუუნარობის სპეციალისტს კონფიდენციალურობის დაცვა ევალება როგორც საწარმოსთან, ასევე კრედიტორებთან დაკავშირებით მოპოვებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით.
გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტთა ეთიკის კოდექსის თანახმად, გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტი „ვალდებულია, არ გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მას კანონი ან საკუთარი მოვალეობები აკისრებს გამჟღავნების ვალდებულებას“[449].

რიგ შემთხვევებში, კრედიტორებსაც ევალებათ გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის მიერ მათთვის გამჟღავნებული კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულება. ასეთი ვალდებულება ეკისრება აგრეთვე

---

447 Associated Provincial Pictures House Ltd v Wednesbury Corp, Supreme Court of Judicature Kings Benc, https://www.refworld.org/pdfid/48abd539d.pdf.
448 Eugenio Vaccari, Promoting fairness in English Insolvency valuation cases, 30.
449 Code of Athics for Insolvency Practitioners, par. 4, http://www.icaew.com/en/membership/regulations-standards-and-guidance/ethics/code-of-ethics-d.

გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის მიერ დაქირავებულ ექსპერტებსაც. გადახდისუუნარობის პროცესში მონაწილეობის შედეგად გაცნობილი კონფიდენციალური ინფორმაცია უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ კონკრეტული გადახდისუუნარობის პროცესის ფარგლებში[450].

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის მიერ კონფიდენციალურობის დაცვის მოვალეობას[451]. ეს მნიშვნელოვანია, პირველ რიგში საწარმოს, მისი მფლობელებისა და კონტრაჰენტების კომერციული ინტერესების დაცვის კუთხით.

გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტს ევალება კონფიდენციალურობის დაცვა, თუმცა ამავე დროს იგი ინფორმაციის წარდგენის კუთხით ანგარიშვალდებულია როგორც მოვალის, ისე კრედიტორთა მიმართ.

კრედიტორი და მოვალე მუდმივად ინფორმირებულნი უნდა იყვნენ პროცესის მიმდინარეობის შესახებ. ინფორმაცია მათთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი (გარდა კონფიდენციალური ინფორმაციისა), ამისთვის გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტს ეკისრება რეგულარული მოხსენებების წარდგენა როგორც მოვალისთვის, ისე კრედიტორისათვის[452].

საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ“ მხოლოდ უზრუნველყოფილ კრედიტორებს ანიჭებდა შეუზღუდავი ინფორმაციის მიღების უფლებას რეაბილიტაციის გეგმის მიმდინარეობის შესახებ[453], მოხსენების გაკეთების ვალდებულებას კი კანონი მხოლოდ კრედიტორთა პირველ კრებაზე და ლიკვიდაციის პროცესის

[450] Uncitral, Legislative Guide to Insolvency Law, 180.

[451] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ მუხ. 17.

[452] EBRD Insolvency Office Holder Principles, 8.

[453]საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, მუხ. 50.2.

დასრულების შემდეგ ითვალისწინებს[454]. რაც არ არის საკმარისი გადახდისუუნარობის პროცესის გამჭვირვალობისა და ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად.

სპეციალისტს მხოლოდ მაშინ შეუძლია, უარი თქვას ინფორმაციის გაცემაზე, თუ „ინფორმაცია აშკარად დააზარალებს სამეურვეო ქონებას ან მონაწილეთა ინტერესებს“[455].

გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტი ვალდებული უნდა იყოს, „ინფორმაცია მიაწოდოს მათ, ვინც დაინტერესებულია გადახდისუუნარობის შედეგებით. მიწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს სრული და გასაგები“[456]. ამასთან, დირექტივის თანახმად, იმ სუბიექტებსაც კი, ვის უფლებებსაც არ ეხება რეაბილიტაცია, უფლება აქვთ, ფლობდნენ სრულ ინფორმაციას რეაბილიტაციის გეგმასთან დაკავშირებით[457].

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი კრედიტორს აძლევს უფლებას, მოსთხოვოს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსს მოვალესთან დაკავშირებული ფინანსური და სხვა ინფორმაცია[458], რათა სასამართლოს წარუდგინოს თავისი მოსაზრება გადახდისუუნარობის პროცესის დაწყების შესახებ. თუმცა ეს უფლებამოსილება კრედიტორს გააჩნია პროცესის დაწყებიდან 15 დღის ვადაში. შესაბამისად, საქმე გვაქვს საკანონმდებლო ხარვეზთან, ვინაიდან კანონის სიტყვა-სიტყვითი განმარტებით კრედიტორს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსისაგან ინფორმაციის

---

[454] იქვე, მუხ. 26.2 „გ“, მუხ.42.2.

[455] Ian Adriaanse, Iris Wuisman, Bernard Santen, European Principles and Best Practice for Insolvency Office Holders, report III: The Statement of Principles and Best Practices for insolvency Office Holders in Europe, 41.

[456] Code of Athics for Insolvency Practitioners, par. 36.

[457] DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring, insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency) Recital 5.

[458] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 50.

მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ შეზღუდულ ვადაში, რაც მისი უფლებების არათანაზომიერ შეზღუდვას იწვევს.

## 5.2 კონტროლი გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტებზე

გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის დანიშვნის დროს უნდა არსებობდეს კონტროლის მექანიზმი სასამართლოს მხრიდან ან მოვალისა და კრედიტორის მხრიდან, დანიშნული სპეციალისტის შეცვლის მოთხოვნის სახით — სწორედ ამგვარია ევროპული დირექტივით მიდგომა[459].

ევროპული დირექტივა მოითხოვს წევრი სახელმწიფოებისაგან გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტებზე კონტროლის მექანიზმების შემოღებას. ზედამხედველობის მექანიზმები უნდა მოიცავდეს ასევე პასუხისმგებლობას ვალდებულების დარღვევისათვის, მათ შორის, ანაზღაურების შემცირებას, ერთიანი რეესტრიდან გარიცხვას, ისევე როგორც ქვეყანათა კანონმდებლობის შესაბამისად დისციპლინურ, ადმინისტრაციულ ან სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას[460].

### 5.2.1 კრედიტორთა კონტროლი

ევროპული ქვეყნების უმრავლესობა ითვალისწინებს კრედიტორთა მხრიდან ძლიერი კონტროლის შესაძლებლობას გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტებზე[461]. კონტროლი, ერთი მხრივ, გულისხმობს დანიშვნაში ჩართულობას,

---

[459] DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring, insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency) art. 26.1, d.

[460] იქვე, Recital 89.

[461] Catherine Bridge Insolvency Office Holders a New Study by the EBRD Provides Insight into Creditor's Rights in Insolvency, 8.

ხოლო მეორე მხრივ, კონტროლს გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

ევროპული ქვეყნების უმრავლესობა ითვალისწინებს გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის დანიშვნას კრედიტორთა ჩართულობით, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ჩართულობა გულისხმობს კანდიდატის შერჩევის უფლებას, ზოგჯერ დანიშნული კანდიდატის შეცვლის მოთხოვნის შესაძლებლობას, გარკვეული დასაბუთებით (ავსტრიაში) ან დასაბუთების გარეშე (სლოვაკეთში). ასევე შესაძლებელია, კრედიტორმა ან მოვალემ შესთავაზოს სასამართლოს კანდიდატურა, თუმცა სასამართლო არ არის ვალდებული, დანიშნოს მაინცდამაინც შეთავაზებული კანდიდატურა (ჰოლანდია). ხოლო გერმანიაში სასამართლო ვალდებულია, დანიშნოს კრედიტორთა მიერ წარდგენილი კანდიდატურა, თუკი იგი შეესაბამება დასაკავებელ თანამდებობას[462].

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს „გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა“ დანიშვნას შემთხვევითი, ავტომატური მეთოდის გათვალისწინებით[463], ახალდანერგილი ელექტრონული სისტემის მეშვეობით. ამასთან, კრედიტორებს, ხმის უფლების მქონე დამსწრე კრედიტორთა 2/3 უმრავლესობით, უფლება აქვთ, აირჩიონ სხვა მმართველი და ამის შესახებ აცნობონ სასამართლოს[464].

აქვე უნდა ითქვას, რომ შემთხვევითი შერჩევის პრინციპი აკმაყოფილებს გამჭვირვალობის კრიტერიუმს, თუმცა არ შეესაბამება ევროპულ მიდგომას, რომლის თანახმადაც, პრაქტიკოსის დანიშვნის დროს მხედველობაში უნდა იქნეს

---

[462] Gerard McCormack, Andrew Keasy, Sarah Brown and Judith Dahlgreen, Study on a new approach to business failure and insolvency, Comparative legal analysis of the Member States' relevant provisions and practices, 79.

[463] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 11.6.

[464] იქვე, მუხ. 47.6.

მიღებული მისი გამოცდილება და კონკრეტული პროცესის თავისებურებების სათანადო ცოდნა[465].

რაც შეეხება სპეციალისტთა გადაწყვეტილებებზე კონტროლს, ყველაზე გავრცელებულია კრედიტორთა თანხმობის სავალდებულობა უძრავი ქონების გასხვისების შემთხვევაში. კრედიტორთა თანხმობა ხშირად საჭიროა რეაბილიტაციის გეგმის დასამტკიცებლად. ბულგარეთში კრედიტორები განსაზღვრავენ ლიკვიდაციის პროცესში მოვალის ქონების გასხვისების მეთოდსა და პროცედურებს. ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ., სერბეთში) კიდევ უფრო შორს მიდის კრედიტორთა მხრიდან კონტროლის მექანიზმი — კერძოდ გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტებს ნებისმიერი „განსაკუთრებით მნიშვნელოვანი“ გადაწყვეტილების მისაღებად, (მაგალითად, სესხის აღება) სჭირდებათ კრედიტორთა კომიტეტის თანხმობა[466].

რეფორმის შემდგომ კანონმდებლობა კრედიტორს ანიჭებს რეაბილიტაციის მმართველის-რეაბილიტაციის ზედამხედველის ქმედებების გასაჩივრების უფლებას[467], რაც კრედიტორთა კონტროლის კუთხით პროგრესული ნოვაციაა. ამასთან, ყველა გარიგებას, რომელიც სცილდება საწარმოს ჩვეულ სამეწარმეო საქმიანობას, რეაბილიტაციის მმართველი დებს კრედიტორთა კრების თანხმობით[468] — აღნიშნული რეგულაციით კრედიტორებს ენიჭებათ საკმაოდ ფართო კონტროლის მექანიზმი.

ახალი კანონი რეაბილიტაციის პროცესს დასრულებულად მიჩნევს რეაბილიტაციის გეგმის დასრულებისთანავე[469], გეგმის შესრულებაზე კონტროლის მექანიზმები საკანონმდებლო

---

[465] DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring, insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency) art.26.1 “c”.

[466] Catherine Bridge Insolvency Office Holders a New Study by the EBRD Provides Insight into Creditor’s Rights in Insolvency, 8.

[467] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 89.

[468] იქვე, მუხ. 75.5.

[469] იქვე, მუხ. 94.

რეგულირების გარეშე არის დარჩენილი ისევე, როგორც კრედიტორთა მხრიდან გადაწყვეტილებებზე კონტროლის საკითხი.

### 5.2.2 სასამართლო კონტროლი

გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები კონტროლდება ასევე სასამართლოს მიერ. კონტროლის მექანიზმის დონე განსხვავდება ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით.

სასამართლო კონტროლის როლი მნიშვნელოვნად დიდია ბულგარეთში, ეგვიპტეში, ლიეტუვაში, სლოვენიაში, თურქეთში. სლოვენიაში მოვალის ქონებასთან დაკავშირებული გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტთა გადაწყვეტილებების უმრავლესობა საჭიროებს სასამართლოს წინასწარ თანხმობას[470].

სასამართლო კონტროლი ბევრად უფრო სუსტია ყაზახეთსა და მოლდოვაში. ასეთ ქვეყნებში უფრო აქტიურია კრედიტორთა კონტროლის მექანიზმები.

საქართველოში გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტებზე სასამართლო კონტროლი გულისხმობს ჩართულობას მათ დანიშვნაში, ინფორმაციის მიწოდებისა და მოხსენებების გაკეთების ვალდებულებას და ასევე გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტთა მიერ მისაღებ გადაწყვეტილებებზე თანხმობის საჭიროებას.

ინფორმაციის წარდგენისა და მოხსენების გაკეთების ვალდებულების მხრივ პროგრესულია ახალი კანონმდებლობა, რომელიც ამგვარ ვალდებულებას აკისრებს, როგორც

[470] Catherine Bridge, Insolvency Office Holders a New Study by the EBRD Provides Insight into Creditor's Rights in Insolvency, 11.

რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველს[471], ასევე გაკოტრების მმართველს[472] და რეაბილიტაციის მმართველს/ზედამხედველს[473].

„გადახდისუუნარობის შესახებ საქართველოს კანონით" შეზღუდული იყო სასამართლო კონტროლი გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის მიერ მისაღებ გადაწყვეტილებებზე. სასამართლო თანხმობა საჭირო იყო გარიგების დასადებად, როდესაც ამ გარიგების მიზანშეწონილობაზე ვერ თანხმდებიან მეურვე და კრედიტორი, ასევე როდესაც მეურვე არ თანხმდებოდა მოვალესთან ახალი სახელშეკრულებო ვალდებულებების აღების მიზანშეწონილობაზე და როდესაც არსებობდა შეუთანხმებლობა მეურვის მიერ სამეურვეო ქონების განკარგვის შეზღუდვის უფლებამოსილების შესახებ[474].

გადახდისუუნარობის კანონი უნდა ითვალისწინებდეს გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის თანამდებობიდან გათავისუფლების ეფექტურ მექანიზმს[475]. ამგვარი მექანიზმი, როგორც წესი, ითვალისწინებს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას, საკუთარი ინიციატივით, მოვალის ან კრედიტორის შუამდგომლობის საფუძველზე. ეს მიდგომა გაიზიარეს ქართული საკანონმდებლო რეფორმის დროს და სასამართლოს მიენიჭა უფლებამოსილება, გამოიყენოს სანქციები გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა მიმართ, ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში[476] ან/და გაათავისუფლოს ისინი დაკავებული თანამდებობიდან[477].

---

[471] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ", მუხ. 29.
[472] იქვე, მუხ. 101, 106, 3.
[473] იქვე, მუხ. 78.
[474] საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" მუხ. 21.2. „ა", 21.2 „ე", 26.2 „ზ", საქართველოს კანონი რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ, მუხ. 50.3.
[475] Uncitral, Legislative Guide to Insolvency Law, 189.
[476] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ", მუხ. 90.
[477] იქვე, მუხ. 92.

## 5.3 შუალედური დასკვნა

გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტი უნდა იყოს კვალიფიციური, კეთილსინდისიერი, ობიექტური და მიუკერძოებელი — რაც ნიშნავს იმას, რომ გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტმა არ უნდა დაუშვას პირადი დაინტერესება. ინტერესთა კონფლიქტის ან რაიმე სხვა გავლენით არ უნდა უგულებელყოს პროფესიონალიზმი, სამეურვეო ქონების შენარჩუნებისა და გაზრდის და მონაწილე მხარეების — მოვალისა და კრედიტორის ინტერესები.

სპეციალისტმა უნდა დაიცვას პროცესში მონაწილე ყველა მხარის კანონიერი უფლებები. შესაძლებელია მისი როლიდან გამომდინარე, სპეციალისტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მეტად ითვალისწინებდეს რომელიმე მხარის ინტერესებს, თუ ეს პროცესის ეფექტურად, სწრაფად და კვალიფიციურად წარმართვისათვის აუცილებელია.

იმისათვის, რომ გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტმა შეძლოს თავისი ფუნქციების კვალიფიციურად შესრულება, პროცესი წარიმართოს სწრაფად და ეფექტურად, მას კანონმდებელმა არ უნდა დაუსახოს ისეთი ამოცანა, რომლის მიღწევაც, ფაქტობრივად, შეუძლებელია. თუკი გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტს, მისი კონკრეტული როლის მიუხედავად ავუკრძალავთ ერთ-ერთი მხარის კანონიერი ინტერესების სასარგებლოდ მოქმედებას, მიზნად დავუსახავთ ორივე მხარის სურვილების თანაბრად გათვალისწინებას, ამან შესაძლებელია, პროცესის პარალიზება გამოიწვიოს. ამიტომ გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის მიზანი უნდა იყოს კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედება, ხოლო მისი გადაწყვეტილებები უნდა შეესაბამებოდეს კვალიფიციურობის, კეთილსინდისიერების, ობიექტურობისა და თანაზომიერების პრინციპებს.

თანაზომიერებისა და დაბალანსების პრინციპი მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, გადახდისუუნარობის

საქმისწარმოების სპეციალისტის უფლებამოსილებას, მეორე მხრივ კი, კრედიტორთა კრებისა და სასამართლოს უფლებამოსილებას შორის. ვინაიდან კრედიტორთა კრება, როგორც ორგანო, თავად არის ჩართული გადახდისუუნარობის პროცესში. თუ კრედიტორთა და სასამართლოს ძალაუფლება ზედმეტად ძლიერია, გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტი შეიძლება მოკლებული იყოს შესაძლებლობას შეასრულოს თავისი ფუნქციები. ხოლო თუ კრედიტორებს და სასამართლოს სუსტი უფლებამოსილება აქვთ, გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტს შეიძლება, აღარ ჰქონდეს საჭიროება, დაიცვას საწარმოს მესაკუთრეთა ინტერესები[478].

საკანონმდებლო რეფორმით არამხოლოდ შეიქმნა გადახდისუუნარობის პრაქტიკოსების პროფესია, არამედ მათზე მოხდა საკმაოდ დიდი უფლებამოსილების დელეგირება. ამიტომ მნიშვნელოვანია, პროფესიაში მყოფი პირების კვალიფიციურობისა და კეთილსინდისიერების გარანტიების არსებობა, რაზეც პასუხისმგებელი უნდა იყოს ორგანო, რომელიც ახორციელებს მათ ავტორიზაციას. შესაბამისად, პროგრესული საკანონმდებლო რეფორმების რეალურად განსახორციელებლად, საჭიროა პრაქტიკოსთა ერთიანი, ავტორიზებული ორგანიზაციის ჩამოყალიბება, რომელიც არამხოლოდ პრაქტიკოსთა სერტიფიცირებას განახორციელებს, არამედ იზრუნებს მათ განგრძობით განათლებასა და დისციპლინური საკითხების გადაწყვეტაზე.

ასევე კარგი იქნება ევროპული დირექტივის რეკომენდაციის გაზიარება, წევრი სახელმწიფოების მხრიდან გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა ქცევის კოდექსის შემუშავების ხელშეწყობასთან დაკავშირებით[479].

---

478 EBRD, Assesment of Insolvency Office Holders, Review of the Profession in the EBRD Region, 8.

479 DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring,

პროგრესულია აგრეთვე ახალი კანონის მიერ გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა სავალდებულო დაზღვევის შემოღება[480], რაც ევროპული დირექტივის ერთ-ერთი მოთხოვნაა[481], და რეესტრის დამტკიცების უფლებამოსილების გადახდისუუნარობის პრაქტიკოსებზე დელეგირება[482].

მნიშვნელოვანია პროფესიაში მყოფი პირების კვალიფიციურობისა და კეთილსინდისიერების გარანტიების არსებობა, რაზეც პასუხისმგებელი უნდა იყოს ორგანო, რომელიც ახორციელებს მათ ავტორიზაციას. შესაბამისად, პროგრესული საკანონმდებლო რეფორმების რეალურად განსახორციელებლად საჭიროა პრაქტიკოსთა ერთიანი, ავტორიზებული ორგანიზაციის ჩამოყალიბება, რომელიც არამხოლოდ პრაქტიკოსთა სერტიფიცირებას განახორციელებს, არამედ იზრუნებს მათ განგრძობით განათლებასა და დისციპლინური საკითხების გადაწყვეტაზე.

## 6. კრედიტორთა მონაწილეობა გადახდისუუნარობის პროცესის მართვაში

გადახდისუუნარობის საქმისწარმოების პროცესში კრედიტორთა ჩართულობა მნიშვნელოვანია კრედიტორთა ინტერესების დასაცავად. ამასთან, კრედიტორთა ჩართულობა უზრუნველყოფს მათ ნდობას გადახდისუუნარობის პროცესისადმი.

თანამედროვე გადახდისუუნარობის კანონმდებლობა მოწოდებულია გადახდისუუნარო საწარმოს გაჯანსაღებისკენ. ამ

---

insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency) art.27.3.

480 საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 11.

481 DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring, insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency). Recital 87.

482 საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 54.

პროცესში კრედიტორთა ინტერესების სათანადოდ დაცვის მიზნით, საჭიროა მათი ჩართულობა გადახდისუუნარობის პროცესში. თუ გადახდისუუნარობის პროცესი მიმდინარეობს კრედიტორთა მხრიდან არასათანადო კონტროლით, არსებობს პროცესის არაგამჭირვალედ და არაკეთილსინდისიერად წარმართვის რისკი[483]. ევროპული დირექტივის მიხედვით, რეაბილიტაციის პროცესში ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს კრედიტორთა ჩართულობით[484].

გადახდისუუნარობის საქმისწარმოების პროცესში კრედიტორთა ჩართულობა ხელს უწყობს პროცესის გამჭვირვალედ და კეთილსინდისიერად წარმართვას. ამასთან, კრედიტორები ხშირად წარმატებული ბიზნესსუბიექტები არიან, შესაბამისად, მათი მონაწილეობა საწარმოს გაჯანსაღების პროცესში სასურველია წარმატებული მენეჯმენტისთვისაც. მიზანშეწონილია თანამედროვე გადახდისუუნარობის კანონმდებლობამ ხელი შეუწყოს კრედიტორთა ჩართულობას გადახდისუუნარობის საქმისწარმოებაში — ეს, ერთი მხრივ, უფრო დემოკრატიულს გახდის პროცესს, ხოლო მეორე მხრივ, კრედიტორები ხშირად საკმაოდ კომპეტენტურები არიან ბიზნესში, შესაბამისად, შეიძლება სასარგებლო რჩევები გამოთქვან გადახდისუუნარო საწარმოს რეაბილიტაციასთან ან ქონების ლიკვიდურ ფასად რეალიზაციასთან დაკავშირებით[485].

კრედიტორთა ჩართულობა გულისხმობს ინფორმაციის მიღების, გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტთა დანიშვნისა და გადაწყვეტილების მიღების უფლებას, ასევე კონტროლის

---

[483] Roman Tomasic, Creditor Participation in Insolvency Proceeding, 2, https://poseidon01.ssrn.com/delivery.php.

[484] DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring, insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency), Recital 10.

[485] Kurt F. Gwynne, Intra-Committee Conflicts, Multiple Creditors Committees, Altering Committee Membership and other alternatives for Ensuring Adequate Representation Under Section 1102 of the Bankruptcy Code, 101, https://heinonline.org.

უფლებასა და საკონსულტაციო ჩართულობას. ნაშრომის მომდევნო ქვეთავი დაეთმობა კრედიტორთა მონაწილეობით შექმნილი მართვის ორგანოების ფორმირებას, საქმიანობის წესსა და მათ მიერ მისაღებ გადაწყვეტილებებს. ამასთან, ქართული კანონმდებლობით შემოთავაზებული რეგულაციები შედარდა თანამედროვე საუკეთესო პრაქტიკასთან. მესამე ქვეთავში განიხილება კრედიტორთა კონტროლის ფუნქცია და ამ კუთხით საკანონმდებლო რეფორმის მიერ შემოთავაზებული ინოვაციები, ხოლო მეოთხე ქვეთავში კრედიტორთა განსაკუთრებული უფლებამოსილება რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებაში მონაწილეობის კუთხით.

გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტები, მათი უფლებამოსილება და შერჩევის წესი ცალკე მსჯელობის საგანია. აღნიშნული თავი კი დაეთმობა კრედიტორთა უშუალო მონაწილეობას მართვის ორგანოების საქმიანობაში, მართვის ორგანოთა მხრიდან მისაღებ გადაწყვეტილებებს და ამ გადაწყვეტილებების მიღების წესს.

## 6.1 კრედიტორები მართვის ორგანოებში

თანამედროვე კანონმდებლობის უმრავლესობა, უფლებას ანიჭებს კრედიტორებს ან მათ წარმომადგენლებს, უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა მოვალის მართვაში[486].

გადახდისუუნარობის კანონმდებლობა ხელს უნდა უწყობდეს კრედიტორთა ორგანიზებას იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს გადაწყვეტილებების მიღება მათდამი დაქვემდებარებულ საკითხებზე[487]. ამავე დროს, თავიდან უნდა იქნეს არიდებული დაპირისპირება კრედიტორთა შორის. დაპირისპირება ხშირად იჩენს თავს, განსაკუთრებით, როდესაც ბევრი მსხვილი კრედიტორი ჰყავს საწარმოს. ხშირად ამგვარი

---

[486] Thomas H. Jackson, Bankruptcy, Non –Bankruptcy Entitlements and Creditors Bargin, 5 https://heinonline.org.

[487] Roman Tomasic, Creditor Participation in Insolvency Proceeding, 5.

დაპირისპირების თავიდან აცილება ძალიან რთულია. ამიტომ გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტები უნდა ეცადონ, იმგვარად მოახდინონ კრედიტორთა ორგანიზება, რომ სადავო საკითხზე მიიღონ ოპტიმალური გადაწყვეტილება, დაცული იყოს ყველა კრედიტორის ინტერესი და ამავე დროს თავიდან აიცილონ პროცესის გაჭიანურება[488].

მართვის ორგანოთა საქმიანობაში კრედიტორთა ჩართულობა განსაკუთრებით ეფექტურია ისეთ ქვეყნებში, სადაც შედარებით დაბალია გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტთა კვალიფიკაცია და გადახდისუუნარობის კანონმდებლობის კუთხით ნაკლები პრაქტიკა არსებობს[489]. იმისათვის, რომ თვალსაჩინო გახდეს მართვის ორგანოთა საქმიანობაში კრედიტორთა მონაწილეობის მიზანშეწონილობა, საინტერესოა განვითარებული ქვეყნების მიდგომათა განხილვა და მათთან შედარებით ქართული კანონმდებლობის ანალიზი.

### 6.1.1 კრედიტორთა საერთო კრება

საქართველოში კრედიტორები გადაწყვეტილებას იღებენ კრედიტორთა საერთო კრებაზე. საერთო კრების საქმიანობაში მონაწილეობის მიღება დაკავშირებულია კრედიტორის მოთხოვნის დაფიქსირებასთან[490], ხოლო ხმის მიცემის უფლება, მოთხოვნის აღიარებასა და კრედიტორის რეესტრში შეყვანასთან[491]. გადახდისუუნარობის პროცესის სამართლიანად წარსამართად და კრედიტორთა უფლებების თანაზომიერად დასაცავად მნიშვნელოვანია, რომ კრედიტორის მოთხოვნის აღიარების შესახებ სასამართლო განჩინების გასაჩივრების უფლება აქვს როგორც ამ კრედიტორს, ასევე პროცესში მონაწილე სხვა კრედიტორებს[492]. იმავე

---

488 იქვე,8.

489 UNCITRAL, Legislative Guide on Insolvency Law, 191.

490 საქართველოს კანონის „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ მუხ. 13.3.

491 იქვე, მუხ. 13.5.

492 იქვე, მუხ. 54.1.

მიდგომას იზიარებს ლატვიის კანონი გადახდისუუნარობის შესახებ[493].

საერთო კრებაზე კრედიტორთა მობილიზაცია რთულია, ამიტომ კრების გადაწყვეტილებაუნარიანობისათვის საკმაოდ დაბალი კვორუმია დადგენილი — თუ მას ესწრება კრედიტორთა ხმების საერთო რაოდენობის 51%, ხოლო იმავე დღის წესრიგით, მეორედ მოწვეული კრედიტორთა კრება გადაწყვეტილებაუნარიანია დამსწრე კრედიტორთა ხმების მიუხედავად[494]. ამ მხრივ, გასათვალისწინებელია UNCITRAL-ის რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც, კრედიტორთა საერთო კრებაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესი უნდა იყოს იმგვარი, რომ გადაწყვეტილება ასახავდეს არსებულ კრედიტორთა უმრავლესობის ნებას[495].

კრედიტორთა კრების ჩართულობა გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის დანიშვნაში მისი შეცვლის მოთხოვნის უფლებით შემოიფარგლება[496]. ასევე საერთო კრებამ შესაძლებელია, მოითხოვოს მართვაში მყოფი მოვალის რეაბილიტაციის მმართველით შეცვლა[497], თუმცა ამ საკითხებზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.

საერთო კრების უფლებამოსილებაა ასევე რეაბილიტაციის გეგმისა და რეგულირებადი შეთანხმების დამტკიცება[498], კომიტეტის წევრების არჩევა[499].

რეფორმამდე მოქმედი კანონმდებლობით საერთო კრება იღებდა გადაწყვეტილებას სადავო ქონებაზე ინტერესის დაფიქსირების შესახებ[500], იმ ქონების მოძიების გაგრძელების ან/და

---

493 Insolvency Law of Latvia, art 80.

494 საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 13.6, 13.9.

495 UNCITRAL, Legislative Guide on Insolvency Law, 193.

496 საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 47.6, 92.2, 99.2.

497 იქვე, მუხ. 73.3.

498 იქვე, მუხ. 34.

499 იქვე, მუხ. 76.1.

500 საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ“, მუხ. 4.5[1].

შეწყვეტის შესახებ, რომლის არსებობაც დგინდება დოკუმენტებით[501]. დღეს, აღნიშნული საკითხების გადაწყვეტა გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის პრეროგატივაა. ისევე, როგორც მეორე აუქციონზე ქონების რეალიზაციის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება[502].

კრედიტორთა კრების თანხმობა არის საჭირო რეაბილიტაციის მმართველის მიერ ისეთი გარიგების დასადებად, რომელიც სცილდება მოვალის ჩვეულებრივ საქმიანობას[503].

კრედიტორებს გადახდისუუნარობის პროცესში პირდაპირი და უშუალო მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა სწორედ კრედიტორთა საერთო კრებაზე აქვთ. კანონმდებლობა საკმაოდ ზღუდავს საკითხთა წრეს, რომლებზეც გადაწყვეტილება მიიღება საერთო კრებაზე. მართალია, საერთო კრების მოწვევა და მუშაობა გარკვეულ ხარჯებთან და დროსთან არის დაკავშირებული, თუმცა კრედიტორები ჩართული უნდა იყვნენ ისეთი გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია მათ ინტერესებთან.

იმისათვის, რათა კრებამ იმუშაოს ეფექტურად და ზედმეტი დანახარჯების გარეშე, საჭიროა დახვეწილი საკანონმდებლო ბაზის შექმნა და პროფესიონალი გადახდისუუნარობის სპეციალისტების ჩართულობა გადახდისუუნარობის პროცესში[504].

კრედიტორთა ჩართულობის წასახალისებლად თანამედროვე კანონმდებლობა იყენებს სხვადასხვა მექანიზმს, მაგალითად, დისტანციურად ხმის მიცემის უფლებას[505]. ელექტრონული სისტემის მეშვეობით საქმისწარმოების მექანიზმი დაინერგა ქართულ წარმოებაშიც, რაც აშკარად ამარტივებს და

---

501 იქვე, მუხ. 27.5 „ე“.

502 საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 102.

503 იქვე, მუხ. 75.5.

504 Roman Tomasic, Creditor Participation in Insolvency Proceeding, 8.

505 Thomas H. Jackson, Bankruptcy, Non –Bankruptcy Entitlements and Creditors Bargin, 9.

აიაფებს კრედიტორთათვის გადახდისუუნარობის პროცესში ჩართულობას.

გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა დღესდღეობით, ძირითადად, ინფორმაციის გასაცვლელად გამოიყენება. თუმცა ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შესაძლებელია საერთო კრების მოწვევა. ამასთან, კრების მოწვევა აღარ არის საჭირო, თუ განსახილველ საკითხს ელექტრონული სისტემის მეშვეობით დაეთანხმება ხმათა 50%-ზე მეტის მფლობელი კრედიტორი[506]. კრების მოწვევის ნაცვლად გადაწყვეტილების მიმღები კრედიტორის მიერ ელექტრონული სისტემით გადასაწყვეტ საკითხზე მხარდაჭერა, საშუალებას უსპობს სხვა კრედიტორებს, გამოთქვან საკუთარი მოსაზრება განსახილველ საკითხზე. ამიტომ, უმჯობესი იქნებოდა, ქართულ კანონმდებლობას გაეზიარებინა თანამედროვე მიდგომა, რომლის მიხედვითაც, კრების მოწვევა საჭიროა, თუმცა მონაწილეობის მიღება და ხმის მიცემა კრედიტორთა კრებაზე, ხდება ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

სამართლიანი გამოსავალი იქნა მოძიებული კანონმდებლის მიერ, როდესაც 20-ზე მეტი წარმომადგენლის შემთხვევაში სავალდებულო დანიშვნა გაითვალისწინა[507], ვინაიდან დაცულია კრედიტორთა უფლება, მონაწილეობა მიიღონ კრების საქმიანობაში და ამავე დროს, უზრუნველყოფილია პროცესის ოპერატიულობა, ვინაიდან წარმომადგენლისათვის გაგზავნილი შეტყობინება ყველასთვის ჩაბარებულად ითვლება.

### 6.1.2 კრედიტორთა კომიტეტი

გადახდისუუნარობის პროცესში კრედიტორთა მონაწილეობისათვის იქმნება კრედიტორთა კომიტეტები.

---

[506] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 13.11.

[507] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 13.14.

კრედიტორთა კრებაზე მრავალრიცხოვანი კრედიტორების მობილიზაცია, ორგანიზება, მათთვის სათანადოდ ინფორმაციის მიწოდება და შემდგომში ინფორმირებული და დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღება ხშირად ვერ ხერხდება. ამიტომ კრედიტორთა კომიტეტი არის უფრო მოქნილი ორგანიზაცია, სადაც არის შესაძლებლობა, წარმოდგენილნი იყვნენ სხვადასხვა რიგის კრედიტორები.

კრედიტორთა ერთიანი კრების ნაცვლად, კომიტეტის მეშვეობით, გადაწყვეტილებების მიღება განსაკუთრებით ეფექტურია ისეთ პროცესებში, სადაც გადახდისუუნარო საწარმოს მრავალრიცხოვანი კრედიტორები ჰყავს, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ ეს კრედიტორები სხვადასხვა ქვეყნიდან არიან[508].

საკანონმდებლო რეფორმამდე ქართული კანონმდებლობა კრედიტორთა კომიტეტის შესახებ მხოლოდ მწირი რეგულაციით შემოიფარგლებოდა და ადგენდა, რომ კომიტეტი არის საკონსულტაციო ორგანო, რომლის შექმნა ფაკულტატორულია და კრედიტორთა კრებაზე არის დამოკიდებული[509]. ასევე კრედიტორთა კრება განსაზღვრავდა კომიტეტის შემადგენლობას, წევრთა არჩევის საკითხს, საქმიანობის წესსა და უფლებამოსილების სფეროს[510].

ზემოხსენებული მწირი რეგულაცია არ იყო საკმარისი თანამედროვე გადახდისუუნარობის კანონმდებლობაში კრედიტორთა კომიტეტის სულ უფრო მზარდი როლის გათვალისწინებით. ახალმა კანონმა გაითვალისწინა კრედიტორთა კრების შექმნის, ფუნქციონირების წესი, ისევე, როგორც კომიტეტის უფლებამოსილება და წევრთა პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში[511].

---

[508] UNCITRAL Legislative Guide on Insolvency Law, 194.

[509] საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ“, მუხ.28.1.

[510] იქვე, მუხ.28.2.

[511] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 76.

კრედიტორთა კომიტეტს მიენიჭა მართვაში მყოფი მოვალის რეაბილიტაციის მმართველით შეცვლის[512], ასევე რეაბილიტაციის მმართველის გათავისუფლების საკითხის დაყენების უფლებამოსილება[513]. რეაბილიტაციის მმართველს მოვალესთან დაკავშირებულ პირთან გარიგების დადების უფლება აქვს მხოლოდ კრედიტორთა კომიტეტის თანხმობით.[514] კრედიტორთა კომიტეტმა უნდა მოიწონოს რეაბილიტაციის მმართველის ანაზღაურება, რომელიც რეაბილიტაციის გეგმაში იქნება მითითებული[515]. კომიტეტი მოიძიებს ინფორმაციას და უზრუნველყოფს კრედიტორების ინფორმირებულობას[516]. ასევე მონაწილეობს რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებაში.

ამასთან, კრედიტორთა კომიტეტის შექმნა სავალდებულოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს ჰყავს მინიმუმ 50 კრედიტორი და მისი აქტივების ჯამური ღირებულება აღემატება 10 მილიონ ლარს ან მისი წლიური შემოსავალი 20 მილიონ ლარს აღემატება. ამასთან ეს პირობები კუმულატიურად უნდა არსებობდეს[517].

კომიტეტის არასავალდებულობა გამართლებულია, განსაკუთრებით, მცირე საწარმოების გადახდისუუნარობის წარმართვისას. თუმცა თუკი კრედიტორთა კრება გადაწყვეტს კომიტეტის შექმნას, კანონმდებლობა უნდა იძლეოდეს თუნდაც მოდალურ რეგულაციას მისი შექმნის და საქმიანობის წესის შესახებ. სასურველია, კანონმდებლობა განსაზღვრავდეს კომიტეტის ფუნქციებს, მისი შექმნის წესს, წევრის გადარჩევის საკითხს, რათა თავიდან იქნეს აცილებული კრედიტორთა შორის დაპირისპირება და ამავე დროს გარანტირებული იყოს კრედიტორთა კომიტეტის გამჭვირვალე საქმიანობა[518]. განსაკუთრებით, როდესაც ქვეყანაში

---

512 იქვე, მუხ. 73.5.
513 იქვე, მუხ. 76.10.
514 იქვე, მუხ. 75.4 „ვ".
515 იქვე, მუხ. 81.3 „ნ".
516 იქვე, მუხ. 76.
517 იქვე, მუხ. 76.2.
518 UNCITRAL, Legislative Guide on Insolvency Law, 199.

გადახდისუუნარობის საქმისწარმოების პროცესი არასაკმარისადაა დანერგილი.

ქვეყნებში, სადაც გადახდისუუნარობის პროცესში კრედიტორთა კომიტეტი აქტიურადაა ჩართული, იგი ხელმძღვანელობს წესდების მსგავსი დოკუმენტის საფუძველზე, რომლითაც განსაზღვრულია კომიტეტის შემადგენლობა, უფლებამოსილება, საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი[519].

გერმანიის კანონმდებლობის მიხედვით, კრედიტორთა კომიტეტში უნდა შედიოდნენ როგორც მსხვილი, ასევე მცირე კრედიტორები და საწარმოს თანამშრომლები. ამასთან, კანონმდებლობა უშვებს, რომ სასამართლომ კრედიტორთა კომიტეტის წევრად დანიშნოს არაკრედიტორი, ხოლო კრედიტორთა კომიტეტის წევრების საქმიანობა ანაზღაურებადია[520].

ჩინეთის გადახდისუუნარობის კანონმდებლობა განსაზღვრავს, რომ კრედიტორთა კომიტეტის შემადგენლობაში უნდა იყოს არაუმეტეს 9 წევრი. ამასთან კრედიტორთა კრების მიერ არჩეული წევრები უნდა დაამტკიცოს სასამართლომ[521].

კრედიტორთა კომიტეტი, როგორც წესი, შედგება მოვალის ყველაზე მსხვილი არაუზრუნველყოფილი კრედიტორებისაგან. სასურველია, მის შემადგენლობაში იყვნენ სხვადასხვა სახის კრედიტორები, ვინაიდან კომიტეტი უნდა წარმოადგენდეს და იცავდეს ყველა არაუზრუნველყოფილი კრედიტორის უფლებას[522].

აშშ-ში კომიტეტის წევრებს ირჩევს გადახდისუუნარობის მმართველი საერთო კრებაზე, ან კრედიტორებისთვის გაგზავნილი

---

[519] Guidance for Members of Creditor's Committees in Bankruptcy, http://www.accaglobal.com/content/dam/acca/global/PDF-members/2012/2012a/appendix4.pdf.

[520] Insolvency Statute, art. 67.3.

[521] Enterprise Insolvency Law of the People's Republic of China, art. 67, http://www.csrc.gov.cn/pub/csrc_en/laws/rfdm/statelaws/201212/t20121205_217644.html.

[522] Kurt F. Gwynne, Intra-Committee Conflicts, Multiple Creditors Committees, Altering Committee Membership and other alternatives for Ensuring Adequate Representation Under Section 1102 of the Bankruptcy Code, 101.

სპეციალური კითხვარების მეშვეობით[523]. ამასთან, ნებისმიერ კრედიტორს აქვს კომიტეტის აპლიკაციის შევსების უფლება. კრედიტორთა კომიტეტის შემადგენლობაში, როგორც წესი შედიან მსხვილი არაუზრუნველყოფილი კრედიტორები. მათ შორის, მიმწოდებლები, გადახდისუუნარო საწარმოს თანამშრომლები და სხვა[524].

ამერიკული კანონმდებლობით, თავდაპირველად კომიტეტის წევრი აირჩეოდა კრედიტორთა მიერ კრედიტორთა კრებაზე. მოგვიანებით კომიტეტის წევრის დანიშვნის უფლებამოსილება მიენიჭა სასმართლოს. დღესდღეობით ითვლება, რომ კომიტეტის წევრის დანიშვნა ადმინისტრაციული ფუნქციაა და წევრები ინიშნებიან გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის მიერ[525].

გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის მიერ წევრების დანიშვნა გონივრულია, ვინაიდან ადმინისტრატორი უფრო მეტად მოახერხებს დასანიშნი წევრების გამოცდილების, პროფესიული და პირადი უნარების შემოწმებას ვიდრე, მაგალითად სასამართლო ან საერთო კრება. თუმცა დანიშვნის ეს მეთოდი შესაძლოა არაეფექტური იყოს კომიტეტის ერთ-ერთი ფუნქციის — გადახდისუუნარობის მმართველების საქმიანობის კონტროლის შესასრულებლად. აღნიშნულის აღმოსაფხვრელად, სასურველია, კრედიტორთა კომიტეტის წევრსა და გადახდისუუნარობის მმართველს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში საკითხს წყვეტდეს სასამართლო.

---

[523] Bruce Nathan, The Ninth Circuit's Yellowstone Decision Increases Protection for Creditor's Committee Members, https://www.lowenstein.com/files/publication/1ce0b811-4b62-4cdb-b5dc-117b68a9616f/presentation/publicationattachment/79abcffa-b59f-4385-afdd-1385a9e03cf9/bc-mar17_nathan.pdf.

[524] Jay Indyke, Richelle Kalnit, Giving Unsecured Creditors a Voice: The Benefits of Participating on Creditors' Committees, http://www.crfonline.org/FriendsArticles/Giving%20Unsecured%20Creditors%20a%20Voice%204Q2016.pdf.

[525] Kurt F. Gwynne, Intra-Committee Conflicts, Multiple Creditors Committees, Altering Committee Membership and other alternatives for Ensuring Adequate Representation Under Section 1102 of the Bankruptcy Code, 112.

„გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, არ იყო ზუსტად განსაზღვრული, კრედიტორთა კომიტეტი მხოლოდ საკონსულტაციო ორგანოა, თუ შესაძლებელია, საერთო კრებამ მოახდინოს მასზე გარკვეული უფლებამოსილების დელეგირება.

კომიტეტის საკონსულტაციო ხასიათი რეკომენდაციების შემუშავებას, საკითხების გამოკვლევასა და კრედიტორთა ინფორმირებას გულისხმობს. ამასთან კონსულტირებას უწევს როგორც გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტებს, ასევე კრედიტორთა კრებას, კომიტეტი უფლებამოსილია მისთვის საინტერესო საკითხზე გააკეთოს მოხსენება გადაწყვეტილების მიღებამდე. თუმცა ზოგჯერ კომიტეტის საქმიანობა უფრო ფართოა და მოიცავს კრედიტორთა კრების მიერ მისაღებ ისეთ გადაწყვეტილებებს, როგორიცაა გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტების დაქირავება, რეაბილიტაციის გეგმის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება, მოვალის ქონების მოძიება[526]. ჩეხეთში კრედიტორთა კრება წყვეტს, რა უფლებამოსილებების დელეგირება მოხდება კრედიტორთა კომიტეტისათვის. კრედიტორთა კრება კი ახორციელებს დანარჩენ უფლებამოსილებას[527].

აშშ-ში კომიტეტის მოვალეობებში შედის: მოვალის საქმიანობის ზედამხედველობა, ქონების მოძიება, მესამე პირთა მიმართ დავის დაწყების მომზადება, თუკი არსებობს ამისათვის საფუძველი, რეაბილიტაციის გეგმის მომზადებაში მონაწილეობის მიღება[528].

კრედიტორთა კომიტეტს, საკონსულტაციო ფუნქციასთან ერთად, აქვს ზედამხედველობის ფუნქცია. თავისი ორგანიზაციითა

---

[526] David S Kupetz, Creditor's Committees Explained, 3.

[527] Wolters Klawer CR, Insolvency Act, art. 46, https://obalky.kosmas.cz/ArticleFiles/186676/auto_preview.pdf/FILE/insolvency-act-auto_preview.pdf.

[528] Kurt F. Gwynne, Intra-Committee Conflicts, Multiple Creditors Committees, Altering Committee Membership and other alternatives for Ensuring Adequate Representation Under Section 1102 of the Bankruptcy Code, 112.

და საქმიანობით იგი სამეთვალყურეო საბჭოს ემსგავსება. კომიტეტი ზედამხედველობას უწევს გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტთა საქმიანობას, შეისწავლის მიღებულ ან/და მისაღებ გადაწყვეტილებებს და, საჭიროების შემთხვევაში, აკეთებს მათ შესახებ დასკვნას[529].

სასურველია, კანონმდებლობა კრედიტორთა კომიტეტის წევრს უწესებდეს კეთილსინდისიერად მოქმედების ვალდებულებას. ამავე დროს, მიღებული გადაწყვეტილებების გამო, კომიტეტის წევრს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა მხოლოდ მაშინ, თუკი დამტკიცდება მისი მოქმედების არაკანონიერება ან/და კრედიტორთა ნდობის ბოროტად გამოყენება (მაგალითად, საწარმოს შესაძლებლობის პირადი გამოყენება)[530]. აღნიშნული მიდგომა გათვალისწინებულია ქართულ კანონმდებლობაში საკანონმდებლო რეფორმის შემდეგ[531].

თანამედროვე მიდგომის თანახმად, კრედიტორთა კომიტეტის წევრებს აკისრიათ ისეთივე ფიდუციური ზრუნვის ვალდებულება, როგორიც გადახდისუუნარობის მმართველებს. ეს ნიშნავს, რომ კომიტეტის წევრებმა უნდა იმოქმედონ ყველა კრედიტორის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე და არ გამოიყენონ კომიტეტის წევრობა პირადი ინტერესების გასატარებლად. ამერიკული სასამართლო დოქტრინის თანახმად[532], გადახდისუუნარობის პროცესის წარმმართველმა სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, ჰქონდა თუ არა ადგილი ზრუნვის ვალდებულების დარღვევას კომიტეტის წევრის მხრიდან. „იელოუსტოუნ მაუნტინ ქლაბის“ საქმის განხილვისას სასამართლომ დაადგინა, რომ „ბარტონის დოქტრინა“ ვრცელდება

---

529 Charles D. Booth, Christoph G. Pauls, Harry Rajak, A Global View of Bussiness Insolvency System a co-publication of the World Bank and Brill, 80.

530 UNCITRAL, Legislative Guide on Insolvency Law, 201.

531 საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 77.

532 Bruce Nathan, The Ninth Circuit's Yellowstone Decision Increases Protection for Creditor's Committee Members, https://www.lowenstein.com/files/publication/1ce0b811-4b62-4cdb-b5dc-117b68a9616f/presentation/publicationattachment/79abcffa-b59f-4385-afdd-1385a9e03cf9/bc-mar17_nathan.pdf.

კომიტეტის წევრების მიმართაც. ბარტონის დოქტრინის თანახმად კი, გადახდისუუნარობის პროცესში სასამართლოს მიერ დანიშნული პირების მიმართ სარჩელის შეტანამდე საჭიროა გადახდისუუნარობის საქმისწარმოების განმხილველი სასამართლოს ნებართვა[533].

ვინაიდან კომიტეტის წევრებისთვის ხშირად ხელმისაწვდომი ხდება კონფიდენციალური ინფორმაცია, მათთან ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება ინფორმაციის გაუმჟღავნებლობაზე. კონფიდენციალური ინფორმაციის შენახვის ვალდებულებას ითვალისწინებს „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ" კანონიც[534].

აშშ-ში, როგორც წესი, გადახდისუუნარო საწარმოში იქმნება ერთი კრედიტორთა კომიტეტი, სადაც წარმოდგენილია სხვადასხვა სახის ვალდებულებიდან წარმოშობილი ყველაზე მსხვილი კრედიტორები. საკანონმდებლო ცვლილებებამდე სანამ კრედიტორთა კომიტეტი დღევანდელი სახით ჩამოყალიბდებოდა, არსებობდა ე.წ „დაცვის კომიტეტები", თუმცა ამგვარი კომიტეტები იქმნებოდა ცალ-ცალკე სხვადასხვა კლასის არაუზრუნველყოფილი კრედიტორებისათვის[535].

გადახდისუუნარო საწარმოში ერთი კრედიტორის მეტად დაკმაყოფილება პირდაპირ კავშირშია სხვა ჯგუფის კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად საჭირო სამეურვეო მასის შემცირებასთან. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კომიტეტის წევრებს აქვთ ფიდუციური ზრუნვის ვალდებულება, ხოლო კომიტეტი უნდა ასახავდეს ყველა ჯგუფის კრედიტორის ინტერესებს, კრედიტორთა კომიტეტის წევრებს შორის ხშირად კონფლიქტი გარდაუვალია. ასეთი კონფლიქტის შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია,

---

533 United States Court of Appeals for the Ninth Circuit, In Re Yellowstone Mountain Club LLC – Timothy L Blixseth, 28.11.2016, N14-35363, https://caselaw.findlaw.com/us-9th-circuit/1755703.html.

534 საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ", მუხ. 17.

535 Kurt F. Gwynne, Intra-Committee Conflicts, Multiple Creditors Committees, Altering Committee Membership and other alternatives for Ensuring Adequate Representation Under Section 1102 of the Bankruptcy Code, 109.

მიიღოს გადაწყვეტილება სხვა კომიტეტის შექმნაზე, თუკი ეს საჭიროა, რათა ყველა ჯგუფის კრედიტორს ჰქონდეს კომიტეტში საკუთარი პოზიციის დაფიქსირების საშუალება. სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტი ქმნის და აკომპლექტებს დამატებით კომიტეტებს[536].

კომიტეტის წევრებს შორის ჯანსაღი კამათი სასარგებლოა სასიკეთო გადაწყვეტილებების მისაღებად. თუმცა როდესაც კამათი დაპირისპირების სახეს იძენს, სასამართლო იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: კომიტეტის წევრების შეცვლის შესახებ ან/და სხვა კომიტეტის შესაქმნელად. დამატებითი კომიტეტების შექმნა ხდება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ყველა ჯგუფის კრედიტორთა ინტერესების წარმოდგენა გადახდისუუნარობის პროცესში. ეს არ ნიშნავს, რომ ყველა ჯგუფის ინტერესი აუცილებლად ყოველთვის უნდა იყოს გაზიარებული, თუმცა მათ უნდა ჰქონდეთ საკუთარი დასაბუთებული პოზიციის გაჟღერების საშუალება. დამატებითი კომიტეტების შექმნის მიზანშეწონილობა უნდა განისაზღვროს ინდივიდუალურად, გათვალისწინებულ უნდა იქნეს აღნიშნულისათვის საჭირო სახსრები და დრო[537].

კრედიტორთა კომიტეტი ქართული კანონმდებლობისთვის, ფაქტობრივად, ახალი ინსტიტუტია. ამასთან, მას საკმაოდ ფართო უფლებამოსილება მიენიჭა. აღნიშნულის გათვალისწინებით, უმჯობესი იქნებოდა, თუკი კომიტეტთან დაკავშირებულ რეგულაციებს ცალკე თავი ექნებოდა დათმობილი. აღნიშნულ თავში მუხლობრივად განაწილდებოდა კომიტეტის შექმნის წესი, მისი შემადგენლობა, გადაწყვეტილების მიღების წესი, უფლებამოსილება, საქმიანობის პრინციპები, ანაზღაურების საკითხი, წევრის გამოწვევის წესი, პასუხისმგებლობის საკითხი. ამ რეგულაციების კანონის სხვადასხვა ნაწილში გაბნევის ნაცვლად,

[536] Bruce Nathan, The Ninth Circuit's Yellowstone Decision Increases Protection for Creditor's Committee Members.

[537] Kurt F. Gwynne, Intra-Committee Conflicts, Multiple Creditors Committees, Altering Committee Membership and other alternatives for Ensuring Adequate Representation Under Section 1102 of the Bankruptcy Code, 117.

მათი ერთ თავში კოდიფიცირება უფრო გასაგებს და გამოყენებადს გახდიდა კომიტეტის ინსტიტუტს. ასევე საკანონმდებლო რეფორმისას სასურველი იქნებოდა კომიტეტებთან დაკავშირებით ისეთი საუკეთესო ტენდენციების გაზიარება, როგორიც არის თანამშრომელთა წარმომადგენლის არსებობა კომიტეტის წევრად.

## 6.2 კრედიტორთა კონტროლის ფუნქცია

საერთო კრებაზე გადაწყვეტილებების მიღების გარდა, კრედიტორთა მნიშვნელოვანი ფუნქცია გადახდისუუნარობის პროცესში არის კონტროლის ფუნქცია.

პროცესის კონტროლი გულისხმობს ინფორმაციის მიღებას, პროცესზე ზედამხედველობას და ასევე უფლებას, იყოს კრედიტორის აზრი მოსმენილი როგორც საერთო კრებაზე, ასევე გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტთა მიერ.

ამ უფლებამოსილებათა ნაწილის განხორციელება კრედიტორებს შეუძლიათ ინდივიდუალურად, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, კრედიტორთა გარკვეულ ჯგუფს[538].

კრედიტორთა კონტროლის უფლება, პირველ რიგში, საერთო კრებაზე დასწრებასა და მასში მონაწილეობას გულისხმობს. კრებაზე დასწრებით კრედიტორები იღებენ საინტერესო ინფორმაციას, გამოთქვამენ მოსაზრებებს განსახილველ საკითხზე, ეცნობიან სხვა კრედიტორთა მოსაზრებებს.

აღნიშნული უფლება შეზღუდულია რეგულაციით, რომლის მიხედვითაც, კრედიტორთა კრების მოწვევა აღარ არის სავალდებულო, თუკი „50%-ზე მეტის მფლობელი კრედიტორი ელექტრონული სისტემის მეშვეობით დაეთანხმება განსახილველ საკითხს“[539]. გასაგებია, რომ კრებაში მონაწილეობის მიღება კრედიტორისათვის გარკვეულ დროის ხარჯვასა და ფინანსებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული, მაგრამ კანონი მას უნდა

---

[538] კრების მოწვევის უფლება აქვს კრედიტორს ან კრედიტორთა ჯგუფს, რომელიც ფლობს ხმათა არანაკლებ 10%-ს. იხ. საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 13.4.
[539] იქვე, მუხ. 13.6.

უტოვებდეს არჩევანს — სურს თუ არა საერთო კრების საქმიანობაში მონაწილეობის მიღება. განსახილველ რეგულაციას პროცესის სისწრაფისა და მოქნილობისთვის, სასამართლო რესურსების დაზოგვის კუთხით შესაძლოა ჰქონდეს გამართლება, მით უმეტეს, რომ საერთო კრებაზე გადაწყვეტილებები ხმათა უბრალო უმრავლესობით მიიღება, თუმცა კრედიტორთა კრებაში მონაწილეობა, ხმის მიცემის გარდა, ინფორმაციის მოძიებისა და გაცვლის, წვრილ და საშუალო კრედიტორთა მობილიზებისთვის არის საჭირო.

ასევე გაუგებარია, რატომ ანიჭებს კრების გარეშე გადაწყვეტილების მიღების უფლებას კანონი ერთ 50%-ზე მეტი მოთხოვნის მქონე კრედიტორს და არა კრედიტორთა ჯგუფს, რომლებიც ერთად ფლობენ ხმათა უმრავლესობას. გასათვალისწინებელია გადახდისუუნარობის პროცესში მსხვილ კრედიტორთა მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლო ტენდენციაც, რომელიც შეკავებული და გაწონასწორებული უნდა იქნეს სასამართლო კონტროლით. კანონმდებელი არ აკონკრეტებს, რომ კრების მოწვევის არასავალდებულობა არ ვრცელდება კრედიტორთა პირველ საერთო კრებაზე. ასე რომ თეორიულად შესაძლებელია, 50%-ზე მეტი მოთხოვნის მქონე კრედიტორმა მთლიანად წარმართოს გადახდისუუნარობის პროცესი ისე, რომ სხვა კრედიტორებს აზრის გამოთქმის საშუალებაც კი არ მიეცეთ. შესაბამისად, გადახდისუუნარობის შესახებ საქართველოს კანონის ზემოხსენებული რეგულაცია არათანაზომიერად ლახავს წვრილ და საშუალო კრედიტორთა საერთო კრებაზე დასწრებისა და კონტროლის უფლებას.

კრედიტორები კონტროლს უწევენ გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტთა საქმიანობას. კრედიტორთათვის ანგარიშის წარდგენის ვალდებულება აქვს ზედამხედველს რეგულირებადი შეთანხმების დამტკიცებისას[540], ასევე გაკოტრების მმართველი ინფორმაციას ამზადებს კრედიტორებისთვის როგორც საწარმოს ქონებრივი მდგომარეობისა და რეალიზაციის ფორმის

[540] იქვე, მუხ. 29.3.

შერჩევის შესახებ[541], ასევე გაკოტრების პროცესის დასრულების შემდეგ ანგარიშის წარდგენის დროს[542].

თანაზომიერების პრინციპის დაცვით რეაბილიტაციის მმართველს შეუძლია, მოსთხოვოს სასამართლოს ანგარიშის გარკვეული ნაწილის კრედიტორისთვის ან კრედიტორთა ჯგუფისთვის დაფარვა, თუ ეს აუცილებელია რეაბილიტაციის შესრულებისთვის[543].

კრედიტორებს ყოველ 6 თვეში ერთხელ უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია რეაბილიტაციის გეგმის შესრულების შესახებ[544].

საკანონმდებლო ცვლილებებამდე კანონი კრედიტორს ანიჭებდა უფლებას, გასცნობოდა რეაბილიტაციის გეგმის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც „უშუალოდ უკავშირდება ამ კრედიტორის დაკმაყოფილების ვადასა და პირობებს“[545], რეაბილიტაციის პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მოწოდების უფლება კი მხოლოდ უზრუნველყოფილ კრედიტორებს ჰქონდათ. შესაბამისად, ინფორმაციის მიღების მხრივაც, ხდებოდა არაუზრუნველყოფილ კრედიტორთა უფლებების არათანაზომიერი შეზღუდვა.

ლატვიის კანონმდებლობა ცალკე თავს უთმობს კრედიტორთა გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტთა მიერ კრედიტორთათვის ინფორმაციის მიწოდებას. კრედიტორებისათვის მისაწოდებელი ინფორმაცია მოიცავს მოვალის ქონების შესახებ ინფორმაციას, გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის ანაზღაურების ოდენობას, დავის დაწყების, მორიგების გაფორმების სურვილის შესახებ ინფორმაციას, ისევე როგორც ყველა სხვა ინფორმაციას, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს გადახდისუუნარობის პროცესზე. კრედიტორებს ენიჭებათ უფლებამოსილება, მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე მხარი არ დაუჭირონ მისაღებ

---

[541] იქვე, მუხ. 100.4.
[542] იქვე, მუხ. 106.3.
[543] იქვე.
[544] იქვე, მუხ. 13.6.
[545] იქვე, მუხ. 50.2.

გადაწყვეტილებას, რაც უნდა გაიზიაროს გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტმა ან არგუმენტირებულად დაასაბუთოს საწინააღმდეგო[546].

ჩინეთის კანონმდებლობის თანახმად, კონტროლის ფუნქცია კრედიტორთა კომიტეტს აკისრია[547], ასევე, გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტები ანგარიშვალდებულნი არიან კრედიტორთა კომიტეტის წინაშე[548].

მნიშვნელოვანია, რომ კრედიტორებს, როგორც გადახდისუუნარობის საქმისწარმოების მონაწილეებს, ინფორმაციაზე წვდომის უფლება ჰქონდეთ; თუმცა, მეორე მხრივ, არსებობს ამ ინფორმაციის არამართლზომიერად გამოყენების რისკი — კომპანიის ბიზნესშესაძლებლობების პირადი გამოყენება, მიღებული ინფორმაციის საკუთარი ბიზნესის სასარგებლოდ გამოყენება და ა.შ. კრედიტორის მიერ მიღებული ინფორმაციის არამართლზომიერმა გამოყენებამ შესაძლებელია, დააზიანოს გადახდისუუნარო საწარმო და, შესაბამისად, მისი კრედიტორებიც. ამის თავიდან ასაცილებლად სასურველია, კანონმდებელი ითვალისწინებდეს კრედიტორის კონფიდენციალურობისა და კეთილსინდისიერების მოვალეობას. ამგვარ დათქმას საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ“ არ ითვალისწინებდა, ხოლო საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ კრედიტორს, ისევე, როგორც კრედიტორთა კომიტეტის წევრებს, გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტებს საწარმოს მიმართ აქვთ კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება[549].

მართალია, საკანონმდებლო ჩანაწერის არსებობის მიუხედავად, რთული იქნება იმის გაკონტროლება, დაიცვა თუ არა კრედიტორმა კონფიდენციალობა, თუმცა გარკვეული საპრევენციო ხასიათი საკანონმდებლო რეგულაციას მაინც ექნება. იმის გათვალისწინებით, რომ უპირატესია კრედიტორთა კონტროლის

[546] Insolvency Law of Latvia, chapter 14.

[547] Enterprise Insolvency Law of the People's Republic of China, art 68.

[548] იქვე, art 69.

[549] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 17.

უფლება, ვიდრე კონფიდენციალური ინფორმაციის გათქმის რისკი, თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, კრედიტორებს არ შეექმნათ ბარიერები ინფორმაციის წვდომაზე.

კრედიტორთა კონტროლის განსახორციელებლად მნიშვნელოვანია კრედიტორთა გასაჩივრების უფლება[550]. კრედიტორებს უნდა ჰქონდეთ მათთვის მიუღებელი გადაწყვეტილებების გაპროტესტების უფლება. ეს შეეხება როგორც გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტთა გადაწყვეტილებებს, ისე პროცესის წარმართვისათვის მნიშვნელოვან საკითხს.

კანონი კრედიტორებს ანიჭებს მათი მოთხოვნების შემოწმებისას მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებას[551] ისევე როგორც საშუალებას, სასამართლოსაგან მოითხოვონ საცილო ქმედებების გაბათილება[552].

## 6.3 რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცება

ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო ცვლილება, რომელიც საკანონმდებლო რეფორმის შემდეგ განხორციელდა, რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებას შეეხება.

საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ“ უზრუნველყოფილ კრედიტორებს დაუსაბუთებლად ანიჭებდა ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს გადახდისუუნარობის პროცესში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად[553]. კანონის თანახმად, ყველა არსებითი გადაწყვეტილება, რომელიც საჭიროებდა კრედიტორთა ჩართულობას გადახდისუუნარობის პროცესში, მიიღებოდა

---

[550] UNCITRAL, Legislative Guide on Insolvency Law, 207.

[551] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 65.

[552] იქვე, მუხ. 13.6.

[553] იგივე პოზიციაა დასაბუთებული ქეთევან მესხიშვილის მიერ წიგნში „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, თანაავტორები: ქეთევან მესხიშვილი, გიორგი ბათლიძე, ნანა ამისულაშვილი, 115.

პრივილეგირებულად უზრუნველყოფილი კრედიტორების მიერ. „გადახდისუუნარობის შესახებ“ კანონი უზრუნველყოფილი კრედიტორების უფლებამოსილებად მიიჩნევდა რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებას და მასში ცვლილებების შეტანას[554].

კანონმდებლობა უზრუნველყოფილ კრედიტორებს განსაკუთრებულ პრივილეგიებს ანიჭებდა გადახდისუუნარობის პროცესის მართვაში. თუმცა საკანონმდებლო ხარვეზები იყო აღნიშნული უფლებამოსილების რეალიზაციის კუთხითაც. კანონი 39.1 და 47.1 მუხლებით ადგენდა, რომ უზრუნველყოფილი კრედიტორები გადაწყვეტილებას იღებენ ერთხმად და ელექტრონული სისტემის მეშვეობით, თუმცა ეს მუხლები არაა ზოგადი ხასიათის და, კანონის სისტემიდან გამომდინარე, ავტომატურად ვერ გავრცელდებოდა სხვა მისაღებ გადაწყვეტილებებზე, რომელთა მიღების წესი კანონმდებელმა არ დააკონკრეტა.

კანონმდებელი ასევე არ აკონკრეტებდა, ვინ ახორციელებს უზრუნველყოფილ კრედიტორთა ექსკლუზიურ უფლებამოსილებას მაშინ, როცა არ არსებობენ უზრუნველყოფილი კრედიტორები. 39.1 და 51.3 მუხლი განსაზღვრავს, რომ ასეთ დროს გადაწყვეტილება მიიღება საერთო კრების მიერ, თუმცა ეს მუხლი სპეციალურია და თავისთავად არ ვრცელდება სხვა მისაღებ გადაწყვეტილებებზე.

ასევე გაუგებარია, რატომ ითხოვდა კანონმდებლობა რეაბილიტაციის პროცესში პარტნიორის მიერ დამატებითი შენატანის განსახორციელებლად უზრუნველყოფილ კრედიტორთა თანხმობას[555]. კაპიტალის გაზრდა, თუ საწარმოს დამატებით ვალდებულებების აღებას არ გულისხმობს, მხოლოდ სასარგებლო შეიძლება იყოს რეაბილიტაციის პროცესისთვის, ამიტომ უზრუნველყოფილი კრედიტორების უფლება — შეეწინააღმდეგონ კაპიტალის გაზრდას — არ ემსახურება საწარმოს გაჯანსაღებისა და

[554] საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ“, მუხ.47, 51.

[555] იქვე, მუხ. 44.6.

კრედიტორთა დაკმაყოფილების ინტერესს. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში, არეული იყო კაპიტალის გაზრდისა და პარტნიორის მიერ გადახდისუუნარო საწარმოსთვის ახალი სესხის მიცემის შედეგები.

კანონის ამგვარი მიდგომა არ შეესაბამებოდა თანამედროვე გადახდისუუნარობის სამართლის უახლეს და საუკეთესო ტენდენციებს[556]. უზრუნველყოფილი მოთხოვნა ისედაც დაზღვეულია უზრუნველყოფის საგნით. არაუზრუნველყოფილ კრედიტორთა მოთხოვნის დაკმაყოფილება რეაბილიტაციის პროცესის წარმატებით დასრულებაზეა დამოკიდებული, ამიტომ არსებითი გადაწყვეტილებების მიღება მათ ნაცვლად უზრუნველყოფილი კრედიტორების მიერ დაუსაბუთებელია. უზრუნველყოფილი კრედიტორები ჩართულნი უნდა იყვნენ, ძირითადად, ისეთი გადაწყვეტილებების მიღებაში, როგორიცაა: გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტთა არჩევა ან საკითხები, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენს მათი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად დატვირთულ ქონებაზე[557].

UNCITRAL-ის რეკომენდაციების თანახმად, რეაბილიტაციის გეგმა უნდა ითვალისწინებდეს ყველა კლასის კრედიტორთა ინტერესებს. ამისათვის მიზანშეწონილია კრედიტორთა ჯგუფებად დაყოფა და თითოეული ჯგუფის უმრავლესობის მოპოვება რეაბილიტაციის გეგმის დასამტკიცებლად[558].

დირექტივის თანახმად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ რეაბილიტაციის გეგმის დასამტკიცებლად, ხმის უფლება ჰქონდეთ იმ კრედიტორებს, ვის უფლებებსაც რეაბილიტაციის გეგმა შეეხება[559].

---

556 Moritz Brinkmann, The Position of Secures Creditors in Insolvency, 250, https://heinonline.org.

557 UNCITRAL Legislative Guide on Insolvency Law, 197.

558 იქვე, 84.

559 DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring, insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency) art.19.

რეაბილიტაციის პროცესში მიღებული გადაწყვეტილებებით უზრუნველყოფილი კრედიტორები დაინტერესებულნი არიან მაშინ, თუკი რეაბილიტაციის გეგმა მათი მოთხოვნების შეცვლას ითვალისწინებს ან რეაბილიტაციის გეგმის წარმატებულად წარმართვა პირდაპირ კავშირშია მათი მოთხოვნების უზრუნველსაყოფად დატვირთულ ქონებასთან[560].

ძირითადი განსხვავება უზრუნველყოფილ და არაუზრუნველყოფილ კრედიტორებს შორის ისაა, რომ უზრუნველყოფილთა მოთხოვნა დაცულია უზრუნველყოფის საშუალებით. მათ აქვთ უზრუნველყოფის საშუალებაზე პრიორიტეტული უფლება როგორც მოვალესთან, ასევე სხვა კრედიტორებთან შეადრებით. მათი უპირატესობა ნივთების სამეურვეო ქონებიდან გამოყოფის, გასხვისების ან/და საკუთრებაში გადაცემის უფლებას გულისხმობს[561].

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორებს უზრუნველყოფის საშუალებაზე კონტროლის უფლება ჰქონდეთ, საჭიროა გადახდისუუნარობის პროცესი გამჭვირვალე იყოს და მათ უზრუნველყოფის საშუალებებზე კონტროლის უფლება ჰქონდეთ[562].

გერმანიის კანონმდებლობა რეაბილიტაციის გეგმის განხილვისას ხმის უფლებას ყველა კრედიტორს ანიჭებს, ვის მოთხოვნასაც კი განსახილველი რეაბილიტაციის გეგმის პროექტი შეეხება[563].

ლატვიის კანონმდებლობა კი რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებისას კრედიტორთა მიერ ხმის მიცემას ორ ჯგუფად ითვალისწინებს: ცალკე უზრუნველყოფილი კრედიტორები, ხოლო ცალკე — დანარჩენი კრედიტორები, რათა ორივე ჯგუფის უფლებები თანაზომიერად იყოს დაცული[564].

---

[560] UNCITRAL Legislative Guide on Insolvency Law, 193.

[561] Charles D. Booth, Christoph G. Pauls, Harry Rajak, a Global View of Bussiness Insolvency System 23.

[562] იქვე, 24.

[563] Insolvency Statute, art. 237.3.

[564] Insolvency Law of Latvia, art 42.

რეაბილიტაციის გეგმის განხილვისას კრედიტორთა ჯგუფებად დაყოფას ითვალისწინებს ჩინეთის კანონმდებლობაც. იმისათვის რომ სხვადასხვა ჯგუფის კრედიტორთა უფლებები თანაზომიერად იყოს დაცული, გეგმის დამტკიცება ხდება ცალ-ცალკე შემდეგი ჯგუფების მიერ: უზრუნველყოფილი კრედიტორები, შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის მქონე კრედიტორები, საგადასახადო და სხვა დანარჩენი კრედიტორები[565].

ჩინეთის კანონი გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ უზრუნველყოფილ კრედიტორებს გარკვეული საკითხების განხილვისას არ აძლევს ხმის უფლებას, კერძოდ, როდესაც საერთო კრებაზე განიხილავენ ნებაყოფლობითი რეაბილიტაციის ხელშეკრულებას, მოვალის ქონების მართვის ან რეალიზაციის, ასევე ქონების განაწილების გეგმას[566]. ამ საკითხების განხილვისას უზრუნველყოფილ კრედიტორებს ხმის უფლება აქვთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უარს იტყვიან უპირატესად, უზრუნველყოფილი ქონებით დაკმაყოფილების უფლებაზე. ამავდროულად, აღნიშნულის საკომპენსაციოდ, ჩინეთის კანონმდებლობა უზრუნველყოფილ კრედიტორებს უფლებას ანიჭებს, მოითხოვონ უზრუნველყოფის ნივთებით მოთხოვნის დაკმაყოფილება, თუკი საერთო კრება ნებაყოფლობით რეაბილიტაციაზე გადაწყვეტილებას მიიღებს[567].

ასევე მნიშვნელოვანია ხმათა საკმარისი რაოდენობა, რაც რეაბილიტაციის გეგმის მისაღებად არის საჭირო[568]. წევრი სახელმწიფოები თავად ადგენენ ხმათა რა რაოდენობაა საჭირო გეგმის მისაღებად, თუმცა, ეს არ უნდა იყოს თითოეული

---

565 Enterprise Insolvency Law of the People's Republic of China, art. 75.

566 იქვე, art. 82.

567 Enterprise Insolvency Law of the People's Republic of China, art. 59, art. 96, http://www.csrc.gov.cn/pub/csrc_en/laws/rfdm/statelaws/201212/t20121205_217644.html.

568 უზრუნველყოფილ კრედიტორთა მიერ რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით, იხ. Boston Post Road Limited Partnership v. Federal Deposit Insurance Corporation, https://www.leagle.com/decision/1993771154br6171666.

კლასისათვის ხმათა 75%-ზე მეტი[569]. გადაწყვეტილების მიღების წესი მაქსიმალურად უნდა იცავდეს სხვადასხვა ჯგუფის კრედიტორთა უმრავლესობის ინტერესებს. სწორედ ამიტომ, ევროპული ქვეყნები ითვალისწინებენ ამა თუ იმ ჯგუფის კრედიტორთა უმრავლესობის ან კვალიფიციური უმრავლესობის მხარდაჭერას[570].

ახალი კანონით „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ" გაუქმებულია უზრუნველყოფილ კრედიტორთათვის რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცების არსებული მანკიერი წესი[571]. კანონი შეესაბამება განხილულ საუკეთესო სტანდარტებს, როდესაც უზრუნველყოფილ და არაუზრუნველყოფილ კრედიტორებს ცალ-ცალკე ჯგუფად ანიჭებს რეაბილიტაციის გეგმისათვის კენჭისყრის უფლებას[572].

ახალი კანონით შემოთავაზებული რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცების წესით ჩნდება შესაძლებლობა, რეაბილიტაცია

---

[569] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ", მუხ. 84.

[569] DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring, insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) art.9.6 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency) art.19, https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32019L1023&from=EN.

[570] მაგ.: ესტონეთის კანონმდებლობა გადაწყვეტილების მისაღებად ითხოვს კრედიტორთა ყველა ჯგუფის 2/3-ის მხარდაჭერას, ფინეთის კანონმდებლობის თანახმად, საჭიროა კენჭისყრაში მონაწილე კრედიტორთა უმრავლესობა, საბერძნეთის კანონმდებლობის მიხედვით, საჭიროა კრედიტორთა 60%-ის მხარდაჭერა, მათ შორის 40% უზრუნველყოფილი კრედიტორების, ლატვიაში კი გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა უზრუნველყოფილ კრედიტორთა 2/3-სა და არაუზრუნველყოფილ კრედიტორთა 50%-ის მხარდაჭერა. იხ. study on a new approach to business failure and insolvency, Comparative legal analysis of the Member States' relevant provisions and practices, Tender No Just/2014/JCOO/PR/CIVI/0075, written by Gerard McCormack, Andrew Keasy, Sarah Brown and Judith Dahlgreen, January 2016, 242, http://ec.europa.eu/justice/civil/files/insolvency/insolvency_study_2016_final_en.pdf.

[571] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ", მუხ. 82.6.

[572] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ", მუხ. 82.7.

განხორციელდეს იმ შემთხვევაშიც, თუ მოთხოვნები სრულად არ კმაყოფილდება, თუმცა კრედიტორებისთვის მიიღწევა უფრო ხელსაყრელი შედეგი, ვიდრე ეს გაკოტრების შემთხვევაში მოხდებოდა[573].

ამასთან, ბუნდოვანია ახალი კანონის რეგულაცია, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორებს მხოლოდ მაშინ აქვთ ხმის უფლება, თუ რეაბილიტაციის გეგმა უზრუნველყოფილ კრედიტორებთან „დადებული ხელშეკრულების ცვლილებებს ითვალისწინებს"[574]; გაურკვეველია აქვთ თუ არა ხმის უფლება უზრუნველყოფილ კრედიტორებს მაშინ, თუკი რეაბილიტაციის გეგმა მათ უფლებებს შეეხება, თუმცა ხელშეკრულებაში ცვლილებას არ ითვალისწინებს, მაგალითად მორატორიუმის ღონისძიების გამო. შესაძლებელია, მხოლოდ უზრუნველყოფილმა კრედიტორებმა მოიწონონ რეაბილიტაციის გეგმა და არაუზრუნველყოფილი კრედიტორების პროტესტის მიუხედავად, იგი შევიდეს ძალაში, თუმცა ამ შემთხვევაში ერთვება სასამართლო კონტროლი — თუკი სხვა დროს სასამართლო მხოლოდ ფორმალურად ამოწმებს რეაბილიტაციის გეგმას, კრების მოწვევისა და კენჭისყრის წესებს[575], ერთ-ერთი კლასის კრედიტორთა მიერ რეაბილიტაციის გეგმის დაწუნების შემთხვევაში, ის ძალაში მხოლოდ მაშინ შევა, თუ „სასამართლო მიიჩნევს, რომ შეთავაზებული რეაბილიტაციის გეგმის პროექტი რეალურად განხორციელებადია და კრედიტორთა უფლებები დაცულია ამ თავის მიხედვით"[576]. შესაბამისად, მიუხედავად სასამართლოს ჩართულობის შემცირების

[573] ქეთევან მესხიშვილი, გიორგი ბათლიძე, ნანა ამისულაშვილი, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით", 76.

[574] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ", მუხ. 82.6.

[575] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ", მუხ. 83.1.

[576] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ", მუხ. 84.

ტენდენციისა, სასამართლოს მხრიდან ბიზნესგადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობას კანონი მაინც ვერ ასცდა.

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება საკმაოდ თამამია, თუმცა სრულად შეესაბამება ახალი ევროპული დირექტივის სულისკვეთებას, რომლის თანახმადაც „კრედიტორთა უმცირესობას არ უნდა ჰქონდეს საშუალება, ხელი შეუშალოს რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებას, რომელიც უსამართლოდ არ ლახავს მათ კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს“[577]. დირექტივა სასამართლოს მიერ რეაბილიტაციის გეგმის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პირობებთან ერთად, დამატებით მიუთითებს, რომ განსხვავებული აზრის მქონე კრედიტორების მიმართ არსებობდეს ისეთივე ან უკეთესი მიდგომა, რაც სხვა კრედიტორების მიმართ, და რეაბილიტაციის გეგმით, ვერც ერთი კლასი ვერ მიიღებს მათ არსებულ მოთხოვნაზე მეტ დაკმაყოფილებას[578]. ამასთან, კრედიტორთა მიერ უარყოფის მიუხედავად, რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცება დაბალანსებულია კრედიტორთა საუკეთესო ინტერესების ტესტით[579]: — კრედიტორებმა უნდა მიიღონ მინიმუმ იმდენი, რამდენსაც გაკოტრების შემთხვევაში მიიღებდნენ[580].

[577] DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring, insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) (47) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency) art.19 https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32019L1023&from=EN.

[578] Cross-class cram down, იხ. [578] DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring, insolvency and discharge of debt, and amending Directive art. 11.1 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency) art.19 https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32019L1023&from=EN.

[579] The best interest of creditors test.

[580] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 83.2.

## 6.4 შუალედური დასკვნა

გადახდისუუნარობის კანონმდებლობის რეფორმით აღმოიფხვრა მანამდე არსებული ხარვეზები პროცესში კრედიტორთა ჩართულობის კუთხით. კრედიტორთა ეფექტური მმართველობისთვის შემოღებულ იქნა კრედიტორთა კომიტეტის სავალდებულო ინსტიტუტი, გაიწერა კომიტეტთან დაკავშირებული რეგულაციები, თუმცა უმჯობესი იქნებოდა, ამ ახალ ინსტიტუტს ცალკე თავი დათმობოდა და მუხლობრივად, კოდიფიცირებულად ყოფილიყო გაწერილი კომიტეტთან დაკავშირებული ცალკეული რეგულაციები. სასურველი იქნებოდა ასევე კრედიტორთა მეტი ჩართულობა გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა შერჩევაში.

პრინციპულად განსხვავებული, თანამედროვე მიდგომა დაინერგა რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცების კუთხით, რომელიც სრულად შეესაბამება ახალ ევროპულ დირექტივას.

ახალი კანონმდებლობით გაუქმდა უზრუნველყოფილ კრედიტორთა დაუსაბუთებელი პრივილეგია გადაეწყვიტათ საკითხი გადახდისუუნარო საწარმოს მიერ ახალი სესხის აღების, ქონების დატვირთვის ან/და თავდებობის გაფორმების შესახებ[581]. უზრუნველყოფილი კრედიტორებისათვის გადაწყვეტილებების მიღების ექსკლუზიური უფლებამოსილების გარდა, კანონი მათ მიღებული გადაწყვეტილებების შეჩერების უფლებასაც ანიჭებდა, თუ გადაწყვეტილება ეხება გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტთან გაფორმებული ხელშეკრულების არსებით პირობას[582]. აღნიშნული რეგულაციით უზრუნველყოფილ კრედიტორებს გადახდისუუნარობის სპეციალისტთა არჩევაზე ვეტოს დადების უფლება ჰქონდათ, რითაც არათანაზომიერად ილახებოდა არაუზრუნველყოფილ კრედიტორთა უფლებები.

კრედიტორთა საერთო კრების მუშაობა ხარჯებთან და დროსთან არის დაკავშირებული, თუმცა აღნიშნულის

---

[581] საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ“, მუხ. 39.1.

[582] საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ“, მუხ. 39.2 „ა“.

დარეგულირებას თანამედროვე კანონმდებლობა ხმის ელექტონული მიცემის საშუალებით ახერხებს. UNCITRAL-ის მოთხოვნებთან შესაბამისობისათვის სასურველია, შეიცვალოს ქართული კანონმდებლობით დადგენილი დაბალი კვორუმი კრედიტორთა კრებაზე გადაწყვეტილებების მისაღებად. მით უმეტეს, რომ უკვე ძალაში შევიდა კანონში შეტანილი ცვლილება ელექტრონული საქმისწარმოების შესახებ. ამასთან, დღეს არსებული რეგულაციით, 50%-ზე მეტი ხმის უფლების აქციონერის მხრიდან საკითხის გადაწყვეტის შემთხვევაში, კრედიტორთა კრების მიწვევა არ არის აუცილებელი, რაც, როგორც ნაშრომშია დასაბუთებული, უარყოფითად მოქმედებს კრედიტორთა მიერ კონტროლის განხორციელების, კერძოდ კი, ინფორმაციის მიღებისა და აზრის გამოხატვის, უფლებაზე. სასურველია, აღნიშნულის ნაცვლად, ხდებოდეს კრების მოწვევა და კრედიტორებს ელექტრონულად შეეძლოთ საკითხის მხარდაჭერა ანდა საკუთარი მოსაზრების დაფიქსირება.

საკანონმდებლო რეფორმის შემდეგ შეიზღუდა მოვალესთან დაკავშირებული პირების მიერ ხმის მიცემის უფლება რეაბილიტაციის გეგმის დასამტკიცებლად, ისე, როგორც ამას ევროპული დირექტივა ითვალისწინებს[583].

როგორც განხილული საკითხების ანალიზმა ცხადყო, გადახდისუუნარობის პროცესში კრედიტორთა ჩართულობის კუთხით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით მოხდა დაახლოება განვითარებული ქვეყნების თანამედროვე ტენდენციებთან. კრედიტორთა ჩართულობა მართვაში აუცილებელია, რათა მათ საშუალება ჰქონდეთ, პროცესში მონაწილეობით მოახერხონ საკუთარი ინტერესების დაცვა, სხვადასხვა რიგის კრედიტორთა უფლებები იყოს თანაზომიერად

583 DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring, insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency) art.9.3.

დაცული, ხოლო პროცესი სამართლიანად, გამჭვირვალედ და კანონიერად წარიმართოს.

## 7. სასამართლოს როლი მოვალისა და კრედიტორთა უფლებების თანაზომიერად დაცვაში

საწარმოს გადახდისუუნარობის პროცესი სასამართლოში მიმდინარეობს. მოსამართლე ჩართულია როგორც შინაარსობრივი გადაწყვეტილებების მიღებაში, ასევე მას აკისრია საზედამხედველო ფუნქცია და პროცედურული საკითხების მოგვარება.

სასამართლოს პროცესში ჩართულობა, ერთი მხრივ, ზრდის ბიუროკრატიას, ხოლო მეორე მხრივ, პროცესის სამართლიანად და კანონიერად წარმართვის გარანტიაა. არსებობს მოსაზრება, რომ სასამართლოს გააჩნია ცენტრალური როლი რეაბილიტაციის პროცესში კრედიტორთა უფლებების დასაცავად[584].

გადახდისუუნარობის კანონმდებლობის თანამედროვე მიდგომა საწარმოს რეაბილიტაციის შანსების მაქსიმალურად გამოყენებას გულისხმობს. ამ პროცესში თანაზომიერად უნდა იქნეს დაცული კრედიტორთა ინტერესებიც. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს, ერთი მხრივ, საწარმოს გაჯანსაღების შანსების მაქსიმალური გამოყენება, ხოლო მეორე მხრივ, შეუსაბამოდ არ შეიზღუდოს კრედიტორთა ინტერესები, პროცესის წარმართვა სასამართლოს პრეროგატივაა[585].

გადახდისუუნარობის პროცესის წარმართვაში სასამართლოს როლი განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში. გერმანიაში სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს გადახდისუუნარობის საქმესთან დაკავშირებით არსებული ნებისმიერი გარემოება, რა მიზნითაც შესაძლებელია, რომ მოწმეები, ექსპერტები დაიკითხონ[586]. ჩეხეთის კანონმდებლობის მიხედვით, გადახდისუუნარობის პროცესი გულისხმობს სასამარლო

[584] Jennifer Payne The role of Coart in Debt Restructuring, 2, https://www.cambridge.org.
[585] Irit Mevorach Jurisdigtion in Insolvency a study of European Coart's Decisions, 329, https://heinonline.org.
[586] Insolvency Statute, art. 5.

პროცედურებს გადახდისუუნარობის გადასაწყვეტად[587]. ინგლისური კანონმდებლობა, ერთი მხრივ, ითვალისწინებს საწარმოს რეაბილიტაციას სასამართლოს მონაწილეობის გარეშე (ნებაყოფლობითი რეაბილიტაცია), და, მეორე მხრივ, პროცესში სასამართლოს მონაწილეობის მკაცრ სქემებს[588].

როგორც ევროპული დირექტივა, ასევე რეკომენდაციები მიზნად გადახდისუუნარობის პროცესში სასამართლო ჩართულობის შემცირებას ისახავს[589]. ამავდროულად, გარანტირებული უნდა იყოს სამართლიანი სასამართლოს უფლება, რომელიც მოიცავს სამართლიან და საჯარო განხილვას მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ[590]. მნიშვნელოვანია აგრეთვე მოსამართლეთა კომპეტენციის საკითხი გადახდისუუნარობის პროცესისათვის საჭირო ბიზნესგადაწყვეტილებების მიღების დროს[591].

სხვადასხვა ქვეყნის განსხვავებული მიდგომებისა და უახლესი ტენდენციების გაანალიზება საშუალებას მოგვცემს, დავადგინოთ სასამართლოს როლი ზოგადად გადახდისუუნარობის პროცესის წარმართვის და, უფრო ზუსტად კი, ამ პროცესში მონაწილეთა უფლებების თანაზომიერად დაცვის საკითხში. აგრეთვე, შესაძლებელი იქნება დასკვნების გაკეთება, რამდენად მნიშვნელოვანია პროცესში სასამართლოს ჩართულობა და თუ აუცილებელია, რა დოზითა და ფუნქციებით.

მოცემულ თავში მოხდება ქართულ გადახდისუუნარობის პროცესში სასამართლოს როლის განსაზღვრა. როგორია

[587] Wolters Klawer CR, Insolvency Act, art. 1 “a”, https://obalky.kosmas.cz/ArticleFiles/186676/auto_preview.pdf/FILE/insolvency-act-auto_preview.pdf.
[588] Irit Mevorach, Jurisdigtion in Insolvency a study of European Coart’s Decisions, 332.
[589] DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring, insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency) art.19.
[590] F. Javier Aries Varona, Johanna Niemi, Tuomas Huoli, Didcharge and Enterpreneurship in the Preventive Restructuring Directive, 12 https://doi.org/10.1002/iir.1369.
[591] Irit Mevorach, Jurisdigtion in Insolvency a study of European Coart’s Decisions, 328.

განხორციელებული საკანონმდებლო რეფორმის შედეგი არსებული ხარვეზების აღმოფხვრის კუთხით. დასკვნით ნაწილში შემოთავაზებულ იქნება კონკრეტული რეკომენდაციები თანამედროვე ტენდენციების ასახვისათვის.

## 7.1 სპეციალური საპროცესო კანონმდებლობა

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ" საქართველოს კანონი მოიცავს საპროცესო ნორმებს. სხვა სამოქალაქო რეგულაციებისაგან განსხვავებული საპროცესო ნორმების შემოღება გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციფიკით არის განპირობებული[592]. იმისათვის, რათა საქმისწარმოების პროცესში მიღწეულ იქნეს მოვალისა და კრედიტორთა ინტერესების თანაზომიერად დაცვის ლეგიტიმური ინტერესი, გადახდისუუნარობის კანონმდებლობა გვთავაზობს საქმისწარმოების შემჭიდროვებულ ვადებს, სასამართლოთა სპეციალურ განსჯადობას, საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემას და სხვა მსგავს მექანიზმებს.

### 7.1.1 სპეციალური განსჯადობა

სპეციალური განსჯადობის შემოღება სასამართლოს მოხელეთა კომპეტენციით აიხსნება[593]. გადახდისუუნარობის საქმის წარმართვა სპეციფიკურია როგორც პროცესუალური, ასევე მატერიალური თვალსაზრისით. ამიტომ, უმჯობესია, ამგვარ საქმეებს სპეციალიზებული მოსამართლეები განიხილავდნენ. დღეს-

---

[592] იხ. ჰ. შნიტგერი, რ. მიგრიაული „გადახდისუუნარობის შესახებ" კანონი; დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან, თბილისი 2011, 15.

[593] გადახდისუუნარობის საქმეების განხილვა განსჯადობით განეკუთვნება თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებს. იხ. „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ საქართველოს კანონი", მუხ. 8.

დღეობით ქართული სასამართლო სისტემა არ ითვალისწინებს მოსამართლეთა მიკუთვნებას ვიწრო სპეციალიზაციისადმი, თუმცა პრაქტიკა მოწმობს, რომ გადახდისუუნარობის საქმეებს, ძირითადად, ერთი და იგივე მოსამართლეები განიხილავენ[594].

რიგ ქვეყნებში — ავსტრიაში, ბელგიაში, ჩეხეთში, ესტონეთში, საბერძნეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში ლატვიაში, ჰოლანდიაში, პოლონეთსა და შვედეთში გადახდისუუნარობის საქმეებს განიხილავს არა სპეცილური სასამართლო, არამედ კერძო სამართლის განმხილველი სასამართლოები[595]. ჰოლანდიაში არ არსებობს სპეციალური განსჯადობა და გადახდისუუნარობის საქმეებს განიხილავენ კომერციული პალატის მოსამართლეები[596]. საფრანგეთში გადახდისუუნარობის საქმეებს განიხილავენ კომერციული სასამართლოები. მოქმედებს 184 კომერციული სასამართლო, 3100 მოსამართლით, რომელიც ყოველწლიურად განიხილავს დაახლოებით 50 000 გადახდისუუნარობის საქმეს[597].

ზოგიერთ ქვეყანაში საქმის განხილვაში მონაწილეობენ არაპროფესიონალი მოსამართლეები, რომლებიც ბიზნესმენები, კომპანიის მმართველები, ბუღალტრები და ბანკირები არიან (მაგალითად, ბელგიაში, საფრანგეთში)[598].

გასათვალისწინებელია, რომ გადახდისუუნარობის სამართალში არსებული არასავალდებულო რეკომენდაციები, ე.წ. „რბილი სამართალი“ ხშირად უფრო მისაღები და გამოსადეგია პროცესის მონაწილეებისათვის და ეხმარება მათ სასურველი შედეგის დადგომაში[599]. 2016 წლის ჩრდილო ბალტიკური

---

594 https://www.ecourt.ge/Insolvency/Index.

595 European Law Institute, Rescue in Business in Insolvency Law, 116, https://www.europeanlawinstitute.eu/fileadmin/user_upload/p_eli/Publications/Instrument_INSOLVENCY.pdf.

596 Ruben Hollemans Gijs van Dijck, Come and Talk: The insolvency Judge as de-escalator4 https://onlinelibrary.wiley.com/doi/epdf/10.1002/iir.1388.

597Jennifer Payne, The role of Coart in Debt Restructuring, 8.

598 European Law Institute, Rescue in Business in Insolvency Law, 117.

599 Biaia Bruno, Mariotti Thomas, Credit, Wages and Bankrupcy Laws, 23, https://academic.oup.com/jeea/article-abstract/7/5/030/2295824.

გადახდისუუნარობის კავშირის რეკომენდაციის თანახმად, „გადახდისუუნარობის პროცედურები უნდა წარმართოს გადახდისუუნარობის სასამართლომ, სპეციალური კვალიფიკაციის მქონე კომერციულმა სასამართლომ ან მოსამართლეებმა, რომლებსაც აქვთ სპეციალური კვალიფიკაცია გადახდისუუნარობის დარგში. თუ ზემოხსენებული კვალიფიკაცია არ არის დაცული, სასამართლოს არ უნდა მიენიჭოს ცენტრალური ან გადამწყვეტი როლი ლიკვიდაციის ან რეაბილიტაციის პროცესში. უფრო ზუსტად, ასეთ შემთხვევებში სასამართლო არ უნდა იღებდეს ბიზნესთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს“[600]. გადახდისუუნარობის მოსამართლე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: უნდა ერკვეოდეს ბიზნეს-მენეჯმენტისა და სამეწარმეო საკითხებში, იყოს სამართლიანი და მიუკერძოებელი და სასურველია, იყოს გადახდისუუნარობის საკითხების ექსპერტი. მოსამართლის ვალია უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი კრედიტორების ინტერესების თანაზომიერად დაცვა[601].

### 7.1.2 შემჭიდროვებული ვადები

საქმისწარმოების მაქსიმალური ვადების შემოღება კრედიტორთა ინტერესების დაცვას ემსახურება, რათა არ მოხდეს პროცესის უსაშველოდ გაწელვა და კრედიტორებმა მოთხოვნის დაკმაყოფილების ინტერესი შეინარჩუნონ, ხოლო მეორე მხრივ, დროულად მოხდეს გაკოტრებული საწარმოს ბაზრიდან გასვლა და მისი აქტივების გამოყენება[602]. კრედიტორების ინტერესების არათანაზომიერი შეზღუდვა გვაქვს სახეზე, როდესაც

---

[600] Nordic-Baltic Recommendations on Insolvency Law, section 11.13, 11.14, http://www.sccl.se/wp-content/uploads/2017/04/Nordic-Baltic-Recommendations-Final-Version-bok-rotated.pdf.

[601] European Law Institute, Rescue in Business in Insolvency Law, 113.

[602] DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring, insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency) Recital 85.

გადახდისუუნარობის პროცესი წლობით (მაგალითად, პოლონეთში, რეალურად დაახლოებით 853 დღე[603]) მიმდინარეობს.

დირექტივის თანახმად, პროცესის ხანგრძლივობის შემცირებით შესაძლებელია კრედიტორთა უკეთ დაკმაყოფილება, ვინაიდან უშედეგო დროის ფლანგვა, როგორც წესი, იწვევს მოვალის და მისი ქონების გაუფასურებას[604].

„გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ" საქართველოს კანონით გაკოტრების პროცესისთვის დადგენილი 207- და 225-დღიანი ვადები მაქსიმალურად შემჭიდროვებული იყო, იმის გათვალისწინებით, რომ ამ პროცესში გაკოტრებისათვის დადგენილი პროცედურების გარდა უნდა განხორციელდეს სხვა დავების განხილვაც, რომლებიც გადახდისუუნარობის საქმისწარმოების პროცესის დაწყებასთან ერთად გადაეცემა საქმის განმხილველ სასამართლოს. თუმცა პრაქტიკაში საქმისწარმოების რეალური ვადები ზევრად აღემატებოდა კანონით დადგენილს — 2013 წლის მონაცემებით, პროცესის ხანგრძლივობა დაახლოებით 3,6 წელიწადს შეადგენდა, ხოლო 2014 წლისთვის 2,25 წელს[605].

საქართველოში რეაბილიტაციის პროცესში ვადები განისაზღვრება რეაბილიტაციის გეგმით. კანონმდებლობით გაწერილია მხოლოდ რეაბილიტაციის გეგმის მომზადების, მისი მოწონებისა და დამტკიცების ვადები[606]. ზოგიერთი ქვეყანა გაკოტრების მსგავსად, რეაბილიტაციისთვისაც კანონით დადგენილ ვადებს ითვალისწინებს. მაგალითად, შვედეთის კანონმდებლობა

---

[603]Staszkiewicz Piotr, Morawska Sylwia, The Efficiency of Bankruptcy Law:evidence of creditor protection in Poland, 381, https://link.springer.com/content/pdf/10.1007/s10657-019-09629-2.pdf.

[604] DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring, insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency) (Recital 16) https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32019L1023&from=EN.

[605] German Economic Team Georgia, Jnus Hans, Avoidence the Insolvency of Georgia's Insolvency Law, P6.

[606] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ", მუხ.81, 82.1.

რეაბილიტაციის პროცესისათვის შემჭიდროვებულ ვადებს ითვალისწინებს, რომელიც შეიძლება საქმის წარმოების დაწყებიდან 1 წლის ან 6 თვის ვადაში განხორციელდეს, იმ გარემოების წარმოშობიდან, რომელიც საფუძვლად დაედო რეაბილიტაციას[607].

სასამართლოს როლი პროცესის შემჭიდროვებულ ვადებში განსახილველად მოიცავს მოსამართლის მხრიდან მედიატორის ფუნქციის შესრულებასაც, რათა თავიდან იქნეს აცილებული კონფლიქტი მონაწილეებს შორის, განსაკუთრებით, როდესაც კონფლიქტის ერთ-ერთი მხარე არის გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტი[608]. ამგვარი კონფლიქტის დროს მიზანშეწონილია, სასამართლომ დავის განხილვის ნაცვლად შეძლოს კონფლიქტის აღმოფხვრა. ისეთ შემთხვევებში, როდესაც გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტსა და პროცესის მონაწილეს შორის არსებობს დაპირისპირება კრედიტორის ვალდებულების არსებობასთან ან/და რაოდენობასთან დაკავშირებით, ან მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, სასურველია, მოსამართლემ გამოიყენოს შესაბამისი სტრატეგია და იკისროს ფასილიტატორის როლი დაპირისპირებულ მხარეებს შორის[609]. ხშირ შემთხვევაში, თავად გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტებს ეკისრებათ მედიატორის როლის შესრულება, როგორც მოვალესა და კრედიტორებს, ასევე სხვადასხვა რიგის კრედიტორებს შორის[610].

### 7.1.3 გასაჩივრება — მონაწილეთა ფუნდამენტური უფლება

მიუხედავად გადახდისუუნარობის პროცესის შემჭიდროვებულ ვადებში განსახილველად სპეციალური ვადების დაწესებისა,

[607] Bankruptcy act of Sweden 1987, art.20 section 2.

[608] Ruben Hollemans Gijs van Dijck, Come and Talk: The insolvency Judge as de-escalator 3.

[609] იქვე, 11.

[610] Carballo Piñeiro, Laura, Fach Gómez, Katia, Comparative and International Perspectives on Mediation in Insolvency Matters, https://www.transnational-dispute-management.com/article.asp?key=2488.

გადახდისუუნარობის კანონმდებლობა ითვალისწინებს სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებას. გასაჩივრების უფლება სამართლიანი სასამართლოს ხელმისაწვდომობის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია. ამიტომ იგი ასევე მნიშვნელოვანია პროცესის გაჭიანურების თავიდან აცილების ლეგიტიმურ ინტერესთან ერთად[611]. იმავე მიდგომას იზიარებს გერმანული კანონმდებლობა, რომლის თანახმადაც, გადაწყვეტილებები საჩივრდება დაუყოვნებლივ[612].

სასამართლოს მიერ მიღებული ნებისმიერი განჩინება საჩივრდება კერძო საჩივრით, თუმცა დადგენილია კერძო საჩივრის განხილვის განსხვავებული წესი. საჩივრის შეტანის შემცირებულ ვადასთან ერთად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობისაგან განსხვავებულია მისი განხილვის წესიც — კერძოდ, საქმის განმხილველი სასამართლო აკმაყოფილებს მას ან განსახილველად უგზავნის ზემდგომ სასამართლოს. საკანონმდებლო რეფორმამდე არ იყო დადგენილი ზემდგომი სასამართლოს მიერ კერძო საჩივრის განხილვის ვადა. ამიტომ ასეთ შემთხვევაში მოქმედებს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი 2-თვიანი ვადა[613], რაც ზედმეტად ბევრია გადახდისუუნარობის საქმის განსახილველად დადგენილი შემჭიდროვებული ვადების გათვალისწინებით. აღნიშნული ხარვეზი აღმოფხვრილია ახალი კანონით, რომელმაც ზემდგომ სასამართლოს კერძო საჩივრის განსახილველად დაუწესა 14-დღიანი ვადა[614].

გასაჩივრებას ექვემდებარება ასევე საერთო წესით განხილული დავები, რომლებიც გადახდისუუნარობის მასიდან ნივთის გამოთხოვას შეეხება ან გადახდისუუნარობის მასას უკავშირდება და მოვალე არის მოსარჩელე. ამგვარი დავებისთვის როგორც სააპელაციო, ასევე საკასაციო გასაჩივრებისთვის

[611] European convention on human Rights art. 6
https://www.echr.coe.int/Documents/Convention_ENG.pdf.
[612] Insolvency Statute, art. 6.1.
[613] სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხ. 419.1.
[614] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 7,3 „გ“.

დადგენილია 5-დღიანი, ხოლო განხილვისთვის-20 დღიანი ვადები[615]. კანონმდებლობის მიერ შემოთავაზებული გასაჩივრების ზემოხსენებული ვადები საკმაოდ მცირეა. საქმის ყოველმხრივ გამოკვლევა და კანონიერი, სამართლიანი, დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება, ზემოხსენებულ ვადებში ზედმეტად ოპტიმისტურია, არსებული რეალობის გათვალისწინებით. შემჭიდროვებულ ვადებში უნდა იქნეს განხილული აგრეთვე კრედიტორის სარჩელით ინიცირებული დავები არა მოვალის, არამედ თავდების ან სოლიდარული მოვალის მიმართ[616].

გასაჩივრებას ექვემდებარება სასამართლოს გადაწყვეტილება კრედიტორის მოთხოვნების აღიარების ან უარყოფის შესახებ. ამასთან, ეს გადაწყვეტილება შეიძლება გაასაჩივროს როგორც იმ კრედიტორმა, ვის მიმართაც არის გამოტანილი, ასევე სხვა ნებისმიერმა კრედიტორმა[617].

შვედეთის კანონმდებლობით ზემდგომმა სასამართლომ შესაძლოა, გადახდისუუნარობის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება მაშინაც კი გააუქმოს, თუ საქმისწარმოება მოვალის მოთხოვნით დაიწყო, თუკი დაადგენს, რომ გადახდისუუნარობის საფუძვლები არ არსებობს[618].

ევროპული დირექტივის მოთხოვნით, წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს დამტკიცებული რეაბილიტაციის გეგმის გასაჩივრების შესაძლებლობას. ამასთან, გასაჩივრება ავტომატურად არ უნდა უქმნიდეს საფრთხეს გეგმის შესრულებას. სასამართლოს შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება გეგმის გაუქმების შესახებ, ისევე როგორც,

---

[615] იქვე, მუხ. 10.

[616] აღსანიშნავია, რომ მოვალის ლიკვიდაცია არ იწვევს თავდების ან/და სოლიდარული მოვალის ვალდებულების შეწყვეტას. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-401-2019 http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx.

[617]საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ", მუხ. 54.

[618] Bankruptcy act of Sweden, art.20 section 1.

დაამტკიცოს ცვლილებები რეაბილიტაციის გეგმაში[619]. ქართული კანონმდებლობა რეაბილიტაციის გეგმის გასაჩივრებას იმ შემთხვევაში ითვალისწინებს, თუკი გამოვლინდა, რომ რეაბილიტაციის გეგმა მოტყუებით ან თაღლითურად დამტკიცდა[620].

## 7.1.4 საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა

საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა პროცესის საჯაროობას მოქნილობასა და დროულად წარმართვას ემსახურება. დირექტივის თანახმად, შესაძლებელი უნდა იყოს ელექტრონული სისტემის მეშვეობით მოთხოვნის წარდგენა, კრედიტორთა ინფორმირება, საჩივრების დაფიქსირება[621]. ყველა გადაწყვეტილება ქვეყნდება გადახდისუუნარობის საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში. კანონმდებლობის თანახმად, ელექტრონული სისტემა უნდა ამოქმედებულიყო 2018 წლის 1-ელი იანვრიდან[622], თუმცა სისტემა მხოლოდ 2019 წლის სექტემბრიდან ამოქმედდა და მასში ჯერ-ჯერობით მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებებია ასახული[623].

ელექტრონული საქმისწარმოების გამოყენების დანერგვა ხელს შეუწყობს პროცესის წარმართვას, გადაწყვეტილებების მიღებას და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. აქვე მნიშვნელოვანია, რომ საწარმოებს დროულად და სათანადოდ

---

[619] DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring, insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency) art 16.

[620] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 86.

[621] DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring, insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency) art. 28.

[622] 2016 წლის 22 დეკემბრის კანონი „გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/3504175?publication=0#DOCUMENT:1.

[623] http://www.ecourt.ge/Insolvency/Index.

მიეწოდოთ ინფორმაცია ახალი სისტემის დანერგვის შესახებ, რათა როგორც მოვალემ, ისე კრედიტორებმა შეძლონ თავიანთი უფლებების რეალიზაცია კანონით დადგენილ შემჭიდროვებულ ვადებში. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია მეურვის მოვალეობა — დაადგინოს ყველა კრედიტორი და შეატყობინოს მათ გადახდისუუნარობის ელექტრონული სისტემის გამოყენების ვალდებულების შესახებ[624].

იმის გათვალისწინებით, რომ ელექტრონულ სისტემაში ძირითადად სასამართლო აქტები ქვეყნდება, ასევე იმ მოცემულობით, რომ პროცესის წარმართვას ხელმძღვანელობს სასამართლო, უმჯობესია, ელექტრონული საქმისწარმოება შეიქმნას სასამართლო სისტემისა და არა სააღსრულებო სისტემის ფარგლებში. თუმცა, ბუნებრივია, მოვალეობათა ელექტრონული სისტემის მუშაობასთან დაკავშირებული მოვალეობების დიდი ნაწილი სასურველია, დელეგირებულ იქნეს საქმისწარმოების სპეციალისტებზე, რათა არ მოხდეს ისედაც გადატვირთული სასამართლოს ადამიანური რესურსის ზედმეტად გადახარჯვა.

## 7.2 სასამართლოს განსაკუთრებული უფლებამოსილება

გადახდისუუნარობის პროცესში სასამართლო იღებს შინაარსობრივ გადაწყვეტილებებს, როგორიცაა რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცება, ქონებაზე საკუთრების აღიარება, გარიგებების ბათილად ცნობა, ასევე თანხმობის გაცემა გარკვეული სახის ტრანსაქციებზე. გარდა ამისა, სასამართლოს განსაკუთრებულ კომპეტენციას მიეკუთვნება გადახდისუუნარობის პროცესის დაწყება და გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტების დანიშვნა.

გადახდისუუნარობის საქმეთა სპეციფიკის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მოსამართლეთა კომპეტენციის

---

[624] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 50.2 „ზ“.

საკითხი ბიზნესგადაწყვეტილებების მიღების საკითხში[625]. სასამართლო სხდომაზე ხდება პროცესის მონაწილეების მოსმენა, ჩვენებას აძლევენ თანამშრომელთა წარმომადგენლები და კომპეტენტური ექსპერტები. სასამართლო ისმენს მოსაზრებებს, აანალიზებს ინფორმაციას და გადაწყვეტილებები გამოაქვს დამოუკიდებლად, შინაგანი რწმენით[626].

### 7.2.1 პროცესის დაწყება

კანონმდებლობა სასამართლოს ანიჭებს გადახდისუუნარობის პროცესის დაწყების მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას. ინიციატივა საწარმოს გადახდისუუნარობის დაწყების შესახებ, მხოლოდ სასამართლო კონტროლის შემდეგ იწვევს რეალურად პროცესის აღძვრას.

სასამართლომ გადაწყვეტილების მისაღებად უნდა შეაფასოს, წარმოდგენილი მტკიცებულებებით სავარაუდოა თუ არა საწარმოს გადახდისუუნარობა, პროცესის დაწყება ხელს შეუწყობს თუ არა საწარმოს რეაბილიტაციას ან თუ ეს შეუძლებელია, კრედიტორთა სამართლიან დაკმაყოფილებას. საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, შემოღებულია გადახდისუუნარობის ტესტი, რომელიც სასამართლოს, რიგ შემთხვევებში, ბიზნესგადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობას აცილებს[627]. ამასთან, ხარვეზის აღმოსაფხვრელად, სასამართლო ადგენს 5-დღიან ვადას[628], რაც საკმაოდ მცირეა გადახდისუუნარობის განცხადებისათვის დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით[629].

საინტერესოა გერმანული კანონმდებლობის მიდგომა, რომლის თანახმადაც, წარმოების დაწყებამდე სასამართლომ უნდა

---

625 იხ. ჰ. შნიტგერი, რ. მიგრიაული, გადახდისუუნარობის შესახებ კანონი, დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან, 14.

626 Jennifer Payne, The role of Coart in Debt Restructuring, 40.

627 საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ", მუხ. 7.3.

628 იქვე, მუხ. 48.1.

629 იქვე, მუხ. 44, 45.

მიიღოს ზომები, რათა თავიდან იქნეს აცილებული გადახდისუუნარო საწარმო ფინანსური მდგომარეობის გაუარესება. მათ შორის, შესაძლებელია შეჩერდეს აღსრულება, დაინიშნოს კომიტეტი[630]. აღნიშნული მიდგომით კარგად ჩანს სასამართლოს როლი, უზრუნველყოს კრედიტორისა და მოვალის ინტერესების დაბალანსებული დაცვა.

სასამართლოს, გერმანული და შვედური კანონმდებლობის მსგავსად[631], ენიჭება უფლებამოსილება, მოვალის განცხადების საფუძველზე უარი თქვას გაკოტრების საქმისწარმოების დაწყებაზე და საწარმო სასამართლო განჩინების საფუძველზე, რეგისტრაციის გზით, გამოცხადდეს გაკოტრებულად. ამისათვის სასამართლომ მოვალის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით უნდა დაადგინოს, რომ გაკოტრების დაწყების შემთხვევაში, მოვალე თავისი ქონებით ვერ უზრუნველყოფს საპროცესო ხარჯების დაფარვას.

საფრანგეთის კანონმდებლობა სასამართლოს ანიჭებს უფლებას, თავისი ინიციატივით დაიწყოს გადახდისუუნარობის საქმისწარმოება[632]. ეს რეგულაცია პროცესის დროულად დაწყების მიზანს ემსახურება, რაც გადახდისუუნარო საწარმოს რეაბილიტაციისათვის მეტ შესაძლებლობას ქმნის.

თანამედროვე მიდგომის შესაბამისად, გადახდისუუნარობის კანონმდებლობა საწარმოს გაჯანსაღებას უნდა ემსახურებოდეს. შესაბამისად, საქმისწარმოების დაწყების აზრი სწორედ ჯარიმებისა და აღსრულების შეჩერებაში მდგომარეობს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ქართული კანონების მიდგომა საკმაოდ პროგრესულია, რადგანაც პროცესის დაწყებისთანავე ჩერდება გადახდისუუნარო საწარმოს მიმართ აღსრულება[633], უზრუნველყოფილ კრედიტორებს ერთმევათ შესაძლებლობა, მოითხოვონ უზრუნველყოფილი ქონების რეალიზაციის

---

630 Insolvency Statut, art. 21.1.

631 იქვე, art. 26

632 Emmanuel Ringeval, Alean Mason and Nicolas Morelli, Restructuring and Insolvency, 173.

633 საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ", მუხ. 49.

მოთხოვნის დაკმაყოფილება და ჩერდება პირგასამტეხლოს დარიცხვა[634], ლატვიაში კი აღნიშნულზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო[635]. ლატვიის კანონი სასამართლოს უფლებამოსილებას ანიჭებს, მიიღოს გადაწყვეტილება სამართლებრივი დაცვის პროცედურების ამოქმედების შესახებ[636].

საკანონმდებლო რეფორმის შემდეგ სასამართლოს მიენიჭა მორატორიუმის დამატებითი ღონისძიებების გამოყენების უფლებამოსილება[637], როდესაც ეს აუცილებელია საქმის გარემოებების გათვალისწინებით. რაც შეესაბამება გადახდისუუნარობის მიზნის ტრანსფორმაციას, თუმცა სასამართლოსაგან მოითხოვს კიდევ ერთი ბიზნესგადაწყვეტილების მიღებას. ისევე, როგორც საკანონმდებლო ცვლილებების შემდგომ სასამართლოსთვის პროცესის ხარჯების განმცხადებელისათვის დაკისრების შესაძლებლობა, თუ დადგინდა, რომ საწარმო თავიდანვე არ ყოფილა გადახდისუუნარო ან მოსალოდნელი გადახდისუუნარო[638]. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი არაკეთილსინდისიერად მოქმედებდა, მას სასამართლო დააკისრებს ზიანის ანაზღაურების მოვალეობასაც[639].

ახალი კანონით რეაბილიტაციის მოთხოვნის შემთხვევაში, საკითხის გადაწყვეტამდე სასამართლო არ განიხილავს გაკოტრების მოთხოვნის შესახებ განცხადებას. სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას აგრეთვე პროცესის კონვერსიის შესახებ[640].

---

[634] იქვე, მუხ. 55.

[635] Insolvency Law of Latvia, art. 32.

[636] ლატვიის კანონმდებლობა ითვალისიწინებს სამართლებრივი დაცვის შემდეგ პროცედურებს: აღსრულების შეჩერება, უზრუნველყოფილი კრედიტორებისათვის უზრუნველყოფილი ქონების რეალიზაციის აკრძალვა, კრედიტორისათვის გადახდისუუნარობის განაცხადის შევსების აკრძალვა გადახდისუუნარო საწარმოს მიმართ, ჯარიმების დარიცხვის შეჩერება, Insolvency Law of Latvia, art. 37.

[637] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 57.

[638] იქვე, მუხ. 18.

[639] იქვე.

[640] იქვე, მუხ. 95, მუხ. 107.

### 7.2.2 გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტების დანიშვნა

გადახდისუუნარობის სამართლის რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარი გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტთა დანიშვნის წესია. შეიცვალა მანამდე არსებული მანკიერი მიდგომა მეურვედ სავალდებულო წესით აღსრულების ეროვნული ბიუროს დანიშვნასთან დაკავშირებით[641]. ახალი კანონით, სასამართლოს ჩართულობა გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის დანიშვნაში პირველ ეტაპზე ფორმალურია, ვინაიდან კანდიდატურის შერჩევა ერთიანი სიიდან შემთხვევითი პრინციპით ხდება. ეს, ერთი მხრივ, განტვირთავს სასამართლოს ბიზნესგადაწყვეტილების მიღების ვალდებულებისგან, ხოლო მეორე მხრივ, არ არის სასურველი გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა ძლიერი პროფესიის ჩამოყალიბებისა და განვითარებისთვის, ვინაიდან პრაქტიკოსთა დანიშვნა არა მათ უნარ-ჩვევებსა და გამოცდილებაზე, არამედ შემთხვევითობაზე არის დამოკიდებული[642].

ეს პრობლემა ნაწილობრივ დარეგულირებულია კრედიტორთა მხრიდან დანიშნული პრაქტიკოსის შეცვლის უფლებამოსილებით[643]. ამასთან, სასამართლო ავტომატურად ნიშნავს კრედიტორთა მიერ შერჩეულ პრაქტიკოსს. შესაბამისად, კრედიტორთა მობილიზებისა და სურვილის შემთხვევაში, გარანტირებულია მათი ჩართულობა პრაქტიკოსთა დანიშვნაში.

ამგვარ მიდგომას არაერთი ევროპული სახელმწიფო ითვალისწინებს. ჩეხეთის კანონმდებლობის თანახმად, გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტების დანიშვნა

---

641 ქეთევან მესხიშვილი, გიორგი ბათლიძე, ნანა ამისულაშვილი, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით, 114.

642 Ian Adriaanse, Iris Wuisman, Bernard Santen, European Principles and Best Practice for Insolvency Office Holders, report III: The Statement of Principles and Best Practices for insolvency Office Holders in Europe, 19.

643 საქართველოს კანონი რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ, მუხ. 47.6.

სასამართლოს კომპეტენციაა[644]. კრედიტორებს შეუძლიათ, გააპროტესტონ სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება, გაათავისუფლონ სასამართლოს მიერ დანიშნული პირი და დანიშნონ ახალი, თუმცა ამგვარი გადაწყვეტილებაც, ისევე, როგორც გერმანიაში[645], სასამართლოს მხრიდან ფორმალურ დამტკიცებას საჭიროებს[646]. ასევე გერმანიაში სასამართლო ნიშნავს კრედიტორთა კომიტეტის მიერ შეთავაზებულ გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშული კანდიდატურა არ აკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს[647].

საკანონმდებლო რეფორმის შემდეგ გაზიარებულ იქნა შვედეთის მიდგომა, საქმის სპეციფიკის გათვალისწინებით, სასამართლოს მხრიდან გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტთა ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით[648]. გარდა ამისა, შვედეთში სასამართლო, კრედიტორთა მოთხოვნის შემთხვევაში, ნიშნავს ზედამხედველს, რომელიც გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტთა საქმიანობას აკონტროლებს. ზედამხედველის კანდიდატურას სასამართლოს კრედიტორები წარუდგენენ. სასამართლოს შეუძლია ასევე, დანიშნოს გადახდისუუნარობის სპეციალისტის მრჩეველი და მედიატორი, რომელიც სასმართლოს სადავო საკითხების განხილვა/გადაწყვეტის დროს ეხმარება[649].

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომელსაც სასამართლოს ანიჭებს კანონმდებლობას, არის კრედიტორთა კომიტეტის წევრების დანიშვნა, თუ მათი არჩევა არ მოხდება საერთო კრების მიერ და ასევე, კომიტეტის წევრების გათავისუფლება კანონმდებლობით დადგენილი წესით[650].

---

[644] Wolters Klawer, nsolvency Act, art. 25.
[645] Insolvency Statute, art. 57 .
[646] Wolters Klawer, Insolvency Act, art. 29,2.
[647] Insolvency Statute, art. 56,2.
[648] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 11.
[649] Bankruptcy act of Sweden, art.7, 30 section 7.
[650] Insolvency Statute, art. 157.

ქართული კანონმდებლობა სასამართლოს კომიტეტის წევრის გამოწვევის საკითხის დასმისა და გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას ანიჭებს[651].

ჩინეთის კანონმდებლობით, სასამართლოს თანხმობა სჭირდება ასევე ადმინისტრატორის მიერ სხვადასხვა სპეციალისტების დანიშვნას[652].

რეაბილიტაციის ხელშეწყობის მიზნით, ახალი კანონი ითვალისწინებს სასამართლოს გადაწყვეტილებით მოვალის მართვაში დატოვების შესაძლებლობას[653]. ეს თანამედროვე და პროგრესული მიდგომა ადრეულ ეტაპზე დაწყების ხელშეწყობას და რეაბილიტაციის შანსების გაზრდას ემსახურება. ამასთან, მართვაში მხოლოდ კეთილსინდისიერი მოვალე რჩება, მის საქმიანობას კი სასამართლოს მიერ დანიშნული ზედამხედველი აკონტროლებს[654]. სასამართლოს ჩართულობა საჭიროა კრედიტორთა მიერ მართვაში მყოფი მოვალის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაშიც[655]. სასამართლოს შეუძლია, არ დაეთანხმოს ამგვარ გადაწყვეტილებას და მართვაში დატოვოს მოვალე, რაც გადახდისუუნარო საწარმოს მხრიდან ადრეულ ეტაპზე პროცესის ინიცირების დამატებითი გარანტიაა. ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე, საჭიროების შემთხვევაში, მოისმენს როგორც მოვალის, ასვე კრედიტორთა მოსაზრებებს[656].

ქართული საკანონმდებლო რეფორმით გაზიარებულია ასევე სასამართლოს მზარდი როლი გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის ანაზღაურების განსაზღვრაში. თანამედროვე მიდგომის თანახმად, სწორედ სასამართლომ უნდა უზრუნველყოს სამართლიანი და თანაზომიერი ანაზღაურების დადგენა. ამისათვის შესაძლებელია, მოიწვიონ ექსპერტები.

[651] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ", მუხ. 76.16.

[652] Enterprise Insolvency Law of the People' s republic of China, art 28.

[653] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ", მუხ.64.

[654] იქვე, მუხ. 64.2.

[655] იქვე, მუხ. 73.6.

[656] იქვე.

ექსპერტთა მოწვევა შესაძლებელია, განხორციელდეს კრედიტორთა მოთხოვნითაც[657].

### 7.2.3 კრედიტორთა მოთხოვნების შემოწმება

საკანონმდებლო რეფორმამდე, „გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კრედიტორთა მოთხოვნების შემოწმება სასამართლოს ექსკლუზიურ უფლებას წარმოადგენდა[658]. კრედიტორი მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და გადახდისუუნარობის პროცესში მონაწილეობის უფლებას იძენდა მხოლოდ სასამართლოს მიერ მოთხოვნის აღიარების შემდეგ[659]. ამასთან, სასამართლო კონტროლი მოთხოვნების აღიარებისას პრაქტიკაში ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რითაც ზიანდებოდა გადახდისუუნარო საწარმოს ინტერესები. სასამართლო ამოწმებს არა მხოლოდ მოთხოვნის საფუძვლიანობას, არამედ მის მოცულობას. პროცესი მიმდინარეობს შეჯიბრებითობის პრინციპით, ამიტომ გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის მხრიდან სათანადო ზრუნვისა და გულისხმიერების გამოჩენის შემთხვევაში, სასამართლოს წინაშე ყველა შესაძლო შესაგებელის წამოყენებისას შესაძლებელია, მოთხოვნის ოდენობის შემცირება, განსაკუთრებით, როდესაც მოთხოვნა როგორც ძირ თანხას, ასევე პირგასამტეხლოს მოიცავს.

ასევე სასამართლოს არ ჰქონდა შესაძლებლობა, დაგვიანებით წარმოდგენილი მოთხოვნის შემთხვევაში ემსჯელა, ვადის გაშვების საპატიო მიზეზზე[660]. აღნიშნული რეგულაცია ხშირად უსამართლო შედეგებს იწვევდა. კანონმდებლის იმპერატიული მოთხოვნის შედეგად, კეთილსინდისიერი კრედიტორი, საპატიო მიზეზით

---

[657] Steele Stacey, Wee Meng, Seng, Ramsay Ian, Remunirating Corporatee Insolvency Tractitioners in the United Kingdom, Australia and Singapore: The Role of Court, 170 www.cambridge.org/care/terms.

[658] საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საქმის წარმოების შესახებ“, მუხ. 29.1.

[659] იქვე, მუხ. 29,3.

[660] იქვე, მუხ. 30,2.

ვადის გაშვების გამო, მოკლებული იყო შესაძლებლობას, სასამართლოსგან მოეთხოვა სხვა ანალოგიური მოთხოვნის კრედიტორების რიგში მისი დაკმაყოფილება.
განხილულისაგან სრულიად განსხვავდება თანამედროვე საუკეთესო პრაქტიკა კრედიტორთა მოთხოვნის აღიარებასთან დაკავშირებით, რომელიც, ფაქტობრივად, გაზიარებულ იქნა საკანონმდებლო რეფორმის პირობებში.

ახალი კანონის თანახმად, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი ადგენს კრედიტორთა რეესტრს, ხოლო სასამართლო განიხილავს საჩივრებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში. იგივე მიდგომაა შვედეთში, სადაც სასამართლო ერთვება კრედიტორთა მოთხოვნის შემოწმებაში ადმინისტრატორის თხოვნით. თუ ადმინისტრატორი არ ეთანხმება კრედიტორის მოთხოვნას, ამგვარი მოთხოვნის განხილვა ხდება სასამართლო სხდომაზე და სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე[661]. აქვე აღსანიშნავია, რომ შვედეთში სასამართლო კრედიტორებს განუსაზღვრავს პერიოდს, როდესაც მათ შეუძლიათ მოთხოვნის დაყენება, აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდეგ მოთხოვნის დაყენების შემთხვევაში, კრედიტორს სახელმწიფოსთვის მოთხოვნილი თანხის 3%-ის გადახდის ვალდებულება ეკისრება[662].

ჩინეთში სასამართლო განუსაზღვრავს კრედიტორებს პრეტენზიების წამოყენების ვადას, რომელიც არ უნდა იყოს 30 დღეზე ნაკლები და 3 თვეზე მეტი[663]. თუმცა კრედიტორთა სიას ადმინისტრატორი ადგენს. სასამართლო კრედიტორთა სიის შედგენაში მხოლოდ მაშინ ერთვება, თუ ადმინისტრატორი ამა თუ იმ კრედიტორს მოთხოვნის აღიარებაზე უარს ეუბნება ან შედგენილი კრედიტორთა სია კრედიტორებსა და მოვალეს შორის დავის საგანია[664].

იმისათვის, რომ კრედიტორთა მონაწილეობით მიღებული გადაწყვეტილება იყოს სამართლიანი და ასახავდეს სხვადასხვა

---

661 Bankruptcy act of Sweden.
662 იქვე, section 9.
663 Enterprise Insolvency Law of the People' s republic of China, art. 45.
664 იქვე, art 67, 48, 57.

ჯგუფის კრედიტორთა ინტერებს, მნიშვნელოვანია კრედიტორთა დაჯგუფების დახვეწილი წესის არსებობა. ინგლისში სასამართლოს როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კრედიტორთა სიის შედგენის პროცესში[665]. მიუხედავად იმისა, რომ ტენდენცია მიმართულია კრედიტორთა ჯგუფების შემცირებისაკენ, სასამართლო ჩართულია ამ პროცესში არა მექანიკური ინსტიტუციის სახით, არამედ არსებული გარემოებების გათვალისწინებით იღებს გადაწყვეტილებას კრედიტორის ამა თუ იმ ჯგუფისათვის მიკუთვნების საკითხში. სასამართლო კრედიტორთა სამართლიანი დაჯგუფების გარანტიას წარმოადგენს, ამით კი, ერთი მხრივ, მიღებული გადაწყვეტილებების ლეგიტიმურობა არის გარანტირებული, მეორე მხრივ კი, კრედიტორთა სამართლიანი დაკმაყოფილება ლიკვიდაციის დროს[666].

სხვადასხვა ქვეყნის მაგალითის განხილვამ ცხადყო ახალი კანონით შემოთავაზებული რეგულაციის პროგრესულობა, რომლის თანახმადაც, კრედიტორთა რეესტრს მმართველი/ზედამხედველი ადგენს[667]. ამასთან, რეესტრში მხოლოდ ის კრედიტორული მოთხოვნები შედის, რომელსაც მმართველი/ზედამხედველი დასაბუთებულად მიიჩნევს, ხოლო პირგასამტეხლო და ვადამოუსვლელი პროცენტი, თუ მათი ჯამური ოდენობა ძირითადი თანხის 10%-ზე მეტია, რეესტრში მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება აისახოს[668].

### 7.2.4 სასამართლოს როლი რეაბილიტაციის პროცესში

გადახდისუუნარობის მიზნის ევოლუცია კარგად ჩანს სასამართლოს მიერ რეაბილიტაციის საქმისწარმოების გახსნის

[665] Walters Adrian, Smith Anton, Bankruptcy tourism under the EC regulation on insolvency proceedings: A view from England and Wales, 185, https://heinonline.org.
[666] იქვე, 188.
[667] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ", მუხ. 5.5.
[668] იქვე, მუხ. 52.3.

უფლებამოსილების წესის ცვლილებასთან ერთად. მიდგომა, რომ სასამართლოს მხოლოდ მოვალის მიერ წარდგენილი რეაბილიტაციის გეგმის მოწონების შემთხვევაში შეეძლო რეაბილიტაციის დაწყება[669], საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად შეიცვალა — სასამართლოს მიენიჭა უფლებამოსილება, რეაბილიტაციის სასარგებლოდ მიეღო გადაწყვეტილება რეაბილიტაციის გეგმის წარუდგენლობის შემთხვევაშიც. ხოლო კანონის დღეს მოქმედი რედაქციით, მოვალეს რეაბილიტაციის მოთხოვნისას რეაბილიტაციის გეგმის პროექტის წარდგენის ვალდებულება აღარ ეკისრება[670].

რეაბილიტაციის გეგმა, მისი შესრულება და ვადები რთული ბიზნესგადაწყვეტილებებია, შესაბამისად, მისი შინაარსობრივი შემოწმება სასამართლოს არ უნდა ეკისრებოდეს. თუმცა მას შემდეგ, რაც კრედიტორთა კრება გეგმას მოიწონებს, სასურველია, სასამართლო მას განჩინებით ამტკიცებდეს, რათა უზრუნველყოფილი იყოს მხარეთა უფლებების თანაზომიერი დაცვა და რეაბილიტაციის გეგმის კანონთან შესაბამისობა[671].

უახლესი ტენდენციების თანახმად, სასამართლო ბიზნესგადაწყვეტილებებს არ უნდა იღებდეს. იგი მოწინააღმდეგეთა პოზიციას უნდა ისმენდეს და თუ ეს გადაწყვეტილება სპეციალურ ცოდნას მოითხოვს, მაშინ მოსმენა სპეციალისტის თანდასწრებით უნდა განხორციელდეს[672].

დღეს მოქმედი კანონმდებლობით, რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცების დროს სასამართლომ უნდა შეამოწმოს, რომელიმე კლასის კრედიტორთა დისკრიმინაცია ხომ არ ხდება[673]. ყველა კრედიტორს და პარტნიორს, ვის უფლებებსაც რეაბილიტაციის

[669] საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საქმის წარმოების შესახებ“, მუხ. 14.

[670] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 44.1.

[671] Irit Mevorach, Jurisdigtion in Insolvency a study of European Coart’s Decisions, 332.

[672] European Law Institute, Rescue in Business in Insolvency Law, 33.

[673] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ„, მუხ. 83.2.

გეგმა შეეხება, ხმის მიცემის უფლება უნდა ჰქონდეს[674]. ამასთან, გადაწყვეტილების მიღებაში კრედიტორთა ხმის მნიშვნელობა უნდა იყოს სამართლიანი. სასამართლომ უნდა მოიწონოს გეგმა, თუკი იგი კანონმდებლობას შეესაბამება და გეგმა არის სამართლიანი.

გერმანული კანონმდებლობის თანახმად, სასამართლო რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებამდე მოისმენს როგორც კრედიტორთა კომიტეტის, ასევე მოვალის პოზიციას. სასამართლოს მხრიდან დამტკიცება ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც კრედიტორთა კომიტეტი და მოვალე წარმოდგენილ რეაბილიტაციის გეგმაზე თანხმობას განაცხადებენ[675].

საფრანგეთში რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებაში სასამართლო მხოლოდ ფორმალურად მონაწილეობს. გეგმას ამტკიცებს კომიტეტები, რის შემდეგაც ხდება მისი ფორმალური დამტკიცება სასამართლოს მიერ[676].

რეორგანიზაციის გეგმას სასმართლო ამტკიცებს ჩინეთშიც. ამასთან, ადმინისტრატორი, რომელიც ზედამხედველობას უწევს რეორგანიზაციის პროცესს, პროცესის მიმდინარეობის შესახებ მოხსენებას წარუდგენს სასამართლოს. ამ მოხსენების საფუძველზე სასამართლოს შეუძლია, რეორგანიზაციის პროცესი შეაჩეროს ან პროცესის ვადის გაგრძელებაზე მიიღოს გადაწყვეტილება[677]. სასამართლო ასევე შეწყვეტს რეორგანიზაციას და საწარმოს გაკოტრებულად გამოაცხადებს, თუ რეაბილიტაცია ვერ ხორციელდება, მოვალე არაკეთილსინდისიერად იქცევა ან სამართალდარღვევას ჩაიდენს, აგრეთვე, თუ წარმოდგენილი რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცება ვერ მოხერხდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.[678]

ჩინეთის კანონმდებლობა იზიარებს უახლეს ტენდენციას, რომელიც სასამართლოს უფლებამოსილებას ანიჭებს,

---

[674] იქვე, მუხ. 83.1.
[675] Insolvency Statute, art. 248.
[676] Emmanuel Ringeval, Alean Mason and Nicolas Morelli, Restructuring and Insolvency, 175.
[677] Enterprise Insolvency Law of the People’s Republic of China, art. 79, 91.
[678] იქვე, art 78, 88.

რეაბილიტაციის შესახებ გადაწყვეტილება მაშინაც კი მიიღოს, თუ რეაბილიტაციისათვის მხარდასაჭერად საჭირო ხმათა რაოდენობა კრედიტორთა შესაბამის ჯგუფში არ შეგროვდა. თუ კრედიტორთა კრება ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას მოვალის ქონების მართვის გეგმის შემუშავების ან/და რეაბილიტაციის გეგმის შემუშავების შესახებ, საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო. თუმცა კრედიტორთა უფლებების თანაზომიერად დასაცავად აქვე არის დათქმა, რომ, ასეთ შემთხვევაში, რეაბილიტაციის გეგმა არ შეიძლება კრედიტორთა მოთხოვნის შემცირებას ითვალისწინებდეს[679]. აგრეთვე სასამართლო არეგულირებს კრედიტორთა შორის ქონების განაწილების გეგმას, თუკი აღნიშნულ საკითხზე კრედიტორთა კრება ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას განმეორებით[680].

კრედიტორთა უარყოფის მიუხედავად, სასამართლოს მხრიდან რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცების ნოვაციური მიდგომა გაიზიარა ქართულმა კანონმდებლობამაც. შესაბამისად, კრედიტორთა ნების მიუხედავად, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლოს შეუძლია, მიიღოს რეაბილიტაციის გადაწყვეტილება, თუკი რეაბილიტაციის გეგმა დასაბუთებულია და საწარმოს რეაბილიტაციის შესაძლებლობას იძლევა[681]. ამ შემთხვევაში, სასამართლოს როლი მხოლოდ პროცედურული საკითხებით არ შემოიფარგლება და რეაბილიტაციის გეგმას შინაარსობრივად აფასებს. რამდენად აქვს სასამართლოს ამგვარი ბიზნესგადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ცოდნა და გამოცდილება, ეს მსჯელობის საკითხია[682].

ახალი კანონის თანახმად, სასამართლოს უფლება აქვს, შეიტანოს ცვლილება რეაბილიტაციის გეგმაში კრედიტორის

---

679 Song Xiaoming, The Court’s Role in Enterprise Bankruptcy Proceeding and Restructuring in China, p4. https://www.oecd-ilibrary.org/governance/asian-insolvency-systems-closing-the-implementation-gap/the-court-s-role-in-enterprise-bankruptcy-proceedings-and-restructuring-in-china_9789264038332-11-en.

680 Enterprise Insolvency Law of the People’s Republic of China, art 65.6.

681 საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 84.

682 Eugenio Vaccari, Promoting fairness in English Insolvency valuation cases, 286.

დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე[683] იმ ვალდებულებებთან დაკავშირებით, რომელიც რეაბილიტაციის დაწყებამდე წარმოიშვა, თუმცა პროცესის დაწყების შესახებ კრედიტორისათვის ცნობილი არ იყო. აგრეთვე საგადასახადო ვალდებულებების შესახებ, რომელსაც მოვალემ არაკეთილსინდისიერად აარიდა თავი[684].

სასამართლო გადაწყვეტილება არის საჭირო რეაბილიტაციის გეგმის შესრულებაზე ზედამხედველობისთვის, კონკრეტული ღონისძიების გამოყენებისათვის, თუკი თავად რეაბილიტაციის გეგმა რეაბილიტაციის მმართველის/ზედამხედველის მიერ გეგმის შესრულების მონიტორინგს არ ითვალისწინებს[685].

სასამართლო კონტროლის მძლავრი მექანიზმია რეაბილიტაციის შეწყვეტის უფლებამოსილება. სასამართლოს შეუძლია რეაბილიტაციის პროცესის შეწყვეტა, თუკი დაადგენს, რომ რეაბილიტაციის გეგმა თაღლითურად ან მოტყუებით დამტკიცდა[686]. თუმცა ასეთ შემთხვევაში, სასამართლო განჩინებით, დაცული უნდა იქნეს კეთილსინდისიერი პირების კანონიერი ინტერესები.

შვედეთის კანონმდებლობით, თუ არსებობს რისკი, რომ რეაბილიტაცია ვერ მოხერხდება და კრედიტორთა დაკმაყოფილებას შესაძლოა საფრთხე შეექმნას, სასამართლო რეაბილიტაციის პროცესს შეაჩერებს და საწარმოს გაკოტრებულად აცხადებს[687].

კრედიტორთა უფლებების დაცვის მიზნით, კანონმდებელი ანიჭებს კრედიტორთა ჯგუფს უფლებას, მოსთხოვოს სასამართლოს რეაბილიტაციის შეწყვეტა და საწარმოს გაკოტრება რეაბილიტაციის გეგმის არსებითი დარღვევის შემთხვევაში[688]. ამასთან, კანონი

---

[683] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 86.3.

[684] იქვე.

[685] იქვე, მუხ. 81.6.

[686] საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საქმის წარმოების შესახებ“, მუხ. 52,2.

[687] Bankruptcy act of Sweden, art.10 section 1.

[688] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 96.4.

ზუსტად განსაზღვრავს, რა არ ითვლება არსებით დარღვევად[689], რათა სასამართლომ აღნიშნული ბიზნესგადაწყევტილების მიღება შეძლოს. ამასთან, გადაწყვეტილების მისაღებად სასურველი იქნება პროცესის მონაწილეთა მოსაზრებისა და რეაბილიტაციის მმართველის დასკვნის გათვალისწინება.

### 7.2.5 სასამართლოს ჩართულობა ქონების განკარგვაში

რეაბილიტაციის პროცესში ქონების განკარგვას რეაბილიტაციის ან გაკოტრების მმართველი ახორციელებს. სასამართლო განსაკუთრებულ შემთხვევებში ერთვება გადაწყვეტილების მიღებაში: — რეაბილიტაციისას, თუ გარიგება ეხება პირობადადებული საკუთრების ნივთებს[690] ან გაკოტრებისას, თუკი ქონება ვერ გაიყიდა მესამე აუქციონზე[691].

საფრანგეთში, როგორც გერმანიაში[692], ქონების რეალიზაციას, ყველა შემთხვევაში, სასამართლოს მხრიდან მოწონება სჭირდება[693].

სასამართლო იღებს მოტივირებულ გადაწყვეტილებას სამეურვეო ქონების დაჩქარებული წესით გაყიდვის შესახებ მალფუჭებადი ნივთის შემთხვევაში. ამასთან, მორატორიუმის ცალკეული ღონისძიების გაუქმების დროს მნიშვნელოვანია თანაზომიერების პრინციპის დაცვა. სასამართლო აფასებს, ადგება თუ არა განმცხადებელს ზიანი მორატორიუმის ღონისძიებით და „აღემატება თუ არა ზიანის აცილების ინტერესი კრედიტორების თანაბარზომიერად დაკმაყოფილების კანონისმიერ მიზანს“[694].
შვედეთში სასამართლოს შეუძლია, დააყადაღოს მოვალის ქონება, თუ არსებობს საქმისწარმოების დაწყების წინაპირობები და არის რისკი, რომ საწარმომ შეიძლება დამალოს ქონება. აღნიშნული

---

[689] იქვე, მუხ. 96.2.
[690] იქვე, მუხ. 88.
[691] იქვე, მუხ. 102.12.
[692] Insolvency Statute, art. 158.2.
[693] Emmanuel Ringeval, Alean Mason and Nicolas Morelli, Restructuring and Insolvency, 172.
[694] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 58.5.

გადაწყვეტილების მიღებამდე სასამართლო ისმენს და ითვალისწინებს მხარეთა მოსაზრებას[695].

გერმანიაში მოვალის ან გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის მოთხოვნით, სასამართლოს შეუძლია, შეაჩეროს ქონების კრედიტორთა შორის განაწილება, თუ ამგვარი განაწილება ხელს უშლის დამტკიცებული გეგმის განხორციელებას[696].

ჩინეთში სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას უზრუნველყოფილი ქონების სამეურვეო ქონებიდან გამოცალკევებაზე, თუ ამ ქონებას საფრთხე ემუქრება და აღნიშნულზე უზრუნველყოფილი კრედიტორი იშუამდგომლებს[697].

სასამართლო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება ქონების საწარმოს საკუთრებად აღიარების შესახებ როგორც რეაბილიტაციის, ასევე გაკოტრების საქმისწარმოებისას[698].

### 7.3 სასამართლო კონტროლი

სასამართლოს საქმისწარმოების პროცესში გადაწყვეტილებების მიღებასთან ერთად, კონტროლის ფუნქცია ეკისრება. კონტროლის ფუნქცია, პირველ რიგში, გულისხმობს სასამართლოს მოვალეობას, უზრუნველყოს პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა. სასამართლო ხელმძღვანელობს გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტთა საქმიანობას, ისმენს მათ ანგარიშებს. გასცემს თანხმობებს გარიგებებზე, რომელზეც განსხვავებული შეხედულება აქვთ ამა თუ იმ კრედიტორებს ან/და კრედიტორებსა და მოვალეს. სასამართლოს აქვს მონიტორინგის უფლება უკვე გაფორმებულ გარიგებებზე. გარდა ამისა, სასამართლო ხელმძღვანელობს ისეთ საორგანიზაციო საკითხებს, როგორიცაა კრების მოწვევა, მისი მუშაობის წარმართვა,

---

695 Bankruptcy act of Sweden, art.24 section 1.

696 Insolvency Statute, art. 33.

697 Enterprise Insolvency Law of the People’s Republic of China, art 78.

698 საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 59.3, 102,13.

გადაწყვეტილებების გამოქვეყნება. კანონშეუსაბამო ან არაკეთილსინდისიერი საქმიანობის გამოვლენის შემთხვევაში, სასამართლოს სანქციების გამოყენების უფლება აქვს.

### 7.3.1 ზედამხედველობა გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტებზე

სასამართლოს წინაშე ანგარიშვალდებულნი არიან გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტები ინფორმაციის მიწოდების მხრივ, მთელი გადახდისუუნარობის პროცესში. სასამართლოს წინაშე ანგარიშის წარდგენის ვალდებულება აკისრია როგორც ზედამხედველს, ასევე მოვალეს და გაკოტრების მმართველს, როგორც ქონების რეალიზაციამდე, ასევე გაკოტრების დასრულების შემდეგ. პროცესის მიმდინარეობის შესახებ ანგარიშს უნდა შეიცავდეს რეაბილიტაციის გეგმაც. ასევე რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცების შემდეგაც მართვაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, პერიოდულად უზრუნველყოს ანგარიშების გამოქვეყნება[699].

მსგავსი რეგულაციებია სხვა ქვეყნების სამართალშიც. ფრანგული კანონმდებლობით, სასამართლოს წინაშე ანგარიშვალდებულნი არიან სასამართლოს მიერ დანიშნული სპეციალისტები (სასამართლო ადმინისტრატორი, კრედიტორთა წარმომადგენელი და ლიკვიდატორი)[700]. სასამართლო ზედამხედველობას ახორციელებს გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტთა საქმიანობაზე გერმანიაშიც. სასამართლოს შეუძლია, მათგან ნებისმიერი ინფორმაცია და ანგარიში გამოითხოვოს პროცესის მიმდინარეობისა და მართვის შესახებ[701]. გადახდისუუნარო საწარმო ვალდებულია, სრული ინფორმაცია მიაწოდოს სასამართლოს. გერმანიაში სასამართლო

---

[699] იქვე, მუხ. 42.2, 100.4, 81.3.

[700] Emmanuel Ringeval, Alean Mason and Nicolas Morelli, Restructuring and Insolvency, 175.

[701] Insolvency Statute, art. 58.1.

უფლებამოსილია, გამოითხოვოს საწარმოსგან ნებისმიერი ინფორმაცია, მათ შორის, ელექტრონული მიმოწერა[702].

შვედეთში მოვალეს სასმართლოს წინაშე ფიცის დადების ვალდებულება ეკისრება, რომ მის მიერ მიწოდებული ქონების ინვენტარიზაციის გეგმა არის რეალური. შვედეთის კანონმდებლობით, ადმინისტრატორი ვალდებულია, სასამართლოს წარუდგინოს მოხსენება პროცესის მიმდინარეობის შესახებ პროცესის დაწყებიდან 6 თვის თავზე, გარდა ამისა, სასამართლო ადგენს და წარუდგენს სასამართლოს ინვენტარიზაციის აქტს, არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე საერთო კრების მოწვევამდე[703].

ჩეხეთის კანონმდებლობით, სასამართლო ზედამხედველობა გულისხმობს გადახდისუუნარობის პროცესში მონაწილე სუბიექტების გადაწყვეტილებებისა და ქმედებების კონტროლს. აღნიშნული წარმოადგენს სასამართლოს ვალდებულებას მთელი გადახდისუუნარობის პროცესის მანძილზე[704]. სასამართლო ვალდებულია, მოითხოვოს ანგარიშები გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტებისაგან, გააკონტროლოს მათი ანგარიშები და ჩაატაროს საჭირო მოკვლევა მათი ქმედებების ირგვლივ. ასევე სასამართლო უფლებამოსილია, მისცეს მითითებები გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტებს და გარკვეულ საკითხებზე მოსთხოვოს მათ კრედიტორთა კომიტეტის მოსაზრების მოპოვება[705].

სასამართლოს მხრიდან გადახდისუუნარობის პრაქტიკოსებისათვის მითითების მიცემა გაითვალისწინა ქართულმა კანონმდებლობამაც საკანონმდებლო რეფორმის შედეგად. სასამართლოს შეუძლია რეაბილიტაციის მმართველის ქმედების გასაჩივრების შემთხვევაში, რეაბილიტაციის მმართველს/ზედამხედველს დაავალოს კონკრეტული მოქმედების

---

702 იქვე, art. 98.
703 Bankruptcy act of Sweden, art.15 section 7.
704 Wolters Klawer CR ,nsolvency Act, art. 10.
705 იქვე, art. 11.

განხორციელება ან მისი განხორციელებისაგან თავის შეკავება[706]. ამასთან, დაუშვებელია სასამართლოს მხრიდან ამგვარი მითითების გაცემა თუ ეს „რეაბილიტაციის გეგმის შესრულებას ხელს შეუშლის ან შეუძლებელს გახდის“[707].

### 7.3.2 თანხმობა

სასამართლოს გააჩნია საქმისწარმოების პროცესში მისაღებ გადაწყვეტილებებზე ზემოქმედების ბერკეტები, მათ შორის, თანხმობის გაცემა გარიგებებზე.

სასამართლო გასცემს თანხმობას გარიგების დადებაზე, როდესაც ახალი გარიგების დადებას ან ახალი ვალდებულების აღებას არ ეთანხმება მმართველი[708].

„გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენდა, რომ საწარმოს, რომელიც აწვდის მოვალეს საქმიანობის უწყვეტობისათვის აუცილებელ საქონელს/მომსახურებას, თუკი მოვალე ასრულებს მის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს გადახდისუუნარობის საქმისწარმოების გახსნის შემდეგ, შეუძლია მიწოდებაზე უარი განაცხადოს მხოლოდ მეურვის ან სასამართლოს თანხმობით[709]. აღნიშნული რეგულაცია შეიცვალა და ახალი კანონით სასამართლოს შეუძლია, მორატორიუმის დამატებითი ღონისძიების გამოყენების სახით, აუკრძალოს საწარმოს ამგვარი მიწოდების შეწყვეტა[710].

ასევე შეიცვალა ძველი მიდგომა, რომლის თანახმადაც, კანონმდებელი მეურვესთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში, თანხმობის გაცემის უფლებას ანიჭებს არა საერთო კრებას, რომელიც მმართველობითი ორგანოა, არამედ სასამართლოს. საკანონმდებლო

---

706 საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 89.2.

707 იქვე, მუხ. 89.3.

708 იქვე, მუხ. 50.3.

709 იქვე, მუხ. 21.2 „ა“, „ე“, „ვ“, „ზ“.

710 საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 57.1 „გ“.

რეფორმის შედეგად, რეაბილიტაციის მმართველის მიერ გარიგებების დადებაზე, რომელიც საწარმოს ჩვეულებრივ საქმიანობას სცილდება, თანხმობას გასცემს კრედიტორთა კრება[711]. რეფორმამდე არსებული რეგულაცია, ერთი მხრივ, მოუხერხებელი იყო, რადგან სასამართლოს აიძულებს, ჩაერთოს და გაერკვეს სამეწარმეო საქმიანობის სპეციფიკასა და დეტალებში, რომელიც, თავისთავად, სასმართლო კომპეტენცია ნაკლებადაა. თუმცა, მეორე მხრივ, თუკი ამგვარ გარიგებებზე თანხმობის გაცემა კრედიტორთა პრეროგატივა იქნება, ამან შეიძლება, ხელი შეუშალოს საწარმოს რეაბილიტაციის მიზანსა და შესაძლებლობას. კრედიტორები საკითხს თავისი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვეტენ, რაც შესაძლოა, ყოველთვის არ ემთხვეოდეს საწარმოს გაჯანსაღების საჯარო და ლეგიტიმურ ინტერესს.

კანონი სასამართლოს თანხმობას ითხოვს რეაბილიტაციის საშუალებად გამოყენებული ქონების რეალიზაციისათვის[712]. ასევე, მხოლოდ სასამართლოს თანხმობით შეუძლია რეაბილიტაციის მმართველს თანამდებობის დატოვება[713].

გერმანული კანონმდებლობით, სასამართლოს თანხმობა არის საჭირო საწარმოს მოდიფიკაციისათვის. თანხმობის გაცემამდე ხდება თანამშრომელთა და დასაქმებულთა გაერთიანების პოზიციების გათვალისწინება[714].

ჩინეთში სასამართლო თანხმობა ესაჭიროება გადახდისუუნარო საწარმოს ხელმძღვანელ პირებს, რათა მათ შეძლონ საზღვრის დატოვება გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყების შემდეგ[715].

შვედეთში სასამართლო თანხმობა სჭირდება ადმინისტრატორის მიერ შემუშავებულ ქონების განაწილების გეგმას. სასამართლო განიხილავს აგრეთვე გეგმასთან დაკავშირებით წამოყენებულ პრეტენზიებს. მოვალესა და კრედიტორებს შორის

---

[711] იქვე, მუხ. 75.
[712] იქვე, მუხ. 87.
[713] იქვე, მუხ. 81.2.
[714] Insolvency Statute, art. 122.
[715] Enterprise Insolvency Law of the People's republic of China, art 15.4

შეთანხმების შემთხვევაშიც, ამგვარ შეთანხმებას ამტკიცებს სასამართლო[716].

რიგ შემთხვევებში, ახალი დაფინანსებისთვის საჭიროა სასამართლოს თანხმობა[717]. ამასთან, სასამართლოს უნდა ჰქონდეს საშუალება, გამოიყენოს სანქცია უმცირესობაში მყოფი კრედიტორების წინააღმდეგ, ვინც რეფინანსირებას არაკეთილსინდისიერად არ უჭერს მხარს. იგულისხმება, რომ უმცირესობაში მყოფი კრედიტორები უსამართლოდ არ უჭერენ მხარს რეფინანსირებას, სანამ სასამართლოზე საწინააღმდეგო არ დამტკიცდება[718].

აშშ-ის კანონმდებლობით, არაუზრუნველყოფილი კრედიტის მოძიება შეუძლიათ საწარმოს მმართველებს, ხოლო თუ ამგვარი ვერ მოხერხდა, შესაძლებელია, სასამართლომ თანხმობა გასცეს უპირატესად დასაკმაყოფილებელი კრედიტის ან უზრუნველყოფილი კრედიტის მოპოვებაზე[719].

### 7.3.3 საცილო ქმედებები

გარიგების ბათილობის ზოგადი საფუძვლების გარდა, გადახდისუუნარობის პროცესში სასამართლო განიხილავს აგრეთვე საცილო ქმედებების ბათილობის საკითხს[720]. საცილო გარიგებების გაბათილება ემსახურება სამეურვეო მასის დაცვას. გადახდისუუნარობის კანონმდებლობაში ცნობილია „ანტიგამოცალკევების წესიც“, რომელიც პრინციპის სახით არსებობს და სხვადასხვაგვარად არის ასახული ამა თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობაში[721].

---

716 Bankruptcy act of Sweden, section 11.
717 European Law Institute, Rescue in Business in Insolvency Law, 26.
718 იქვე.
719 Douglas G. Braid, Rheodore Eisenberg, Thomas H. Jackson, Commercial and Debtor-creditor Law, Selected Statutes, 1805.
720 საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, თავი 8.
721 იხ. ვრცლად Peter Niven, The Anti-deprivation Rule and the Pari Passu Rule in Insolvency, 2017,

მოთხოვნის დაყენების შემთხვევაში, სასმართლომ, პირველ რიგში, უნდა იმსჯელოს დასაშვებობაზე: ქმედებები გასაჩივრებას ექვემდებარება მხოლოდ მაშინ, თუ ამან გამოიწვია გადახდისუუნარობის მასის განზრახ (action paulina)[722] შემცირება ან გადახდისუუნარობის მასის გაუფასურება, ან ადგილი ჰქონდა კრედიტორისათვის უპირატესობის მინიჭებას[723].

მოცემული რეგულაციით საწარმოს მიერ გაფორმებული ნებისმიერი გარიგება პოტენციურად შეიძლება დადგეს გაბათილების საფრთხის წინაშე. კერძო სამართალში ამგვარი მოწესრიგება კი არ შეესაბამება საბაზრო ეკონომიკის სტაბილურობის მიზანს[724].

აღნიშნულ პრობლემას აბალანსებს, ერთი მხრივ, შეცილების ვადა, ხოლო მეორე მხრივ, მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხი[725]. ამასთან, ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა საცილობლის საკითხის დაყენებას გამორიცხავს უმნიშვნელო გარიგებების შემთხვევაში, რითაც თავიდან იცილებს პროცესის უსაფუძვლო გაჭიანურებას[726].

მსგავს რეგულაციას ითვალისწინებს შვედეთის კანონმდებლობაც, თუმცა, ამ შემთხვევაში, შეცილების ვადა (ნათესავების გარდა) შეადგენს 3 (სამ) თვეს[727]. ამერიკული სამართლით, შეცილების შესაბამისობის პერიოდი შეადგენს ორ

---

https://www.buddlefindlay.com/media/2101/peter-niven_insolv_lj_v25_pt1.pdf.

[722] იხ. აგრეთვე ქეთევან მესხიშვილი, გიორგი ბათლიძე, ნანა ამისულაშვილი, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, 185.

[723] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 86.1.

[724] იხ. იხ. აგრეთვე ქეთევან მესხიშვილი, გიორგი ბათლიძე, ნანა ამისულაშვილი, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, საქართველოს კანონის მიხედვით, 182.

[725] Walters Adrian, Smith Anton, Bankruptcy tourism under the EC regulation on insolvency proceedings: A view from England and Wales, 187.

[726] Douglas G. Braid, Rheodore Eisenberg, Thomas H. Jackson, Commercial and Debtor-creditor Law, Selected Statutes, 1894.

[727] Bankruptcy act of Sweden, art.12 section 4.

წელს[728]. ჩინეთის კანონმდებლობით, სასამართლო, გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის მოთხოვნით, უფლებამოსილია, გააუქმოს გარიგებები, რომელიც საწარმოს ქონების არაადეკვატურ ფასად გასხვისებას, არაუზრუნველყოფილი ვალდებულებების უზრუნველყოფას, არავადამოსული ვალდებულებების გასტუმრებასა და მოთხოვნებზე უარის თქმას შეეხება. ამასთან, სასამართლომ შეიძლება გააუქმოს ვალის დაბრუნების ტრანსაქცია გადახდისუუნარობის დაწყებამდე 6 თვის ვადაში, თუკი აღნიშნულმა გამოიწვია საწარმოს გადახდისუუნარობა[729].

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ" კანონი აფუძნებს ახალ ტერმინს — „შესაბამისობის პერიოდი", რომელიც განსაზღვრავს, რა პერიოდში დადებული გარიგებები შეიძლება გადაისინჯოს და გახდეს საცილო. შემოდის ასევე ხანდაზმულობის ერთწლიანი ვადა.

გადახდისუუნარობის რეფორმამდე კანონმდებელი ღიად ტოვებდა, სარჩელის შეტანის შემთხვევაში, მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხს — თუ ვის ეკისრება ზიანის მომტანი ქმედებების არსებობის მტკიცება — მოსარჩელეს თუ გადახდისუუნარო საწარმოს.

კრედიტორისათვის ზიანის მომტან ქმედებებზეც, მისი შინაარსის გათვალისწინებით უნდა გავრცელდეს ე.წ. business Judgment Rule–ით გათვალისწინებული Safe Harbours-ის მსგავსი პრინციპი, რომლის თანახმადაც, მიღებული გადაწყვეტილება/გაფორმებული გარიგება ითვლება სწორად, სანამ არ დამტკიცდება საპირისპირო, ხოლო მტკიცების ტვირთი არის მოსარჩელეზე[730]. მაგალითად, კრედიტორმა შეიძლება არაკეთილსინდისიერი გარიგების მტკიცებად გამოიყენოს ის ფაქტი,

---

[728] Douglas G. Braid, Rheodore Eisenberg, Thomas H. Jackson, Commercial and Debtor-creditor Law, Selected Statutes, 1893.

[729] Enterprise Insolvency Law of the People's Republic of China, art 31, 32.

[730] Mathew Conaglen, Jennifer G. Hill, Director's Duties and Legal Safe Harbours: A Comparative Analysis, file:///C:/Users/User/Desktop/insolvency/literature/SSRN-id2942758.pdf.

რომ ხელშეკრულება ითვალისწინებს სხვა პირისათვის რაიმე ქონების უსასყიდლოდ გადაცემას[731].

სწორედ ამგვარი მიდგომა გაითვალისწინა ახალმა კანონმა. კერძოდ, „შეცილების განხორციელებისას მტკიცების ტვირთი ეკისრება შეცილების უფლების განმახორციელებელ პირს"[732]. ამასთან, მტკიცების ტვირთი შებრუნდება, თუკი „მოვალე ბრალეულად გააჭიანურებს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით სასამართლოსთვის მიმართვას"[733].

გარდა ამისა, კანონით დეტალურად არის მოწესრიგებული შეცილების სამართლებრივი შედეგი და დაბრუნების ფარგლები. მოვალისთვის ქონების დაბრუნება ხდება უსაფუძვლო გამდიდრების წესების მიხედვით, ამასთან, საპასუხო შესრულება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, აისახება კრედიტორთა რეესტრში. კანონმდებელი ითვალისწინებს კონტრაჰენტის კეთილსინდისიერების საკითხს და ადგენს, რომ, იმ შემთხვევაში, თუ კონტრაჰენტი არაკეთილსინდისიერია, ქონების დაბრუნება არ შეიძლება დამოკიდებული გახდეს მოვალის მიერ შეცილების მოწინააღმდეგე მხარისათვის მისგან მიღებულის დაბრუნებაზე[734].

ახლებურად წესრიგდება საცილო ქმედებების გაბათილების მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვის უფლების მქონე სუბიექტთა წრე. შეიზღუდა კრედიტორთა მხრიდან ამგვარი სარჩელით მიმართვის უფლება[735], რითაც არათანაზომიერად იზღუდება კრედიტორთა ინტერესები[736]. ამგვარი გარიგებების გამოვლენა და სადავოდ გახდომა სათანადო ცოდნასა და პროფესიონალიზმს მოითხოვს, ამიტომ კრედიტორები ხშირად

---

[731] Kurt Hyzler, The Principle of Pari Passu in Corporate Insolvency 28.

[732] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ", მუხ. 67.2.

[733] იქვე, მუხ. 67.3.

[734] იქვე, მუხ. 68.4.

[735] იქვე, მუხ. 65.

[736] შეადარეთ: ქეთევან მესხიშვილი, გიორგი ბათლიძე, ნანა ამისულაშვილი, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით", 191.

არამხოლოდ დაინტერესებულნი, არამედ კომპეტენტურნი არიან ამგვარ საკითხებში[737].

ასევე, სამწუხაროდ, კანონმდებლობამ გარიგების გაბათილების შედეგების დარეგულირებისას არ გაითვალისწინა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რაც აუცილებელია საცილო ქმედებების გაფორმების საპრევენციოდ[738]. ამასთან, ეს არ გამორიცხავს ზიანის სამოქალაქო კოდექსით მოთხოვნას[739]. სამოქალაქო კოდექსის მუხლები უნდა იქნეს ასევე გამოყენებული გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტთა მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ[740] გადაწყვეტილების მიღების დროსაც. ასეთ შემთხვევებში, მიზანშეწონილია სამოქალაქო კოდექსის 398 და 399 მუხლებზე მითითება, რომლებიც შეეხება ხელშეკრულების მისადაგებას შეცვლილი გარემოებებისადმი და უარს გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობებზე[741].

სასამართლოს მიერ გარიგების ბათილად ცნობას ითვალისწინებს ლატვიის კანონმდებლობაც. ლატვიის სასამართლოს, ქართულთან შედარებით, მეტი დისკრეცია გააჩნია. მას შეუძლია გააუქმოს ნებისმიერი გარიგება, რომელიც განხორციელდა გადახდისუუნარობის დაწყების შემდეგ ან გადახდისუუნარობის დაწყებამდე 3 თვის ვადაში, თუ აღნიშნულმა გარიგებამ ზიანი მოუტანა გადახდისუუნარო საწარმოს. ამასთან, თუ გარიგება დაკავშირებულ პირთანაა გაფორმებული, გადახედვას ექვემდებარება გადახდისუუნარობის დაწყებამდე 3 წლის პერიოდში გაფორმებული გარიგებები[742]. გარდა ამისა, ლატვიის სამართალი ითვალისწინებს გადახდისუუნარობის დაწყებამდე

---

[737] Walters Adrian, Smith Anton, Bankruptcy tourism under the EC regulation on insolvency proceedings: A view from England and Wales, 191.

[738] ზიანთან დაკავშირებით, იხ. ვრცლად: ქეთევან მესხიშვილი, გიორგი ბათლიძე, ნანა ამისულაშვილი, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, 194.

[739] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 992-1008.

[740] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 75.4 „ე“, 100.3 „ვ“.

[741] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხ. 398, 399.

[742] Insolvency Law of Latvia, art. 96.

ექვსი თვის ვადაში ან დაწყების შემდეგ გასტუმრებული ვალდებულებების უკან დაბრუნებას იმ შემთხვევაში, თუ: ვალდებულება დაიფარა ვადაზე ადრე ან ვალდებულების დაფარვა მოხდა დაკავშირებული პირის მიმართ მაშინ, როცა სხვა ვადამოსული დავალიანებები გასტუმრებული არ ყოფილა[743].

აღნიშნული რეგულაცია ემსახურება კრედიტორთა დაცვის მიზანს, რათა გადახდისუუნარო საწარმოს ხელმძღვანელობამ განზრახ არ მიიყვანოს საწარმო გადახდისუუნარობამდე ან/და ხელი არ შეუწყოს დაკავშირებული პირების პრიორიტეტულ დაკმაყოფილებას.

### 7.3.4 საორგანიზაციო ფუნქცია

საქართველოში, ისევე როგორც ევროპული ქვეყნების უმრავლესობაში, სასამართლო ახორციელებს საორგანიზაციო ფუნქციებს.

მოსამართლე უძღვება აქციონერთა საერთო კრების საქმიანობას, იწვევს კრებას კანონით დადგენილ შემთხვევებში[744]. ასევე, უზრუნველყოფს მიღებული განჩინებების ელექტრონულ სისტემაში გამოქვეყნებას, აქვეყნებს ინფორმაციას გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყების შესახებ, კრების მოწვევის შესახებ. ელექტრონული სისტემის მეშვეობით უზრუნველყოფს კრედიტორთა ინფორმირებას, რომ მათ შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე[745]. საინტერესოა ჩეხეთის კანონმდებლობის მიდგომა, რომლის თანახმადაც, კრედიტორის ინიციატივით კრების პერმანენტულად მოწვევის შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია, დააკისროს მას კრების მოწვევის ხარჯების ანაზღაურება[746].

---

[743] იქვე, art. 99.

[744] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ", მუხ.13.

[745] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ", მუხ. 14 .

[746] Wolters Klawer, Insolvency Act, art. 48.3.

საკანონმდებლო რეფორმის შედეგად მოხდა სასამართლოს შეძლებისდაგვარად განტვირთა საორგანიზაციო ფუნქციებისგან და ამ ფუნქციების სხვა სუბიექტებზე გადაკისრება. მაგალითად, კრედიტორის მხრიდან გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყების შესახებ განცხადების შეტანის შემთხვევაში, თავად კრედიტორია ვალდებული, უზრუნველყოს გზავნილის მოვალისათვის ჩაბარება[747].

ამასთან, სასამართლოს ნაცვლად, რეაბილიტაციის მმართავს დაეკისრა მოვალეთა რეესტრის წარმოების ფუნქცია[748].

## 7.3.5 სანქციის გამოყენება

რამდენადაც სასამართლოს მთავარი ფუნქცია პროცესის კანონშესაბამისად წარმართვის უზრუნველყოფაა, კანონმდებლობა მას ანიჭებს სანქციების გამოყენების უფლებამოსილებასაც. გადახდისუუნარობის კანონმდებლობის დარღვევა სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობასთანაც არის დაკავშირებული, თუმცა აღნიშნული ქვეთავი შეხება საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ პროცესის მონაწილე პირთა მიმართ სანქციების გამოყენებას.

სასამართლო უფლებამოსილია, დამრღვევ მხარეს დააკისროს ზიანის ანაზღაურება, თუკი გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყება მოხდა განზრახ არასწორი ინფორმაციის საფუძველზე ან/და კრედიტორთათვის ზიანის მიყენების მიზნით, ისევე როგორც მორატორიუმის ღონისძიებების ბოროტად გამოყენებისთვის[749]. ასევე სასამართლოს ენიჭება კომიტეტის წევრის

[747] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 46.2, შეადარეთ: „საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ“, მუხ. 22.2.

[748] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 52, შეადარეთ: „საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ“, მუხ. 29.9.

[749] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 18.2.

გამოთხოვის უფლებამოსილება, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში[750].

სასამართლო უფლებამოსილია, გააუქმოს დამტკიცებული რეაბილიტაციის გეგმა, თუ დადგინდა, რომ რეაბილიტაციის გეგმა თაღლითურად ან მოტყუებით დამტკიცდა[751], ასევე რეაბილიტაციის პროცესი შეცვალოს გაკოტრების პროცესით, თუკი ადგილი აქვს რეაბილიტაციის გეგმის დარღვევას[752].

სასამართლო პასუხისმგებლობას აკისრებს რეაბილიტაციის მმართველს მის მიერ კანონისა და ფიდუციური ვალდებულების დარღვევისათვის. პასუხისმგებლობა თანამდებობიდან გათავისუფლების გარდა, შესაძლებელია გულისხმობდეს მოვალის ფულისა და ქონების დაბრუნებას, პროცენტის გადახდას ან/და ზიანის ანაზღაურებას[753]. საინტერესოა აშშ-ს კანონმდებლობის მიდგომა, რომლის თანახმადაც, თუკი სასამართლო პასუხისმგებლობის ზომად გამოიყენებს მმართველის გათავისუფლებას კონკრეტულ საქმეში, მმართველის ჩამოცილება ხდება სხვა მიმდინარე საქმეებიდანაც, თუ სასამართლო სხვაგვარად არ დაადგენს[754].

საკანონმდებლო რეფორმამდე კანონმდებელი სასამართლოს ანიჭებდა სანქციის გამოყენების უფლებას რეაბილიტაციის გეგმით არასწორი ინფორმაციის წარდგენის შემთხვევაში. არასწორი ინფორმაციის წარდგენაში იგულისხმება, როგორც მცდარი მონაცემების წარდგენა მოვალის ქონების ან/და მისი საქმიანობის

[750] სასამართლოს კომიტეტის წევრის გამოთხოვის უფლება აქვს, თუკი გამოვლინდა მისი არაკეთილსინდისიერება, დაუდევრობა, არაკომპეტენტურობა, არაეფექტიანობა, ინტერესთა კონფლიქტი, მის მიმართ ნდობის არარსებობა ან წევრის მიერ კანონის დარღვევა და, ამავე დროს, წევრის გამოწვევის უფლებამოსილებას არ გამოიყენებს კრედიტორთა კრება. იხ. საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 76.17.

[751] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 86.

[752] იქვე, მუხ. 96.5.

[753] იქვე, მუხ. 89-92.

[754] Douglas G. Braid, Rheodore Eisenberg, Thomas H. Jackson, Commercial and Debtor-creditor Law, Selected Statutes, 1804.

შესახებ, ასევე მნიშვნელოვანი ინფორმაციის დამალვა. თუკი ამგვარი ქმედება ჩადენილია განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით, სასმართლო იყენებდა სანქციას დამრღვევი პირის მიმართ. რეაბილიტაციის მმართველის შემთხვევაში ხდებოდა მისი გათავისუფლება. თუ არასწორი ინფორმაცია წარადგინა მოვალემ — იგი ცხადდებოდა გაკოტრებულად. ხოლო თუკი დარღვევა ჩადენილია კრედიტორის მხრიდან — კრედიტორი კარგავდა ხმის უფლებას[755]. ახალი კანონით, რეაბილიტაციის გეგმის შედგენას ახორციელებს რეაბილიტაციის მმართველი, თუმცა არასწორი ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში, ხსენებული სანქციების დაკისრების უფლებამოსილება ხელს შეუწყობდა პროცესის კეთილსინდისიერად და გამჭვირვალედ წარმართვას.

მოვალის მიმართ, ცრუ ინფორმაციის მიწოდების ან/და ინფორმაციის დამალვისათვის სასამართლოს მხრიდან სანქციის გამოყენებას ითვალისწინებს ჩინეთის კანონმდებლობაც, თუ მოვალის შესაბამისი წარმომადგენელი სასამართლო ნებართვის გარეშე გადაკვეთს საზღვარს, როდესაც გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტი განზრახ ან გაუფრთხილებლობით არ ასრულებს საკუთარ მოვალეობებს[756]. ჩინეთის კანონმდებლობით, სასამართლოს შეუძლია მისცეს მითითებები გადახდისუუნარო საწარმოს უფლებამოსილ წარმომადგენლებს[757].

თუ ვისი შუამდგომლობის საფუძველზე შეუძლია სასამართლოს, იმსჯელოს სანქციის გამოყენებაზე, ეს გამომდინარეობს კონკრეტული კაზუსიდან, რიგ შემთხვევებში[758], სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით განიხილოს სანქციის გამოყენების საკითხი.

საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ სასამართლო უფლებამოსილია, შეამციროს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის

---

[755] საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საქმის წარმოების შესახებ“, მუხ. 48.

[756] Enterprise Insolvency Law of the People' s republic of China, art 127, 129, 130.

[757] იქვე, art 15.2.

[758] მაგალითად, კომიტეტის წევრის გამოთხოვა.

ანაზღაურება, თუ იგი მის გონივრულობასა და საჭიროებას ვერ დაასაბუთებს[759].

საინტერესოა გერმანული კანონმდებლობით დადგენილი რეგულაცია, რომლის თანახმადაც, თუ კრედიტორთა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება სხვა კრედიტორის ინტერესებს აზიანებს, სასამართლოს შეუძლია, გააუქმოს ამგვარი გადაწყვეტილება კრედიტორის ან გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის მოთხოვნით, თუ ამგვარი მოთხოვნა იქნება დაყენებული კრედიტორთა კრებაზე[760].

სასამართლო რეფორმის შედეგად გაზიარებულ იქნა მიდგომა, რომლის თანახმადაც, როდესაც საწარმოს უძღვება დირექტორი, მისი გადაყენება კრედიტორებს შეუძლიათ სასამართლოს მეშვეობით (მაგ., ავსტრია, ბელგია, გერმანია, პოლონეთი და ესპანეთი)[761]. ამასთან, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის თანახმად, სასამართლოს შეუძლია, არ დაეთანხმოს მართვაში მყოფი მოვალის გადაყენების საკითხს.

## 7.4 შუალედური დასკვნა

საკანონმდებლო რეფორმამ აღმოფხვრა ბევრი ხარვეზი, რომელიც სასამართლოს მიერ პროცესის ხელმძღვანელობას შეეხებოდა. მოხდა სასამართლოთა განტვირთა პროცედურული საკითხებისაგან, როგორიც არის მოვალეთა რეესტრის წარმოება, თანხმობების გაცემა რიგ საკითხებზე სასამართლოს ნაცვლად საერთო კრების უფლებამოსილებად განისაზღვრა.

ამავდროულად, რეფორმის შემდეგ გაიზარდა სასამართლოს მხრიდან მისაღები ბიზნესგადაწყვეტილებების რიცხვი, რაც არ არის სასურველი განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმეს სპეციალიზებული მოსამართლეები არ განიხილავენ, ხოლო ევროპული დირექტივა

[759] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 119.3.
[760] Insolvency Statute, art. 78.1.
[761] European Law Institute, Rescue in Business in Insolvency Law, 165.

ემხრობა სასამართლოს ნაკლებ ჩართულობას პროცესში, რათა პროცესი უფრო სწრაფად, ნაკლები ხარჯით და ეფექტურად წარიმართოს. დირექტივა წევრ სახელმწიფოებს აძლევს რეკომენდაციას, შეამციროს ადმინისტრაციული ორგანოებისა და სასამართლოს ჩართულობა პროცესში იმ დოზამდე, რაც აუცილებელია მონაწილეთა უფლებების თანაზომიერების დასაცავად[762].

არსებულ ვითარებაში ვერ მოხერხდა თანამედროვე პრაქტიკისა და დირექტივით რეკომენდაციის გაზიარება სასამართლოს როლის შემცირების ან/და გადახდისუუნარობის საქმეების სპეციალიზებულ მოსამართლეთა მიერ განხილვასთან დაკავშირებით[763], შესაბამისად, არ არის მიზანშეწონილი მოსამართლის მიერ სპეციალიზებული ცოდნის არარსებობის ფარგლებში, მისთვის ბიზნესგადაწყვეტილებების მიღების დაკისრება.

უახლესი ტენდენციების თანახმად, სასამართლო არ უნდა იღებდეს ბიზნესგადაწყვეტილებებს. იგი უნდა ისმენდეს მოწინააღმდეგეთა პოზიციას და თუ ეს გადაწყვეტილება სპეციალურ ცოდნას მოითხოვს, მაშინ, მოსმენა უნდა განხორციელდეს სპეციალისტის თანდასწრებით[764].

ვინაიდან საკანონმდებლო რეფორმის შემდეგ მოსამართლეს ეკისრება ისეთი ბიზნესგადაწყვეტილების მიღება, როგორიც არის რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცება კრების მიერ მისი უარყოფის შემთხვევაში, უზრუნველყოფის საგნის რეალიზაცია, მორატორიუმის დამატებითი ღონისძიებების გამოყენება,

---

762 DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring, insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency), Recital 29.

763 DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring, insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency), Recital 86.

764 European Law Institute, Rescue in Business in Insolvency Law, 33.

სასურველია, განგრძობადი განათლების ფარგლებში მუდმივად მოხდეს მოსამართლეთა აღჭურვა შესაბამისი ცოდნით, მათ შორის, ფინანსებსა და აუდიტში და ასევე პროცესში სპეციალისტების ჩართულობის უზრუნველყოფა[765].

პროცესის სწრაფად წარმართვას ხელს შეუწყობს ახალდანერგილი საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა. ასევე სასამართლოს საქმის განხილვაში დაეხმარება საცილო ქმედებების განხილვისა და გაკოტრების გზით საწარმოს გაუქმების განხილვისას მტკიცების ტვირთის განაწილების საკანონმდებლო მოწესრიგება.

მტკიცების ტვირთის განაწილებასთან ერთად, სასურველია, ქართულ კანონმდებლობას გაეთვალისწინებინა ლატვიის მაგალითი, ვალდებულების შესრულების საცილოობასთან დაკავშირებით, რომლის შესრულების ვადაც არ იყო დამდგარი, ხოლო სხვა ვადამოსული ვალდებულებების შესრულება არ მომხდარა, ასევე საფრანგეთის მაგალითი — სასამართლოს ინიციატივით გადახდისუუნარობის პროცესის დაწყების შესაძლებლობასთან დაკავშირებით.

## 8. ხარჯების ოპტიმიზაციის ეფექტურობა მოვალისა და კრედიტორისთვის

საქართველოს კანონმდებლობით, გადახდისუუნარობის მიზანს კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილება და მოვალისა და კრედიტორების უფლებათა თანაზომიერი დაცვა წარმოადგენს. საინტერესოა, შეესაბამება თუ არა ზემოხსენებულ მიზანს კანონმდებლობის მიდგომა გადახდისუუნარობის ხარჯებთან დაკავშირებით.

765 DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring, insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency) art.25.

გადახდისუუნარობის პროცესის ეფექტურობისთვის, სისწრაფესთან ერთად, მნიშვნელოვანია მისი ღირებულება. გადახდისუუნარობის ხარჯები მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, პროცესის დაწყების ხელმისაწვდომობის გამო, ხოლო მეორე მხრივ, იმიტომაც, რომ აღნიშნული ხარჯების გაღება ხდება სამეურვეო ქონებიდან, რომელზეც პრეტენზიას აცხადებს როგორც მოვალე ისე კრედიტორი. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ გადახდისუუნარობის ხარჯები მაქსიმალურად ოპტიმალური იყოს, ეს დაიცავს თანაბრად როგორც საწარმოს, ასევე კრედიტორის ინტერესებს. ევროპული დირექტივა ემხრობა გადახდისუუნარობის ხარჯების შემცირებას და მიიჩნევს, რომ ეს სასარგებლოა როგორც მოვალის, ასევე კრედიტორებისთვის[766].

ხარჯების ოპტიმიზაცია აქტუალურია იმიტომაც, რომ ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, ევროპული დირექტივის მიღებამ შესაძლოა, გამოიწვიოს პროცესის ხარჯების ზრდა, რადგან შემოსაღები იქნება სკრინინგის მექანიზმები რეაბილიტაციის შესაძლებლობის არაკეთილსინდისიერად გამოყენების გამოსარიცხად[767].

ლატვიის კანონმდებლობას კანონის პრინციპის დონეზე აქვს აყვანილი პროცესის ეფექტურობის საკითხი, რომელიც გულისხმობს „გადახდისუუნარობის პროცესის ადვილად ხელმისაწვდომობას და მინიმალური რესურსების ხარჯვას“[768].

გადახდისუუნარობის ხარჯების საკითხში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოქროს შუალედის მოძებნა. ხარჯები არ უნდა იყოს მაღალი, რათა შესაძლებელი იყოს პროცესის დაწყება საჭიროების შემთხვევაში, ამავდროულად კი მაღალი ანაზღაურება

---

[766] DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring, insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency) Recital 15.

[767] F. Javier Aries Varona, Johanna Niemi, Tuomas Huoli, Didcharge and Enterpreneurship in the Preventive Restructuring Directive, 19 https://doi.org/10.1002/iir.1369.

[768] Insolvency Law of Latvia, art. 6.5.

გარკვეულწილად წარმოადგენს ხარისხისა და მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვის გარანტიას[769].

ახალი ევროპული დირექტივის თანახმად, სასამართლო თუ ადმინისტრაციულ ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, დაადგინოს ხარჯების გონივრულობა და მიზანშეწონილობა ყველა პროცესის მონაწილის ინტერესების დაბალანსებით? საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, როგორც მოვალისა და კრედიტორის, ასევე კრედიტორთა კომიტეტის წევრების, გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტების და თავად სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ინტერესები[770]. საქართველოში გადახდისუუნარობის პროცესების სიმცირე და ნაკლებეფექტურობა ხშირად გადახდისუუნარობის ხარჯების არაეფექტურობით არის გამოწვეული. მით უმეტეს, იმ პირობებში, როცა საკანონმდებლო რეფორმამდე მეურვის უფლებამოსილებას ექსკლუზიურად სახელმწიფო სტრუქტურას — აღსრულების ეროვნულ ბიუროს ანიჭებდა.

განსახილველი თავის მიზანს წარმოადგენს კანონმდებლობით დადგენილი ხარჯების ოპტიმალურობის შეფასება, ასევე მსჯელობა იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს გადახდისუუნარობის ხარჯებთან დაკავშირებით არსებული კანონისმიერი მიდგომა მოვალისა და კრედიტორის უფლებების დაცვაზე.

ამ მიზნის მისაღწევად, პირველ რიგში, მოხდება არსებული რეალობის შეფასება, შემდგომ კი, უცხო ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით და საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევებისა და რეკომენდაციების გაზიარებით, შემოთავაზებულ იქნება საუკეთესო პრაქტიკიდან გამომდინარე კონკრეტული

---

[769] Jennifer Dickfos, the Cost and Benefits or Regulating the Market for Corporate Insolvency Practitioner Remuneretion, 35, https://heinonline.org.

[770] DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring, insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency) Recital 69.

რეგულაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს ხარჯებთან დაკავშირებით არსებული კანონმდებლობის დახვეწას, არსებული ხარვეზების აღმოფხვრას, რაც ეჭვგარეშეა, ემსახურება როგორც მოვალის, ასევე კრედიტორთა ინტერესებს.

## 8.1 სასამართლო ხარჯები

ევროპული დირექტივის თანახმად, ხარჯების განსაზღვრისას სახელმწიფო ორგანოების ინტერესებიც უნდა იქნეს გათვალისწინებული[771]. შესაბამისად, უმეტეს ქვეყანაში გადახდისუუნარობის პროცესის დასაწყებად გათვალისწინებულია სახელმწიფო ბაჟი[772]. მაგალითად, ჩინეთის კანონი ადგენს, რომ გადახდისუუნარობის ხარჯები შედგება: სასამართლო ბაჟისაგან, ადმინისტრატორის მიერ ქონების შეფასებისა და განაწილების ხარჯებისაგან და ადმინისტრატორის მომსახურების ხარჯებისაგან[773].

თუმცა თანამედროვე ტენდენცია მიმართულია გადახდისუუნარო კომპანიის პროცესის ხარჯების შემცირებისაკენ და სახელმწიფოს მხრიდან სუბსიდირებისაკენ, როდესაც ეს აუცილებელია[774]. მაგალითად, ლატვიის გადახდისუუნარობის კანონის თანახმად, გადახდისუუნარობის ხარჯები მოიცავს ადმინისტრატორის ანაზღაურების ხარჯებს[775] და იგი არ ითვალისწინებს ბაჟს ან სხვა გადასახადებს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებისათვის. ასევე ლოიალურია რუმინეთის მთავრობის მიდგომა გადახდისუუნარო კომპანიის მიმართ პროცესის ხარჯებთან დაკავშირებით. კერძოდ, არ არსებობს სახელმწიფო ბაჟი გადახდისუუნარობის პროცესისათვის, ხოლო

[771] იქვე.
[772] Gerard McCormack, Andrew Keasy, Sarah Brown and Judith Dahlgreen, Study on a new approach to business failure and insolvency, Comparative legal analysis of the Member States' relevant provisions and practices, 215.
[773] Enterprise Insolvency Law of the People's Republic of Chin, art 61.2.
[774] Jennifer Dickfos, the Cost and Benefits or Regulating the Market for Corporate Insolvency Practitioner Remuneretion, 5.
[775] Insolvency Law of Latvia, art.11.

სათანადო ქონების არარსებობის შემთხვევაში, გადახდისუუნარობის ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო[776].

ლატვიის კანონი ასევე განსაზღვრავს გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყების დროს ადმინისტრატორის ანგარიშზე დეპოზიტის შეტანის ვალდებულებას, რომელიც უნდა შეადგენდეს ადმინისტრატორის ორი თვის ანაზღაურებას. ამასთან, დეპოზიტი უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება თუ გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყება მოხდა შეგნებულად დაუსაბუთებელი მიზეზით, ან აპლიკაცია შეიცავდა შეგნებულად ცრუ ინფორმაციას[777].

განხილული პროგრესული მიდგომისაგან განსხვავებით, რეფორმამდე არსებული კანონმდებლობა ითვალისწინებდა საქმის აღძვრის დროს სახელმწიფო ბაჟის 5000 (ხუთი ათასი) ლარის გადახდის ვალდებულებას[778]. ბაჟისაგან გათავისუფლება არ ვრცელდებოდა მოვალეზე, რომელსაც სასამართლოში შეაქვს განცხადება გაკოტრების მოთხოვნით[779].

ამრიგად, მოვალეს, რომელსაც გაკოტრება სურდა და, ამასთანავე, საპროცესო ხარჯების დაფარვის შესაძლებლობა არ ჰქონდა, გაკოტრების საქმის დასაწყებად უნდა გადაეხადა სასამართლო ბაჟი 5000 ლარი და ასევე დეპოზიტზე შეეტანა თანხა 5000 ლარი. რაც საკმაოდ რთული მოსაძიებელია გაკოტრების წინაშე მყოფი მოვალისათვის. შესაბამისად, დადგენილი ბაჟი მნიშვნელოვანი ბარიერი იყო გაკოტრებული მეწარმისათვის თავისი საქმიანობის დასახურად. გაკოტრებული, თუმცა ოფიციალურად კვლავ მოქმედი საწარმოები კი პრობლემას ქმნის სხვა ჯანსაღი კომპანიებისთვისაც, რომლებიც ნებისმიერ დროს შესაძლებელია, სწორედ ამგვარი მოვალის კონტრაჰენტი აღმოჩნდნენ[780].

---

[776] Gerard McCormack, Andrew Keasy, Sarah Brown and Judith Dahlgreen, Study on a new approach to business failure and insolvency, Comparative legal analysis of the Member States' relevant provisions and practices, 328.
[777] Insolvency Law of Latvia, art. 62.
[778] საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ", მუხ. 6.1.
[779] იქვე, მუხ. 6.4.
[780] Jennifer Dickfos, The Cost and Benefits or Regulating the Market for Corporate Insolvency Practitioner Remuneretion, 36.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სისხლის სამართლის კოდექსი პირდაპირ ავალდებულებს გაკოტრებულ მოვალეს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებას[781]. შესაბამისად, პროცესის აღძვრის ეტაპზე კანონი უნდა ათავისუფლებდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მოვალეს როგორც რეაბილიტაციის, ასევე გაკოტრების საქმისწარმოების დაწყების დროს. ასევე არ უნდა ეკისრებოდეს მოვალეს სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის შეტანის ვალდებულება. ასეთ შემთხვევაში, მოვალეს ექნება შესაძლებლობა, აღძრას გაკოტრების საქმის წარმოება ყოველგვარი ხარჯის გარეშე. თუ სასამართლო უარს იტყვის საქმისწარმოების დაწყებაზე და მოვალის გაკოტრება მოხდება რეგისტრაციის გაუქმების გზით, საპროცესო ხარჯების დაფარვა აღარ გახდება საჭირო. გაკოტრების საქმისწარმოების დაწყების შემთხვევაში კი, ანაზღაურება სარეალიზაციო ქონებიდან მოხდება.

არსებული რეგულაციები სასამართლო ხარჯებთან დაკავშირებით გაუმართავი იყო და საჭიროებდა ცვლილებებს, შესაბამისად, დროული იყო ახალი კანონით ინიციირებული განსხვავებული მიდგომა, რომლითაც გაუქმდა დეპოზიტის შეტანის ვალდებულება, ხოლო მოვალე არ არის ვალდებული, სარჩელის შეტანის დროს გადაიხადოს ბაჟი[782], გარდა რეგულირებული შეთანხმების შეთავაზების წარდგენისა[783]. ბაჟის ტარიფი განისაზღვრა დავის საგნის ღირებულების 3%-ით, როგორც მოვალისთვის ასევე კრედიტორისთვის, მაგრამ არა უმეტეს 10000 ლარისა[784]. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ კანონი არ ათავისუფლებს მოვალეს ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან, პროცესის ხელმისაწვდომობის მიზანი უზრუნველყოფილია ახალი კანონით შემოთავაზებული ბაჟის გადახდის გადავადებით.

---

781 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 207.

782 საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 118.2.

783 იქვე, მუხ. 118.5.

784 იქვე, მუხ. 118.1, 118.3.

## 8.2 გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის ანაზღაურება

### 8.2.1 ქართული კანონმდებლობის მიდგომა

გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტების ანაზღაურებაზე მსჯელობისას უნდა განიხილონ იუსტიციის მინისტრის N144 ბრძანება, რომელიც გადახდისუუნარობის საქმისწარმოებისათვის დადგენილი მომსახურების საფასურებს შეეხება[785]. საკანონმდებლო ცვლილებების ამოქმედებამდე, სავალდებულო მეურვედ აღსრულების ეროვნული ბიურო მიიჩნეოდა, ხოლო გაკოტრების მმართველის აურჩევლობის შემთხვევაში, ასევე აღსრულების ეროვნული ბიურო ასრულებდა ამ მოვალეობას[786].

ბრძანება ითვალისწინებს პროცენტობრივ განაკვეთებს როგორც მეურვის, ასევე გაკოტრების მმართველისა და სააუქციონო საქმიანობისთვის. ამასთან, განაკვეთები განსაზღვრულია პროცენტობრივად სამეურვეო ქონების ოდენობის მიხედვით[787]. გამოდის, რომ საქმისწარმოებისას აღსრულების ეროვნული ბიურო საკუთარი მომსახურეობისათვის ითხოვს წილს სამეურვეო ქონებიდან, რომელიც ისედაც მწირია და ხშირად არ არის საკმარისი კრედიტორების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ან საწარმოს რეაბილიტაციისათვის[788].

---

785 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N144 სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფასურების, აგრეთვე მმართველისა და ზედამხედველის ფუნქიების შესრულებისთვის საზღაურის წესის დამტკიცების თაობაზე, http://nbe.gov.ge/files.

786 საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ", მუხ. 37.2.

787 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N144 სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფასურების, აგრეთვე მმართველისა და ზედამხედველის ფუნქიების შესრულებისთვის საზღაურის წესის დამტკიცების თაობაზე, მუხ.9.

788 ქეთევან მესხიშვილი, გიორგი ბათლიძე, ნანა ამისულაშვილი, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით, 114.

ამასთან, პროცენტობრივი წილი, რომელსაც სააღსრულებო ბიურო ითხოვდა მომსახურეობისათვის, საკმაოდ მაღალია და შესაძლებელია სამეურვეო ქონების 21%-იც[789] კი შეადგინოს. შესაბამისად, სახელმწიფო, რომელიც ავალდებულებს მეწარმეს, რათა დროულად გაიხსნას გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, იმისათვის, რომ მაქსიმალურად დიდი იყოს რეაბილიტაციის შანსი ან კრედიტორთა დაკმაყოფილების უნარი, თავად უჯდებოდა გადახდისუუნარო კომპანიას კრედიტორად სამეურვეო ქონების საკმაოდ დიდი პროცენტით.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ გადახდისუუნარო საწარმო ავტომატურად არ ნიშნავს კომპანიას, რომელსაც მცირე ქონება აქვს. ხშირად პირიქით, გადახდისუუნარობა ემუქრებათ სწორედ დიდ კონცერნებსა და ჰოლდინგებს[790], რომელთაც, მართალია, გააჩნიათ მნიშვნელოვანი აქტივი, თუმცა, აღებული ვალდებულებებიდან გამომდინარე, დგება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის აუცილებლობა. შესაბამისად, ქართული კანონმდებლობის მიდგომა, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურების ღირებულება განისაზღვროს სამეურვეო ქონებიდან მაღალი პროცენტით, შესაძლებელია, არაადეკვატური ყოფილიყო გაწეული მომსახურებისა. მაგალითად: მხოლოდ მეურვის ანაზღაურება 2000000 ლარის ღირებულების აქტივის მქონე საწარმოსთვის განისაზღვრებოდა 140000 ლარით[791], რაც, თუ გავითვალისწინებთ

---

[789] გაკოტრების საქმისწარმოების დროს შესაძლებელია, აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის ასანაზღაურებელმა თანხებმა შეადგინოს: სამეურვეო ქონების 7% - მეურვის ანაზღაურება, სამეურვეო ქონების 7% - გაკოტრების მმართველის ანაზღაურება და ქონების ნატურით გადაცემის შემთხვევაში დამატებით 7%. იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის N144 ბრძანება, მუხ. 9.

[790] მაგ., „ჯენერალ მოტორსი", „ენრონი", „ლეჰმან მრაზარსი", „კოდაკი", „ამერიკის ავიახაზები" და ა.შ. იხ. Oscar couwenberg, Stephen J. Lubben,Not a Bank, Not a Sifi, Still Too big to Fail, 2019.

[791] იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N144 სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფასურების, აგრეთვე მმართველისა და ზედამხედველის ფუნქციების შესრულებისთვის საზღაურის წესის დამტკიცების თაობაზე, მუხ. 9.

მერვის ფუნქციებს, საათობრივად ერთ-ერთ ყველაზე მაღალ ანაზღაურებად შეიძლება ჩაითვალოს.

იგივე შეეხება ქონების ნატურით გადაცემისას აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის გადასახდელ სამეურვეო ქონების ღირებულების 7%[792], მაშინ როცა ქონების ნატურით გადაცემა არავითარ მნიშვნელოვან ძალისხმევას გაკოტრების მმართველისაგან არ მოითხოვს.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ბრძანება ყველა შემთხვევაში ითვალისწინებს მომსახურების ღირებულების ქვედა ზღვარს (5000) ლარი, მაშინ, როდესაც ზედა ზღვარი გათვალისწინებულია მხოლოდ რეაბილიტაციის საქმისწარმოების გახსნის შემთხვევაში მეურვის უფლებამოსილების ან გაკოტრების მმართველის ფუნქციის შესრულებისას. თუმცა, ამ შემთხვევებშიც, ზედა ზღვარი მხოლოდ ფორმალურია, კერძოდ: — მეურვის ფუნქციის განხორციელებისას, თუ მომსახურების ღირებულება შეადგენს სამეურვეო ქონების ფასის 6%, ზედა ზღვარად მითითებულია კრედიტორთა მოთხოვნის 3%[793]. შესაბამისად, დაწესებულ ზედა ზღვარს აზრი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორთა მოთხოვნა ორჯერ აღემატება სამეურვეო ქონებას და ამ პირობებში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება რეაბილიტაციის საქმისწარმოების გახსნის შესახებ, რაც ნაკლებად რეალურია.

ასევე არაეფექტურია გაკოტრების მმართველის მომსახურებისთვის დაწესებული ლიმიტი — სამეურვეო ქონების 7% და არანაკლებ კრედიტორთათვის გადასაცემი თანხის 7%. იშვიათია, შემთხვევა, როდესაც გაკოტრების წარმოების დროს სარეალიზაციო ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად აღმატება კრედიტორთა მოთხოვნას.

კანონმდებლობა განასხვავებდა რეაბილიტაციისა და გაკოტრების საქმისწარმოებისას მეურვის ანაზღაურების საპროცენტო განაკვეთს. იმის გათვალისწინებით, რომ ორივე შემთხვევაში მეურვეს ერთნაირი ფუნქციები გააჩნია, ეს განსხვავება

[792] იქვე.
[793] იქვე.

კრედიტორთა ინტერესების მეტად დაცვის მცდელობად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან რეაბილიტაციის დროს ნაკლებია საპროცენტო განაკვეთი და დაწესებულია ზედა ზღვარი[794].

საფასურის შემთხვევაში, საქმე გვაქვს ისეთ ვითარებასთან, როდესაც ილახება როგორც საწარმოს, ასევე კრედიტორის ინტერესები. სამეურვეო მასის ოპტიმალური განკარგვით უნდა მოხდეს საწარმოს რეაბილიტაცია ან კრედიტორების დაკმაყოფილება ქონების რეალიზაციით. დადგენილი მაღალი საპროცენტო განაკვეთები კი მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენდა ორივე პროცესისათვის და, ზოგადად, აფერხებდა გადახდისუუნარობის პროცესის დროულად აღძვრას.

გადახდისუუნარობის კანონმდებლობის რეფორმის შემდეგ, საკანონმდებლო აქტით დარეგულირდება გადახდისუუნარობის პრაქტიკოსისათვის განმსაზღვრელი გონივრული ანაზღაურების ჯამური ოდენობა[795], ისევე როგორც ანაზღაურების განსაზღვრისა და მასზე ზედამხედველობის წესი. მანამდე არსებული ქვედა ზღვარის ნაცვლად, დადგინდა ანაზღაურების ზედა ზღვარი, როგორც ეს განვითარებულ ქვეყნებშია მიღებული[796].

ახალი კანონის თანახმად, პრაქტიკოსის ანაზღაურებას განსაზღვრავს თავად პრაქტიკოსი და ამტკიცებს სასამართლო[797]. ამასთან, დადგენილი ანაზღაურება შესაძლოა, კანონით შემოთავაზებულ გონივრულ ოდენობაზე მეტი ან ნაკლები იყოს[798]. მხედველობაში მიიღება დახარჯული დრო, განსაზღვრული

---

[794] მაგალითი: დავუშვათ 2 000 000 ლარის ღირებულების მქონე საწარმოს მიმართ დაიწყო გაკოტრების საქმისწარმოება, რომელიც დამთავრდა ქონების კრედიტორებისატის ნატურით გადაცემით. ასეთ შემთხვევაში, საწარმოს გადასახდელი ექნებოდა: 5000 ლარი სასამართლო ბაჟი, 140 000 მეურვის საზღაური, 140 000 გაკოტრების მმართველის საზღაური და ქონების ნატურით გადაცემისათვის 140 000 ლარი, რაც ჯამში შეადგენს 425 000 ლარს.

[795] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ", მუხ. 119.7.

[796] Douglas G. Braid, Rheodore Eisenberg, Thomas H. Jackson, Commercial and Debtor-creditor Law, Selected Statutes, 1805.

[797] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ", მუხ. 119.1.

[798] იქვე, მუხ. 119.3.

ტარიფები, მომსახურების აუცილებლობა საქმის წარმოებისათვის[799]. კანონით შემოთავაზებულია გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ანაზღაურების საკმაოდ მაღალი ზედა ზღვარი, რაც კონკურენტულ გარემოს ქმნის პროფესიაში შემოსვლის მსურველთათვის, თუმცა, ამავე დროს, ზრდის გადახდისუუნარობის ხარჯებს, რაც თანამედროვე ტენდენციებთან შეუსაბამოა. სასურველია, ანაზღაურების განსაზღვრისას მხედველობაში იქნეს მიღებული პრაქტიკოსის უნარ-ჩვევები, გამოცდილება და კომპეტენცია[800].

### 8.2.2 სხვადასხვა ქვეყნის მიდგომების ანალიზი

ახალი კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა ანაზღაურების კუთხით ახლოსაა შვედეთის კანონმდებლობის საკმაოდ პროგრესულ მიდგომასთან.

შვედეთის კანონი მკაცრად ადგენს, რომ ადმინისტრატორს არ შეიძლება, გონივრულზე მეტი ანაზღაურება დაენიშნოს. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ადმინისტრატორის მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობა, მზრუნველობა და უნარები, რითაც ადმინისტრატორი მოეკიდა შესასრულებელ სამუშაოს, და გადახდისუუნარო კომპანიის ქონების ოდენობა[801]. ადმინისტრატორი გადახდისუუნარობის საქმეზე საბოლოო დასკვნის მომზადების შემდეგ თავად ადგენს მოხსენებას საკუთარი ანაზღაურების თაობაზე. საბოლოო გადაწყვეტილებას ადმინისტრატორის ანაზღაურების ოდენობაზე იღებს სასამართლო[802]. სასამართლო ანაზღაურების ოდენობასთან დაკავშირებით აზრის გამოთქმის საშუალებას აძლევს როგორც მოვალეს, ასევე კრედიტორებს[803]. სწორედ ასეთი პროცედურული

---

[799] იქვე, მუხ. 119.4.

[800] Douglas G. Braid, Rheodore Eisenberg, Thomas H. Jackson, Commercial and Debtor-creditor Law, Selected Statutes, 1807.

[801] Bankruptcy act of Sweden 1987, art.14.

[802] იქვე.

[803] იქვე.

საკითხების დროს უნდა იცავდეს კანონი თანაზომიერად როგორც მოვალის, ასევე კრედიტორის ინტერესებს. სასამართლოს აქვს უფლება, ადმინისტრატორის დასაბუთებული შუამდგომლობით წინასწარ გასცეს ანაზღაურების ნაწილი, შესასრულებელი სამუშაოსა და პროცესის ხანგრძლივობის გათვალისწინებით[804]. ასეთი დეტალებით კანონმდებელი ცდილობს, კვალიფიციური კადრების ადმინისტრატორად მოზიდვა უზრუნველყოს, თუმცა, იმავდროულად, პირველ რიგში, იცავს კრედიტორისა და დებიტორის ინტერესებს.

სასამართლო ადგენს არამხოლოდ ადმინისტრატორის, არამედ მრჩევლისა და მომრიგებლის ანაზღაურებას. ინგლისში, ისევე, როგორც ავსტრალიასა და სინგაპურში გადახდისუუნარობის კრედიტორთა ანაზღაურება ხდება საათობრივი მეთოდით. საათობრივი ტარიფი დადგენილია გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტთა მიერ. ამასთან, თანაზომიერი და სამართლიანი ანაზღაურება უზრუნველყოფილია სასამართლო ჩართულობით. საინტერესოა, რომ სასამართლო მხედველობაში იღებს კერძო და საჯარო ინტერესის თანაზომიერ დაცვას და თანაზომიერების პრინციპის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის ანაზღაურებაზე[805].

პოლონეთის კანონმდებლობა, „გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ“ კანონის მსგავსად აღსრულების ეროვნულ ბიუროს ანიჭებს გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის მოვალეობის შესრულების უფლებამოსილებას. თუმცა მიდგომა სრულიად განსხვავებულია. საქმე ისაა, რომ პოლონეთის შემთხვევაში, აღსრულების ეროვნული ბიურო ერთვება პროცესში, როდესაც კომპანიას გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის დასაქირავებლად არ აქვს

---

[804] იქვე.

[805] Steele Stacey, Wee Meng, Seng, Ramsay Ian, Remunirating Corporatee Insolvency Tractitioners in the United Kingdom, Australia and Singapore: The Role of Court, 167.

სათანადო ქონება[806]. პოლონეთის კანონმდებლობამ აღსრულების ეროვნული ბიურო გადახდისუუნარობის პროცესში ჩართო როგორც დამხმარე მექანიზმი და საკუთარ თავზე აიღო ადმინისტრირების ფუნქცია იმ შემთხვევებში, როდესაც საწარმოს სხვა ადმინისტრატორის დაქირავების საშუალება არ აქვს. ხოლო საქართველოში სახელმწიფო ახდენდა გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის უფლებამოსილების შესრულების მონოპოლიზებას სახელმწიფო სტრუქტურის ხელში, რითაც ბაზარსა და კონკურენციას კლავდა და გადახდისუუნარობის პროცესის ეფექტურობას საფრთხის ქვეშ აყენებდა. დადგენილი შეუსაბამოდ მაღალი განაკვეთებით სახელმწიფო დახმარების ნაცვლად, „წილში უჯდებოდა“ ისედაც გადახდისუუნარო მოვალეს, რაც აბსოლუტურად არ შეესაბამებოდა კანონით გაცხადებულ მიზანს — კრედიტორისა და მოვალის უფლებების თანაზომიერად დაცვას.

ლატვიის კანონმდებლობაც, „გადახდისუუნარობის შესახებ საქართველოს კანონის“ მსგავსად, სამეურვეო ქონებიდან პროცენტობრივ ანაზღაურებას ითვალისწინებს. ანაზღაურების ოდენობაზე ადმინისტრატორი და მოვალე თანხმდებიან, რაზეც შესაბამის წერილობით შეთანხმებას აფორმებენ. თუმცა, თუ ამგვარი შეთანხმება არ არსებობს, ადმინისტრატორის ყოველთვიურ ანაზღაურებას მინიმალური ხელფასის ოდენობით კანონი განსაზღვრავს[807]. ლატვიის გადახდისუუნარობის კანონი ადმინისტრატორის ანაზღაურებას ორ ნაწილად ჰყოფს: ქონების რეალიზაციის გეგმის შედგენამდე — შეადგენს ორი მინიმალური თვიური ხელფასის ოდენობას დამატებული ადმინისტრატორის მიერ მოძიებული ქონების[808] ღირებულების 10%. და ქონების რეალიზაციის გეგმის შედგენის შემდეგ — თუკი რეალიზაციას

[806] Gerard McCormack, Andrew Keasy, Sarah Brown and Judith Dahlgreen, Study on a new approach to business failure and insolvency, Comparative legal analysis of the Member States' relevant provisions and practices, 328.

[807] Insolvency Law of Latvia, art.166.

[808] იგულისხმება სასამართლოს გზით მოძიებული ქონება, გარიგების ბათილად ცნობის შედეგად მოძიებული ქონება და ა. შ. იხ. Insolvency Law of Latvia, art. 93.

ადმინისტრატორი ახორციელებს. ასეთ დროს ანაზღაურება პროცენტობრივად განისაზღვრება და პროცენტი ქონების ღირებულების ზრდის პროპორციულად იკლებს[809]. თუ ქონების ღირებულება აღემატება 1000000-ს, მაშინ, ადმინისტრატორის ანაზღაურება შეადგენს ღირებულების 1%[810]. კიდევ უფრო მცირეა ადმინისტრატორის ანაზღაურება, თუ ადგილი აქვს ქონების პირდაპირ კრედიტორის საკუთრებაში გადაცემას, ასეთ დროს ანაზღაურება შეადგენს ქონების გაყიდვის შემთხვევაში ასაღები თანხის 0.3 ნაწილს[811].

საკმაოდ მაღალია გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტების ანაზღაურება დანიაში, არის შემთხვევები, როდესაც მოვალის ქონებიდან აღარაფერი რჩება კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის ანაზღაურების შემდეგ[812].

ასევე მაღალია გადახდისუუნარობის სპეციალისტების ანაზღაურება შვედეთში და შეადგენს საათში დაახლოებით 300-500 ევროს[813].

ჩინეთში ადმინისტრატორის ანაზღაურების ოდენობას წყვეტს სახალხო სასამართლო[814], თუმცა კრედიტორთა კრებას აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს ადმინისტრატორის ანაზღაურების გადახედვის თხოვნით[815].

ავსტრალიაში მოქმედებს სპეციალისტთა ანაზღაურების შერეული სისტემა, თვითრეგულირებადი მეთოდისა და დადგენილი ზღვრული ტარიფების სახით. გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტთა ასოციაცია ადგენს, რომ ანაზღაურება უნდა განისაზღვროს სამი პრინციპის

---

809 Insolvency Law of Latvia, art.169.

810 იქვე.

811 იქვე.

812 Gerard McCormack Andrew Keasy Sarah Brown and Judith Dahlgreen, Study on a new approach to business failure and insolvency, Comparative legal analysis of the Member States' relevant provisions and practices, 108.

813 იქვე.

814 Enterprise Insolvency Law of the People's Republic of China, art. 28.

815 იქვე, art. 61.2.

გათვალისწინებით: შესრულებული სამუშაო უნდა იყოს აუცილებელი და სათანადო, ანაზღაურების ოდენობა უნდა იყოს დასაბუთებული და გამჭვირვალე და უნდა ექვემდებარებოდეს დამტკიცებას კრედიტორთა ან სასამართლოს მხრიდან. ამასთან, გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტთა ანაზღაურების საკითხის გასაუმჯობესებლად, მიმდინარეობს მუშაობა გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტთა რაოდენობისა და კვალიფიკაციის გასაზრდელად, ისევე როგორც კრედიტორთა დასაინტერესებლად, რეალურად ჩაერთონ ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრაში[816].

იტალიაში გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის ანაზღაურების განსაზღვრისათვის არსებობს სპეციალური სკალა, სადაც ანაზღაურება დამოკიდებულია ქონების ღირებულებისა და ამოღებული თანხის მიხედვით, დადგენილია ანაზღაურების მინიმალური და მაქსიმალური ოდენობაც[817].

ჩეხეთში, ისევე როგორც საკანონმდებლო რეფორმის შემდეგ საქართველოში, გადახდისუუნარობის ადმინისტრატორი თავად ადგენს მოხსენებას ანაზღაურების შესახებ და წარუდგენს სასამართლოს. სასამართლო, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, უფლებამოსილია, შეთავაზებული ანაზღაურების ოდენობა გაზარდოს ან შეამციროს. შემცირება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ გადახდისუუნარობის ადმინისტრატორმა დაარღვია ან არასათანადოდ შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობები.

ამასთან, შესაძლებელია, ცალკე ანაზღაურდეს ადმინისტრატორის მომსახურება, რაც დაკავშირებულია იურიდიულ, ფინანსურ ან სხვა სახის დახმარებასთან, თუკი ამაზე არსებობს კრედიტორთა კომიტეტის წინასწარი თანხმობა[818].

---

[816] Jennifer Dickfos, the Cost and Benefits or Regulating the Market for Corporate Insolvency Practitioner Remuneretion, 57.

[817] Gerard McCormack, Andrew Keasy, Sarah Brown and Judith Dahlgreen, Study on a new approach to business failure and insolvency, Comparative legal analysis of the Member States' relevant provisions and practices, 109.

[818] Wolters Klawer CR Insolvency Act, art. 39.3.

ესპანეთში, ანაზღაურებას განსაზღვრავს სასამართლო დადგენილი ტარიფების მიხედვით. საგულისხმოა, რომ ტარიფები განსაზღვრულია როგორც მოვალის ქონების ღირებულების, ასევე გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის ფუნქციების და კრედიტორთა ოდენობის მიხედვით[819]. საზღაურის განსაზღვირსას კრედიტორთა ოდენობის გათვალისწინება გონივრულია, ვინაიდან გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას სწორედ კრედიტორთა სიის სისტემატიზაცია, მათთან დაკავშირება, ინფორმაციის მოძიება და კრედიტორებთან აქტიურ რეჟიმში მუშაობა წარმოადგენს.

ამასთან, ესპანეთის კანონმდებლობის თანახმად, სასმართლოს შეუძლია შეამციროს სპეციალისტისათვის დადგენილი გასამრჯელო, თუკი იგი არასათანადოდ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს.

გერმანიის კანონმდებლობით, სასამართლო იღებს ბრძანებას გადახდისუუნარობის ადმინისტრატორის ანაზღაურების შესახებ[820], რა დროსაც ითვალისწინებს როგორც სამეურვეო ქონების ოდენობას, ასევე გადახდისუუნარობის ადმინისტრატორის მიერ შესრულებული სამუშაოს კომპლექსურობასა და სფეროს[821]. ამასთან, გადახდისუუნარობის ადმინისტრატორის ანაზღაურების ოდენობა შესაძლებელია, გაასაჩივროს როგორც თავად ადმინისტრატორმა, ასევე კრედიტორებმა ან/და მოვალემ[822].

საფრანგეთში სასამართლო განსაზღვრავს გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის ანაზღაურების ოდენობას დეტალურად დადგენილი ნიხრის მიხედვით, რომელშიც სხვადასხვა ანაზღაურება არის დადგენილი

819 იქვე.
820 Insolvency Statute, art. 64.1.
821 იქვე, art. 63.1.
822 იქვე, art. 64.3.

სპეციალისტის მიერ შესასრულებელი სხვადასხვა მოვალეობისათვის[823].

აშშ-ში სასამართლო უფლებამოსილია, დანიშნოს ანაზღაურების აუდიტორი, რომელიც მოსამართლეს გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტისათვის გონივრული ანაზღაურების დანიშვნაში ეხმარება[824].

## 8.3 რეკომენდაციები ხარჯების ოპტიმიზაციისათვის

სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების გაზიარებასთან ერთად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალი ევროპული დირექტივის, საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევებისა და რეკომენდაციების გაცნობა.

დირექტივა გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის ანაზღაურების დადგენისას თანაზომიერების პრინციპის დაცვას ითვალისწინებს. გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტთა ანაზღაურებაზე დამოკიდებულია, ერთი მხრივ, სპეციალისტების კვალიფიციურობა და კეთილსინდისიერება, მეორე მხრივ, გადახდისუუნარობის პროცესის გამჭვირვალობა, სამართლიანობა და ეფექტურობა. შესაბამისად, ანაზღაურება უნდა იყოს გონივრული და სამართლიანი[825]. დირექტივა წევრ სახელმწიფოებს აძლევს რეკომენდაციას, რომ არსებობდეს მექანიზმები სპეციალისტთა ანაზღაურების ლავირებისთვის, მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხის შესაბამისად[826].

---

823 Gerard McCormack, Andrew Keasy, Sarah Brown and Judith Dahlgreen Study on a new approach to business failure and insolvency, Comparative legal analysis of the Member States' relevant provisions and practices, 108.

824 იქვე, 216.

825 DIRECTIVE (EU) 2019/1023 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring, insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency) art. 27.3.

826 იქვე, Recital 89.

გადახდისუუნარობის პროცესის ეფექტურობისა და საჭირო რეფორმების დასადგენად მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებულ კვლევაში[827] „ახალი მიდგომა ბიზნესის წარუმატებლობასა და გადახდისუუნარობაში", სპეციალური კითხვარების საფუძველზე, მოცემულია ცხრილი, სადაც 30 ქვეყნის მონაცემებია შეყვანილი[828]. აღნიშნულ ცხრილში ერთ-ერთი სვეტი შეეხება მოცემულ ქვეყნებში გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის ანაზღაურების თავისებურებებს. მათ შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ ვინ ადგენს გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის ოდენობას და რა მეთოდით. ასევე დადგენილ ანაზღაურებაზე კონტროლისა და ზედამხედველობის მექანიზმები.

ამ კვლევის ფარგლებში, კითხვარების მიხედვით შედგა ცხრილი სხვადასხვა ქვეყანაში გადახდისუუნარობის პროცესისათვის საჭირო დროის, ღირებულების და პროცესის ეფექტურობისათვის მნიშვნელოვანი პროცესის სხვა მონაცემების მითითებით[829]. ცხრილის მიხედვით, გადახდისუუნარობის ხარჯები ქონებასთან მიმართებით მერყეობს 1%-დან (ნორვეგია) 76%-მდე (აფრიკა). ევროპული ქვეყნებიდან ყველაზე მაღალი ხარჯების მაჩვენებელი აქვს იტალიას 22%, სადაც ვალების ამოღების მაჩვენებელი არც ისეთი მაღალია — 63.9%. მაშინ როდესაც დანიაში, ფინეთსა და ინგლისში გადახდისუუნარობის ხარჯები 3,5%-დან 6%-მდე მერყეობს, ხოლო ვალების ამოღების მაჩვენებელი 90%-მდეა. შესაბამისად, აღნიშნული ცხრილიდან შესაძლოა, გაკეთდეს დასკვნა, რომ გადახდისუუნარობის მაღალი ხარჯები სრულიადაც არ განაპირობებს პროცესის ეფექტურობას. უფრო პირიქით, ქვეყნები, რომლებსაც დაბალი ხარჯები აქვთ დადგენილი, მაღალი ვალების ამოღების ინდექსით გამოირჩევიან. ამას მოწმობს

[827]http://www.doingbusiness.org/Methodology/Resolving-Insolvency.

[828] Gerard McCormack, Andrew Keasy, Sarah Brown and Judith Dahlgreen Study on a new approach to business failure and insolvency, Comparative legal analysis of the Member States' relevant provisions and practices, 81-93.

[829]http://www.doingbusiness.org/data/exploretopics/resolving-insolvency#close.

ნორვეგიის მაგალითი, სადაც ხარჯები 1%, ხოლო ვალების ამოღების ინდექსი 92.9%[830].

გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია ასევე, რომ ანაზღაურება ხდებოდეს პრიორიტეტულად, სხვა ვალებთან შედარებით[831]. გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის ანაზღაურება პრიორიტეტულია, მათ შორის, უზრუნველყოფილ კრედიტორებთან შედარებითაც. ეს პრიორიტეტულობა საჭიროა, რათა დაინტერესებული იყოს სპეციალისტი, ჩაერთოს გადახდისუუნარობის პროცესში, პროცესის დაწყების ხელმისაწვდომობა კი, საბოლოო ჯამში, აძლევს საშუალებას მოვალეს, დროულად სცადოს საკუთარი ბიზნესის რეაბილიტაცია[832].

### 8.3.1 გადახდისუუნარობის ხარჯების ოდენობის განმსაზღვრელი სუბიექტი

ევროპის უმეტეს ქვეყნებში გადახდისუუნარობის სპეციალისტის ანაზღაურების საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო. თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში[833] კრედიტორები განსაზღვრავენ ანაზღაურების ოდენობას. ზოგიერთი ქვეყანა[834] ირჩევს შერეულ მიდგომას — სასამართლო ადგენს ანაზღაურების ოდენობას, თუმცა შესაძლებელია, განსხვავებულ ანაზღაურებაზე შეთანხმდნენ გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტი და კრედიტორები.

უნსიტრალის უნიფიცირებული წესების მიხედვით, გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის მოვალეობათა სპეციფიკის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, კრედიტორები ჩართულნი იყვნენ ანაზღაურების განსაზღვრის

[830] აღნიშნულ ცხრილში საქართველოს ხარჯების მონაცემები განსაზღვრულია 10%.
[831] EBRD Insolvency Office Holder Principles, 10.
[832] A. Alan Reich, Let's Talk About Fees, Comment on Insolvency.
[833] ბულგარეთი, ფინეთი, ირლანდია, ლიეტუვა.
[834] მაგ. ლატვია.

პროცესში[835]. კრედიტორთა ამ პროცესში მონაწილეობა მიზანშეწონილია იმიტომაც, რომ ისინი, უმეტესად, საქმის კურსში არიან პროცესის დეტალების შესახებ[836]. იმ ქვეყნებში, სადაც კანონმდებლობა კრედიტორთა მიერ ანაზღაურების განსაზღვრას ითვალისწინებს, პროცესში, ძირითადად, ერთვებიან უზრუნველყოფილი კრედიტორები (უფრო მეტად, ბანკები), ხოლო არაუზრუნველყოფილ კრედიტორებს ნაკლებად აქვთ ანაზღაურების განსაზღვრაზე ზემოქმედების საშუალება[837].

EBRD-ის კვლევა გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის პრინციპების შესახებ ადგენს, რომ „გადახდისუუნარობის სპეციალისტის ანაზღაურება შეიძლება, დაადგინოს სასამართლომ ან სხვა უფლებამოსილმა დაწესებულებამ (მაგ., კრედიტორთა კომიტეტმა), ან რომელიმე მათგანმა ალტერნატიულად ან იერარქიული პრინციპით“[838]. მნიშვნელოვანია, რომ ორგანოს, რომელიც განსაზღვრავს გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის საბოლოო ანაზღაურებას, ჰქონდეს დისკრეცია, პროცესის გარემოებების გათვალისწინებით, თუმცა ეს არ უნდა უტოვებდეს მას არაკეთილსინდისიერად მოქმედების საშუალებას[839].

### 8.3.2 ტარიფის განსაზღვრის მეთოდი

„აუცილებელია, რომ გადახდისუუნარობის კანონმდებლობა ადგენდეს გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის ანაზღაურების განსაზღვრის ნათელ და გამჭვირვალე მეთოდს, რათა წინასწარ იყოს განჭვრეტადი პროცესის სავარაუდო ხარჯები და თავიდან იქნეს აცილებული დავები დადგენილი ანაზღაურების თაობაზე. ასევე სასურველია, რომ გადახდისუუნარობის

[835] UNCITRAL, Legislative Guide on Insolvency Law.
[836] იქვე, 182.
[837] Elaine Kempson, Review of Insolvency Practitioner Fee Report to the Insolvency service, 20.
[838] EBRD Insolvency Office Holder Principles, 10.
[839] UNCITRAL, Legislative Guide on Insolvency Law, 182.

კანონმდებლობა აცნობიერებდეს გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის ანაზღაურების პრიორიტეტულობას“[840].

გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის ანაზღაურების განსაზღვრისათვის სამი ძირითადი მეთოდი არსებობს: საათობრივი ანაზღაურება, დადგენილი ტარიფები და პროცენტობრივი ანაზღაურება სამეურვეო ქონებიდან[841].
ევროპული ქვეყნების უმრავლესობას[842] გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის ანაზღაურების შესახებ დადგენილი ტარიფები აქვს. ამასთან, ხშირად დადგენილია ანაზღაურების ზედა და ქვედა ზღვარი[843].

დადგენილი ტარიფების მიუხედავად, სასამართლოს შეუძლია განსხვავებული ანაზღაურების დადგენა სხვადასხვა გარემოების გათვალისწინებით[844]. ძირითადი გარემოებები, რაც გათვალისწინებულია ტარიფების დასადგენად და სასამართლო იღებს მხედველობაში ანაზღაურების განსაზღვრისას არის: მოვალის ქონების ღირებულება, შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და სირთულე, მიღებული შედეგი, სამუშაო საათების ოდენობა, კრედიტორთა სიმრავლე. ამასთან, ძალიან ფრთხილად უნდა იქნეს დაცული ბალანსი ანაზღაურების განსასაზღვრად შერჩეულ კრიტერიუმებს შორის[845].

როდესაც გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის ფუნქცია ბიზნესის წარმართვაა, მაშინ მიზანშეწონილია ანაზღაურება იყოს საათობრივი[846]. საათობრივი ანაზღაურების დროს მიღებულია, რომ გადახდისუუნარობის

---

[840] იქვე.
[841] Elaine Kempson, Review of Insolvency Practitioner Fee Report to the Insolvency service, 5.
[842] ავსტრია, გერმანია, ხორვატია, ლიეტუვა და ა.შ.
[843] მაგ. იტალია, A. Alan Reich, Let's Talk About Fees, Comment on Insolvency, 115.
[844] მაგ. ხორვატია, A. Alan Reich, Let's Talk About Fees, Comment on Insolvency, 117.
[845] EBRD, Insolvency Office Holder Principles, 10.
[846] Gerard McCormack, Andrew Keasy, Sarah Brown and Judith Dahlgreen Study on a new approach to business failure and insolvency, Comparative legal analysis of the Member States' relevant provisions and practices, 109.

საქმისწარმოების სპეციალისტი აკეთებდეს მოხსენებას შესრულებული სამუშაოს შესახებ, რომელსაც კრედიტორთა კომიტეტი ამტკიცებს[847]. საათობრივი ანაზღაურების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ პირველ ეტაპზე, ხშირად რთულია იმის გარკვევა, რამდენად კომპლექსური და დატვირთული იქნება გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის მიერ შესასრულებელი სამუშაო[848]. თუმცა, მეორე მხრივ, საათობრივმა ანაზღაურებამ შესაძლებელია, ადმინისტრირებაზე ზედმეტად დიდი დროის ხარჯვა გამოიწვიოს, შესაბამისად, გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის მუშაობა იყოს პროცესზე ორიენტირებული, ნაცვლად შედეგზე ორიენტირებულისა.

მხოლოდ მოვალის ქონების მიხედვით გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრა არაა მიზანშეწონილი. შესასრულებელი სამუშაოს სირთულე დამოკიდებულია არა მხოლოდ გასასხვისებელი ქონების ღირებულებაზე[849]. როდესაც ანაზღაურება მხოლოდ ამოღებული თანხის პროპორციულად ხდება, გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტი შესაძლებელია, არ იყოს მოტივირებული, შეასრულოს ისეთი ადმინისტრაციული ხასიათის სამუშაო, როგორიცაა ანგარიშის მიწოდება სასამართლოსა და კრედიტორებისათვის მოვალის გასული საქმიანობისა და არსებული ვითარების შესახებ. ამასთან, ანაზღაურების ქონების ღირებულებიდან დაანგარიშებისას არსებობს შეუსაბამოდ მაღალი გასამრჯელოს დადგენის რისკი, რაც, საბოლოო ჯამში, ერთნაირად აზარალებს როგორც მოვალეს, ასევე კრედიტორებს[850].

---

[847] როგორც ეს გაერთიანებულ სამეფოშია, A. Alan Reich, Let's Talk about Fees, Comment on Insolvency, 115.

[848] UNCITRAL, Legislative Guide on Insolvency Law, 181.

[849] იქვე.

[850] იქვე.

### 8.3.3 ზედამხედველობა ანაზღაურების ოდენობაზე

სასურველია, კანონმდებელი ითვალისწინებდეს გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტისათვის დადგენილ ანაზღაურებაზე ზედამხედველობის მექანიზმს. როდესაც კრედიტორები საბოლოო ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავენ, სასამართლოს უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება, გადახედოს მას. სასამართლოს მიერ საბოლოო ანაზღაურების განსაზღვრის შემთხვევაში კი, უნდა არსებობდეს მისი გასაჩივრების მექანიზმი.

კანონმდებლობით დადგენილი უნდა იყოს გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტისათვის დანიშნული ანაზღაურების გაპროტესტების სათანადო მექანიზმები, სასამართლოში ან სხვა დაწესებულებებში[851].

სასურველია ანაზღაურებაზე მონიტორინგს ახორციელებდეს გადახდისუუნარობის სპეციალისტთა მალიცენზირებელი ორგანო[852]. ეს მიდგომა გასათვალისწინებელია საკანონმდებლო რეფორმის ფარგლებში მისაღები საკანონმდებლო აქტების შემუშავებისას.

გადახდისუუნარობის ხარჯები ასევე მოიცავს ადმინისტრატორის მიერ დაქირავებული სპეციალისტების (იურისტი, აუდიტორი და ა.შ.) ანაზღაურებას. ამ ხარჯების მიზნობრიობას, როგორც წესი, სასამართლო და კრედიტორთა კომიტეტი ზედამხედველობს. იმ ქვეყნებში, სადაც ასეთ ხარჯებზე ზედამხედველობის სისტემა არ არსებობს, არსებობს რისკი, რომ ადმინისტრატორმა პირადი შემოსავლის მიღების მიზნით, არამიზნობრივად გაიღოს ხარჯები, რაც, ბუნებრივია, გადახდისუუნარობის პროცესს აზარალებს[853]. ამგვარი რისკი შედარებით მცირეა იმ ქვეყნებში, სადაც გადახდისუუნარობის

[851] EBRD Insolvency Office Holder Principles, 10.

[852] UNCITRAL, Legislative Guide on Insolvency Law, 67.

[853] Gerard McCormack, Andrew Keasy, Sarah Brown and Judith Dahlgreen, Study on a new approach to business failure and insolvency, Comparative legal analysis of the Member States' relevant provisions and practices, 216.

საქმისწარმოების სპეციალისტი ლიცენზირებული საქმიანობაა და მის მოქმედებებსა და საეჭვო გარიგებებზე ზედამხედველობას გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტთა მარეგისტრირებელი ორგანო ახორციელებს. რისკის შესამცირებლად, მნიშვნელოვანია უნსიტრალის მოთხოვნა, რომ გადახდისუუნარობის კანონმდებლობამ მოითხოვოს გადახდისუუნარობის სპეციალისტსა და მოწვეულ სპეციალისტს შორის ინტერესთა კონფლიქტის ან ურთიერთდამოკიდებულების გამჟღავნების ვალდებულება[854].

ამასთან, სასამართლოს შეუძლია, სპეციალისტისათვის დადგენილი გასამრჯელო შეამციროს, თუკი იგი დაკისრებულ მოვალეობებს არასათანადოდ ასრულებს. უფრო მეტიც, არსებობს შეხედულება, რომ გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტს შესაძლებელია, დაეკისროს პროცესის ხარჯები მის მიერ ვალდებულებების სათანადოდ შეუსრულებლობის შემთხვევაში[855].

პრაქტიკაში არც ისე ხშირად ხდება ანაზღაურების ოდენობის შეცვლა. არა იმიტომ, რომ უკმაყოფილება იშვიათია, არამედ კარგად ინფორმირებული კრედიტორებისთვისაც კი რთულია, მიაღწიონ დადგენილი ოდენობის შეცვლას. ეს გამოწვეულია, ერთი მხრივ, გასაჩივრების მექანიზმების ფორმალური ხასიათით, მეორე მხრივ კი, საჭირო მტკიცებულებების მოპოვების სირთულით. ანაზღაურებაზე კონტროლის მხრივ, უკეთესი მდგომარეობაა, როდესაც პროცესში აქტიურადაა ჩართული უზრუნველყოფილი კრედიტორი, მაგალითად, ბანკი, რომელსაც ზედამხედველობის სათანადო უნარი და რესურსი გააჩნია[856].

[854] UNCITRAL, Legislative Guide on Insolvency Law, 185.

[855] Stephen Davies QC, Guidhall Chambers, Liability of Insolvency Practitioners for the Legal Costs of Litigation, 12-13.

[856] Elaine Kempson, Review of Insolvency Practitioner Fee Report to the Insolvency service, 28.

### 8.3.4 ხარჯების სახელმწიფოს მიერ ანაზღაურება

ევროპული ქვეყნების უმრავლესობა[857] სახელმწიფოს მიერ გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის ხარჯების ანაზღაურებას ითვალისწინებს, როდესაც მოვალის ქონება ამისათვის საკმარისი არ არის.

EBRD-ს დასკვნა ასევე ერთ-ერთ პრინციპად ადგენს სახელმწიფოს მიერ გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის ხარჯების ანაზღაურების ვალდებულებას შესაბამისი ქონების არარსებობის შემთხვევაში[858].

იგივე მიდგომაა UNCITRAL-ის წესების მიხედვით, რომლის თანახმადაც, გადახდისუუნარობის კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს პროცესის ხელმისაწვდომობა იმ კომპანიებისთვის, რომლებსაც პროცესის ხარჯების დასაფარად საკმარისი სახსრები არ აქვთ[859].

ლატვიის კანონი ადგენს, რომ თუკი მოვალის ქონება არასაკმარისია გადახდისუუნარობის ხარჯების დასაფარად, მაშინ შესაძლებელია, ამგვარი ხარჯების დაფინანსება საკუთარ თავზე აიღოს მოვალის წარმომადგენელმა, კრედიტორმა, კრედიტორთა ჯგუფმა ან სხვა ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა. ამასთან, ამგვარი დაფინანსება ანაზღაურდება პირველ რიგში, რეაბილიტაციის გეგმით ან გაყიდული ქონების ღირებულებიდან[860].

ჩეხეთის კანონი გადახდისუუნარობის შესახებ ადგენს, რომ ადმინისტრატორის (მეურვის, გაკოტრების მმართველის ანაზღაურების) ანაზღაურება უნდა მოხდეს სამეურვეო ქონებიდან. თუმცა თუ ეს შეუძლებელია, სახელმწიფო მზადაა, თავად გადაუხადოს გაკოტრების მმართველს ანაზღაურება გადახდისუუნარობის პროცესში მონაწილეობისათვის[861]. ამასთან,

---

[857] მაგ., შვედეთი, ჩეხეთი, გერმანია.
[858] EBRD, Insolvency Office Holder Principles, 10.
[859]UNCITRAL, Legislative Guide on Insolvency Law, 182.
[860] Insolvency Law of Latvia, art. 168.
[861] Wolters Klawer, Insolvency Act, art. 38.2.

სახელმწიფოს მიერ ანაზღაურების შემთხვევაში, სპეციალური აქტით დადგენილია ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა[862].

გერმანიის გადახდისუუნარობის კანონი ადმინისტრატორს უფლებას ანიჭებს, ანაზღაურება სახელმწიფოსაგან მოითხოვოს, თუკი სამეურვეო ქონება ამისათვის საკმარისი არ აღმოჩნდება[863]. გადახდისუუნარობის ხარჯების მოვალის ქონებიდან დაფარვის შეუძლებლობის შემთხვევაში, შვედეთის კანონი ხარჯების სახელმწიფოს მიერ ანაზღაურების შესაძლებლობას ითვალისწინებს[864].

ჩინეთში თუ მოვალის ქონება არაა საკმარისი გადახდისუუნარობის ხარჯების ასანაზღაურებლად, მაშინ, ადმინისტრატორი მიმართავს სახალხო სასამართლოს პროცესის შეწყვეტის თხოვნით[865], თუმცა აღნიშნულის შედეგებს კანონმდებელი აღარ ითვალისწინებს.

საინტერესოა იაპონიის მიდგომა, რომლის მიხედვითაც, კანონმდებლობა პირს ავალდებულებს, გადახდისუუნარობის პროცესის დაწყებისთანავე წინასწარ გადაიხადოს სასამართლოს მიერ დადგენილი პროცესის ხარჯები. თუმცა სასამართლო უფლებამოსილია, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, ამგვარი ანაზღაურება სახელმწიფოს დააკისროს[866].

## 8.4 შუალედური დასკვნა

განხილულმა საკითხებმა ცხადყო, რომ მნიშვნელოვანია კრედიტორთა და მოვალეთა ინტერესების თანაბრად დაცვა ხარჯების განსაზღვრის დროს.

გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის ანაზღაურების განსაზღვრა უნდა ხდებოდეს არა მხოლოდ მოვალის ქონებიდან პროცენტობრივად, არამედ გათვალისწინებულ უნდა

---

862 იქვე, art. 38.5.

863 Insolvency Statute, art. 63.2.

864 Bankruptcy act of Sweden, art.14 section 2.

865 Enterprise Insolvency Law of the People’s Republic of China, art 43.

866 Japan bankruptcy act, art. 22.

იქნეს შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და სირთულე, მიღებული შედეგი, სამუშაო საათების ოდენობა, კრედიტორთა სიმრავლე, სპეციალისტის უნარები და კვალიფიკაცია.

ზემოხსენებული რეკომენდაციები წარმოადგენს გადახდისუუნარობის ხარჯების ოპტიმიზაციის საშუალებას. რაც პროცესს გახდის უფრო ეფექტურს, რესურსების ხარჯვა მოხდება რაციონალურად, შესაძლებელი იქნება პროცესში მონაწილე კვალიფიციური კადრების მოზიდვა, ეს ყოველივე კი დადებითად აისახება გადახდისუუნარობის პროცესის შედეგებზე და ემსახურება თანაზომიერად როგორც მოვალის, ასევე კრედიტორის ლეგიტიმურ ინტერესებს.

მოვალისათვის ბაჟისა და დეპოზიტის არდაწესება, არ ნიშნავს კრედიტორთა უფლებების დარღვევას მოვალისთვის შეღავათის მინიჭებით. პირიქით, ეს ემსახურება პროცესის ხელმისაწვდომობას ფინანსური პრობლემების წინაშე მყოფი მოვალისათვის, პროცესის დროულად დაწყება კი სასურველია როგორც მოვალის, ასევე კრედიტორებისათვის.

ამ მხრივ, საინტერესოა ნაშრომში განხილული შვედეთის კანონმდებლობის მიდგომა. შვედეთის სასამართლო პროცედურული საკითხების დროს თანაზომიერად იცავს მოვალისა და კრედიტორთა ინტერესებს. მაგალითად, გადახდისუუნარობის სპეციალისტის ანაზღაურების განსაზღვრისას, სასამართლო ისმენს და ითვალისწინებს ორივე მხარის აზრს.

ამასთან, პროგრესულია შვედეთის კანონმდებლობა, როდესაც სასამართლო არამხოლოდ ადმინისტრატორის, არამედ მრჩევლისა და მომრიგებლის ანაზღაურების საკითხსაც ადგენს[867]. სახელმწიფო დაწესებულებისთვის გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის მოვალეობის დაკისრებას ითვალისწინებს პოლონეთის კანონმდებლობაც[868], თუმცა არა ექსკლუზიურად, არამედ, იმ შემთხვევაში, თუ მოვალე და კრედიტორები სხვა სპეციალისტების მოძიებას ვერ

---

[867] Bankruptcy act of Sweden, art.14 section 15.

[868] იხ. ნაშრომის მე-5 თავის მე-3 ნაწილი.

უზრუნველყოფენ. ამ მიდგომით კანონმდებლობა არ კლავს კონკურენციის არსებობის შესაძლებლობას, და ამავე დროს მოვალესა და კრედიტორებს აძლევს საშუალებას, საჭიროების შემთხვევაში ნაკლები ხარჯებით წარიმართოს პროცესი სახელმწიფო დაწესებულების მიერ.

ნაშრომში განხილული იუსტიციის მინისტრის N144 ბრძანებით დადგენილი აღსრულების ეროვნული ბიუროს საფასურები, ერთმნიშვნელოვნად შეუსაბამოდ მაღალია, რითაც ირღვევა როგორც მოვალის, ისე კრედიტორის უფლებები.

ახალმა კანონმა, არსებულისაგან განსხვავებით, „საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯების“ დეფინიცია გაითვალისწინა[869], თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ კანონში პროცესის ხარჯებს მთელი თავი აქვს დათმობილი, გადახდისუუნარობის ხარჯების დეფინიცია არ გვხვდება. კომიტეტების წევრების ანაზღაურების საკითხი[870], ისევე როგორც რეაბილიტაციის ხარჯების უპირატესი დაკმაყოფილება[871], მოცემულია არა პროცესის ხარჯების თავში, არამედ გაბნეულია სხვადასხვა მუხლში. კარგი იქნებოდა, კანონმდებელს ხარჯების განმარტების სხვადასხვა მუხლში გაბნევის ნაცვლად[872], ევროპული ქვეყნების მსგავსად სისტემატიზირებულად დაერეგულირებინა საკითხი, მაგალითად, როგორც შვედეთის კანონით არის განსაზღვრული, რომელიც ადგენს, რომ „გადახდისუუნარობის ხარჯები შედგება: ადმინისტრატორის ანაზღაურებისაგან, მრჩეველის ან მომრიგებლის ანაზღაურებისაგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ექსპერტის, ასისტენტის ანაზღაურებისაგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ზედამხედველთა საბჭოს ანაზღაურებისაგან, თუკი მათი მომსახურება ანაზღაურებადია, პუბლიკაციების ღირებულებისაგან, წერილობითი დასკვნების და

---

[869] საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მუხ. 3 „მ“.

[870] იქვე, მუხ. 76.13.

[871] იქვე, მუხ. 79.

[872] იქვე, 63, 76, 79.

შეტყობინებების ღირებულებებისაგან, სხვადასხვა პირების მოწვევის ხარჯებისაგან“[873].

გარდა ამისა, კანონი ითვალისწინებს გაკოტრების ხარჯის დეფინიციას, ხოლო რეაბილიტაციის ხარჯის განსაზღვრება მოცემული არ არის.

შესაბამისად, საქართველოში საკანონმდებლო რეფორმამდე მოქმედი კანონმდებლობა გადახდისუუნარობის ხარჯების კუთხით, არსებითად, აცდენილია საუკეთესო პრაქტიკას.

რაც შეეხება ახალ კანონს, იგი, ფაქტობრივად, ასახავს მოცემულ თავში განხილულ რეკომენდაციებს, სასამართლოს მიერ ხარჯების დამტკიცების, შემცირების შესაძლებლობის, ტარიფის განსაზღვრის მეთოდის კუთხით, თუმცა სასურველია, გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის ანაზღაურება იყოს მეტად გამჭვირვალე და კრედიტორები მეტად იყვნენ ჩართული ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრასა და გაკონტროლებაში, ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს ახალი დირექტივის რეკომენდაცია, წევრ სახელმწიფოთა მხრიდან ეფექტური მექანიზმების შემუშავებასთან დაკავშირებით, რეაბილიტაციის მმართველის ანაზღაურებიდან გამომდინარე დავის შემთხვევაში[874]. გარდა ამისა, პრინციპულად მნიშვნელოვანია, არსებობდეს ანაზღაურების მონიტორინგის შესაძლებლობა.

ამასთან, საკანონმდებლო რეფორმისას სასურველი იყო, გათვალისწინებულიყო დირექტივის მიდგომა, რომლის თანახმად, გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სპეციალისტის დანიშვნის მოთხოვნისას, როდესაც ეს სავალდებულო არაა, კრედიტორებმა მისი ანაზღაურება უნდა უზრუნველყონ[875].

---

[873] Bankruptcy act of Sweden, art.14 section 1.

[874] DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring, insolvency and discharge of debt, and amending Directive (EU) 2017/1132 (Directive on restructuring and insolvency) art.27.4.

[875] DIRECTIVE (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on preventive restructuring frameworks, on discharge of debt and disqualifications, and on measures to increase the efficiency of procedures concerning restructuring,

საკანონმდებლო რეფორმის მიზანს — რეაბილიტაციას მიენიჭოს უპირატესობა, ასახოს კანონის რეგულაცია ბაჟის განახევრების შესახებ, თუკი მოხერხდება რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცება[876]. თუმცა რეფორმის შემდეგაც, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთათვის დადგენილი ანაზღაურების მინიმალური განაკვეთები საკმაოდ მაღალია[877].

## 9. დასკვნა

ნაშრომში განვიხილეთ გადახდისუუნარობის სამართლის ძირითადი ინსტიტუტები და პრინციპები, სხვადასხვა ქვეყნის მიდგომები, ისევე როგორც ახალი ევროპული დირექტივა, არსებული რეკომენდაციები და ამ ფონზე ქართული საკანონმდებლო რეფორმის შედეგად მიღებული რეგულაციები.

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის მიღებით, ქართულმა გადახდისუუნარობის კანონმდებლობამ გაიზიარა უახლესი ევროპული მიდგომები. კანონით გაზიარებულია ახალი ევროპული დირექტივის თანამედროვე და ამბიციური რეგულაციები. მათ შორის, მოვალის მართვაში დატოვების შესაძლებლობა და სასამართლოს მიღმა რეაბილიტაცია — „რეგულირებული შეთანხმების“ სახით.

